სვეტიცხოველი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientiic Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№1, 2021

**საქართველოს საპატრიარქოს,
საქართველოს სინქინრო აკადემიისა და
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის**
სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი: **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე**

მთავარი რედაქტორის
მოადგილეები: **დეკანოზი ლევან მათეშვილი**
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ გასიტაშვილი
დავით გურგენიძე
ვახტანგ გურული
ალექსანდრე გრიგოლიშვილი
გიორგი კოკოშაშვილი
თამარ ლომინაძე
შალვა ნაჭყებია
გივი ღამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
მაკა ხართიშვილი
თემურ ჯაგოდნიშვილი
გურამ ჯავახაძე

პასუხისმგებელი მდივანი:

ქეთევან მახაშვილი

© სვეტიცხოველი
სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.
მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
ISSN 1987-6874
გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2021.



ჟურნალ
„სვეტიცხოვლის“, 1917 წლის დეკემბრის,
ყდის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი"-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი" ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ჟურნალი „სვეტიცხოველი" განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ჟურნალ სვეტიცხოველის რედაქცია

"მოწყალების საქმე გადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

***

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან **საქართველოს საინჟინრო აკადემიისა** და კომპანია **"მედინსერვის"** წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს **"თანადგომის დღე"**. თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. **თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა.** სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან
სულთმოფენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.
Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;

II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის, პროფესორ ივანე გორგიძის ხსოვნას

სარკვევი

ეძღვნება ივანე გორგიძის ხსოვნას

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 11
მართვის პრობლემების ინსტიტუტი (ИПУ) 12
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 13
დავით გურგენიძე 15
პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე 17
არჩილ ფრანგიშვილი 18
ლევან კლიმიაშვილი 19
ზურაბ გასიტაშვილი 20
გივი აბდუშელიშვილი 22
მამუკა გიორგაძე 25
დეკანოზი ლევან მათეშვილი 26
გურამ ჯავახაძე 27
შალვა ნაჭყებია 29
ვლადიმერ აბულაძე 30
ვარლამ ბურჯანაძე 31
ლევან გოგიჩაიშვილი 32
ლალი გოჩიტაშვილი 33
ალექსანდრე გრიგოლიშვილი 34
როზეტა გუჯეჯიანი 35
ივანე ეპიტაშვილი 36
ლერი ზამბახიძე 37
დარეჯან თევზაძე 38
ნუგზარ (ზაზა) იაშვილი, ქეთევან მახაშვილი 40
ჯუმბერ იოსებიძე, გიორგი აბრამიშვილი, ოთარ გელაშვილი 42
გიორგი კოკოშაშვილი 43
დემიკო ლოლაძე 44
ნიკა ლოლაძე 45
ვაჟა ნადირაშვილი 46
ვაჟა ოთარაშვილი 47
გიორგი სალუქვაძე 49
ალექსანდრე სიჭინავა 50
მანანა ტაბიძე 50
სოსო ტყებუჩავა 52
გურამ ტყემალაძე 53
ჯიმშერ ქერქაძე 54
რუსუდან ქუთათელაძე 54
ოთარ შონია 55
მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი 57
მაკა ხართიშვილი 59
სულხან ხუციშვილი 60
იოანე (ჯემალ) ჭიღლაძე 61
ივანე ჯაგოდნიშვილი 61

აზონი და ფარნავაზი ერთიანი ქართული კულტურისა და სახელმწიფოს სათავეებთან
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 62

სიახლე და მიზანი 65
არქეოლოგიის გაყალბება 72
წყაროები 74
„ქართლის ცხოვრება“ 79
სომხური წყაროები ფარნავაზის შესახებ 83
ჰიპოთეზა ფარნაბაზისა და ფარნავაზის ურთიერთმიმართების შესახებ
(ბერძნულ-ლათინური წყაროები სატრაპ ფარნაბაზის შესახებ) 85

დემეტრე თავდადებული
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 91

თუბალი, მოსოქი, იბერი, ფარნავაზი
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 95

აღთქმა ღმერთისა ერთან 95
თუბალი და მოსოქი 100
იბერი 106
ალალი და არამი (ურარტუ და არმენია) 114
ფარნავაზი 119

იოანე (ივანე) მინჩხი
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 133

კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეებს 133
აფხაზთა მეფე იორგი II – „დიდი დანაკარგი“ იოანე მინჩხის აღწერით 137

სიმართლის ძალა
მანანა ტაბიძე 139

ქართული ხალხური დღესასწაულები: შუამთობა, მარიობა და ხარების ჭედობის ტრადიცია
როზეტა გუჯეჯიანი 146

მარტყოფის მისტერია – კიდევ ერთი საღვთო ომი ქართველთა (XXI-ე საუკუნიდან დანახული) 157
ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი, ლექსო ოთარაშვილი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

ბატონ ვანო-იოანე გორგიძის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

ფრიად ვწუხვართ ბატონ ვანო-იოანე გორგიძის გარდაცვალების გამო. ენერგიული, მუხლჩაუხრელად სიკეთის მთესველი, ღვთისმოყვარე, გულითადი ადამიანი განგვეშორა და მრავალთა წუხილი და სევდა გაიყოლა.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ მშვიდობა და ურყევი რწენა იმისა, რომ გარდაცვალება არ არის სიკვდილი, არამედ დასაწყისია მარადიული ცხოვრებისა, რომლისთვისაც ყველანი უნდა მოვემზადოთ.

ღმერთმა დაგლოცოთ

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

19.12.2020.

МИНОБРНАУКИ РОССИИ
ФЕДЕРАЛЬНОЕ ГОСУДАРСТВЕННОЕ
БЮДЖЕТНОЕ УЧРЕЖДЕНИЕ НАУКИ
ИНСТИТУТ ПРОБЛЕМ УПРАВЛЕНИЯ
ИМ. В.А. ТРАПЕЗНИКОВА
РОССИЙСКОЙ АКАДЕМИИ НАУК
Профсоюзная ул., д. 65, Москва, ГСП-7, 117997
Тел. (495) 334-89-10, Факс: (499) 234-64-26
E-mail: dan@ipu.ru; http://www.ipu.ru
ОКПО 00229530 ОГРН 1037739269590
ИНН/КПП 7728013512/772801001

THE MINISTRY OF SCIENCE AND HIGHER
EDUCATION OF THE RUSSIAN FEDERATION
V.A. TRAPEZNIKOV INSTITUTE
OF CONTROL SCIENCES
OF RUSSIAN ACADEMY OF SCIENCES
(ICS RAS)
Profsoyuznaya str., 65, Moscow, 117997
Tel. +7 (495) 334-89-10, Fax: +7 (499) 234-64-26
E-mail: dan@ipu.ru; http://www.ipu.ru

_____ 20 г. № _____

На № _____ от _____

Ректору Грузинского
технического университета
Гургенидзе Д.

Институт проблем управления им. В.А. Трапезникова РАН выражает соболезнования коллективу Грузинского технического университета в связи с кончиной выдающегося ученого – Ивана Алексеевича Горгидзе.

Мы скорбим вместе с Вами, память об этом замечательном и светлом человеке навсегда сохранится в наших сердцах!

Передайте наши глубочайшие соболезнования родным и близким Ивана Алексеевича.

Директор ИПУ РАН
чл.-корр. РАН
и коллектив

Д.А. Новиков

საქართველოსთვის თავდადებული

(ვანო გორგიძისა და ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნას)

ქვეყანას მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს მისი შვილების ერთგულება, მზადყოფნა მუდმივი მსახურებისათვის.

ბედნიერებაა, როცა ასეთი ადამიანებია ჩვენს გვერდით, მათ შორის არიან რჩეულებიც.

ჩვენს გულებში მარად ასეთებად დარჩებიან პროფესორები ივანე გორგიძე და ტარიელ ფუტკარაძე, რომელთაც თითქმის ერთდროულად დაგვტოვეს.

მწუხარებით ვიხსენებთ მათ, საქართველოსთვის მზრუნველ მეცნიერებს.

ძალა, ერთგულება, მუდმივი სწრაფვა ქვეყნის მუშაკობისათვის, დაუღალავი მოქმედება საქართველოს სადიდებლად.

სამწუხაროა, რომ გლობალურმა პანდემიამ, კოვიდმა, ამოირჩია ისინი და იმსხვერპლა საქართველოს სიხარულისა და დარდის მტვირთველები.

ვფიქრობ, თავისი საქმეებით კვლავ ჩვენს გვერდითაა დიდი ბატონი ივანე გორგიძე, ერთგული საქმისა და თავისი მოვალეობისა, მოყვარული თანამშრომლებისა, ყოველი დიდი წამოწყების ინიციატორი, სიკეთის აღმძრავი, მუდმივი გენერირების უნარით დაჯილდოვებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიტეტის ერთერთი შემოქმედი, უნივერსიტეტის დამფუძნებელთა დიდი ოჯახების შთამომავალი.

მისი სავსე ბიოგრაფიის საუკეთესო ფურცლებად ითვლება მოღვაწეობა თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით კათედრასა და ცენტრში ათეული წლის მანძილზე.

უწმიდესი პატრიარქის უშუალო მითითებით ჩვენ კურთხევა გვქონდა გვემუშავა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის სადავო საკითხების საკვლევად და გასაშუქებლად.

მისი მონაწილეობით შეიქმნა კიდეც რეალური ისტორიის დამდგენი საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისია.

კურთხევის აღსრულებად მიაჩნდა ბატონ ივანეს რედაქტირება უწმიდესი პატრიარქის მიერ მოწონებული ნაშრომებისა – „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ისტორიულ ივერიაში“, „არიან-ქართლი“, „საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ლაზიკაში“, „ქალდეა“, „ხუნძეთისა და ალბანეთის საკათალიკოსოები“ და სხვა.

ისინი მან მრავალჯერ გამოსცა და მიაჩნდა ეკლესიის ისტორიის ერთიანი მრავალტომეულის ნაწილებად.

ახლა როცა მისი დიდი საქმეები ჩვენთვის სასიამოვნო გასახსენებელია, ალბათ შეიძლება გათქმა მისი ბოლო ჩუმი მუშაობისა „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ათტომეულიის გამოსაქვეყნებლად, რომლის ტომების დიდი ნაწილი მისი რედაქტირებული იყო.

მისი ოცნება იყო, რომ უწმიდესი პატრიარქი თავისი მადლიანი ხელით შეხებოდა „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ამ ტომებს.

წლების წინ ის თავდადებით მუშაობდა მათი რუკების დასამზადებლად, მართალია შემდეგ იმ წინააღმდეგობებმა, რომელიც მუდმივად ახლავს დიდ საქმეს, შეაფერხა მისი ოცნების განხორციელება. მაგრამ, ამჟამად ამას მივიჩნევ ანდერძად, რომელიც ალბათ განხორციელდება, კვლავ მისი უხილავი დახმარებით.

განსაკუთრებულია ბატონი ტარიელ ფუტკარაძისა და ივანე გორგიძის ბრძოლა ქართიზაციის თეორიისა დ მისი მავნე გავლენის აღმოსაფხვრელად.

იდეოლოგიურ ომში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირების წინ, საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლისას სეპარატისტები აქტიურად იყენებდნენ საბჭოთა ეპოქაში გავრცელებულ ე.წ. ქართიზაციის თეორიას.

ამ ანტიქართული თეორიის მიხედვით ქართველები არ არიან მკვიდრები დასავლეთ საქართველოსა და კახეთის უმეტესი ნაწილისა, არამედ, თითქოსდა, ისინი აქ შემდეგ ჩასახლდნენ და ეკლესიის დახმარებით მოახდინეს იქაური მკვიდრი მოსახლეობის ე.წ. ქართიზაცია.

ქართიზაციის თეორია გამოიყენა თავის საფუძვლად, თვითმარქვია „აფხაზეთის მიტროპოლიტმა“ დოროთე დბარმა საჩივრებში, როცა კონსტანტინოპოლის პატრიარქს უმტკიცებდა, რომ არა თუ სოხუმის რეგიონი, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველო, საეკლესიო სამართლის თანახმად, არ უნდა შედიოდეს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

ამ თავის არასწორ მტკიცებას დოროთე დბარი ამყარებდა ოფიციალურ თეორიას, რომლის მიხედვით, თითქოსდა, თავდაპირველად, IV საუკუნედან, X საუკუნის ჩათვლით, დასავლეთ საქართველო იყო არა ქართული ეკლესიის, არამედ, კონსტანტინიოპოლის იურისდიქციაში, და მხოლოდ შემდეგ მოიკიდა აქ ფეხი ქართულმა ეკლესიამ, ამიტომაცო, ამტკიცებს დბარი, მესამე მსოფლიო კრების მე-8 კანონის თანახმად, რომელიც კრძალავს ერთი ეკლესიის შეჭრას მეორის იურისდიქციაში, უნდა აღსდგესო კონსტანტინოპოლის თავდაპირველი იურისდიქცია დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთი უნდა დაუბრუნდეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წიაღსო.

აღმოჩნდა, რომ ქართიზაციის თეორია საეჭვოს ხდიდა ქართული ეკლესიის იურისდიქციას დასავლეთ საქართველოში და ამ თეორიაზე დაყრდნობით სეპარატისტებმა გამოაცხადეს კიდეც ე.წ. „აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია“.

ამ მიზეზის გამო, ბატონი ვანო აჩქარებდა ჩვენი შესაბამისი წიგნის გამოცემას და ის დაბეჭდა კიდეც, რომელშიც ნათლად, ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო წმიდა მოციქულების დროიდანვე იყო საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ხოლო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია მოიცავდა არა დასავლეთ საქართველოს,

არამედ ტრაპეზუნტის ოლქში მდებარე ქართულ ქვეყანას, რომელსაც ამჟამად „ლაზისტანი ეწოდება“.

აღნიშნულის გარდა, ბოლო დროს, ბატონი ვანო, ჩემგან განსაკუთრებით მოითხოვდა სათანადო გამოკვლევით მეპასუხნა დავით-გარეჯის უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრების გაუქმების გამო გამოწვეულ კრიზისისათვის, როცა მოწინააღმდეგე მხარე ამტკიცებდა, რომ ეს მონასტრები იდგა არა ქართულ მიწა-წყალზე, არამედ ალბანურზე.

ბატონი ვანო შეშფოთებული იყო ასევე რუსულენოვან საინტერნეტი სივრცეში გავრცელებული სტატიებით, რომელთა მიხედვითაც ბოდბის, გურჯაანისა და საინგილოს ვრცელი რეგიონებიც კი და, ასევე, სამხრეთ კახეთი, თითქოსდა, ალბანელების ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენს. მოითხოვდა ამ სიცრუის უარყოფას შესაბამისი გამოკვლევით და საკითხის ირგვლივ სათანადო სამეცნიერო ნაშრომის დაწერას.

მისი მოწოდების შესაბამისად, მართლაც, მე ამჟამადაც ვმუშაობ და თითქმის უკვე დავამთავრე ვრცელი მონოგრაფია აღნიშნული თემაზე, რომელსაც ვუძღვნი ბატონი ვანოსა და ბატონი ტარიელ ფუტკარაძი ხსოვნას, მინდა ამ წიგნის სახელი იყოს – „ჰერეთის, კახეთისა და ალბანეთის საეკლესიო იურისდიქცია“.

საბოლოოდ, მინდა ვუთხრა მათ სულებს – განისვენეთ მშვიდად უფალი ღმერთის მიერ, რადგანაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი თავის ზრუნვას არ მოაკლეს მის წილხვედრ საქართველოს.

საუკუნო იყავნ ხსენება თქვენი, ამინ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მოგონება ვანოზე

მოგონება შეიძლება ბევრი ჰქონდეს ადამიანს. მათ შორის ტკბილიც და მწარეც, მაგრამ დრო რომ გადის რაც გვენატრება ტკბილად გვახსენდება. ვანოს გარდაცვალებიდან შვიდი თვე გავიდა.

12 ივნისს ვანოს 79 წელი შეუსრულდებოდა. 79 წელი ჩვენს სინამდვილეში უკვე აღარ არის დიდი წლოვანება. ვანო თბილისის ქუჩებს, ჩვენს უნივერსიტეტს დააკლდა. დააკლდა

თავის საყვარელ ოჯახს, დამაკლდა პირადად მე. მისი სული ცაში ამაღლდა და კეთილისმსურველ სხივებს აგზავნის. უგზავნის ყველას: ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ვინც უყვარდა და პატივს სცემდა.

გარეკანის გვერდზე ფოტოა მოთავსებული. ვანო ჩაფიქრებული ჩაჰყურებს მის მიერ შექმნილ წიგნს. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, ნახავს თანდართულ ფოტოალბომს, გაახსენდება ეს სოცარი პიროვნება. ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი.

დიდი ხნის მეგობრობა გვაკაშირებდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს შორის იოტისოდენა წყენაც კი არ ყოფილა. ზოგჯერ ფაქტებზე სხვადასხვა აზრი გვქონდა, მაგრამ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული ძვალ-რბილში გვქონდა გამჯდარი.

ძალიან განიცდიდა მეგობრების წასვლას ამ სოფლიდან და ამასთან დაკავშირებით გაიხსენებდა სტროფს თუშური ხალხური ლექსიდან:

„ვინც მოკვდა თავსა მოუკვდა
ცოცხლები ისევ ხვნენ ყანასო.“

ვანო გახლდათ ჭირთ მთმენი, სხვისთვის მხოლოდ სიხარულის გამაზიარებელი პიროვნება. უფრო მეტიც: საოცრად სადად, ნათლად მარტივად სხვისი ჭირის გამზიარებელი. საამისოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, როცა დედაჩემი მძიმედ ავად გახდა და წელიწადნახევარი რეანიმაციაში იწვა, ვანო ჩემს გვერდით იდგა, ერთი დღე არ მომშორებია.

სამუშაო დღის დასრულებისას, სახლში წასვლამდე, აუცილებლად ჩემთან შემოდიოდა ხოლმე, სამუშაო ოთახში ვისხედით და ვსაუბრობდით უნივერსიტეტის მომავალზე, სხვადასხვა დარგის თუ ფაკულტეტის განვითარებაზე, უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის.

დაბოლოს, მიხეილ ქვლივიძის ლექსი გამახსენდა და ეს მოგონება ამ სტროფებით მინდა დავამთავრო:

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მინც
კაცი რომელიც დააკლდა ქალაქს

და თითქოს ვითვლით ისევ და ისევ
გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს
და ღმერთს ვთხოვთ
ღმერთო გვაცხოვრე ისე
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს.“

დავით გურგენიძე

ბატონი ვანო გორგიძის შესახებ თუნდაც რამდენიმე სიტყვის თქმა საკმაოდ რთულიც არის და ადვილიც ერთდროულად. რთულია იმიტომ, რომ ის უაღრესად ნათელი პიროვნება ბრძანდებოდა თავისი თავმდაბლობით, უსაზღვროდ დიდი ადამიანური სითბოთი, კეთილშობილებითა და კაცთმოყვარებით, რაც უშუალო კავშირშია მის გასაოცრად ფაქიზ სულიერ სამყაროსთან, რომლის წვდომაც მოითხოვს გამრჩეველობის უნარსა და ძალისხმევასაც, რათა შეძლო მთელი სისავსით შეიმეცნო და ზედმიწევნით გადმოსცე ის, რაც მატერიალური თვალით არ იხილვება და არც ზედაპირული გონებით შეიმეცნება. სირთულეც სწორედ ესაა – მიუკერძოებლი და ობიექტური აღქმა პიროვნებისა ყველა იმ არსებითი ნიშან-თვისებით, რაც მას სხვათაგან განარჩევს. ადვილია მასზე საუბარი იმის გამო, რომ მისი საქმეები დაფარული არ არის და, მოწადინების შემთხვევაში, ყველას შეუძლია იმ ღვაწლთან შეხება, რომელიც სამუდამოდ დაუკავშირდა ბატონი ვანოს სახელს. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, მიღწევები და წარმატებები ცნობილია სამეცნიერო წრეებში, აკადემიურ საზოგადოებაში, მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, თუ რამდენად გულითადი ურთიერთობა ჰქონდა მას საპატრიარქოსთან, თავად კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან, ასევე, სხვა საეკლესიო მოღვაწეებთან. განსაკუთრებული იყო მისი პატივისცემა პატრიარქისადმი, რომლის უდიდეს ღვაწლსაც ქვეყნის წინაშე დიდად აფასებდა. ბატონი ვანო გორგიძე დიდ თანადგომას უწევდა მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს, რომელიც წლების განმავლობაში თეოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობს თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორის, ბატონი რამაზ ხუროძის ძალისხმევით გაიხსნა. ბატონ ვანო გორგიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ სასულიერო პირებთან, რომლებიც უნივერსიტეტში, თეოლოგიის განყოფილებაზე მოღვაწეობენ. ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ არჩილ ფრანგიშვილთან ერთად იგი წლების განმავლობაში იღვწოდა ამ უნივერსიტეტის წარმატებისა და სულიერი ამაღლებისათვის. როგორც მეცნიერს და, ამავე დროს, ღრმად მორწმუნე პიროვნებას, მას კარგად ესმოდა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თეოლოგიის კათედრას უნივერსიტეტისათვის და ყურადღებას არ აკლებდა მას. შემთხვევითი არ იყო მისი გამოსვენება სიონის საპატრიარქო ტაძრიდან. ეკლესიამ პატივი მიაგო ბატონ ვანო გორგიძეს, როგორც გამორჩეული ღვაწლის მქონე მეცნიერს. მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო არა მხოლოდ მისი ოჯახისათვის, ან თუნდაც ტექნიკური უნივესიტეტისათვის, რომლის რექტორმაც, ბატონმა დავით გურგენიძემ, მთელ უნივერსიტეტთან ერთად, დიდი გულისხმიერება და პატივისცემა გამოიჩინა მის მიმართ, არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ჩვენგანისათვის. იგი გამოირჩეოდა შინაგანი პატიოსნებით, წესიერებით, ეკლესიური აზროვნებით. ბატონი ვანო დიდი ენერგიით და სიყვარულით უძღვებოდა სტუდენტი ახალგაზრდობის

განათლების საპატიო საქმეს (მათ შორის, ღვთისმეტყველების კუთხითაც), თავად უჩვენებდა მათ ნიმუშს სიბეჯითისა, საქმისადმი თავდადებისა. ღრმად მწამს, რომ მისი კეთილი საქმეები, მისი ღვაწლი სათნოა ღვთისათვის, რის გამოც შევთხოვთ უფალს, რომ მართალთა განსასვენებელში დაამკვიდროს მისი უკვდავი სული, რაც, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ნუგეში იქნება მისი დამწუხრებული ოჯახის წევრების, ნათესავების, კოლეგების, ახლობელ-მეგობრებისა და ყოველი ჩვენგანისათვის.

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე

დიდი დანაკლისი

საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ჩვენი მეგობარი, პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ივანე გორგიძე.

წილად მხვდა საპატიო და ძნელი მისია საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და ტექნიკური ინტელიგენციის სახელით გამოსამშვიდობელი სიტყვებით მივმართო ჩვენს უფროს მეგობარს. ყველასათვის ცნობილია მისი მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ. მსურს მოკლედ შევეხო ბატონ ვანოს მოღვაწეობის მხოლოდ ერთ საკითხს. ივანე გორგიძე უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ჩამოყალიბებაში, მისი სტრუქტურისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრაში, აკადემიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადებაში.

ი. გორგიძე იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის დამფუძნებელი-წევრი და აკადემიკოს-მდივანი, მისი პირველი პრეზიდიუმის უცვლელი წევრი დაარსებიდან გარდაცვალებამდე. დიდია მისი ღვაწლი საინჟინრო აკადემიის ბეჭდვითი ორგანოს ჟურნალ „საქართველოს საინჟინრო სიახლენის“ დაფუძნებაში. იგი იყო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მას მეტად ბევრი განუხორციელებელი იდეა დარჩა და ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო.

ბატონი ივანე გორგიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, და კოლეგების გულში.

არჩილ ფრანგიშვილი

ვანო გორგიძე

მე ვანო გორგიძეს შორიდან ვიცნობდი, მაგრამ ახლოს გავიცანი და დაგვამეგობრა სამუშაომ, რომელზეც ერთად მოგვიწია მუშაობა. ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო მისი განსაკუთრებული პუნქტუალობა. არ მახსოვს, რომ შეხვედრაზე დაეგვიანოს. დათქმულ დროს შემოაღებდა კარს და ოთახში შემოვიდოდა. შემოვიდოდა და ქმნიდა საქმიან სამუშაო გარემოს. თავის ნაფიქრალს ჩვენ ყველას გაგვიზიარებდა და დაამატებდა, თუ თქვენთვის მისაღებია, მაშინ ამის გარშემო ვიკამათოთ-ვიმსჯელოთო. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ზამთარი იყო, თუ პაპანაქება ზაფხული ყოველთვის მოწესრიგებულად ეცვა, მუქი ფერის კოსტიუმი, ღია ფერის პერანგი და ჰალსტუხი ეკეთა. ერთხელ ვკითხე: ვანო, როგორ ახერხებ, რომ ასეთი სიზუსტით დაიცვა დათქმულ დროს მოსვლა-მეთქი. თავისი დასამახსოვრებელი ღიმილით გამიღიმა და მითხრა: გახსოვს ალექსანდრე დიუმას სადღაც აქვს ნათქვამი: „სიზუსტე მეფეთა ზრდილობაა“.

ახლა, როცა ის ჩვენთან არ არის, მისი რამდენიმე კაცური თვისება მინდა გავიხსენო. გულთან ახლოს მიჰქონდა მეგობრის გაჭირვება, ლხინსაც და წარმატებასაც ისე განიცდიდა, როგორც საკუთარ წარმატებას. ამის დასტურად ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ერთ ჩვენ საერთო მეგობარს ერთ წელზე მეტი მოუწია კლინიკაში ყოფნა. არ მახსოვს, რომ ვანო მასთან კლინიკაში არ მისულიყო. უთქვამს: „მეგობარს როცა უჭირს, მაშინ უნდა იყო მის გვერდით, თორემ ლხინისა და ზეიმის დროს მაინცდამაინც არ არის აუცილებელიო“.

საოცრად თავმდაბალი იყო. დიდი გამოცდილება ჰქონდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობზე მუშაობის. 1000-ზე მეტ თანამშრომლიან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა, მაგრამ მასთან ურთიერთობაში ამას ვერ იგრძნობდი.

„გეპეის“ პატრიოტი იყო. ბოლო ათწლეულში ბევრ საქმეს დაადგა თავი, მაგრამ მათ შორის უპირატესობას ანიჭებდა გეპეის მატიანეს შექმნას. მისი ინიციატივით და თაოსნობით შალვა ნაჭყებიასთან ერთად რამდენიმე წიგნი დაბეჭდეს. ამ დიდ საქმეში ყველა ჩაგვრთო. თუ დამიმარტოხელებდა წიგნში შესატან მასალაზე მთხოვდა, აბა გაიხსენე ვინ შეძლება მოვიგონოთ, ისეთი ვინმე არ გამოგვრჩეს, ვისაც გეპეისთვის კარგი საქმე აქვს გაკეთებულიო. ბოლოს დააყოლებდა, ხომ იცი ეს ჩვენი გასაკეთებელი საქმეა, ჩვენს მერე ამას არავინ გააკეთებს და დავიწყებას მიეცემა ყველაფერიო.

უკან მოიხედავ, და ისევ ხედავ ვანოს თავის იდეებით, მეგობარზე მზრუნველს და მოყვასზე მოფიქრალს, წინ, წინ კი – სიცარიელეა, რომელსაც ვერაფრით შეავსებ...

ლევან კლიმიაშვილი

ჩვენი „ალექსეევიჩი“

ივანე ალექსის ძე გორგიძე, ჩვენთვის „ალექსეევიჩი“ გავიცანი გასული საუკუნის 80-იან წლებში, რუსეთის მართვის პრობლემების ინსტიტუტში. ღმერთმა ისე ინება, რომ ვანოს მამა ალექსი გორგიძე, ჩემი და მამაჩემის პედაგოგი გახლდათ მაშინდელ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. თუკი ვინმეს დიდი სითბოთი მოიგონებდა მამაჩემი აკაკი გასიტაშვილი, პირველ რიგში იყო ალექსი გორგიძე, რომელიც დიდი მეცნიერი და პედაგოგი გახლდათ. ალექსი გორგიძე გახლდათ ნიკო მუსხელიშვილის და ილია ვეკუას მოწაფე და ახლო მეგობარი. სამივე ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგის) სკოლის წარმომადგენელი იყო და ლენინგრადშივე ჩამოყალიბდა მათი კოლეგიალობა, მოღვაწეობა და მეგობრობა. ასე რომ, ივანე გორგიძე დიდი მეცნიერის ალექსი გორგიძის ოჯახში აღიზარდა.

ბატონ ვანო სამშობლოს სიყვარულით იყო აღვსილი. უყვარდა ფეხბურთი, ჰყავდა დიდი სამეგობრო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკა-ტელემექანიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მისი მოღვაწეობა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტთან და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული. ამის შემდგომ იგი მიდის რუსეთის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც აღიარებული ლიდერი და დიდი მეცნიერი და იმ პერიოდში ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ივერი ფრანგიშვილი გახლდათ. ამ პერიოდიდან იწყება ბატონი ვანოს თანამშრომლობა ბატონ ივერისთან, რომელიც ბატონი ვანოს მთელი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად გადაიქცა და გადაიზარდა ბატონ ივერისთან მეგობრობაში.

ბატონი ვანო ჩაერთო ახალგაზრდათა ჯგუფში, რომელიც ეკონომიკური პროცესების მოდელირებით გახლდათ დაკავებული. ამ ჯგუფის აღიარებული ლიდერი ვლადიმერ ბურკოვი იყო, რომელიც შემდგომ ჩამოყალიბდა აქტიურ სისტემების თეორიის ავტორად და ფუძემდებლად. ვლადიმერ ბურკოვმა ეტაპობრივად შექმნა სკოლა, ამ სკოლის შექმნაში ბატონი ვანო გვერდში ედგა მას. სწორედ ბატონი ვანო გახლდათ ინიციატორი ახალი ლაბორატორიის ჩამოყალიბებისა (რომლის განხორციელებაში ბატონი ივერი დაეხმარა), რომლის ხელმძღვანელად ბატონი ვლადიმერ ბურკოვი დაინიშნა. ამ სკოლის პირველი ქართველი წარმომადგენელი სწორედ ბატონი ივანე გახლდათ. მან ფაქტობრივად საქართველოში დაბრუნებულმა დაიწყო ზრუნვა სერიოზული სამეცნიერო კერის ჩამოსაყალიბებლად, რაშიც დიდად ეხმარებოდა აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი, მათი მოღვაწეობით ჩამოყალიბდა საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-სამრეწველო კომპლექსი „ალგორითმი“, რომელიც პიონერი გახლდათ საქართველოში კომპიუტერული და პროგრამული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად. შეიქმნა კომპიუტერებით აღჭურვილი ავტობუსი,

რომელიც ადგილიდან ადგილზე გადაადგილდებოდა და ახალგაზრდებს პერსონალური კომპიუტერის გამოყენების მისწრაფებას უნერგავდა. გარდა ამისა პროფესიონალურ დონეზე „ალგორითმში“ ხდებოდა გამოყენებითი დანიშნულების დარგობრივი პროგრამების შექმნა. ბატონი ვანო არ ივიწყებდა „აქტიური სისტემების თეორიის“ სკოლას და ამ მხრივ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, გაგზავნა მოსკოვში მართვის პრობლემების ინსტიტუტში არაერთი ქართველი ახალგაზრდა – სულხან ხუციშვილი, თემურ ბარბაქაძე და სხვ.

პრაქტიკულად აქტიურ სისტემათა თეორიის სკოლის ქართული წარმომადგენლობა ჩამოაყალიბა. ბევრი მათგანი დღეს საქართველოს და მსოფლიოს წარმატებული მეცნიერია, ინგლისში, აშშ-ში და სხვ.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ბატონი ვანო არ ივიწყებდა მის მიერ აღზრდილ კადრებს და ყველანაირად ხელს უწყობდა მათი გამოცდილება დაკავშირებულიყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესებთან. ამ მხრივ არაერთ ახალგაზრდას დაეხმარა. ბევრ ახალგაზრდას ხელი შეუწყო დაეცვა დისერტაცია.

ბატონი ვანოს ორგანიზაციის ქონება, მიწები საინტერესო გახდა საპატრიარქოსათვის, აღმოჩნდა რომ ამ ტერიტორიებზე იყო ტაძარი. ამ პერიოდიდან აქტიურად იწყება ივანე გორგიძის საეკლესიო მოღვაწეობა. გადასცა და დიდი ღვაწლი გასწია მერიას დაემტკიცებინა გადაცემული ტერიტორია საპატრიარქოსათვის. პრაქტიკულად თავისი სამეგობროთი შეკრა გუნდი – აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის, პროფესორ გურამ ჯავახაძის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის და სხვათა მონაწილეობით. აღდგა პირველი დანგრეული ტაძარი და ამის გარდა აშენდა კიდევ ორი ტაძარი, აშენდა საცხოვრებელი კელიები, საპატრიარქო რეზიდენცია. ეს იყო ამ გუნდის დიდი გამარჯვება და ივანე გორგიძის ცხოვრების აზრი. უზარმაზარ სიხარულს განიცდიდა ამ პროცესებით. გახდა მორწმუნე, ჩაიცვა სტიქარი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დააარსა რელიგიის ისტორიის და თეოლოგის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელი პატრიარქის კურთხევით მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე დაინიშნა. ვანოს ცხოვრება მნიშნელოვნად დაკავშირდა მეუფე ანანიასთან. პრაქტიკულად ამ ცენტრში ბატონი ვანო მეუფის მარჯვენა ხელი იყო. მრავალი წარმატება ახლდა მის მოღვაწეობას. პირველად საქართველოში ჩატარდა ბატონი ვანოს მნიშვნელოვანი მონაწილეობითა და ორგანიზებით კონფერენცია „რელიგია და მეცნიერება“, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი მეცნიერები: ივერი ფრანგიშვილი, ვლადიმერ ბურკოვი, ალექსანდრე გუსევი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი კონსტანტინ ფროლოვი, საქართველოდან 100-ზე მეტი მეცნიერი.

ამ პერიოდში ბატონი ვანო თავისი შემოქმედებით ძალზე დაუახლოვდა საპატრიარქოს, ბატონი ივანე უსაზღვროდ შეყვარებული გახლდათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე. თავის შემოქმედებას უძღვნიდა პატრიარქს. გარკვეულ გუნდთან ერთად: გურამ ჯავახაძე, არჩილ ფრანგიშვილი, დავით გურგენიძე, ალეკო ჩხეიძე, შალვა ნაჭყებია, მამუკა მაცაბერიძე, დავით გორგიძე და სხვა ქმნიდა ტექნიკური უნივერსიტეტის უნიკალურ ისტორიას, გააცოცხლა წარსულის ფურცლები, გაიმოცა არაერთი ჟურნალი, გამოსცა ქართული ინჟინერიის ოქროს წიგნი, რომელიც მიეძღვნა პატრიარქს.

ბატონი ვანო გახლდათ არაერთი სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი და სწავლული მდივანი („საქართველოს საინჟინრო სიახლენი“, „სვეტიცხოველი“, „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული) მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მიტროპოლიტ ანანიასთან ერთად დაფუძნებული სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველია“, რომლის პერიოდულ გამოცემაში ვანოს ორგანიზაცია უმნიშვნელოვანესი იყო (არაერთხელ მოუპოვებია გამოცემის სახსრები თავის საძმაკაცოსგან გურამ ჯავახაძე, ალეკო ჩხეიძე, არჩილ ფრანგიშვილი, დავით გურგენიძე და სხვ.)

თუ სუფრა იყო და ბატონი ვანო თამადობდა აუცილებლად პირველ სადღეგრძელოს პატრიარქს უძღვნიდა და თუ სხვა თამადობდა ადგილზე ცქმუტავდა და თუ თამადას

შეეშლებოდა რამე მოითხოვდა სიტყვას და პატრიარქს ადღეგრძელებდა. ბატონი ვანო გახლდათ სტიქაროსანი და პატრიარქთან და მეუფე ანანიასთან ერთად წირვაში მონაწილეობდა, ემსახურებოდა მათ და ამით ბედნიერი იყო. ერთად ვიყავით ათონის მთაზე, ვატოპედის მონასტრის წინამღვარმა გერონდა ეფრემმა მიგვიღო და მიგვიზიდა ამ ბუმბერაზმა კაცმა. შევიყვარეთ ამის შედეგი იყო მისი ვიზიტი სქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც ბატონი ვანო გახლდათ. შევიყვარეთ ჩვენი ქართველი ძმები, რომელნიც ათონზე მოღვაწეობდნენ და ხშირად შევდიოდით კონტაქტში. ეს ჩვენი სასიცოცხლო სივრცე გახლდა.

მთელი მისი ბოლო პერიოდის ცხოვრება ღმერთთან იყო დაკავშირებული.

ბატონი ვანოს ორგანიზაციული მოღვაწეობით ჩატარდა არაერთი საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნისადმი.

ძალზე ბევრია გასახსენებელი, იცოდა სიყვარული და ჩვენც შეგვაყვარა თავი.

იმდენად ავსებდა ჩვენს ცხოვრებას, პირადად ჩემს ცხოვრებას, რომ მის გარეშე გარკვეულად ფრთებმოტეხილები ვართ. დაგვაკლდა, უდავოდ დაგვაკლდა.

უყვარდა მშობლები, წინაპრები, მეგობრები, ბევრი სახელოვანი მეგობარი ჰყავდა, ბევრი მათგანი ზეცაშია და ბატონი ვანოც შეუერთდა მათ.

რას ვისურვებდი, პირველ რიგში მიგვეტანოს ჩვენი წუთისოფელი ისე, რომ კაცურად გაგვევლოს ჩვენი საწუთრო, არ დაგვევიწყებინოს მეგობრები და არ გვეღალატოს.

ეს წერილი გულით დავწერე, რადგან ვანო მიყვარდა და არასოდეს დამავიწყდება.

ზურაბ გასიტაშვილი

ვანო ბორგიძის მოსაგონარი

ენერგეტიკის ფაკულტეტიდან მოვინდომე გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიკის ფაკულტეტზე გადასვლა და ჩამრიცხეს 873-ე ჯგუფში; ასე გავხდით მე და ვანო ჯგუფელები მე-3 კურსიდან.

ორივე ფაკულტეტზე, ჩემს კურსზე გამორჩეული სტუდენტები იყვნენ – თავისი ზოგადი განათლებით, – საშუალო სკოლიდან მედალოსნები მოვდიოდით, – წარჩინებული სტუდენტები იყვნენ.

ვანოს გვარი ჩვენი თაობის სტუდენტებისათვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საკმაოდ ცნობილი იყო. მისი მამა – ბატონი ალექსი გორგიძე, ცნობილი მათემატიკოსი თეორიული მექანიკის დარგში, კათედრის გამგე იყო; იგი, როგორც პედაგოგი და ლექტორი გამორჩეული იყო თავისი არაჩვეულებრივი წესრიგით: მისი ჩანაწერები დაფაზე ადვილად გასარჩევი და ასათვისებელი იყო სტუდენტებისათვის.

მისი იერი – მშვიდი, დინჯი, მომღიმარი, მომფერებელი განწყობით – სტუდენტებში დადებით განწყობას იწვევდა. იგი თეორიული მექანიკის კურსს გვიკითხავდა.

ჯგუფელებს შორის ძალიან კეთილგანწყობითი კონტაქტები იყო დამკვიდრებული; ყველას ვერ ჩამოვთვლი, სამწუხაროდ, ზოგიერთნი გარდაცვლილებიც არიან: – თემურ ჯავახაძე, აჩიკო ბაქრაძე, ომარ ლომკაცი, თენგიზ ბანძელაძე, ჯიმშერ სტვილია, ნინო შათაშვილი, თინა მარხვაშვილი, ლალი კაკაბაძე.

მრავალი დღესაც, უკვე ასეთ სერიოზულ ასაკში, გვიმაგრებენ სულს – მედიკო ანდღულაძე, მაყვალა ტორონჯაძე, დოდო გამყრელიძე, ლენა პირველაშვილი, ნათელა აბულაძე, გურამ გამყრელიძე, ვალერი სანდოძე, ლევან რთველაძე, თემურ ჩხატარაშვილი, ნუგზარ ჩაჩხიანი, დიმა ცისკარიძე.

თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მაშინდელი პროგრამა თითქმის ერთწლიან სადიპლომო პრაქტიკას ითვალისწინებდა პროფესიულ საწარმოებში, რომელიც ვანომ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში გაიარა, ხოლო შემდეგ მოსკოვში წასვლა არჩია და მოხვდა ცნობილ ავტომატიკისა და მართვის პროცესების საკავშირო ინსტიტუტში; გაიარა სტაჟირება, გადავიდა საასპირანტო პროგრამაზე; იგი კარგ გარემოსა და მოწინავე ახალგაზრდა მცნიერთა ჯგუფში მოხვდა.

მე და რამდენიმე ჯგუფელი, განაწილებით მოვხვდით თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც საკავშირო დონეზე გამოირჩეოდა თავისი კოლექტივით და იქ მიმდინარე სამუშაოთა თემატიკით. ეს ორგანიზაცია აგრეთვე გამოირჩეოდა ახალგაზრდა სპეციალისტთა დიდი პოტენციალით და საზოგადოებრივი აქტივობით: – ჩვენი თაობის ჯგუფმა მიიღო კომკავშირის პრემია ნაშრომისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში; ჩვენი თაობის წარმომადგენლები გაიზარდნენ საზოგადოების, კომკაშირულ, პარტიულ და სახელმწიფო სტრუქტურებში.

მეც ასევე მერგო ბედად კომკავშირულ-პარტიული კარიერა: ეს იყო ხალხისა და სახელმწიფოს სამსახურის განსაკუთრებული სკოლა, სისტემა, გამოცდილება.

ინსტიტუტის დამთავრებიდან (1964 წ. დეკემბერი) რამდენიმე წლის შემდეგ, ერთ-ერთ მაღალი დონის, რესპუბლიკური მნიშვნელობის თათბირზე გამოვდიოდი სიტყვით თბილისის ახალგაზრდობის პრობლემების შესახებ და ტრიბუნაზე მდგომმა, შევამჩნიე, დარბაზში შემოვიდნენ ვანო და რამდენიმე არაადგილობრივი ახალგაზრდა.

შესვენების დროს მე მათკენ გავწიე, ისინიც ჩემკენ მოდიოდნენ. რა თქმა უნდა, მე და ვანოს შეხვედრა თბილი და სასიხარულო იყო. მან გამაცნო თავისი თანმხლები ჯგუფი. ამიხსნა, რომ ერთი ლაბორატორიის თანამშრომლები არიან და თბილისში ჩამოვიდნენ, რათა მოემზადებინათ ჩვენს სპეციალობაში – მართვის პროცესების პროგრამული და ტექნიკური საშუალებები – ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საკავშირო სემინარი. ამიტომ, ვანოს ეს ჯგუფი მოუყვანია ჩვენთან კომკავშირის საქალაქო კომიტეტში.

ცხადია, თვით საკავშირო სემინარების თბილისში ჩატარების საკითხმა (იდეამ) და თემატიკამაც, ჩემი პირადი ინტერესი გამოიწვია და ყველა როგორც საორგანიზატორო საკითხის მოგვარებაზე შევთანხმდით.

ასე გავიცანი ლაბორატორიის გამგე, მაშინ უკვე მეცნიერებათა კანდიდატი, ვლადიმერ ბურკოვი; დღეს იგი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია, არაჩვეულებრივი დადებითი პიროვნება, თბილი და კეთილგანწყობილი, მოწინავე მეცნიერი და მოწესრიგებული ორგანიზატორი.

იმავე კვირის ბოლოს, თბილისში ჩამოფრინდა საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, შემდეგში – დირექტორი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე, სა-

ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ვიცე-პრეზიდენტი – ბატონი ივერი ფრანგიშვილი, რომელსაც გააცნეს და შეათანხმეს საკავშირო სემინარის ორგანიზაციული საკითხები. მოუხსენებიათ კიდეც ჩემთან შეხვედრის შესახებ, რაზეც მან გამოხატა ჩემი გაცნობის სურვილი, სემინარის ორგანიზაციული დეტალების დაზუსტების მიზნით.

თუ უხერხულად არ ჩამითვლის ამ მოგონების მკითხველი მე ნაკლებად შემხვედრია ასეთი თბილი, კომპეტენტური, ზომიერი პიროვნება – შემდეგში ათეული წლების შემდეგაც, იგი დარჩა ჩემი უფროსი მეგობარი, მე გავხდი მისი თანამშრომელი (ვიცე-პრეზიდენტი) საქართველოს საინჟირო აკადემიაში, ხოლო ვანო – ამ აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი აკადემიკოს-მდივანი. იგი საერთოდ თავისი სამსახურის თანამდებობრივი პოსტების მიმართ თავდადებული და აქტიური განწყობით გამოირჩეოდა.

აქ ერთი ჩანამატიც მინდა გავაკეთო:

საქართველოს მეცნიერებათა და ტექნიკის კომიტეტის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობაში მუშაობისას, საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელობის თხოვნით (ბ-ნი ერმალო ჯაფარიძე – თავმჯდომარე და ბ-ნი ირაკლი ჟორდანია – მისი მოადგილე) ახალი განყოფილების დაკომპლექტების მიზნით, გავუწიე რეკომენდაცია ვანო გორგიძესა და ნინო შათაშვილს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საკითხების მაღალ პროფესიულ დონეზე ინიციატივებისა და გადაწყვეტის პროცესებში; შემდეგ იგი მუშაობდა მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტში.

ჩემი აზრით, ისევე, როგორც ჩვენმა თაობამ, მე და ვანომ სახელმწიფო ორგანოებში დიდი გამოცდილება მივიღეთ, რაც კიდეც გამოჩნდა მისი კარიერის ყველაზე სერიოზულ ეტაპზე:

სწორედ ასეთი გამოცდილების მიღების შემდეგ, გადავდგით ნაბიჯი გაგვეხსნა საკავშირო გაერთიანების «Союзэвмкомплекс»-ის ქართული ფილიალი, რომელსაც ჩავუყენეთ სათავეში ვანო გორგიძე და თემურ ჯავახაძე. ეს იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის მეტად საინტერესო მოწინავე და კომპიუტერული ტექნოლოგიების სამეცნიერო-ტექნიკური საწარმოო კომპლექსი, რომლის მეცნიერული და ორგანიზაციული კოორდინატორი კვლავ გახლდათ ბატონი ივერი ფრანგიშვილი.

სამწუხაროდ, ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო, ეს სისტემა საქართველოში მოიშალა...

სწორედ ამ წლებში, მიწვეულიც ვიყავი მის ოჯახში, მოსკოვიდან ჩამოსული, თეორიული მექანიკის სფეროში ცნობილ საკავშირო აკადემიკოს ა. იშლინსკის სტუმრობის დროს, რომელთანაც, თურმე, ვანოს მამას ახალგაზრდობის წლები აკავშირებდა. შემდეგში საქართველოში მისი ვიზიტის ოფიციალური მხარე მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ხაზით მიმდინარეობდა და ამიტომაც, სტუმრობას ვესწრებოდით ბ-ნი ირაკლი ჟორდანია და მე. მაგრამ შეხვედრის უმაღლესი დონე ბ-ნი ილია ვეკუას, მეუღლითურთ, სტუმრობა გახლდათ. ბატონ ალიოშას მასთანაც ახალგაზრდობის წლებიდან კოლეგიალობა და მეგობრობა აკავშირებდა ჯერ კიდევ ლენინგრადის ცნობილი სტეკლოვის მათემატიკის ინსტიტუტში სტაჟირების პერიოდიდან; მე და ვანო, როგორც ყველაზე ახალგაზრდები, მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული სასაუბრო თემატიკის, მოგონებების, ინფორმაციისა და მოსაზრებების მსმენელები ვიყავით.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში მშობლიური ინსტიტუტის რექტორის თანაშემწის თანამდებობაზე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა.

მე, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა ვანოს ოჯახთან – მეუღლე ალასთან, ქალიშვილებთან და ძმასთან – დათოსთან. მათ ოჯახში ყოველთვის სუფევდა, ჩემი აზრით, მამამისიდან და მისი თაობის დასახელებული პირებიდან – ილია ვეკუა, ივერი ფრანგიშვილი, ირაკლი ჟორდანია – მომდინარე მოღვაწისა და დიდი მეცნიერის სული.

გივი აბდუშელიშვილი

უფროსი მეგობარი

ვანო გორგიძე – დიდი მამის ღირსეული შვილი, გამორჩეული ქართველი მეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე. მრავალმხრივი მეცნიერი და მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი.

ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, უფროსი მეგობარი იყო, სახელოვნად განვლილი ცხოვრების დიდი გამოცდილებით, ერთგული საქმისა და თავისი მოვალეობისა. მუდმივად მზადმყოფი ქვეყნისა და ხალხისადმი თავდადებული მსახურებისა და ყველა ეროვნული წამოწყების გვერდში დგომისთვის.

მასში მთავარი, რითაც ადამიანებს იზიდავდა, მისი პიროვნული თვისებები იყო. ღვთისაგან ბოძებული განსაკუთრებული ნიჭი არ აძლევდა საშუალებას ყოფილიყო უსახური და შეუმჩნეველი. ყველგან და ყოველთვის გამორჩეული იყო. მისგან მუდმივად მოდიოდა ულევი სითბო და ახალგაზრდული ენერგია. რომელმაც თავისი ცხოვრებით კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ახალგაზრდობა არ არის ასაკობრივი განზომილება, ის ადამიანის სულის შინაგანი მდგომარეობაა.

მაღალი აკადემიური ხარისხის, რეგალიების, საზოგადოებრივი მდგომარეობისა თუ ასაკის მიუხედავად მისთვის უცხო არ იყო „ადამიანური სისუსტეები“. ყოველთვის აუციმციმდებოდა თვალები და ტოლსაც არ დაგიდებდა რაიმე „საინტერესო“ შეთავაზებაზე, თვითონაც ხშირად იყო ინიციატორი სასიამოვნო და დასამახსოვრებელი „სიტუაციის“ შექმნისა.

ჩვენი ურთიერთობა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ, ყველაზე დრამატული კატაკლიზმების პერიოდს დაემთხვა. პერიოდს, როდესაც ეჭვქვეშ დადგა ქართული ღირებულებების და ტრადიციული ყოფა-ცხოვრების წესის მისადაგება თანამედროვეობასთან და, რომელმაც ყველა ადამიანის რეალური სახე გამოაჩინა, თითოეული მათგანის გულიდან მომდინარე სითბოსა და სიცივის, სიკეთისა და ბოროტების განსაზღვრა ადვილად დასანახი გახადა.

გადახედავ ამ პერიოდს, გავლილ გზას და გული სიამაყითა და იმედით გევსება – არსებობდა ვანო გორგიძე, საქართველოს დედა ეკლესიის ერთგული შვილი. ქართულ

გზაზე მყარად მდგარი პიროვნება, რომელიც თავისი ცხოვრებით ამტკიცებდა, რომ ქართველობა ყველა დროში რთული და მძიმეა, მაგრამ შესაძლებელია და საამაყო. სხვებსაც მაგალითს აძლევდა მისი მოწიწება მშობლებისადმი, პატივისცემა და სიყვარული ოჯახში, სითბოს ულევი მარაგი მეგობრებთან ურთიერთობაში...

სამწუხაროდ, გლობალურმა კოვიდ პანდემიამ აღარ მისცა თავისი კეთილი საქმეების გაგრძელების საშუალება. ჩვენ კი დიდ ტკივილთან ერთად მრავალი ბედნიერი და სასიამოვნო წუთი დაგვიტოვა გასახსენებლად.

უფალმა დაამკვიდროს მისი ნათელი სული სადაცა მართალნი განისვენებენ.

მამუკა გიორგაძე

მოგონება ვანოზე

ძალიან რთულია ბატონ ვანო გორგიძის წარსულ დროის კატეგორიაში მოხსენება, მით უფრო, როცა მიდიხარ მის მშობლიურ და საყვარელ უნივერსიტეტის კედლებში, სიცარიელის შეგრძნება მძაფრდება, რის გამოც მის სამუშაო ოთახში და თეოლოგიის ცენტრში შესვლაც კი მიმძიმს, რადგან ეს ბატონ ვანოს სივრცე იყო, საიდანაც წარმოუდგენელი მასშტაბით ახორციელებდა სიკეთისმოყვარეობას. ეს იყო ადგილი, სადაც მისგან განვისწავლებოდით, შენიშვნებს ვღებულობდით, დავალებებს, გვისმენდა, ჩვენი აინტერესებდა, მისას გვიზიარებდა, სიკეთეზე ხარობდა, ნეგატივზე ერთად ვეძებდით გამოსავალს, მომავლის გეგმებს ვაწყობდით – ამ ყველაფერს კი მეგობრობა ერქვა – უპირობო მეგობრობა, ასაკის სხვაობის გარეშე მეგობრობა, თანასწორი მეგობრობა, თუმცა, თანასწორობა მაინც არ იყო. ის გაცილებით მეტს იტვირთავდა ხოლმე, ვიდრე ჩვენ, სამაგიეროდ, ჩვენს მცირედსაც ისე წარმოაჩენდა, როგორც უმნიშვნელოვანესს. ეს არათუ თანასწორი ურთიერთობები იყო, არამედ – თავგანწირული. სამწუხაროდ, ამგვარი ადამიანები

დედამიწაზე კრიტიკულად მცირენი არიან და საბედნიეროდ, მე მქონდა პატივი ვყოფილიყავი ბატონი ვანოს მეგობარი. ეს ჩემთვის დიდი და საინტერესო გამოცდილება იყო. მისგან ვისწავლე თუ რეალურად რას ნიშნავს ადამიანის პატივისცემა, ადამიანის დანახვა, გვერდში დგომა, ერთგულება და საერთოდაც, საქმეში აღსრულებული სიყვარული. ეს ყველაფერი ჩემთვის ფასდაუდებელი, დაუვიწყარი გამოცდილება იყო...

ახლაც ვკამათობთ მე და ბატონი ვანო... ახლაც ვანუგეშებ, ახლაც მიყვარს და ახლაც ვავედრებ მას კაცთმოყვარე და ყოვლადმოწყალე *უფალს!*

დეკანოზი ლევან მათეშვილი

ერთი ეპიზოდის გახსენება (ცხვარიჭამიაში)

ვანო და დათო გორგიძეებთან დიდი ხანია ვმეგობრობ. დათო 80-იანი წლების დასაწყისში გავიცანი, როდესაც გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მისი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს პროფ. ნ. ხომასურიძეს ვხვდებოდი, რომელთან ერთობლივადაც სამეცნიერო საკითხს ვამუშავებდი.

ბ-ნი ვანო მოგვიანებით გავიცანი, სადღაც 80-იანი წლების ბოლოს, ხოლო 1992 წელს საინჟინრო აკადემიის ჩამოყალიბებიდან უკვე პრაქტიკულად ყოველდღიურად გვიწევდა ურთიერთობა და დავმეგობრდით. რომ იტყვიან მოუსვენარი კაცი იყო, ენერგიით სავსე, იუმორის მოყვარული. სულ საქმეებში იყო ჩართული. როგორც კატალიზატორი ისე მოქმედებდა ჩემზე, განსაკუთრებით როცა ცხვარიჭამიის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა-რესტავრაცია დავიწყეთ. ვანოსთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ბევრი რამის გახსენება შემიძლია, ერთ ეპიზოდს გავიხსენებ:

2001 წლის ბოლოა, დეკემბერი. მეცნიერებათა აკადემიაში, ბ-ნ ივერი ფრანგიშვილთან ვიმყოფებით მე და ვანო. ვსაუბრობთ საინჟინრო აკადემიის მიერ საქართველოს საპატ-

რიარქოზე გადაცემულ ცხვარიჭამიაში მდებარე ტერიტორიაზე, რომელზეც რამდენიმე ძველი ეკლესიის ნანგრევებია და რომლის აღგენის საშუალებაც საპატრიარქოს არ აქვს.

ვანო ძალიან აქტიურობს და ცდილობს ჩვენ დარწმუნებას, რომ საინჟინრო აკადემიამ აიღოს ეკლესიების აღდგენის ინიციატივა. შევთანხმდით, რომ ადგილზე დაგვეთვალიერებინა ეკლესიების ნაშთები და შემდეგ გადაგვეწყვიტა შევძლებდით თუ არა მათ აღდგენას. ამასთან ვანო საპატრიარქოს დაუკავშირდებოდა რათა იქიდანაც წარმომადგენელი წაგვეყვანა.

მართლაც, ორიოდ დღეში, ვანომ როგორც ყოველთვის ყველაფერი ოპერატიულად მოაგვარა და საპატრიარქოს წარმომადგენელთან ბ-ნ ზურაბ მუჯირთან ერთად ცხვარიჭამიაში ავედით.

წასვლამდე ვანომ გამაფრთხილა, რომ ძალიან მძიმე სურათი დაგვხვდებოდა (ეს ტერიტორია საბჭოთა კავშირის დროს საკავშირო დაქვენდებარების საწარმო „ალგორითმს“ ეკუთვნოდა, რომლის დირექტორიც ბ-ნი ვანო იყო და ამდენად კარგად იცნობდა არსებულ სიტუაციას) და რომ ალბათ ბ-ნი ივერი ჩემი აზრის გაგებას მოისურვებდა. ამიტომ მან წინასწარ შემიპირა, რომ ეკლესიების აღდგენას მხარს დავუჭერდი.

მართლაც, როდესაც გულდასმით დავათვალიერეთ ეკლესიის ნარჩენები, ჩამოქცეული თაღები თუ სვეტები, ბ-მა ი. ფრანგიშვილმა თავი გადააქნია და შეწუხებულმა ბრძანა, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა. სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ მომიტრიალდა ბ-ნი ივერი და შემეკითხა – რას იტყვი გურამ, სწორად ვფიქრობ თუ არაო. ვანოს გადავხედე, ისეთი თვალებით მიყურებდა, რომ აღარც დავფიქრებულვარ და ბატონ ივერის ვუთხარი, რომ ამაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ეკლესიები აღდგენილა, თუ გულით მოვინდომებთ შეუძლებელი არაფერი არ არის და მზად ვარ სპეციალისტებთან ერთად შევადგინო ჩასატარებელი სამუშაოების წინასწარი მონახაზი-მეთქი. ბ-მა ზ. მუჯირმა მხარი დამიჭირა და საპატრიარქოს მხრიდან გამოცდილი არქიტექტორ-რესტავრატორის მომაგრებას დაგვპირდა. ბ-ნ ივერიმ ცოტა ხანს მიყურა და კარგიო თქვა, თუმცა დააყოლა, ძნელად დასაჯერებელია, რომ აქედან რამე გამოგვივიდესო.

მოკლედ, ცოტა ხანში უკან წამოსასვლელად მოვემზადეთ. ვანოს ვეღარ ვაჩერებთ ისეთი გახარებულია, ვეღარ ისვენებს, ხან რას გვიყვება, ხან რას. დაგვმოძღვრა, საქართველოს პატრიარქთან უნდა მივიდეთ ლოცვა-კურთხევის მისაღებადო (მართლაც შედგა მის უწმინდესობასთან ამ თემაზე საუბარი მისი დაბადების დღეს 2002 წლის 4 იანვარს და სურათიც კი გადავიღეთ).

როდესაც წამოვედით, ცხვარიჭამიიდან ამოსასვლელ ბოლო აღმართზე, მანქანას გაუჭირდა (გზა მოყინული იყო). ჩემმა მძღოლმა ავთომ, რომელიც ვანოსავით გამხდარი და კაფანდარა კაცი იყო განგვიცხადა, რომ საჭირო იყო მანქანაზე უკნიდან მოწოლა აღმართზე ასასვლელად. ყველა გადმოვედით მანქანიდან და დავიწყეთ მანქანაზე უკნიდან მიწოლა, რომელიც მაინც საკმაოდ ბუქსაობდა. ამ დროს ავთომ გადმოგვძახა, რომ წინ, მის გვერდით ვინმე დამჯდარიყო სიმძიმისათვის, რათა მანქანის წინა თვლები კარგად მოჭიდებოდა გზის საფარს. სანამ გავიაზრეთ ავთოს ნათქვამი, უცებ ვანო წინ გაიჭრა, მანქანაში ჩახტა და მძღოლის გვერდზე დიდის ამბით გაიჭიმა. რაც მთავარია იქიდან შეძახილებით დაგვიწყო გამხნევება, ბ-ნ ივერის, მე და ბ-ნ ზ. მუჯირს, რომელიც ჩვენსავით საკმაოდ მძიმეწონოსანი გახლდათ.

არაფერი შევიმჩნიე, თორემ ძალიან გავბრაზდი. ორივე, ჩემი მძღოლიც და ვანოც ერთად არ იწონიდნენ იმდენს, რასაც ჩვენ სათითაოდ და ჩვენ მანქანას უკნიდან ვაწვებოდით, ხოლო ვანო თავისი წონით „ამძიმებდა“ მანქანის წინა ნაწილს საბურავების უკეთ მოჭიდების მიზნით.

ამ დროს ვანო ბ-ნ ზ. მუჯირს უყვირის მანქანიდან ერთი სურათები გადაიღეო (ბ-ნ ზურაბს ფოტოაპარატი ჰქონდა წამოღებული ეკლესიის ნანგრევების გადასაღებად).

კიდევ კარგი მალე მანქანამაც როგორღაც გაიარა მოყინული მონაკვეთი და ჩვენც გასავათებულები ჩავსხედით და თბილისში გამოვემგზავრეთ.

რა თქმა უნდა ბ-ნ ივერის თანდასწრებით ვანოს არაფერი ვუთხარი, ხოლო მეორე დღეს რომ ვნახე პირდაპირ დავეტაკე. ეს რა ნამუსით ჩახტი მანქანაში და ბ-ნი ივერი კი დამიტოვე და ჩემთან ერთად აწვებოდა მანქანას-მეთქი.

ვანომ ეშმაკურად გაიღიმა და სიცილით მითხრა – ჩემო გურამ, ზურა მუჯირმა იდედლა და ვერ გაბედა სურათის გადაღება, სადაც გამოჩნდებოდა, რომ მე მანქანაში წინ ვიჯექი და შენ და ივერი კი, მანქანას უკნიდან აწვებოდითო. ნამდვილად ისტორიული სურათი დამაკარგვინაო.

რაღა უნდა მეთქვა, როცა წარმოვიდგინე როგორ გვხელმძღვანელობდა მანქანიდან ვანო მე და ბ-ნ ივერის, მეც სიცილი ამიტყდა.

გურამ ჯავახაძე

დიდი დანაკლისი

მეტად მოულოდნელი და მძიმე იყო ჩემთვის მეგობრის ივანე გორგიძის გარდაცვალება. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ იმის იმქვეყნად წასვლა დიდი დანაკლისია არა მარტო მისი ოჯახის, მეგობარ-ნათესავებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის საინჟინრო-ტექნიკური საზოგდოებისათვის.

განსაკუთრებით გულდასაწყვეტია ჩემთვის, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობის შემდეგ მასზე წარსულ დროში საუბარი. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გავიცანით ერთმანეთი და მას შემდეგ ერთად მოვდივართ ჩვენი „გეპეისათვის“ მრავალი სასიკეთო საქმის საკეთებლად.

ჩემი ძვირფასი ივანე უაღრესად კაცთმოყვარე, პუნქტუალური და მასზე დაკისრებული მოვალეობის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით შემსრულებელი გახლდათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მზადყოფნა გვერდში დადგომოდა და დახმარებოდა ნაცნობსა და უცნობს მათი საკითხების მოგვარებაში.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი აკადემიკოს-მდივანი, „დირსების ორდენის“ კავალერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი... ეს მხოლოდ

ნაწილია იმ ჯილდოებისა, რომელიც მას დაუმსახურებია თავისი საინჟინრო-პროფესიული და საზოგადო საქმიანობით.

ძნელია წარმოიდგინო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ასეთი მასშტაბის, ღირსეული, მრავალმხრივი მეცნიერის გარეშე, როგორიც იყო ვანო გორგიძე.

ჩვენი ქვეყნის და მისი მშობლიური ტექნიკური უნივერსიტეტის საქმისათვის თავდადებული, ჭეშმარიტი მამულიშვილის ივანე გორგიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენს გულებში.

შალვა ნაჭყებია

ჩემ ძვირფას ვანოს!

დნება სანთელი...
დნება ფიფქი...
ცრემლივით არ დნება,
არ ქრება
ქრისტეზე, ჯვარცმის ფიქრი
ნათლისღება
ნათლისღება
სიხარულით გული ტკბება
სევდა, გლოვა დნება ქრება
ასეთია უფლის ნება
რომ ჩვენ შევხვდით 50 წლის მერე

ვლადიმერ აბულაძე

დიდი პიროვნების გახსენება

ბატონ ივანე გორგიძესთან თითქმის 40-წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. 1983 წელს დავიწყე მუშაობა საკავშირო დაქვემდებარების საწარმო „ალგორითმში“. შემდგომ მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს გამოთვლითი ტექნიკის და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (სადაც რამდენიმე მსხვილი დაწესებულება შედიოდა), რომლის გენერალური დირექტორი იყო ბ-ნი ივანე.

ბ-ნი ივანე გახლდათ უაღრესად დიდი პიროვნება, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში (მათ შორის საქართველოს პოლიტენიკურ ინსტიტუტში) იმ დროისათვის უახლესი გამოთვლითი ტექნიკის დანერგვაში (მომარაგება, მათემატიკური უზრუნველყოფა, ავტომატური დაპროექტება და ა.შ.). ხელმძღვანელობდა რა ზემოაღნიშნულ გაერთიანებას, ყველა დეტალის საქმის კურსში იყო, მუდმივად ისწრაფოდა მისი განვითარებისათვის, ეცნობოდა თითოეული თანამშრომლის საყოფაცხოვრებო პირობებს და ცდილობდა მათ გაუმჯობესებას, მათ შორის საბინაო პირობებისას. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენდა ბ-ნი ივანე ახალგაზრდებისადმი, მუდმივად ზრუნავდა სამეცნიერო წინსვლაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ივერი ფრანგიშვილთან ერთად ხელს უწყობდა მათ ქვეყნის პრესტიჟულ სამეცნიერო ცენტრებში სტაჟირებას თუ ასპირანტურაში მივლინებას.

1992 წელს ბ-ნი ივერი ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით საინიციატივო ჯგუფის მიერ დაფუძნდა საქართველოს საინჟინრო აკადემია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ივანეს და იგი სიცოცხლის ბოლომდე იყო აკადემიკოს-მდივანი. ამ წლების განმავლობაში კვლავ გამოჩნდა მისი ქვეყნისადმი უდიდესი პატრიოტიზმი, აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას საინჟინრო აკადემიის საქმიანობაში, აკადემიის პატრონაჟით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სხვა ღონისძიებებში, საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში, აკადემიის პრეზიდიუმთან ერთად იღვწოდა ქვეყნის სხვადასხვა სფეროს, მათ შორის ეკონომიკურ განვითარებაში, მხარში ედგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას (რექტორი აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი) მომავალი თაობის განათლების წინსვლაში.

ბ-ნი ივანე იყო საქართველოში აქტიური სისტემებების თეორიის ერთ-ერთი პიონერი, არის მრავალი სტატიის და მონოგრაფიის ავტორი, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ადგილობრივი სამეცნიერო სკოლა, დაცული იქნა ათეულზე მეტი დისერტაცია (მათ შორის ჩემ მიერ, პირადი ხელმძღვანელები იყვნენ საინჟინრო აკადემიის წევრები გურამ ჯავახაძე და დავით გორგიძე), ამ თეორიის საფუძველზე გარკვეულ საწარმოებში დაინერგა მათთვის წარმატებული მოდელები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი დამოკიდებულება საქართველოს საპატრიარქოსთან, პირადად პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან. დიდია ბ-ნ ივანეს დამსახურება საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრებთან ერთად ცხვარიჭამიის სამონასტრო კომპლექსის აღდგენა-მშენებლობაში, აგრეთვე სხვა ეკლესია-მონასტრებისათვის ხატების და სხვადასხვა საეკლესიო საგნების შეწირვაში, წლების განმავლობაში მონაწილეობას ღებულობდა პატრიარქის მიერ დაფუძნებული სათნოების დღეს 1 ივლისს განხორციელებულ ჰუმანიტარულ აქციებში.

პირად ურთიერთობაში იყო უშუალო, თბილი, სიცოცხლის, სიხალისის შემომტანი.

იყო მისი ქალიშვილების იას და ლუსიას მოსიყვარულე მამა, ხარობდა შვილიშვილის ნიკოლოზის წარმატებტებით, სიძეებით, ძმის – დავითის ოჯახით, მისთვის დიდი ტრაგედია იყო ცხოვრების მეგზურის ქ-ნ ალას, შემდგომ რძლის – ქ-ნ თინათინის გარდაცვალება.

ბატონი ივანე დააკლდა მის ოჯახს, ძმას, ნათესავებს, მის მრავალრიცხოვან სამეგობრო წრეს, ქალაქს, ქვეყანას. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

ვარლამ ბურჯანაძე

ნათელი ადამიანი

ძალიან მიმძიმს ბატონ ვანო გორგიძეზე წარსულში საუბარი, მაგრამ სამწუხაროდ პანდემიამ წაგვართვა ჩვენთვის ყველასთვის, მეგობრებისთვის, თანამშრომლებისთვის და საერთოდ ვინც მას იცნობდა პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი.

ჩემი და ბატონი ვანოს მეგობრობა 45 წელზე მეტს ითვლის და ყველა ეტაპზე მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო პროფესიონალიზმის, საქმისადმი ერთგულებისა და ქვეყნის სიყვარულის შესანიშნავი მაგალითი. მე მქონდა შესაძლებლობა სხვადასხვა პერიოდში თვალი მედევნებინა მისი როგორც მეცნიერის, პედაგოგის, ხელმძღვანელის საქმიანობისათვის და ასევე მქონდა ბედნიერება მემუშავა მასთან ერთად ერთერთ დიდ კომპანიაში, ხოლო შემდგომ საქართველოს საინჟინრო აკადემიაში და ყველგან მისი ძალისხმევა მიმართული იყო საუკეთესო შედეგის მისაღწევად. ამ ყველაფერს ბატონი ვანო დაუღალავი შრომით, ცოდნით და ავტორიტეტით აღწევდა.

სრულიად განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) მიმართ, რომელსაც თავის მეორე ოჯახად თვლიდა და არაერთი დიდი და სასიკეთო საქმეების წამომწყები და ინიციატორი გახლდათ, მისთვის და ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი უმაღლესი სასწავლებლის წინსვლისთვის.

ასევე დიდია, ბატონი ვანოს წვლილი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის შექმნასა და შემდგომ წარმატებულ ფუნქციონირებაში.

მინდა ამ სტრიქონებით პატივი მივაგო ჩემთვის ძალიან პატივსაცემ და საყვარელ ადამიანს და ვთხოვო მის კოლეგებს და მეგობრებს, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ბატონი ვანოს დაწყებული ძალიან საინტერესო პროექტები, რაც დასტური იქნება იმისა, რომ ის მუდამ იქნება ჩვენს გვერდით, კარგ და კეთილ საქმეებში.

ლევან გოგიჩაიშვილი

ბატონი ვანო გორგიძის მოსაგონარი

„ჩემი რელიგია არის მარტივი, ჩემი რელიგია სიკეთეა ...“ – ამ მორალით იცხოვრა ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ივანე გორგიძემ – მზრუნველმა, ადამიანების მოსიყვარულე, კეთილმა, განათლებულმა თბილისელმა კაცმა, დამსახურებულმა მეცნიერმა და მოღვაწემ...

მასთან დაკავშირებით ბევრი რამ მაქვს ტკბილად მოსაგონარი. რომელი ერთი გავიხსენო – ზრუნვა ძველ, მიტოვებულ ტაძრებზე თუ ტექნიკური უნივერსიტეტის სამლოცველოზე, უწმინდესთან რეზიდენციაში სტუმრობები თუ მეუფე ანანიასთან მანგლისის სიონში ღვთისმშობლის მიძინების სადღესასწაულო წირვები, ცხვარიჭამიის ულამაზესი აღდგენილი მონასტრები თუ ბერებთან ერთად აღვლენილი ლოცვები, აღდგენილი ტაძრების შემკობა თუ იქ მომსახურე ბერებზე ზრუნვა, ივერთუბანში მეუფის რეზიდენციაში სტუმრობები თუ ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლებთან მის მიერ დაორგანიზებული სამეცნიერო თუ მეგობრული შეხვედრები, მამა-შვილურ-მეგობრული დარიგებები თუ რელიგიური დღესასწაულების უთენია მოლოცვები ... ძალიან გამიძნელდება მის გარეშე ცხოვრება...

ბატონი ვანო მართლაც კოლორიტი იყო თბილისისა და ჩვენი უნივერსიტეტისა, მზრუნველი ყველა გაჭირვებაში მყოფი ადამიანისა – სტუდენტი იქნებოდა თუ თანამშრომელი... არ არსებობდა პრობლემა, რომელსაც ჩვენი ბატონი ვანო ვერ დაძლევდა. ბატონ ვანოს ღრმად სწამდა, რომ კეთილი სიტყვაც საქმეა და არასდროს ავიწყდებოდა, რომ მაცხოვარმა ყველა ქრისტიანს მოგვიწოდა კეთილი საქმეებით ნათელი ვყოთ წუთისოფლისთვის (მათე 5,14-15), ამიტომ ბავშვივით დაუზარებლად იღვწოდა სიკეთის საკეთებლად. როგორც მამა მიქაელმა სასაფლაოზე მასთან გამომშვიდობებისას თქვა: – აქ დარჩენილებს იმქვეყნადაც შენი იმედი გვაქვს, შენი დახამარების და მზრუნველობისო... და მეც მჯერა, ჩვენი მზრუნველი ბატონი ვანო იქიდანაც შეგვეწევა ლოცვით...

მახსოვს, განსაკუთრებულად უყვარდა ბატონ ვანოს იოანე ნათლისმცემელი და ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი, რადგან წმინდა იოანე ნათლისმცემელი მისი, წმინდა ნიკოლოზი კი მისი საყვარელი შვილიშვილის – ნიკოლოზის მფარველი წმინდანია. როცა ნიკოლოზობის დღესასწაულზე ბარში, წმინდა ნიკოლოზის საფლავზე მივემგზავრებოდი, ვკითხე – რას დამაბარებთ, წერილი გამატანეთ-მეთქი და ასე მითხრა – შენ კარგად იცი, რაც მინდა და შენ დამიწერე წერილიო.... პირნათლად შევუსრულე ეს თხოვნა და ჩამოტანილი სიწ-

მინდეებითაც გავახარე და ეს აღმოჩნდა ბოლო საჩუქარი. ნიკოლოზის და იოანე ნათ-ლისმცემლის მეოხებით და მისი საყვარელი წმინდა მატრონას ლოცვით „სულმა მისმა კეთილთა შინა განისვენოს და ნათესავმა მისმა დაიმკვიდროს ქვეყანა!“

გული მტკივა, რადგან ძალიან ძნელია, როცა ისეთ კარგ, გულითად მეგობარს და კეთილ ადამიანს კარგავ, როგორიც ივანე გორგიძეა, მაგრამ ის მანუგეშებს, რომ მჯერა, უთვალავი კეთილი და დიდი საქმის გამო უფალი იქ დაამკვიდრებს, სადაც მართალნი განისვენებენ და იმისიც მჯერა, იქიდანაც არ მოგვაკლებს თავის მეგობრებს, ახლობლებს და თავის ძვირფას ტექნიკურ უნივერსიტეტს ლოცვასა და შემწეობას... აკი ყოველთვის, დამშვიდობებისას მეუბნებოდა – „მთელი შენი ოჯახით სათითაოდ გიხსენებთ ყოველდღე ლოცვაშიო...ძალიან მიყვარხართო....“ ყოველ ფრაზას ამ სიტყვებით ასრულებდა – „ძალიან მიყვარხართო“...

ჩვენც უზომოდ გვიყვარხარ, ყველას, მთელ ოჯახს, ბატონო ვანო! შეხვედრამდე, ჩემო ტკბილო ვანიჩკა... შეხვედრამდე, საყვარელო ბატონო ვანო, იქ ზეციურ საქართველოში!

ლალი გოჩიტაშვილი ოჯახით

როგორ დამწყდა გული....

განსაკუთრებული ადამიანი იყო, მზრუნველი. თავად მუდამ მხარში დგომა იცოდა, მისთვის კი მცირედიც რომ გაგეკეთებინა, სამუდამოდ მადლიერი რჩებოდა.

რა დიდი სითბო და ყურადღება გამოიჩინა ჩემი ოჯახის და პირადად ჩემს მიმართ ჩვენთვის უმძიმეს სიტუაციაში.

განსაკუთრებით კი უნივერსიტეტიდან ჩემი წასვლის შემდგომ, სადაც 36 წელი გავატარე, კვირა არ გასულა, რომ არ შემხმიანებოდა, არ ეკითხა – აბა რას აპირებ, როგორ ცხოვრობ, რაიმე სიახლე ხომ არ არის?

ერთხელ „ავერსის“ კლინიკაში წავიყვანე ჩემს მეგობარ ოფთალმოლოგთან. როგორ მახსოვს, რამდენ მადლობას გვიხდიდა, სულ იხსენებდა მერე – შენ თვალი ამიხილეო...

რამდენიმე წლის წინ, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის და ჩემი მეგობრის, გიორგი ჯერენაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით და ათონის წმინდა მთაზე იერარქიით მეორე, ვატოპედის ბერძნული მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ეფრემ ვატოპედელის მიწვევით, ვიმყოფებოდით მონასტერში. ამ წმინდა ადგილზე ყოფნისას, განსაკუთრებით გამოჩნდა ბატონი ვანოს უდიდესი მორწმუნეობა და ღვთისმოყვარება. ძალიან მალე შეეგუა მონასტრის მკაცრ ტიპიკონს და დღეში რამდენჯერმე, მონასტრის საძმოსთან ერთად გულმხურვალედ ლოცულობდა ჩვენი ქვეყნის სიძლიერისა და ერთიანობისთვის.

რთულია ჩემთვის ახლა ჩემს უფროს მეგობარზე, ძალიან დიდ და კეთილ ადამიანზე წარსულ დროში საუბარი, ვწუხვარ და გული მტკივა. მას უზომოდ უყვარდა ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი, მისი ცხოვრებით ცხოვრობდა, დაუღალავად იღვაწა სიცოცხლის ბოლომდე და წარუშლელი კვალი დატოვა.

ანზორ შავგულიძესთან ერთად იყო ჩვენი საგამომცემლო სახლის პირველი და ყველაზე დიდი გულშემატკივარი, რომელიც უხვად და დაუღალავად გვაძლევდა უამრავ რჩევას, და ყველაზე მთავარი – ჩვენთვის ვანო გორგიძე იყო განსაკუთრებულად საინტერესო ავტორი, იდეების უშრეტი წყარო.

ვაგლახ, რომ რაც დრო გადის, უფრო და უფრო ნაკლები რჩება უნივერსიტეტში მისნაირი დიდი ადამიანი.

ძალიან ვწუხვარ, რომ თბილისში არყოფნის გამო, პირადად ვერ გავაცილე უკანასკნელ გზაზე ჩვენი „ალექსეევიჩი“.

უფალო, დაუმკვიდრე სასუფეველი ვანო გორგიძეს.

ალექსანდრე გრიგოლიშვილი

***

არიან ადამიანები, რომელთა არსებობაც სამყაროს ჰუმანურს ხდის. მათი გარდაცვალება კი ტკივილისა და სევდისმომგვრელია. ასეთ პანდემიის დროსაც კი ათასობით ცრემლიანი ადამიანი ემშვიდობება და მიაცილებს უკანასკნელ განსასვენებლამდე.

2006 წლიდან ვიცნობდი ბატონ ვანოს და ის ჩემთვის იყო ერთ-ერთი საიმედო მეგობარი, მართალი გულისა, უანგაროდ მოღვაწე, უსაზღვროდ პატრიოტი, ერთგული ეკლესიისა და მისი ძვირფასი ტექნიკური უნივერსიტეტისა.

ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად თავის ტოლად მიმიჩნევდა და მიზიარებდა გულისტკივილსა თუ სიხარულს.

ზრუნავდა გარშემომყოფებზე, შრომობდა დღენიადაგ, რათა სამყარო ყოფილიყო ოდნავ უკეთესი. ცნობილი მეცნიერი იყო, ამაგდარი ლექტორი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების შემქმნელი და განსაცვიფრებლად თავმდაბალი. მას ჰქონდა ყველა ის კეთილი თვისება, რაც ადამიანს ადამიანად ქმნის ...

ბატონი ვანოს სიყვარული არათუ აქაურთ, თურქეთელ ქართველთაც კი სწვდებოდა და ის მხარში ედგა სტამბოლის ქართველთა ისტორიულ დიასპორას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

მისი მართალი და პირუთვნელი სიტყვა და ერთგულება დააკლდა ქვეყანას, ეკლესიას, უნივერსიტეტს, ფართო სამეგობრო წრეს.

ნათელში იყოს თქვენი სული, ძვირფასო უფროსო მეგობარო. მუდამ სიყვარულითა და მადლიერებით მოგიგონებთ.

როზეტა გუჯეჯიანი

მასწავლებელი და უფროსი მეგობარი

რთულია გამონახო შესაბამისი სიტყვები, როდესაც გტოვებს ისეთი ძვირფასი ადამიანი, როგორიც ბატონი ვანო გორგიძეა.

ბატონი ვანო იყო ჩემთვის მასწავლებელი, გულშემატკივარი, მისი რჩევა-დარიგება წარმატებით მიკვალავდა გზას სხვადასხვა მიმართულებით, მისი დაუღალავი ენერგია და მასტიმულირებელი ძალა, არა მარტო მე, არამედ ბევრ სხვა ადამიანსაც შეიძლება ითქვას აკეთებინებდა შეუძლებელს, რათა მიეღწია დასახული მიზნისთვის. ის გახლდათ სიკეთის უანგაროდ მთესველი და მისთვის სრულიად უცნობი ადამიანების გვერდში მდგომი, რაც ძალიან იშვიათია და ჰაერივით აკლია დღეს ჩვენს ქვეყანას.

უფროსი მეგობარი, რომელიც ყოველთვის გაგიგებდა და რომელთანაც თავისუფლად და გახსნილად შეიძლებოდა საუბარი ყველაფერზე. მისი სახელი და მისი გაკეთებული სიკეთე, ყოველთვის იცოცხლებს ჩვენს გულებში.

ივანე ეპიტაშვილი

არაჩვეულებრივი მეგობარი, დამრიგებელი და უფროსი მეგობარი

ძნელია საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის წარმოდგენა ისეთი დიდი ადამიანისა და ქვეყნისთვის თავდადებული პიროვნების გარეშე, როგორიც ვანო გორგიძე გახლდათ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი იმ მამულიშვილთა შორისაა, ვისთვისაც არა მხოლოდ კონკრეტული უმაღლესი სასწავლებელი, არამედ ქვეყანა უნდა ამაყობდეს: ადამიანი, რომელმაც ცხოვრება სამშობლოს სამსახურსა და ახალგაზრდობის აღზრდას მიუძღვნა, ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჩვენს სინამდვილეში ალბათ იშვიათად მოიძებნება პიროვნება, რომელსაც იმდენი კარგი საქმის გაკეთება მოესწროს სიცოცხლეში, რამდენიც ვანო გორგიძემ მოასწრო. მათ შორის, ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროსაც, რომლის აშენებასა და დაარსებაში უდიდესი წვლილი სწორედ ვანო გორგიძის მშობლებს მიუძღოდათ. თავადაც სწორედ ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო განათლება, – აქ 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტი, რის შემდეგაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში გააგრძელა მუშაობა.

ამას მოჰყვა მისი უაღრესად დატვირთული, საინტერესო ცხოვრების გზა. ვანო გორგიძე, უაღრესად ერუდირებული და სამეცნიერო შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტში, საქართველოს სამეცნიერო-სასწავლო ცენტრ „ალგორითმის“ დირექტორად; საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტში; იყო საქართველოს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საზოგადოების სწავლული მდივანი. 1980 წლიდან ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-კვლევით გაერთიანებას, სადაც ქვეყნისთვის ურთულეს, 1990-იან წლებში არაერთი სასიცოცხლო პროექტი განახორციელა. სწორედ ვანო გორგიძეა აქტიური სისტემების მართვის თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი, რომლის გარეშეც ცხოვრება დღეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

თუმცა მხოლოდ მისი ამ მოღვაწეობის ჩამონათვალი ვერ შეგვიქმნის წარმოდგენას იმ დამსახურებაზე, რაც მას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში მიუძღვის. მის ხელში

გაიარა არაერთმა თაობამ, რომელთაც საკაცობრიო ჰუმანური იდეებით და იმავდროულად, საკუთარი ქვეყნის პატრიოტებად აყალიბებდა.

პროფესორ ვანო გორგიძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ისტორიის, სულიერი ღირებულებების დაცვის საქმეში საერთაშორისო ასპარეზზე. ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ვანო გორგიძე 2007 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი და ამავე უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე იყო, მისი თაოსნობით არაერთ სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის გამოცემას ჩაეყარა საფუძველი. სწორედ ამ საქმიანობით აღუდგა იგი წლების წინ საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორიის დამახინჯებას საერთაშორისო ასპარეზზე. როდესაც აფხაზი სეპარატისტები და მოსყიდული რუსი ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთ საქართველოსა და კახეთის უმეტესი ნაწილი X საუკუნემდე კონსტანტინეპოლის ეკლესიის დაქვემდებარების ქვეშ იყო, რის გამოც საქართველოს ეკლესია არ უნდა სარგებლობდეს ავტოკეფალიით, ივანე გორგიძის ხელშეწყობით და რედაქტორობით უცხოურ ენებზე დაიბეჭდა საფუძვლიანი სამეცნიერო ნაშრომები, რომელთაც ეს მოსაზრება გააცამტვერა. მეცნიერულად დადასტურდა, რომ დასავლეთ საქართველო წმიდა მოციქულების დროიდანვე იყო საქართველოს დედაეკლესიის იურისდიქციაში.

ვანო გორგიძე იყო სწორედ ის პიროვნება, რომელსაც აშფოთებდა და აწუხებდა რუსულ სოციალურ სივრცეში გამოქვეყნებული ინფორმაციები დავით-გარეჯას ტაძრების ალბანიზაციის, ასევე კახეთის ალბანურ მიწა-წყლად გამოცხადების თაობაზე. იგი დაჟინებით მოითხოვდა სამეცნიერო ნაშრომების შექმნასა და საერთაშორისო ასპარეზზე გავრცელებას. მანვე დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, რომელიც სამწუხაროდ, ვერ დაასრულა. თუმცა, ეჭვიც არ გვეპარება, რომ კვალიფიციური სპეციალისტებისთვის მისივე ანდერძით დატოვებული ეს საქმე უსათუოდ გაგრძელდება.

ვანო გორგიძის გაზრდილი არაერთი თაობა დიდი პატივისცემით შეინახავს ამ ნათელი ადამიანის ხსოვნას.

ლერი ზამბახიძე

შთამომავლობით გადაცემული მეგობრობა

ქ. თბილისის მ. კოსტავას ქ. № 75 ეზოს მობინადრენი, სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენელნი, ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილი, ღვაწლმოსილი ადამიანები არიან. არ დავიწყებ მათ ჩამოთვლას, რადგან შეიძლება ვინმე გამომრჩეს. ბევრი მათგანის სახელობის მემორიალური დაფა აღწერს ამ უნიკალური ეზოს მობინადრეთა ისტორიას.

ეზოს შესასვლელში, საცხოვრებელი სახლის კედელზე, სხვა სახელოვანი ადამიანების გვერდით განთავსებულია მემორიალური დაფა „1958 წლიდან ამ სახლში ცხოვრობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებისა და განვითარების მონაწილენი, გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, პროფესორები: მიხეილ აბაკელია, სერგო ბურჭულაძე, ალექსი გორგიძე, დიმიტრი ერისთავი, კონსტანტინე ივანოვი, ნიკოლოზ თევზაძე, ვასილ კაკაბაძე, არკადი კოტია, დავით პეტრიაშვილი, ამბროსი რუხაძე, თეიმურაზ ლოლაძე, არტემ ტერ ხაჩატუროვი, ნიკოლოზ ტყემალაძე, გიორგი ჩიხლაძე, ბორის ხვედელიძე“.

მ. კოსტავას ქ. № 75 მეზობლებს შორის თბილი და კარგი ურთიერთობა იყო, განსაკუთრებით დიდი მეგობრობა აკავშირებდათ ეზოს შიგნით, ე.წ. „გეპეის“ კორპუსში მცხოვრებ პროფესორებსა და მათ ოჯახებს. მე და სხვა ბავშვები ამ არაჩვეულებრივ ეზოში, ასეთი ძვირფასი ადამიანების გარემოცვაში ვიზრდებოდით.

ახლა კი, მინდა მოგითხროთ ორი პროფესორის, მათი ოჯახებისა და შთამომავლობის მეგობრობაზე, სიყვარულსა და თანადგომაზე.

ბატონები ალექსი გორგიძე და ნიკოლოზ თევზაძე კარგი მეგობრები იყვნენ. ბატონი ალექსის შვილები ივანე (ვანო) და დავით გორგიძეები მეგობრობდნენ ბატონი ნიკოლოზის შვილებთან მერაბ, დიანა და მანანა თევზაძეებთან. შვილიშვილებიც ერთად ერთ ეზოში ვიზრდებოდით. ზოგი ბებია და ბაბუას დიდ ოჯახებში ცხოვრობდნენ, ზოგიც სტუმრობდნენ მათ. იყო დიდი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა.

მინდა გამოვყო ბ-ნი ვანოს და მამას – მერაბ თევზაძის სიცოცხლის ბოლომდე სამაგალითო მეგობრობა, მზრუნველობა, ჭირსა თუ ლხინში თანადგომა. მათ არა მარტო მშობლებისგან შთამომავლობით გადმოცემული მეგობრობა, სტუ-ის თანამშრომლობა და მასზე მზრუნველობა აკავშირებდათ, მათი პირადი ოჯახების ისტორიაც კი იყო მსგავსი. ორივე მათგანს ორ-ორი ქალიშვილი ჰყავს, ბ-ნ ვანოს ია და ლუსია, მერაბს – დარეჯანი და ლალი. თითოეული მათგანის თითო სიძე უცხოელია, იას მეუღლე ჯეიმს ჰოუკროფტ ამერიკელია, ლუსიას მეუღლე ზურაბ დუმბაძეა. ამდენად, ყველაფერი ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ბ-ნ ვანოსა და მერაბს შორის ძალიან დიდი ურთიერთგაგება არსებობდა.

მამა 2011 წლის 29 აგვისტოს გარდაიცვალა. მას პატივი მიაგო ბევრმა კარგმა ადამიანმა. ბევრი მათგანი ხშირად მოგვიკითხავდა და გვიკთხულობს დღესაც. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს, ვინც კი სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდგომ შეაფასა და დააფასა მერაბ თევზაძე და გვერდში დაუდგა მის ოჯახს. უღრმესი მადლობა.

ბ-ნი ვანოს მეუღლე, სასიამოვნო ქ-ნი ალა იმ ხანად ავადმყოფობდა. თვით ბ-ნი ვანო, რომელიც დიდი ჯანმრთელობით არ გამოირჩეოდა წუხდა და ძალიან ზრუნავდა საყვარელ მეუღლეზე. იმავდროულად ბ-ნი ვანო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ არჩილ ფრანგიშვილის, შემგომი რექტორის, პროფესორ დავით გურგენიძის ეგიდით, სტუ-ის მემატიანე, პროფესორ შალვა ნაჭყებიასთან და სხვა ღირსეულ ადამიანებთან ერთად აგროვებდა და ამზადებდა მასალებს სხვადასხვა წიგნებსა და ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად იმ პიროვნებებზე, რომლებიც იყვნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მომავალში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) დამაარსებელნი, აღმშენებლები და მისი განმავითარებელნი. ასეთი დაკავებული, იგი ყოველთვის გამოძებნიდა დროს გარდაცვლილი მეგობრის – მერაბ თევზაძის მეუღლის ნათელა ჩუბინიძისა და მისი ოჯახის მოსაკითხად. იგი ყოველთვის გვთხოვდა მე და ჩემს მამიდაშვილებს: დავით და თეიმურაზ პაპავებს, მივსულიყავით მასთან სამსახურში, სხვადასხვა თემაზე გვესაუბრა, გვეთქვა, თუ რაში შეეძლო მას ჩვენი დახმარება და ა.შ. ჩვენ მას ხშირად არ ვსტუმრობდით, პირადად მე არ მინდოდა ასეთი გულითადი ადამიანი ჩემი ვიზიტით ზედმეტად დამეტვირთა. როდესაც კარგად დავფიქრდი, გვიან მივხვდი, რომ ჩვენი სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში მისვლით იგი კოლეგებს არ ავიწყებდა ნიკოლოზ და მერაბ თევზაძეების ღვაწლს უნივერსიტეტის წინაშე, ჩვენ კი, მათ შთამომავლებს გვახსენებდა პასუხისმგებლობას ჩვენი წინაპრების მიმართ.

ბ-ნმა ვანომ დიდი წვლილი შეიტანა მერაბ თევზაძის დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო საღამოს მომზადებაში, რომელიც შედგა 2019 წლის 24 ივლისს. მისი ინიციატივით კრებულ „საქართველოს საინჟინრო სიახლენის“ ერთ ნომერში გამოქვეყნდა ნიკოლოზ თევზაძის დაბადებიდან 110 წელთან და მერაბ თევზაძის – 80 წელთან დაკავშირებით გახსენების სტატიები. საიუბილეო საღამოზე მან აღნიშნა, რომ მერაბი იყო სიყვარულისთვის და სიკეთის საკეთებლად დაბადებული, რომ ისინი იყვნენ და დღესაც მეგობრებად რჩებიან. ისაუბრა ასევე მათი მშობლებიდან მოყოლებულ მეგობრობაზე, რომელიც მისი და მერაბის შვილების მეგობრობით გრძელდება... დასასრულს ბ-ნმა ვანომ აღნიშნა, რომ – „ჩვენს სახლთან არის იმ გამოჩენილი პიროვნებების მემორიალური დაფები, რომელთაც საქართველოს ისტორიაში თავიანთი კვალი დატოვეს. მე მგონია ისეთი პიროვნებები, როგორიც იყო მერაბ თევზაძე, როგორებიც იყვნენ იუზა ვერულავა, თამაზ გეგეჭკორი, ბიძინა პეტრიაშვილი ღირსნი არიან, რომ მათი სახელობის მემორიალური დაფა იყოს სხვადასხვა

სახელოვანი პიროვნებების დაფების გვერდით, ამით მათი სახელი იქნება უკვდავყოფილი, როგორც წინამორბედებისა.“

წინამორბედებში ბ-ნი ვანო გულისხმობდა, ჩემს მიერ ზემოთ აღწერილ, ეზოს შემოსასვლელში არსებულ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებისა და განვითარების მონაწილეების, გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, პროფესორების მემორიალურ დაფას. ამ დაფის დამზადებაზე, რომელიც სტუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით იქნა მიღებული, მეგობრებმა მერაბ თევზაძემ და ვანო გორგიძემ ერთად იზრუნეს. მამას საიუბილეო საღამოს შემდგომ ბ-ნი ვანო იხსენებდა, თუ როგორ შეარჩიეს ერთად დაფის მასალა და ასოების ზომები. იგი თვლიდა, რომ ახალი დაფა უნდა ყოფილიყო წინამორბედის მსგავსი.

ვფიქრობ, სამართლიანი და კანონზომიერი იქნება აღნიშნულ მემორიალურ დაფაზე ღვთისნიერმა და შესანიშნავი ბიოგრაფიის მქონე ბ-ნმა ივანე (ვანო) გორგიძემ საპატიო ადგილი დაიკავოს მისი მეზობლების, კოლეგებისა და მეგობრების, პროფესორების: მერაბ თევზაძის, იუზა ვერულავას, თამაზ გეგეჭკორის და ბიძინა პეტრიაშვილის გვერდით.

ვიმედოვნებ ჩვენი ოჯახების მეგობრობა გაგრძელდება ბ-ნი ვანოს შვილიშვილის, ნიჭიერი, ჭკვიანი ნიკოლოზის და ჩემი დისშვილების, ასევე კარგი ახალგაზრდების მარის და ნიკოს მიერ. უფრო სწორად, ბატონების ალექსი გორგიძისა და ნიკოლოზ თევზაძის ოჯახების შთამომავლობითი, ტრადიციად ქცეული მეგობრობა სამარადჟამოა.

დარეჯან თევზაძე

მცირე მოგონება უფროს მეგობარზე

ჩვენგან წავიდა მეტად ღირსეული ადამიანი – ივანე გორგიძე და მაინც გგვგონია, რომ აი დღეს ან ხვალ, მას ვნახავთ ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში მეორე ან მესამე სართულზე და ჩვეულებრივ ლამაზად და ტკბილად მოგვესალმება ...

სამწუხაროდ ჯერ კიდევ ამაოდ ველოდებით მის სატელეფონო ზარს და შეკითხვას: „როგორა ხარ?“ ეს არ იყო „მორიგი“ შეკითხვა, როდესაც შემკითხველს შენი პასუხი არც აინტერესებს.

თუ კი მოხდებოდა და ერთ დღეს გამოვტოვებდით და ერთმანეთს ვერ ვნახავდით, საღამოს, გვიან 10–11 საათზე თვითონ ბატონი ვანო დარეკავდა და იკითხავდა: „ – ბიჭო, რა იშოვეთ ასეთი, რომ სულ დაგვივიწყე ?“

ბატონ ვანოს განსაკუთრებით დავუახლოვდით როდესაც მან ჩაგვრთო თავის რამდენიმე საინტერესო პროექტში. ეს იყო წიგნები: „საქართველო ინფორმატიკის სათავეებთან“,

„გამოჩენილი მეცნიერები და ინჟინრები“, „ცნობილი და უცნობი გეპეელები“ და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სრულიად ახალი, ორიგინალური შინაარსის წიგნი „ხელოვნება და სპორტი ტექნიკურ უნივერსიტეტში“, რომლის მომზადებაშიც მან მთავარი და გადამწყვეტი როლი შეასრულა. წიგნის მზადების პროცესში მის მიერ ჩართული იყო რამდენიმე ათეული ადამიანი, ხელოვნების და სპორტის სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლები. მეტად სასიამოვნო გასახსენებელია ამ წიგნის სარედაქციო კოლეგიის სხდომები, სადაც მიმდინარეობდა საკითხების განხილვა. ბატონ ვანოს წესად ჰქონდა ყოველი სხდომის შემდეგ სარედაქციო კოლეგიის წევრთა ჯგუფური ფოტოს გადაღება, რაც ჩვენ მაინც და მაინც არ გვინდოდა, მაგრამ ბატონ ვანოს ხათრით მობილური ტელეფონით ხდებოდა თითქმის ხუთას გვერდიან წიგნზე მუშაობის მომენტების დაფიქსირება. მაგრამ აი გავიდა სულ რამდენიმე თვე დღეს უკვე გვსიამოვნებს იმ ფოტოების დათვალიერება რომლებზეც აღბეჭდილია წიგნზე მუშაობის საინტერესო მომენტები, რისთვისაც დიდი მადლობა ბატონ ვანოს. წიგნზე მუშაობა დღესაც გრძელდება, ალბათ წლის ბოლოს დამთავრდება... სამწუხაროა, რომ ბატონი ვანო ვეღარ მოესწრება ამ მეტად საჭირო წიგნის გამოცემას და ჩვენი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს.

შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ თუ რამდენ კარგ წამოწყებას ჩაუდგებოდა იგი სათავეში...

იგი იყო თავისი დარგის გამორჩეული მეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი, სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი. მას განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის საქართველოს საინჟინრო აკადემიის ჟურნალის – საინჟინრო სიახლეების“ ოცდახუთი წლის მანძილზე შეუფერხებლად გამოცემის საქმეში, აგრეთვე სტუ-ის თეოლოგიის ცენტრის მეტად საინტერესო ჟურნალ „სვეტიცხოველის“ გამოცემაში.

ბატონი ვანო იყო საბჭოთა კავშირში მართვის ახალი აქტიური სისტემების თეორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საქართველოში ამ სკოლის სამეცნიერო ხელმძღვანელი. ბატონ ვანოს არ უყვარდა თავის თავზე საუბარი... მხოლოდ ხანდახან წამოვაცდენინებდით რაიმეს მისი საინტერესო ბიოგრაფიიდან და როცა გვიპასუხებდა, თან დააყოლებდა: „– მაინც როგორ ამალაპარაკეთ...“.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ბატონი ვანოს კიდევ ერთი, ალბათ მისთვის დამახასიათებელი თვისება: უანგაროდ მხარში ამოდგომოდა ამხანაგ-მეგობრებს და უბრალოდ ნაცნობებს. ბევრისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ ედგა გვერდში ბატონი ვანო მისთვის ახალგაცნობილ თუ სრულიად უცნობ თანამშრომელს და როგორც შეეძლო უანგაროდ ეხმარებოდა რჩევით თუ მიმართულების ჩვენებით. მრავალ ადამიანს ეგონა, რომ იგი თავის ახლობელს თუ ნათესავს ეხმარებოდა. ჩვენ კი, ვინც ვიცნობდით მას, ვიცოდით რომ ეს ასე არ იყო. იგი უბრალოდ ხარობდა თუ შეეძლო ვინმესთვის დახმარების გაწევა და ამით მეტად გახარებული და კმაყოფილი იყო.

უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალგორითმი“, რომლის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელი (გენერალური დირექტორი) ბატონი ვანო იყო წარმოადგენდა იმ დროისათვის საკმაოდ მძლავრი სამეცნიერო, სასწავლო და პრაქტიკული პოტენციის მქონე ორგანიზაციას არა მარტო საქართველოში, სადაც ბატონ ვანოს ინიციატივითა და პირადი მონაწილეობით არაერთ კარგ და საჭირო ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი. იგი იყო მრავალი ინოვაციური წამოწყების ინიციატორი. როცა ბატონ ვანოს ვთხოვეთ დაეწერა პატარა სტატია თავისი საქმიანობის შესახებ, მხოლოდ გაიღიმა და გვითხრა: ვის აინტერესებს დღეს ასეთი ძველი ამბები?

ჩვენ მაინც არ მოვეშვით და რამდენჯერმე მოვახერხეთ და გავახსენებინეთ საინტერესო ფაქტები, რომელსაც შემდეგ წიგნისათვის სტატიის სახე ერთობლივად მივეცით.

P.S. მობილურ ტელეფონში კვლავ გვიწერია ბატონ ვანო გორგიძის მობილური ტელეფონის ნომერი...

ნუგზარ (ზაზა) იაშვილი
ქეთევან მახაშვილი

სიკეთის სიყვარულით მკეთებელი კაცი

ვანო იყო ნათელი გონების, დიდი ნიჭის მქონე და მრავალმხრივ განათლებული, ჭეშმარიტად ღვთისა და ერის კაცი. ვანო გორგიძე თავისი ქცევით ყოველდღე გვიჩვენებდა, როგორი უნდა იყოს ღმერთსა და ადამიანზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი. გამორჩეული იყო მისი მოწიწება და ზრუნვა საზოგადოებაში რწმენის გასაძლიერებლად, ეკლესიის მხარდასაჭერად და ავტორიტეტის ასამაღლებლად... ვანოს უსაყვარლესი სასაუბრო თემა იყო ახალი ეკლესიების მშენებლობა და მშობლიური უნივერსიტეტის აღორძინება-გაბრწყინება.

როდესაც საერთო საქმე იყო გასაკეთებელი, ვანო უმალვე იკისრებდა ძირითად ტვირთს, ხოლო დამხმარე ადამიანებს ისეთი მორიდებით სთხოვდა დახმარებას, თითქოს თვითონ ვანოს საქმე იყო გასაკეთებელი და არა საერთო.

ვანო გორგიძის მხრიდან გასაოცარ მხარდაჭერასა და მზრუნველობას უფრო ნათლად მაშინ აღიქვამდი, როდესაც საქმე პირადად შენ გეხებოდა. შენი პრობლემა უცებ გადაიქცეოდა მის პრობლემად და მისი მოგვარება საოცრად ადვილი ხდებოდა. მერე კი შენზე მეტად გაიხარებდა შენი წარმატებით და სიხარულით აევსებოდა კეთილი თვალები, წესიერად მადლობასაც არ გათქმევინებდა და მომავალშიც არ მოგცემდა ამაზე ყურადღების გამახვილების უფლებას. სამაგიეროდ, ქვეცნობიერში ჩაგიბეჭდავდა ვანოს მაგვარად სიკეთის უხმაუროდ კეთების სურვილს და თუ შენში სიკეთის კეთების სურვილს აღმოაჩენდა, ამის რეალიზაციის შესაძლებლობასაც მოგცემდა. ყოველთვის გახარებდა ვანოსთან ერთად კეთილ საქმეში ჩართვა და გრძნობდი, შენშიც როგორ ისადგურებდა ვანოსეულად სიკეთის კეთების სურვილი.

ღმერთისა და ერის სიყვარულში მოულოდნელად უხმოდ ჩაიფერფლა ჩვენი ძმის – ვანოს სამაგალითო სიცოცხლე და მისი უკვდავი სული ალბათ უკვე იქაა, სადაც მართალნი განისვენებენ.

ჯუმბერ იოსებიძე
გიორგი აბრამიშვილი
ოთარ გელაშვილი

ვანო გორგიძის გახსენება

„ჩვენ ხომ ვართ ძმაკაცები“ – ასე ბევრჯერ მოუმართავს ჩემთვის ვანო გორგიძეს და მართლაც ასე იყო, მიუხედავად ასაკში საკმაო სხვაობისა (ის ჩემზე ოცი წლით უფროსი გახლდათ) ჩვენი ურთიერთობა თავიდანვე მეგობრობად ჩამოყალიბდა და შემდეგ, რა თქმა უნდა, ბატონი ვანოს ინიციატივით, ნამდვილ „ქართულ“ ძმაკაცობად გაგრძელდა.

ვანო გორგიძესთან უამრავი მოგონება მაკავშირებს, თუმცა მასზე ფიქრისას ყველაზე ხშირად ერთი ეპიზოდი მახსენდება, რომელიც, ჩემი აზრით, ზუსტად გამოხატავს ბატონი ვანოს სულიერ სამყაროს. 2015 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში მზადდებოდა აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „მეცნიერება და რელიგია“, რომლის ინიციატორი, ორგანიზატორი, სული და გული, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, იყო ვანო გორგიძე. კონფერენციის გახსნის დღე მოახლოებული იყო და მრავალი საორგანიზაციო საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩებოდა. დრო ცოტა იყო და ბატონი ვანო ძალიან ნერვიულობდა, განიცდიდა – ვაი თუ რამე ვერ მოვასწროო (საერთოდ თავის თავზე ხშირად ბრაზობდა – ჯერ პრობლემას შევქმნი და მერე მის მოგვარებაზე რამდენი ნერვიულობა მიწევსო). კონფერენციის გახსნამდე ორი დღით ადრე, რაღაც მომენტში მის კაბინეტში ჩვენ ორნი შემოვრჩით. ბატონი ვანო აფორიაქებული იყო, ჯერ ტელეფონით ლაპარაკობდა, გარკვეულ საკითხებს ათანხმებდა, მერე სადღაც წასვლა გადაწყვიტა, რომ უშუალოდ ადგილზე მოეგვარებინა, როგორც ჩანს ყველაზე რთულად გადასაჭრელი კიდევ ერთი პრობლემა. გასვლის წინ მან კაბინეტის კარი მიხურა და თაროზე დაბრძანებულ ხატებთან მივიდა. ვიფიქრე ილოცებდა ან მხოლოდ პირჯვარს გადაიწერდა, როგორც ოთახიდან გასვლის წინ იცოდა ხოლმე, მაგრამ მოულოდნელად ერთ-ერთ ხატს შემდეგნაირად მიმართა: „მატრონა გეხვეწები, მომეხმარე რაა!“.

ეს ისეთი ხმითა და ინტონაციით წარმოთქვა, თითქოს ცოცხალ ადამიანს ელაპარაკებოდა, თანაც მის წინაშე ხილულად მდგარს (ეს იყო წმ. მატრონა მოსკოველის ხატი, რომელიც ბატონ ვანოს გამორჩეულად უყვარდა და პატივს სცემდა, მოსკოვიდან საქართველოში ამ წმინდანის დიდი ხატი თვითონვე ჩამოაბრძანა და ცხვარიჭამიას მონასტერში დაასვენა). ჩემთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თავიდან გაოცებული დავრჩი, პირველად შევესწარი, რომ ხატისთვის ვინმეს ასე უშუალოდ და თან ხმით მიემართოს (ძირი-

თადად ხომ ყველა გულში ვლოცულობთ ხოლმე). მაგრამ თითქმის მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო ნამდვილი რწმენა, ცოცხალი და ხელშესახები, ის რწმენა, რომლის შესახებაც საღვთო წერილი და წმინდა მამები გვიქადაგებენ. ნამდვილი ლოცვაც ალბათ ასეთი უნდა იყოს, უშუალო და გულიდან ამოსული, სწორედ ისეთი, როგორც იმ წუთას ლოცულობდა ბატონი ვანო. ამ შემთხვევამ დამანახა, რომ ვანო გორგიძე ნამდვილი მორწმუნე იყო, ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე სწამდა უფლისა და იმქვეყნიური სამყაროს არსებობა და სწორედ ამიტომ ესაუბრებოდა, როგორც ცოცხლებს, ხატზე გამოსახულ წმინდანებს.

ღმერთმა მისივე რწმენისაებრ წმინდა სასუფეველი დაუმკვიდროს ვანო გორგიძის ნათელ სულს.

გიორგი კოკოშაშვილი

მთელი ცხოვრება გეპეი-ს შესწირა

1974 წელს ისე მოხდა, რომ საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში აღმოვჩნდი. 30 წელი ვემსახურე განათლების სისტემას, სანამ მინისტრად სანტექნიკოსი არ დაგვინიშნეს, რომელმაც ყველა თანამშრომელი სახლში გაუშვა.

ამ პერიოდში უამრავი ღირსეული პიროვნება გავიცანი, როგორც უმაღლეს სასწავ-ლებლებში, ასევე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად ჩემი მოგვარე თეიმურაზ ლოლაძე მოღვაწეობდა, გულიანი კაცი, რომელსაც დროთა განმავლობაში ძალიან დავუახლოვდი. დღესაც მახსოვს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად რომ აირჩიეს, მივულოცე, მან სიტყვის დასრულება დამაცადა „ინტურისტის“ რესტორანში გელოდებიო.

ეს იმ დროს ახალგაზრდა კაცისთვის დიდი პატივი გახლდათ.

დროთა განმავლობაში გეპეიში გავიცანი დევი ჩხეიძე, ბორის სალუქვაძე, ალიკო ჩხეიძე, რამაზ ხუროძე, გივი ცინცაძე, აკაკი კოტარია, სერგო თოფურია, ზურაბ ჩხენკელი, ანზორ შავგულიძე, ზურაბ მგელაძე, მერაბ თევზაძე, აგული სოხაძე, ზურაბ ჩაჩხიანი,

თამაზ ჟორდანია, ოთარ ხომერიკი, თამაზ კუპატაძე, გიული შოთაძე, ბორის ბოქოლიშვილი, როინ იმედაძე, ბორის იმნაძე, რაფიელ ჩიქოვანი, იუზა ვერულავა, მერაბ ახობაძე, ოთარ წეროძე, ვაჟა დიდმანიძე, იგორ კვესელავა, ლალი ღოღელიანი, ნაზი კუციავა, რევაზ სტურუა, ლევან კლიმიაშვილი, გიორგი სალუქვაძე, მინდია უგრეხელიძე, შალვა ნაჭყებია, რაულ კუპრავა, ვანო ჭიაურელი, ანზორ კვარაცხელია, ელგუჯა მეძმარიაშვილი, ოთარ ზუმბურიძე, რაულ თურმანიძე, ზურაბ წვერაიძე, მერაბ გოცაძე, თამაზ ბაციკაძე, რეზო რუხაძე, შურა გრიგოლიშვილი, გიორგი ჯერენაშვილი, შალვა კელეპტრიშვილი, მრავალი სხვა და რასაკვირველია, ის ადამიანი, ვისაც ეს მოგონებების წიგნი ეძღვნება – ბატონი ვანო გორგიძე.

აქვე აღვნიშნავ, რომ ყველა ჩამოთვლილთან ბატონ ვანოს უაღრესად მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა.

ამ უწესიერესმა, გულიანმა, საქმისადმი თავდადებულმა პიროვნებამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ტექნიკურ უნივერსიტეტს მიუძღვნა. მის გარეშე ამ დიდ და სახელოვან სასწავლებელში თითქმის არაფერი ტარდებოდა, იქნებოდა ეს სამეცნიერო კონფერენციები, შეხვედრები, თვითშემოქმედების საღამოები, გამოფენები, წიგნის გამოცემა და სხვა მრავალი.

როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლის თანამშრომელს, ბატონ ვანოსთან ძალიან ხშირი კონტაქტი მქონდა სხვადასხვა მასალის მომზადებასა თუ ფოტომასალასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ ამ აკურატულ პიროვნებასთან ურთიერთობა. ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე, მის მოულოდნელ გარდაცვალებამდე, რამაც, ისევე როგორც ბევრ მის მეგობარსა თუ ახლობელს, ძალიან დამწყვიტა გული.

ბატონ ვანო გორგიძის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ნათელი მაგალითია იმისა, რომ ყველა ეპოქაშია შესაძლებელი ღირსეულად აკეთო საქმე, რომელიც მნიშვნელოვნად სცილდება პიროვნულ ინტერესს და იძენს საზოგადოებრივ ჟღერადობას, რომ ნებისმიერ გარემოში შეუძლია პიროვნებას სამთელქვეყნო დატვირთვა მისცეს საკუთარ საქმიანობას და ჭეშმარიტ მოღვაწეთა ერთობაში დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი.

ბატონი ვანო გორგიძე სწორედ ასეთი ადამიანი ბრძანდებოდა და მარადიულად სწორედ ასეთი დარჩება იმათ ხსოვნაში, რომელთაც წილად ხვთათ მასთან ურთიერთობის ბედნიერება.

დემიკო ლოლაძე
თბილისის საპატიო მოქალაქე
გიორგის ნიკოლაძის მედლის მფლობელი

ვანო გორგიძის ხსოვნას

ბატონ ვანო გორგიძეს ყველანი ვიცნობდით, როგორც პიროვნებას, რომელსაც განსაკუთრებული სიმშვიდით, ერთგულებით და კეთილსინდისიერებით გამოარჩევდი. კეთილ, მოციმციმე თვალებში სხივი ჩაუდგებოდა, როგორც კი დაგინახავდა. ვისაც წილად ხვდა თავის თავზე გამოეცადა ბატონი ვანოს კეთილგანწყობა, ყოველთვის მოწიწებით და დიდი სიყვარულით გაიხსენებს ამ სიკეთით სავსე მორიდებულ ადამიანს.

თავისი ცხოვრების ბოლო ორი ათეული წელი მთლიანად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მოღვაწეობას დაუთმო. ქვეყნისათვის იმ საკმაოდ მძიმე პერიოდში ჩვეული გულმოდგინებით, რუდუნებითა და დაუღალავად, მთელი გულით იყო ჩართული უნივერსიტეტის ყოველდღიურობასა და აღმშენებლობის საქმეში.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვანო გორგიძის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით მოეწყო აკადემიკოს თეიმურაზ ლოლაძის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მოწვეულ სტუმრებს ბ-ნი ვანო სამი დღის განმავლობაში ჩვეული გულისხმიერებით აქტიურად მასპინძლობდა. შეიტყო, ერთერთი სტუმარი მონათლული არ იყო. ვინც ვანოს იცნობდა უთქმელად მიხვდება ეს რამდენად მიუღებელი იყო მისთვის. ბოლო დღეს, ვანო გორგიძესთან სამდღიანი ურთიერთობის შემდეგ, სვეტიცხოვლიდან რომ დავბრუნდით, მოსკოველმა პროფესორმა ნ. პოლუშინმა, თხოვნით მოგვმართა კიდევ ერთი დღით დავრჩები მოვინათლო მინდა სვეტიცხოველში და ბ-ნ ვანოს თხოვეთ ნათლიობაზე უარი არ მითხრასო. ნათლობა სვეტიცხოვლის ტაძარში მეორე დღეს, დილიდანვე შედგა და სტუმარი შუადღეს ბედნიერი გავაცილეთ სამშობლოში.

ვანოს ყურადღების დამსახურება მხოლოდ ერთი პირობით შეიძლებოდა – უნდა ტექნიკური უნივერსიტეტისადმი სიყვარული და ერთგულება შეემჩნია შენთვის და მაშინ შეუძლებელს შესაძლებლად აქცევდა, შენს მიმართ სითბოს და მზრუნველობას არ დაიშურებდა. თან ისე უხმაუროდ იცოდა სიკეთის გაკეთება, რომ ხშირად მადლობის თქმაც მოგერიდებოდა...

ჩვენო ვანო, ძალიან გვაკლიხარ, მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის.

ნიკა ლოლაძე

ვანო გორგიძესთან

ჩემი ურთიერთობა ვანო გორგიძესთან დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1960 წლიდან. ამ წლებში სტუდენტთა პროფკავშირული ორგანიზაცია ცალკე იყო. ამ ორგანიზაციის აქტივში მომიწია ვანოსთან დამეგობრება. იგი ინსტიტუტის პროფკომიტეტის წევრი იყო, მე კი სატრანსპორტო ფაკულტეტის პროფკავშირული ბიუროს თავმჯდომარე. ჩვენ აქტიურად ვიყავით ჩართული ინსტიტუტის, განსაკუთრებით მხატვრულ თვითშემოქმედებისა და სპორტულ ცხოვრებაში. იმ პერიოდში ამ საკითხებს ინსტიტუტში პროფკომიტეტი კურირებდა შესანიშნავი პიროვნების რევაზ ნაცვლიშვილის ხელმძღვანელობით. ვიკრიბებოდით კომიტეტის სხდომებზე, მსჯელობდით ახალ ინიციატივებზე. კომიტეტის ოთახში ხშირად იკრიბებოდნენ შემოქმედებითი კოლექტივების ხელმძღვანელები და წევრები. იყო საუბრები გეგმებსა და პრობლემებზე. ამ საკითხების განხილვაში აქტიურად

იყო ჩართული ვანოც. ხშირად ვესწრებოდით ერთად საესტრადო და სიმფონიური ორკესტრების, ცეკვისა და ვოკალური ანსამბლების რეპეტიციებს ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებისათვის.

ვანო, როგორც პროფკომიტეტის წარმომადგენელი, მონაწილეობდა კომიტეტის გასვლით ღონისძიებებში საქართველოს გარეთ ოდესაში, კიევში და სხვ. გვეხმარებოდა ფაკულტეტებსშიგა ოლიმპიადებისა და საფესტივალო – გასართობი საღამოების მოწყობაში.

ვანო აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის მე-40 წლისთავის იუბილეს მხატვრული ნაწილის ჩატარების ღონისძიებების მომზადებაში. მახსოვს იუბილეს წინა დღეს გვიან ღამემდე ვიყავით სპორტის სასახლეში შემოქმედებითი კოლექტივების პროგრამის შერჩევისათვის. იგი იყო შესანიშნავი მეგობარი, როგორც საქმიან, ისე პირად ურთიერთობებში. ხშირად სტუდენტური შესაძლებლობის ფარგლებში ინსტიტუტის პირველი კორპუსის გვერდით მდებარე კაფესაც ვსტუმრობდით.

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია სამეგობროსათვის და იმ დიდი საქმისათვის, რაც მან წამოიწყო – ინსტუტუტის შემოქმედებითი მატიანის „ქართველი ინჟინრები მუსიკასა და სპორტში“ გამოსაცემად. ძალისხმევას არ დავიშურებთ მისი ხსოვნის პატივსაცემად, რომ დავამთავროთ მისი დაწყებული საქმე.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა ვანო გორგიძე.

ვაჟა ნადირაშვილი

„გეპეი“-ს ინჟინერთუხუცესი... მწიგნობართუხუცესი... და... კეთილი კარდინალი (მეგობრის - ვანო გორგიძის ნათელ ხსოვნას)

ბატონ ვანოზე ადრე, მის მამას – გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ლეგენდარული მოღვაწეების, ნიკო მუსხელიშვილის და ილია ვეკუას მეგობარს, ბატონ ალექსის ვიცნობდი...

მაგრამ დღეს რომ ვფიქრობ, ასე მგონია ბატონ ვანოს, სულ ვიცნობდი... ჩვენი დამეგობრება კი 2004 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და დიდი ქართველი მამულიშვილისა და მეცნიე-

რის – ივერი ფრანგიშვილის ინიციატივით და ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „მეცნიერება და რელიგია“ გამართულ ღონისძიებაზე მოხდა. მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე გახლდით. კონფერენციის გახსნის და მისასალმებელ სიტყვათა წარმოთქმის შემდეგ თურმე მეუფე ანანიას თხოვნით მე მომცეს სიტყვა და ჩემი წერილი „შეწევნითა მაღლისაითა“ წავიკითხე... კონფერენციის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ბატონი ვანო მოვიდა ჩემთან მეუფე ანანიასთან ერთად, მეუფემ დამლოცა და ბატონმა ვანომ კეთილი ღიმილით მითხრა: „ძალიან მაგარი სიტყვა თქვიო!“ ეს შექება სულ მახსოვს... მართლა, მასზე ადრე მის შესანიშნავ ძმას – დათოს ვიცნობდი... ჩვენ ხომ კოლეგები ვიყავით... 1980 წლიდან ჩემი აღმზრდელების და დიდი მასწავლებლების ბატონ გოჩა ჩოგოვაძის და აკადემიკოს ზაურ ყრუაშვილის ხელმძღვანელობით „მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრაზე“ ვმუშაობდი მეცნიერ-თანამშრომლად, თან ლექციებსაც ვკითხულობდი, ასპირანტურაში ვსწავლობდი... ბატონმა ვანომ ეს ყველაფერი იცოდა... საოცარი სითბოსი და გულის კაცი იყო... დიახ, 2004 წლიდან ჩვენ უკვე ვმეგობრობდით, ხოლო შემდეგ ეს მეგობრობა უახლოეს ძმობაში გადაიზარდა. ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით ჩვენი საერთო მეგობრის, დიდი ივერი ფრანგიშვილის აღზრდილის და უწესიერესი პიროვნების – ზურაბ გასიტაშვილის კაბინეტში, სადაც ჩვენი ქვეყნის ბედზე ვმსჯელობდით, ვკამათობდით კიდეც... ბატონი ვანო სულ მეუბნებოდა: „ფიცხი ნუ ხარ ქართლელო...“

ეკლესიას აშენებდა დიდი რუდუნებდით... განიცდიდა... საპატრიარქოში ხშირად დადიოდა... მეუფე ანანიასთან ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა... ბატონი ვანოს უდიდესი დამსახურებაა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნა... ივერი ფრანგიშვილს აღმერთებდა, ხოლო მის უნიჭიერეს და კეთილშობილ ვაჟთან – არჩილთან ძალიან ახლობლობდა... უყვარდა და აფასებდა არჩილს...

კვირაში რამდენჯერმე ვხვდებოდით... ტელეფონზე კი თითქმის ყოველდღე ვსაუბრობდით... სულ „გეპეის“ ამბებზე მელაპარაკებოდა: მეცნიერებზე, ლექტორებზე, თუ როგორ გამოემზეურებინა ჩვენი ქართული საინჟინრო უძვირფასესი კერა ტელეგადაცემაში, რა პრობლემები იყო... წუხდა ჩვენს უძლიერეს ინჟინერებს არ ეძახიან და მხოლოდ უცხოელებს აფასებენო... საქართველოს მდგომარეობით სტკიოდა გული და წამლები რას უშველიდა... საოცარი იდეების გენერატორი იყო... ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნებების მოძებნა-დაფასების დიდი უნარი ჰქონდა... მირჩევდა სხვები გამომეყვანა ტელეგადაცემებში... თვითონ ერთხელ ძლივს მოახერხა მოსვლა სტუდიაში ზურაბ გასიტაშვილთან ერთად... ისიც მამამისისადმი მიძღვნილ გადაცემაში... ეხათრებოდა... ჩემს ავადმყოფობასაც უფლის შეწევნით მან და ზურაბ გასიტაშვილმა უშველა თამაზ ბაციკაძესთან ერთად...

თვალწინ მიდგას მასთან ერთად ჩატარებული ღონისძიებები თუ ტრაპეზები: წინანდალი, ხატის წაბრძანება ქარელის რაიონში... სამეცნიერო კონფერენციები. სულ ზრუნავდა ახალ-ახალ სხვათა წიგნების გამოცემაზე... მწიგნობართუხუცესი ხარ-მეთქი ერთხელ ვუთხარი... „გეპეი“ ისტორიული ქართული ინჟინერიის სამჭედლოაო მიპასუხა თავისი კეთილი ღიმილით, თავისებურად თან მხრებს იჩეჩავდა: უნივერსიტეტის იუბილე მოდის და სათანადოდ უნდა აღვნიშნოთო. ტექნიკური უნივერსიტეტი ისტორიის საგამომცემლო კოლეგიის სხდომა ჩაატარა. ნერვიულობდა ღირსეული არავინ გამოგვჩესო. სულ ფუსფუსებდა... გაჩერებულს ვერ ნახავდი... მოსვენებას არ აძლევდა გოგოებს (ქეთის, მაკას), სულ დავალებას აძლევდა... ძალიან მიჭირს ვანოს გარეშე... ყოველდღე ლოცვებში ვიხსენიებ. იგი ძალიან დააკლდა ტექნიკურ უნივერსტიტეტს... ყველას ჭირისუფალი იყო... გარდაცვლილთა და ცოცხალთა... თავმდაბლობით გამორჩეული და უბრალოებით გასხივოსნებული. ჩემი მეორე სადოქტორო თეოლოგიაში მისი უდიდესი დამსახურებაა, თორემ მე ურთულეს მდგომარეობაში მყოფს, ახალ დისერტაციაზე ფიქრისთვის სად მეცალა... უდიდეს სტიმულს მაძლევდა, ჩემი ერთი ლექსი უყვარდა ძალიან „ვედრება...“ გიორგი სააკაძის

ფენომენზე ხშირად ვსაუბრობდით და კატეგორიულად, მაგრამ ძმური კეთილშობილებით მეტყოდა ხოლმე: შენ, კასპელმა კაცმა უნდა დაამტკიცო მთელი საქართველოს წინაშე რომ დიდი მოურავი მართალი და იდალატო კაცი იყოო... მეთანხმებოდა, რომ ზვარაკად შეწირული პაატა სააკაძე წმინდანად იყო შესარაცხი...

ახლაც თვალწინ მიდგას ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის კიბეებზე როგორ ჩამოაცილებდა ხოლმე დაუღალავად მეუფე ანანიას... მერე კი ნელ-ნელა აუყვებოდა კიბეს საქართველოთი და „გეპეითი“ ავსებული ავადმყოფი გულით... ახლა ცის კიბეებს მიუყვება ჩვენი კეთილი კარდინალი... ღმერთმა შეუნდოს ნებსითნი თუ უნებლიეთნი შეცოდებანი და როგორც ჩემი ძმობილი გოდერძი ჩოხელი იტყოდა: „საუკუნოდ ნათელშიმც იყოს!..“

ვაჟა ოთარაშვილი

ჩვენი ვანო

ძალიან ძნელია ვანო გორგიძეზე წარსულ დროში საუბარი. მე მასთან თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ურთიერთობა მქონდა.

ვანო გორგიძე იყო კაცი, რომელმაც იმდენი სიყვარულის, მეგობრობისა და სიკეთის მუხტი დატოვა, რომ ათეულობით წლები ეყოფათ მათ ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან ურთიერთობა. ის იყო მტრობაზე ამაღლეული კაცი; მას შეეძლო სხვისი ტკივილებით ცხოვრება და ჰქონდა სხვისი გახარების უნარი. მან დიდი ამაგი დასდო ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი მასალების შეგროვებასა და გამოცემას. ის სხვა საქმეებთან ერთად ზრუნავდა იმაზე, რომ არ დაკარგულიყო ის ფასეულობები, რომლებიც შექმნა ჩვენს უნივერსიტეტში მოღვაწე მრავალმა თაობამ, ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა და მამულიშვილებმა. ეს ძალიან დასაფასებელი საქმეა. მისი სახელის პატივსაცემად მისმა მეგობრებმა ეს საქმე კვლავაც უნდა გავაგრძელოთ და გადავცეთ მომავალ თაობას.

ვანოს შინაგანი სინათლე ჰქონდა და ანათებდა კიდეც. ის გადასახლდა მარადისობაში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

გიორგი სალუქვაძე

ვანო – ღვთისმოშიში

ადამიანები იბადებიან ჩვეულებრივ ოჯახებში, მაგრამ ზოგიერთები განსაკუთრებულ ოჯახებში. ვანო გორგიძე სწორედ განსაკუთრებულ ოჯახში, საქართველოსა და მსოფლიოში ცნობილ პროფესორ ალექსი გორგიძის ოჯახში დაიბადა. ბატონი ვანო ტრიალებდა მეცნიერების, პატრიოტების და მართლმადიდებელი მორწმუნეების წრეებში, რამაც მისი ცხოვრება არასტანდარტული გზით წაიყვანა. იგი კომუნისტური ცხოვრების წესს ვერ ეგუებოდა და მუდამ ცდილობდა მის გარდაქმნას ქართველი კაცისათვის მისაღებ წყობად. მას სურდა საქართველო მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა ყოფილიყო. იგონებდა ახალ-ახალ მიმართულებებს ქვეყნის წინ წაწევისათვის.

სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერების ჯგუფში, რომლებიც ეკონომიკური პროცესების მოდელირებას ახდენდნენ.

ყოველთვის მეუბნებოდა და მაძალებდა საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტთან შეგვექმნა ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია. ერთხელ ვუთხარი, შენ რა ხელი გაქვს ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიასთან-მეთქი, ხვალ გეტყვიო მითხრა და მეორე დღეს მომიტანა დოკუმენტები და წიგნები ეკონომიკური პროცესების მოდელირების შესახებ. ჩამიტარა მასტერკლასი და მანამ არ შემეშვა სანამ ლაბორატორიის დებულება არ დამაწერინა.

მისი ბედნიერი თვალები უნდა გენახათ ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის პრეზენტაციის დღეს. მერეც რამდენჯერმე მოვიდა ლაბორატორიაში, რათა საკუთარი თვალით ენახა სტუდენტები მეცადინეობდნენ თუ არა. ბედნიერებას ვერ მალავდა როდესაც სტუდენტებით სავსე ლაბორატორიას ხედავდა.

შევხედავდი ხოლმე და ვეტყოდი. ვანო საიდან ამდენი ენერგია-მეთქი. მიპასუხებდა, უფალი მაძლევსო. მას უფალი მართლა აძლევდა ერთგულებისა და მეგობრობის ძალას, რადგანაც იგი იყო თეოლოგიის დეპარტამენტისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უდიდესი ქომაგი.

ყველა საეკლესიო დღესასწაულს მილოცავდა, აგვისტოში ვალდებული ვიყავით სტუ-ის ეზოში შევკრებილიყავით და მისი ხელმძღვანელობით კოლექტიურად წავსულიყავით მანგლისში მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის იუბილეზე.

ბატონ ვანოს უყვარდა ღმერთი, ღმერთს კი – ბატონი ვანო.

იგი იყო დიდი ადამიანი, მეოჯახე, მეცნიერი და მეგობარი. ასე მგონია დღესაც ჩვენს გვერდითაა. ნათელი დაადგეს მის დაუცხრომელ სულს.

ალექსანდრე სიჭინავა

საქვეყნო საქმეთა ქომაგი

ბატონი ვანო, ვანო გორგიძე, ძვირფასი ვანო – აი, ამ თანამიმდევრობით მიდიოდა ჩვენი ნაცნობობა, რომელიც 2000-იანი წლების პირველ ათწლეულში ჩაისახა და აქამდე არ შეწყვეტილა. დამეთანხმებით, ეს დრო ცოტა არაა ეროვნული, რელიგიური და სამეცნიერო ინტერესებით ერთმანეთთან დაკავშირებული ადამიანებისათვის, რადგან ჩვენს ეპოქაში, როდესაც ასე იოლად გადადიან ადამიანები ერთი მხარიდან მეორისაკენ, ერთი მრწამსიდან საწინააღმდეგოსაკენ და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ქარიშხლების გავლენით „ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, ადვილი არაა ურთიერთსიმპათიის შენარჩუნება.

ჩემი დაკვირვებით, ყოველი ათწლეულის მიწურულს იკვეთება ხოლმე სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციების ახალი ვერსია, რომელიც გვაიძულებს ადრე დაგეგმილი მოქ-

მედებების მოტივაცია თუ ფორმატი გადავსინჯოთ და ახალი იდეოლოგიის გამოწვევებს მივუსადაგოთ ან დავუპირისპიროთ. საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას დიდად განსაზღვრავს ახალი მსოფლიოს არქიტექტორთა მიერ საუკეთესოდ გააზრებული, დეტალურად გათვლილი ნაბიჯები, რომელთა ზოგჯერ მიუღებელ შედეგთან ბრძოლა თითქმის უპერსპექტივო ჩანს. დიახ, ხშირად უსასოობა გვიპყრობს მთელი კაცობრიობის სულიერი კრიზისის, საყოველთაო დემაგოგიისა და ათასწლეულების განმავლობაში ნაშენები ფასეულობებისა და ესთეტიკის რღვევის შემყურეთ. განა არ ვეკითხებით საკუთარ თავს, აქვს კი აზრი გლობალური აბსურდის წინააღმდეგ ჩვენს სტიქიურ, არაორგანიზებულ მოქმედებასო? და ამ სკეპტიციზმის მიუხედავად, მაინც არ წყდება ეს „ფერმკრთალი აჯანყება“ დინების წინააღმდეგ, მაინც ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ხედავენ მიმდინარე პროცესების არსს, რომელთაც გამოარჩევთ სულიერ ფასეულობათა სიყვარული და ერთგულება, რომელთაც, ნებსით თუ უნებლიეთ, მხრებზე აწევთ უფლის, ერის, ადამიანების მსახურების მძიმე ტვირთი და, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, ესწრაფვიან ამ ტვირთის აზიდვას, მის ტარებას იქამდე, სადამდეც გასწვდებიან...

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისმა ცხადყო, რომ საზოგადოება შეიცვალა. ამ ცვლილებას თავისი მიზეზები ჰქონდა; ზოგი ეკონომიკურმა სიდუხჭირემ დაღალა, ზოგმა ხანგრძლივი პროგნოზების შეუძლებლობის გამო თანამიმდევ-რულ ღვაწლზე ჩაიქნია ხელი, ზოგს ასაკმა მოუსწრო, ზოგმა სირაქლემური პოზიცია დაიჭირა, ზოგი უკრიტიკოდ დაემორჩილა სააგიტაციო მარათონს, როგორც ხელსაყრელსა და პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელ გზას, ზოგმა ხორცი სულს ამჯობინა, ტანჯული მამულისათვის გულისტკივილს – სხვისი კეთილმოწყობილი ქვეყნის მსახურება, საკუთარ დაღლილ დედას – კოპწია დედინაცვალი... ასე გათითოკაცდა ოდესღაც მძლავრი ეროვნული მოძრაობა.

შემორჩენილნი კი „ბნელში ხელების ცეცებით ეძებდნენ გზას ერთმანეთისკენ“, და იმ ადგილებს აკითხავდნენ, სადაც თავისნაირ მოუსვენარ ადამიანს შეიძლება შეხვედროდნენ... ასეთ ადგილას გადავეყარეთ ოდესღაც მე და ჩემი მეგობრები ბატონ ვანოს, და მერე აღარც შეგვიწყვეტია ურთიერთობა.

ბატონ ვანოს ძირითადად ვხვდებოდი ტექნიკურ უნივერსიტეტში. იქ თეოლოგიის კათედრაზე მეუფე ანანია ჯაფარიძის ინიციატივით ხშირად იკრიბებოდნენ საქართველოსათვის მწვავე ისტორიულ და ლინგვისტურ პრობლემებზე მომუშავე ადამიანები. ამ შეხვედრებმა ბევრ საინტერესო და პატრიოტ ადამიანთან დაგვაახლოვა. ასეთი შეკრებების დროს იგეგმებოდა სამეცნიერო თემატიკა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურად მიგვაჩნდა ქართველოლოგიისათვის, იმართებოდა დისკუსიები, მზადდებოდა ერთობლივი განცხადებები და მიმართვები. რა გამოარჩევდა ამ თავყრილობებს? ის, რომ ეს გახლდათ სხვადასხვა დარგისა და თაობის მეცნიერთა ნებაყოფლობითი აქტიურობა საქვეყნო საქმეთა გადასაჭრელად. სწორედ ამ მოძრაობის ინტერდისციპლინური ხასიათი იძლეოდა საშუალებას ნებისმიერი საკითხი კომპლექსურად დაგვენახა და შეგვეფასებინა. სამეცნიერო საზოგადოების ამგვარი მუშაობისათვის მოგვიანებით დამატებითი სტიმული გახდა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 76-ე ბრძანებით (2009 წელს) საქართველოს საპატრიარქოსთან ორი ძალიან მნიშვნელოვანი კომისიის შექმნა: „საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია“ (თავმჯდომარე პროფ. ანანია ჯაფარიძე) და ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია (თავმჯდომარე პროფ. მანანა ტაბიძე). დამეთანხმებით, რომ დღეს, როდესაც საგანგებო გრანტისა და დაფინანსების გარეშე ადამიანს ვერანაირი სამუშაოს შესრულებაზე ვერ დაითანხმებ, უცნაურადაც შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს ამ კომისიების წევრების თავდადება და უანგარობა. ამ ადამიანთა უმრავლესობა დღემდე აგრძელებს საქვეყნო იდეალების სამსახურს, და უაღრესად მძიმეა იმის განცდა, რომ ამიერიდან ჩვენთან აღარ არის პროფესორი ვანო გორგიძე, კეთილშობილი, ერთგული, უღალატო, უანგარო ადამიანი, გამორჩეული თავმდაბლობით, სამართლიანობით, მოყვასის სიყვარულით...

მე არასოდეს მომისმენია მისგან საკუთარი თავისა და საქმეების ქება, სამაგიეროდ სხვისი ღირსებების წარმოჩენა მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. მისი ცენზისა და დამსახურებების ადამიანებს ახასიათებთ ერთგვარი ამპარტავნება და სნობიზმი, რაც არასოდეს შემიმჩნევია ბატონი ვანოსთვის. ის იყო მზრუნველი, თანამგრძნობი, ჭეშმარიტი ალტრუისტი, რომელიც ნახევარ სიტყვაშიც ამოიცნობდა ხოლმე რა იყო გასაკეთებელი და არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყებდა დანაპირებს. ყოველთვის საქმეს, იდეას ემსახურებოდა და არა საკუთარი თავის განდიდებას.

დღეს ნელ-ნელა ქრება კლასიკური განათლებისათვის დამახასიათებელი სიკეთე, რომელიც პროფესიასთან ერთად ადამიანს საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვისაც ამზადებდა. როდესაც ინტელიგენტი მხოლოდ ერთი დარგის ინტელექტუალური მუშაკი კი არ იყო, არამედ საკუთარი ქვეყნისა და სულიერი ფასეულობების ქომაგიც. სამწუხაროდ, თანდათან მცირდება ასეთი ხალხის რიგები. აი, კიდევ ერთი შეუცვლელი ქართველი ინტელიგენტი გამოგვაკლდა. ძალიან მძიმეა ამ დანაკარგთან შეგუება... ძალიან დიდია მადლიერება იმის გამო, რომ ის ამდენი ხანი იყო ჩვენს გვერდით.

მანანა ტაბიძე

უფროსი მეგობრის ხსოვნას

ძნელია ისაუბრო მეგობარზე, რომელიც აღარ არის შენს გვერდით. უცნაური განცდა გეუფლება ტკივილის და სევდის.

ჩემი მეგობარი მახსოვს მოყვასის მოყვარული, სულ სიკეთის თესვაზე და ადამიანის დახმარებაზე მოფიქრალი. ის იყო ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებების მატარებელი კაცი... კაცი, რომელიც უბედნიერესი იყო ეკლესიის წიაღში.

ბატონი ვანო სითბოთი და სიყვარულით დადიოდა დედამიწაზე და თითქოს თავისი ფუსფუსით, თავისი ცხოვრების წესით ყოველ წუთს და წამს ემზადებოდა სასუფევლისათვის.

ჩემო უფროსო მეგობარო, მთელი გულით ვატარებ შენს ხსოვნას, შენგან მიღებული ცოდნით და რწმენით გავაგრძელებ ცხოვრებას.

სოსო ტყეებუჩავა

ვანო გორგიძის ხსოვნას

ქვეყნად, ძმაო, არაფერი,
კაცში ისე არ ფასდება,
ვითარც მადლი, ვითარც სული,
ყოველ წამს თუ ლამაზდება.

სიყვარული შენთვის მზეა,
რომ ვერ სწვდება, ვაგლახ, ბევრი.
შენ შესწვდი და ღმერთმაც მოგცა
სივრცე ცისკენ მისაფრენი.

ცაში ასულს ვინ მოგაკლებს
ლოცვას დედა სიონისას,
ალავერდის, ბაგრატის და
მცხეთის სვეტიცხოველისას...

მირონცხებას ვინ მოუშლის
შვილებს შენსას დიდგორისა,
ამაღლებას, ღირსებას და
ძალას წმიდა გიორგისას...

გურამ ტყემალაძე

ვანო გორგიძის ხსოვნას

დღეს ხომ აღდგომაა. ქრისტე აღსდგა. მშვენიერი მზიანი დილაც გაგვითენდა. მე კი ჯერ კიდევ სამებიდან ღამის სააღდგომო ტრანსლაციის შთაბეჭდილება გამომყვა. ისე, მართლაც, ყველაფერი დიდებული იყო, რაც კი ჩვენი რწმენის ღვთაებას – იესო ქრისტე მაცხოვრის დიდებასა და თაყვანისცემას რომ შეშვენის და ეკადრება, აი, ზუსტად ისეთი. თუმცაღა, პირადად მე, ერთი რამ მაინც დამაკლდა, ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის პირად სტიქაროსანთა შორის მას რომ თვალი ვეღარ მოვკარი. დიახაც, ბატონი ვანო გორგიძეა ის კაცი, ვინც ასე ძალიან მოვისაკლისე და რომელიც, ზედმიწევნითი პუნქტუალობითა და მონდომებით ყოველთვის უშურველად ირჯებოდა მსგავსი ტიპის საეკლესიო-სარიტუალო ფერხულში მონაწილეობის მისაღებად. იმას რასაც უწმინდესისათვის მისი სტიქაროსანნი იქმნ და რომელთა რიგებშიაც ძირითადად ჭაბუკი ახალგაზრდები სჭარბობენ, აბა თაკილობა რა საკადრისია მაშინ, როცა საქმე ზოგადად ღვთისა და პატრიარქის მსახურებას ეხება, და ჭარმაგი ბატონი ვანოც ამ მხრივაც შეუდარებლად ჭაბუკური აღმაფრენისა გახლდათ.

ალბათ, ოდესღაც გადაივლის ეს ბედუკუღმართი ახლანდელი დროება და ამ ავბედითი ვირუსული პანდემიით გამოწვეული ფანტასმაგორიაც თავისთავად ისტორიის კუთვნილება გახდება. და ჩვენც, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესურაც, სხვათა მსგავსად, ამჟამინდელი ყოფით ცხოვრებისეულად ისევე გატანჯულნი, ახლა რომ ასე საკუთარი სახლებიდან მთელი მონდომებით ვცდილობთ ვირტუალურ ზუმში ლექციური გარემოს შექმნას, კვლავაც არაერთხელ მივაკითხავთ, ბუნებრივია, ჩვენ-ჩვენ აუდიტორიებსაც და მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსსაც და მესამე სართულზე, სადაც რექტორატია განთავსებული, მის კოროდორში, მე პირადად, აუცილებლად მოვისაკლისებ ისევ იმავე ადამიანს, ამჯერად უკვე როგორც რექტორატის სწორუპოვარ სტიქაროსანს, მუქლურჯ შარვალკოსტუმში გამოწყობილს, დინჯი, მაგრამ საქმიანი ნაბიჯებით მიმავალს და ახლა უკვე მხოლოდ წარმოვიდგენ იმას, როგორადაც წინა წლებში, მსგავს დღეებში, მასთან შემთხვევით კორიდორში შეხვედრისას, მისთვის არაერთხელ მითქვამს: „ჩემო ვანიჩქა, ქრისტე აღსდგა!!!“ და ისიც ღიმილგარეული, მაგრამ სერიოზული გამომეტყველებით, როგორც ზოგადად მას სჩვეოდა ხოლმე, მიპასუხებს: „ჭეშმარიტად აღსდგა!!! და თავის გზას ასევე გააგრძელებს... ღმერთმა ნათელში ამყოფოს! ამინ!!!“

ჯიმშერ ქერქაძე

ბატონი ვანო

ერთი სიტყვით რომ დავახასიათო, ალბათ უპრიანი იქნება ვთქვა: ის იყო ნამდვილი „გეპეელი“, ამ დიდი ოჯახის სასიქადულო წევრი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით...

მისი ოჯახი ხომ სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ჩვენს უნივერსიტეტთან. მამა, ბატონი ალექსანდრე გორგიძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების სათავეებთან იდგა, სწორედ მის მიერაა დაფუძნებული უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი კათედრა.

ცხოვრების ბოლო წლებში, ბატონი ვანო, სხვა დიდ პიროვნებებთან ერთად გახდა უნივერსიტეტის ცხოვრების მემატიანე. იგი იძიებდა და აქვეყნებდა მასალებს უნივერსიტეტის არსებობის იმ ნათელი პერიოდების შესახებ, რითაც ყოველთვის ვამაყობდით და ვამაყობთ ამ კოლექტივის წარმომადგენლები. ამიტომ, კიდევ უფრო დასანანია მისი

გარდაცვალება დღეს, როდესაც კარზეა მომდგარი ჩვენი სასწავლებლის საუკუნოვანი იუბილე.

ჩემთვის ივანე გორგიძე ყოველთვის ბატონ ვანოდ დარჩება. იგი 1997 წელს გავიცანი და მას შემდეგ მეგობრები ვიყავით.

ყველას მოგეხსენებათ, თუ რა დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბატონ ვანოს თეოლოგიის დეპარტამენტის შექმნასა და შემდეგ მის ფუნქციონირებაში. ამ საკითხებთან დაკავშირებით ძალიან ხშირად გვიწევდა შეხვედრები, განსჯა. ის ასევე ოცნებობდა სტუ-ის ეზოში პატარა ეკლესიის აშენებაზე, ამ საკითხებთან დაკავშირებითაც ხშირად გვისაუბრია, გაგვიზიარებია ერთმანეთისთვის ჩვენი მოსაზრებები. თუმცა მიუხედავად მისი ასეთი მონდომებისა, სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ეკლესიის მშენებლობის დაწყება. ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუ მისი ეს სურვილი შემდგომში მაინც შესრულდება.

იგი ყოველთვის იყო კეთილი საქმეების წამომწყები, დამრიგებელი, კარგი მეგობარი, არასდროს ავიწყდებოდა თავისი ახლობლები და თვითონვე უკეთებდა ორგანიზებას მათ შეხვედრებს. დაუვიწყარი იქნება ჩემთვის ყოველ აგვისტოში, მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტის, მეუფე ანანიას დაბადების დღეები. იქ ბატონი ვანო იყო ჩვენი მასპინძელი და ყველაფრის, მათ შორის ტრანსპორტირების ორგანიზატორი. ასე მგონია, მის გარეშე მე იქ ვეღარ მოვხვდები.

არასდროს დამავიწყდება მისი საუბარი, მეგობრული რჩევები და ა. შ.

ნახვამდის მეგობარო – ბატონო ვანო.

რუსუდან ქუთათელაძე

ივანე გორგიძე

ბატონ ივანე გორგიძის დამსახურება უაღრესად დიდია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და, ზოგადად, ქართული ინჟინერული აზროვნების წინაშე. მისი ავტორობითა და თანაავტორობით გამოცემულია სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს სტუდენტი ახალგაზრდობის სამეცნიერო პოტენციალის განვითარებაში. განსაკუთრებულია მისი წვლილი ისეთი ნაშრომის შექმნაში,

რომელშიც მთლიანად და მოცულობით აისახა ყველა დიდი მოღვაწე და, ზოგადად, საინჟინრო მეცნიერების გზა საქართველოში. ამ ნაშრომმა „ქართული ინჟინერიის ოქროს წიგნი“, რომელიც გამოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე, გამოსვლისთანავე მიიპყრო ყურადღება და, დღესდღეობით, აღიარებულია უდიდეს სამეცნიერო, ბიბლიოგრაფიულ ნაშრომად, რომლითაც ნებისმიერ პიროვნებას ექმნება სწორი, გამართული აზრი ქართული ტექნიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ. ბატონ არჩილ ფრანგიშვილთან და სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად, მან უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული საინჟინრო ისტორიის ფუნდამენტური ნაშრომის შექმნას, რომელშიც ასახულია ის ფაქტი, რომ ქართველი ერის გმირული წარსული თავისი უძველესი მატერიალური კულტურით, ცივილიზაციის ყველა ეტაპზე წარმოებისა და ტექნიკის მრავალ დარგში მიღწეული შედეგებით, გამორჩეული და მსოფლიო ინჟინერული აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ტექნიკური მიღწევების მატარებელი ერი იყო. ეს წიგნი გახლავთ უდიდესი საცნობარო ნაშრომი, რომელშიც აისახა ოთხასამდე ქართველი მეცნიერის ტექნიკური აზროვნების წარმომადგენლის ბიოგრაფია და სამეცნიერო მიღწევები. ბატონი ივანე გორგიძე „ქართული ინჟინერიის ოქროს წიგნში“ ასკვნის, რომ: „თანამედროვე ინჟინერიის დარგების ჩამოყალიბებამდე საქართველომ სამეცნიერო და პრაქტიკული განვითარების დიდი გზა განვლო. ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო მიღწევათა კვალდაკვალ იარა ისტორიის ძნელ გზებზე. შეიქმნა შესანიშნავი საინჟინრო-სამეცნიერო სკოლა, რომლის წარმომადგენლებიც თავლსაჩინონი იყვნენ და არიან არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში“.

ი. გორგიძეს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო შრომა, რომელთაგანაც მრავალი დაისტამბა ადგილობრივ თუ საზღვარგარეთის პოპულარულ სამეცნიერო ჟურნალებში. მისი შრომების უდიდესი ღირსება გახლდათ ის, რომ სამეცნიერო პოტენციალთან ერთად, მათი განუყოფელი ნაწილი იყო, პრაქტიკული მნიშვნელობის სხვადასხვა საინჟინრო მოქმედების აღსრულება და განხორციელება შესაბამისი მიზნით.

ინჟინრული აზროვნების ნიჭი ბატონ ივანეს გამოყვა მისი დიდი, სახელოვანი მამისაგან – ალექსი გორგიძისგან, რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ გამორჩეულ ქართველ მათემატიკოსად და მექანიკოსად. სწორედ ის გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (შემდეგში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ერთ-ერთი მესაძირკვლე და საინჟინრო კადრების თავდადებული აღმზრდელი. როგორც მამამისში, ასევე მასში, შეიმჩნეოდა ღრმა კვალი იმერული თავაზიანობისა და თავმდაბლობის, მასში დიდად იყო განვითარებული ყველა ის ღირსება, რომელიც თან ახლავს ავტორეტეტული ქუთაისელის იერ-სახეს. მისთვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო შრომის დიდი სიყვარული, რაციონალური მმართველობისა და ადამიანთმოყვარეობის იშვიათი სტილი. მან სიცოცხლის განმავლობაში უხელმძღვანელა არა ერთ და ორ დიდ სამეცნიერო და საკონსტრუქტორო გაერთიანებას და იყო მრავალათასიანი კოლექტივების დაუღლელი მმართველი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბატონი ივანე მაღალი პროფესიონალიზმითა და რუდუნებით გადასცემდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას, როგორც სტუდენტებს, ასპირანტებს, ახალგაზრდა კოლეგებს, ასევე ამ დარგში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევრებს. სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა სხვა მიმართულებასთან ერთად, მისი უსაყვარლესი საქმე იყო, რადგან იგი ასევე დაჯილდოებული იყო ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭით. აზრის გადმოცემის განსაკუთრებული უნარით. სრულიად ხანმოკლე დროში მას შეეძლო ნებისმიერ ადამიანში აღეძრა დიდი სიმპატია და მოკრძალებაც. სწორედ ამ ადამიანთა რიგში მოვიაზრებ ჩემს თავს, რადგან ბატონ ივანესთან ჩემი ურთიერთობა მოიცავდა, როგორც პირად ურთიერთობებს, ასევე სამეცნიერო ურთიერთობასაც მისი მოზომილი, პრაქტიკული რჩევები და ხშირად დაჟინებული მოთხოვნები, უფრო შინაარსიანს ხდიდა ჩვენს სამეცნიერო აქტიურობას და ყოველ ჩვენგანში აღძრავდა კომუნიკაციური ხელოვნების შესწავლისა და გამოყენების სურვილს.

ბატონ ივანეს მოღვაწეობა უფრო და უფრო მასშტაბური ხდებოდა და ცხოვრების შუაწელში მის ინტერესთა სფეროს შეემატა ისეთი დიდი ყოვლისმომცველი მრწამსი, როგორიცაა ქრისტიანული აზროვნების დიდ სამყაროსთან ზიარება. ამ მხრივ უიშვიათესი იყო მისი ურთიერთობა საპატრიარქოსთან, მის უწმინდესობასთან, ილია II-თან და, განსაკუთრებული – მეუფე ანანია ჯაფარიძესთან, რომელთანაც ერთად, მან მრავალი სასულიერო საქმე განსაკუთრებული რუდუნებითა და დიდი სიყვარულით განახორციელა. იგი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის დეპარტამენტის „შტატგარეშე“, ძალიან ძლიერი და აქტიური თანამშრომელი. მისი ხელშეწყობით მრავალი მნიშვნელოვანი სასულიერო მიმართულების ლიტერატურა დაიბეჭდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი აქტიურად იყო ჩართული ცოცხალ საეკლესიო მსახურებაში და სტიქაროსანის ხარისხით ემსახურებოდა დედა ეკლესიას. იგი იყო გამორჩეული და ერთგული თანამოღვაწე ბატონ არჩილ ფრანგიშვილისა და ბატონ დავით გურგენიძისა, რომელთა მხარდაჭერით ახორციელებდა მრავალ მამულიშვილურ საქმეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ოთარ შონია

კაცი ნათელი და ღირსეული

უპირველეს ყოვლისა გამოვთქვამ უღრმეს მწუხარებას ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ ივანე (ვანო) გორგიძის გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობ ოჯახს, კოლეგებს, მშობლიურ უნივერსიტეტს, მეგობრებსა და იმ საზოგადოებას, სადაც მეცნიერი დაუღალავად მოღვაწეობდა ნახევარ საუკუნეზე მეტხანს.

2011 წელს გამოსვლა დაიწყო (და იარსება 2016 წლამდე) ყოველკვარტალურმა სამეცნიერო-საზოგადოებრივმა ჟურნალმა „სამი საუნჯე“. რომელმაც იმთავითვე მიიქცია საზოგადოების ყველა ფენის ყურადღება. მას მრავლად ჰყავდა გულშემატკივარი და იმავდროულად ოპონენტები და უსამართლოდ გამკიცხველნი. ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა უამრავი საინტერესო, მნიშვნელოვანი და საყურადღებო პუბლიკაცია, სადაც განხილული იყო იმ ფასეულობებით და იდეალებით სავსე წერილები, რომელთაც თაობები ეწირებოდა. რედაქტორ-გამომცემელი, სარედაქციო საბჭო და ავტორები გამოირჩეოდნენ დიდი გულისხმიერებითა და მაღალი პროფესიონალიზმით. შესაბამისად, აუცილებელი შეიქმნა ჟურნალს მინიჭებოდა რეფერირებადი ჟურნალის სტატუსი, რათა ეპასუხა იმ მოთხოვნებისათვის, რომლის „წყალობითაც“ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდოდა.

საკითხის მოგვარების მიზნით ჯერ მივმართეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შემდეგ კი მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, საიდანაც მივიღეთ გაურკვეველი შინაარსის პასუხები, რამაც ცხადია, არ დაგვაკმაყოფილა და კვლევა გავაგრძელეთ, რამაც მიგვიყვანა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ჯერ მიმიღო რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა, ხოლო აუდიენციის მსვლელობისას შემოგვიერთდა ბატონი ივანე გორგიძე, ვისთანაც უნდა განგვეხილა აღნიშნული პრობლემა.

ეს იყო 2013 წლის თებერვლის ერთი ნაცრისფერი და წვიმიანი დღე.

ბატონმა ვანომ კაბინეტში შემიპატიჟა და ვისაუბრეთ ყველაფერზე რეფერირებადი ჟურნალის გარდა. ბოლოს ეს საკითხიც ჩაინიშნა და დაახლოებით 2 საათის შემდეგ დავტოვე სამუშაო სივრცე – სადაც იგრძნობოდა საოცრად თბილი ატმოსფერო, და რაც მთავარია – გულიანი და სულიანი კაცის ყოფნა.

სამწუხაროდ, მრავალი მიზეზის თუ უმიზეზობის გამო, ჟურნალს „სამი საუნჯე“ რეფერირებადი ჟურნალის სტატუსი არ მიენიჭა, მაგრამ ძიება-ძიებაში აღმოვაჩინე ბატონი ვანო – ერთგული, პრინციპული, თანამდგომი და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილი.

ბატონ ვანოს მიმართ ჩემი შეხედულებები განმიმტკიცდა მაშინ, როდესაც ჩემი მეგობრების დეკანოზ ლევან მათეშვილის რჩევითა და გიორგი ნადარაიას ფინანსური შემწეობით, 2017 წლის სექტემბერში ჩავირიცხე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში თეოლოგიის მიმართულებით.

სამი წლის განმავლობაში მე ვხედავდი მშრომელ და აქტიურ ადამიანს, ენერგიულსა და იუმორით აღსავსეს. ვხედავდი თავდაუზოგავსა და მრავალი ინიციატივის ავტორს. მარად ახალგაზრდასა და შემართებით მყოფს.

იმ საშვილიშვილო და სამამულიშვილო საქმეში, რომელსაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) ეწევა 2001 წლიდან, გვერდით ედგა საიმედო დასაყრდენი და გამორჩეულად გონიერი ადამიანი ბატონი ვანო გორგიძე.

ბატონი ვანო მე ასე გავიცანი და ასე მემახსოვრება. ღიმილით, მადლიერებით გაბრწყინებული თვალებითა და სიყვარულით სავსე, გულწრფელი სიტყვებით, რომელსაც არასოდეს იშურებდა ღირსეული ადამიანების მიმართ. რაც ასე გვაკლია ამ მშფოთვარე და ქაოტურ ეპოქაში.

იყო მოურიდებლად სამართლიანი, მკაცრიც და ძლიერიც, რომლის გარეშეც რთული იყო იმ საქმის კეთება, რასაც მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმე ჰქვია, ურომლისოდაც გამორჩეული პროფესორის ცხოვრება უფერული იქნებოდა.

ვწუხვარ იმის გამოც, რომ ბატონი ვანო ბოლო გზაზე ვერ გავაცილე, რადგან მე თავად კოვიდინფიცირებული ვიყავი იმ სასტუმროში, საიდანაც ნათლად ჩანდა სიონის დედაეკლესია, სადაც ესვენა სამშობლოზე, ხალხსა და საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული სულმნათი მამულიშვილი.

ჩამოკრა ზარებმა.

წარმოვიდგინე როგორი განცდით ემშვიდობებოდა საზოგადოება ღირსეულ და ნათელ კაცს და თვალები ცრემლებით ამევსო. სასტუმროს ნომრის აივანზე გავედი და ტაში დავუკარი იმ ადამიანს, რომლის ცხოვრების კრედო იყო ამოუწურავი და მრავალმხრივი.

შევთხოვ უფალს, სულმან მისმან კეთილთა შინა განისვენოს და ნათესავმა მისმან დაიმკვიდროს ქვეყანა, ამინ!

მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი

ჩემ ვანიჩკაზე

ერთი სიტყვითაც შევძლებდი შენთვის ჩემი ძირითადი სათქმელის დაწერას და ეს სიტყვა, რაოდენ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, „მადლობა“ იქნებოდა. მადლობა იმისთვის, რომ არსებობდი და ჩემი საუკეთესო კაცი-მეგობარი იყავი და ასე იქნება ყოველთვის.

მეგობრებს ჩვენ ვირჩევთ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ესენი არიან ადამიანები, ვისაც ვენდობით, პატივს ვცემთ და გვაინტერესებს. კარგი მეგობრობა დამყარებული უნდა იყოს გულწრფელობაზე, ერთგულებასა და მხარდაჭერაზე. სწორედ ასეთი მეგობარობა გვაერთიანებდა მე და მას. ჩემი ვანიჩკა 2007 წელს გავიცანი, მაშინ შუათანა ვაჟზე გახლდით ფეხმძიმედ და სადისერტაციო თემაზე ვმუშაობდი. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა ჩვენს დიდ მეგობრობას საფუძველი და დაიწყო დაუსრულებელი ერთიანობის პერიოდი.

საოცარი ადამიანი გახლდათ, გამძაფრებული პასუხისმგებლობის გრძნობით, განსაკუთრებულად ზრუნავდა გარშემო მყოფებზე და არა მარტო. გახლდათ უზომოდ ენერგიული, მხიარული, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა ახლობლებისთვის მოსაყოლი საინტერესო და მხიარული ამბები.

ეჰ... რამდენი რამის გახსენება შემიძლია: უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობიდან დაწყებული ...ყაზბეგის მთებში გატარებული დროით დასრულებული. ჩემი ოჯახის სრულფასოვანი წევრი გახლდათ და ის უზომოდ გვიყვარდა.

და მოგონების დასასრულს მსურს ჩემი ეპილოგი მის გარდაცვალების დღეს დაწერილი სიტყვებით დავასრულო: „არაფერი ხდის დედამიწას იმდენად ფართოს, როგორც მანძილი მეგობრებს შორის, ისინი გრძედებს და განედებს ზომავენ“ ... არ გემშვიდობები.

მაკა ხართიშვილი

გასახსენებელი ბევრია

ბატონი ვანო გორგიძე, 1978 წლიდან იყო მისივე ინიციატივით და თაოსნობით შექმნილი ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი.

ცენტრის შექმნის პროცესში არსებულ პრობლემებზე, სირთულეებზე, გამოწვევებზე ძნელია საუბარი, თუმცა მისი ორგანიზაციული შესაძლებლობები, რთული პრობლემების მართვის და დროული გადაწყვეტილებების მიღების უნარი ცხადად გამოჩნდა.

ბატონი ვანოს ძალისხმევით მოხდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის და სხვა უნივერსიტეტების ხელმძღვანელობასთან შეთანხმება და უკვე 1979 წლის კურსდამთავრებული სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა, ინფორმატიზაციის სამეცნიერო ცენტრში დაიწყო სამსახური. საქართველოს აკადემიის გამოთვლითი ცენტრიდან და სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებიდან მოწვეული იქნა უფრო გამოცდილი სპეციალისტები, მეცნიერ თანამშრომლები და შეიქმნა საკმაოდ ახალგაზრდული, ძლიერი კომპეტენციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

გასახსენებელი ბევრია, მაგრამ არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს, ბატონი ვანოს, როგორც გენერალური დირექტორის (ამ დროს ის 37 წლის ბრძანდებოდა) თბილი განწყობა და კეთილი დამოკიდებულება თანამშრომლებთან. აუცილებელი სიმკაცრის პარალელურად ის მუდმივ რეჟიმში ზრუნავდა ახალგაზრდა სპეციალისტებზე, მათ პრობლემებზე, პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე.

მაგალითად, მისი ინიციატივით და თაოსნობით ოთხი ახალგაზრდა მივლინებული იქნა მოსკოვში, მართვის პრობლემების ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მივლინება. სწავლის პროცესს თან სდევდა ბატონი ვანოს მუდმივი ყურადღება, ზრუნვა და საჭირო კონტროლიც. ამ ახალგაზრდებმა წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო სამეცნიერო დისერტაციები და დაუბრუნდნენ სამსახურს. მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ქონდათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც უკვე სწავლობდნენ ასპირანტურაში და მუშაობდნენ დისერტაციაზე.

რეგულარულად ხდებოდა თანამშრომლების მივლინება მოსკოვში და სხვა რესპუბლიკებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, სამეცნიერო სკოლა-სემინარებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ბატონი ვანოს თაოსნობით, სა-

ქართველოშიც ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია და სკოლა-სემინარი ქართველი მეცნიერების აქტიური მონაწილეობით.

ძნელია შეეხო ყველა საკითხს, პრობლემას თუ გამოწვევას, რომელიც ბატონი ვანოს ძალისხმევით სასიკეთოდ გადაწყდა ქვეყნისთვის, ქალაქისთვის, ადამიანებისთვის. ისინი საკმაოდ ბევრია.

უფალმა გაანათლოს ბატონი ვანოს, როგორც ძალიან კეთილი, თბილი, მზრუნველი, გულისხმიერი ადამიანის ლამაზი სული.

სულხან ხუციშვილი

სიკეთის უანგარო გამცემი

შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ვანო იყო ღვთის წინაშე მლოცველი... ამის საფუძველს გვაძლევს წმინდა გრიგოლ ნოსელის სწავლება, რომელიც სიკეთის კეთებას ლოცვას უთანასწორებს და უმეტეს შემთხვევაში მასზე მაღლაც კი აყენებს. ბატონი ვანო კი სიკეთის მკეთებელი და მეტისმეტად მოუღლელი პიროვნება იყო, განსაკუთრებით, ამ საქმეში. მისი ეს დამოკიდებულება საკუთარ თავზე გადამხდენია არა ერთ შემთხვევაში, ეს იქნება მაგისტრატურის დამთავრება თუ შემდეგ, ამ პროფესიით, თეოლოგიის კათედრაზე დასაქმება. არ მეგულება, ბატონ ვანოსთან მიმართებაში, საერთო ნაცნობი, რომლისთვისაც დახმარების ხელი არ გაეწიოს. რაც მთავარია, მისი სიკეთე იყო უანგარო და გონიერებით გაკეთებული, ყოველგვარი დათვური სამსახურის გაწევის გარეშე. ღმერთმა გაანათლოს მისი უკვდავი სული იმ ქვეყანაში; სიკეთეები კი სურნელებად ასულიყოს ზეცად მისი მარადიული სამკვიდრებელის აღვსებად.

იოანე (ჯემალ) ჭიღლაძე

სანიმუშო და მისაბაძი პიროვნება

ბატონ ვანო გორგიძესთან ჩემი დამეგობრება ათი წლის წინ მოხდა; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში შევხვდით ერთმანეთს – რომ იტყვიან, გულმა გული იცნოო, იმ წამიდან დავმეგობრდით...

ათი წელი სავსებით არაა საკმარისი პერიოდი მეგობრობის, ძმობის სახსენებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა უამრავი სასიამოვნო, სიყვარულითა და სითბოთი დახუნძლული მოგონება დამრჩა ბატონ ვანოზე.

ჩვენ შორის საკმაო ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, გულწრფელი, უშუალო და სადა მეგობრობა გვქონდა; ამაში მისი დახმარება იყო გადამწყვეტი, რადგან ზოგადად დიდი დამსახურება იყო გადამწყვეტი, რადგან ზოგადად დიდი ბუნებისა, დიდი გულისა და სულის პიროვნებები უბრალოებით, სისადავითა და თავმდაბლობით ხასიათდებიან... აი, ასეთი კაცი იყო ვანო გორგიძე. თავისი ასეთი ბუნებიდან გამომდინარე სულიერ კომფორტს მიქმნიდა ურთიერთობაში;

დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რადგან ვიცი უამრავი დამეთანხმება ამაში, რომ ბატონი ვანო გორგიძე მისაბაძი და სანიმუშო იყო თავისი ცხოვრების წესით ყველასთვის, ვინც აფასებს კაცთმოყვარეობას, მამულიშვილობას, პროფესიონალიზმს, ჭეშმარიტ ინტელიგენტობას...

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი ლამაზი სული... ამინ!!!

ივანე ჯაგოდნიშვილი

აზონი და ფარნავაზი ერთიანი ქართული კულტურისა და სახელმწიფოს სათავეებთან

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

შესავალი

ამჟამად, ოფიციალური ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ ძველთაგან საქართველოში არსებობდა ორი კულტურა და, სამწუხაროდ, ამ მტკიცებას იმეორებს სამთავრობო საიტიც - http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=193 ...26.11.2020.

ასევე, საზოგადოდ, მიაჩნევა, რომ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა მხოლოდ მე-11 საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როცა ჩვენი ძველი ისტორიოგრაფიის თანახმად, პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე და **ამ ერთიან ქვეყანაში, მეფე ფარნავაზის ეპოქიდანვე, მხოლოდ ერთი კულტურა არსებობდა, ერთი მწიგნობრობით, საერთო ენითა და წარმართული რელიგიით, ხოლო გაქრისტიანების შემდეგ ერთი სარწმუნოებითა და ერთი ეკლესიით.**

მაშასადამე, ეროვნული წყაროების თანახმად, ძვეელთაგან საქართველოში არსებობდა ერთი კულტურა და არა ორი, ხალხის იდენტობის მთავარი ნიშანი კი კულტურა იყო.

ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ აზონისა და ფარნავაზის მიერ დაარსებულმა სახელმწიფომ ერთიანი სახით იარსება დიდხანს და ის კვლავ ერთიანი იყო მეფების ადერკის, წმ. მირიანისა და წმ. ვახტანგ გორგასლის დროს.

ამ ერთიან ქვეყანაში შემოსულან წმიდა მოციქულები, ერთიან ქვეყანაში დამტკიცებულა ქრისტიანობა სახელწიფო სარწმუნოებად, თარგმნილა წმიდა წერილი და გაქრისტიანებისთანავე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ერთი ქართული ენით იდიდებოდა უფალი ღმერთი, ანუ ჩვენში ძველთაგანვე მიიჩნეოდა, რომ საქართველოში არსებობდა მხოლოდ ერთი კულტურა და არა ორი, როგორც ეს ამჟამად მიიჩნევა.

ძველი თვალსაზღვისი კარგადაა ასახული „ძეგლისწერაში“, რომელსაც ქვემოთ ვეხებით.

ამ ძველ თვალსაზრიის მხარს უჭერენ მსოფლიო ეკლესიის ისტორიის ფუძემდებლების გელასი კესარიელი (მე-4 ს.) და გელასი კვიზიკელის (მე-5 ს.) ცნობები, რომ წმიდა ნინომ ლაზები და იბერები ერთად მოაქცია (გეორგიკა, 1. 1961, გვ. 186), რაც იმას ნიშნავს, რომ წმიდა ნინოს მიერ დაარსებული საქართველოს ეკლესია უკვე იმთავითვე ერთიანი იყო, და შესაბამისად, ქართული ეკლესია, მათი ცნობით, იმთავითვე მოიცავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.

მირიან მეფე
http://www.allgeo.org/Irakli/History/IV_BC-V/Iberian_King_Mirian_III.jpg

გელასი კესარიელისა და სხვათა თვალსაზრისს განამტკიცებდნენ წმიდა მამები რუის-ურბნისის საეკლესიო კრების უმთავრეს დოკუმენტში (ძეგლისწერაში), რომ წმიდა ნინომ მოაქცია **„ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“**,

ხოლო წმიდა ანდრია მოციქულმა იქადაგა სრულიად საქართველოში, **„ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“** (http://meufeanania.info/უცხოური-სომხური-და-ქართუ/).

მაშასადამე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი ერთი კულტურის მატარებელი იყო ძველთაგანვე, ამ ფაქტს სომხური ისტორიოგრაფიის მამად წოდებული მოვსეს ხორენაციც (მე-5 ს.) კი მიანიშნებს, როცა ის წერს, რომ წმიდა ნინომ ქართველი ხალხი მოაქცია **„კლარჯეთიდან მასქუთებამდე“**, ანუ შავიზღვისპირიდან, ვიდრე თითქმის კასპიის ზღვამდე, შესაბამისად ამ არეალზე მოქცეულ ხალხს ერთი ეკლესია (შესაბამისად, ერთი კულტრა) აერთიანებდა.

მაშასადამე, ძველი ისტორიოგრაფია გვასწავლის რომ პირველ ათასწლეულში ერიანი კულტურა აერთიანებდა ქვეყნის ორივე ნაწილს.

ამ ძველქართული ათასწლოვანი სწავლების საპირისპიროდ, როგორც უკვე აღინიშნა ამჟამინდელი ოფიციალური საიტი მკითხველს არწმუნებს რომ ამ არეზე არსებობდა ორი კულტურა, ორი სახელმწიფო.

მტკიცების გავრცელება, რომ **ფარნავაზმა „აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო შექმნა“** და თანაც ოფიციალური საიტით, წარმოადგენს წყაროს გამრუდებას, რადგანაც მეფე ფარნავაზის ღვაწლის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი წყარო „ცხოვრება ფარნავაზისი“ ხაზგასმით მიუთითებს, რომ მის მიერ დაარსებული სახელმწიფო **იყო არა „აღმოსავლურ-ქართული“ არამედ ერთიან ქართული, ერთი ენისა და კულტურის მქონე.**

ჩვენამდე მოღწეული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით ფარნავაზისა და აზონის მიერ დაარსებულ სახელმწიფოში შედიოდა ეგრისი და, საერთოდ, დასავლეთ საქართველო ლიხის ქედიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე.

საოცარია, თითქოსდა მემატიანემ წინასწარ განჭვრიტა ეს საკითხი და ამიტომ ხაზგასმით მიუთითა, რომ ამ სამეფოში ერთადერთი კულტურა, მწიგნობრობა და სახელმწიფო ენა არსებობდა, არა „ორი კულტურა“, არამედ ერთიან ქართული.

აღსანიშნავია, რომ მემატიანე ასევე მიუთითებს – პირველ ერთიან საქართველოს სახელმწიფოში ასევე ერთიანი სამმართველო და საფინასო სისტემები არსებობდა, რომ ეგრისის ერისთავი ქართლის სამეფოს ერთერთი უმთავრესი დამაარსებელი იყო.

ფარნავაზის უდიდესი ღვაწლია ის, რომ მისი რეფორმების წყალობით მისი **სამეფო მოიცვა ერთიანმა მწიგნობრობამ და ენამ.**

მემატიანე მეფე ფარნავაზის შესახებ წერს –

„ამან განავრცო ენა ქართული,

და არ-ღა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა.

და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ქუჯის საოცარი მზაობაა აღწერილი მემატიანის მიერ, რათა შეიქმნას ერთიანი სახელმწიფი, კერძოდ ის ამბობს ცნობილ ფრაზებს –

„გამოვჩნდეთ მტერად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა ... შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი“

და ეგრისში შეგროვილი სპით ანუ ეგრისში ჩამოყალიბებული ლაშქრითა და რაც მთავარია ეგრისში შემუშავებული იდეოლოგიით ჩამოყალიბებულა ერთიანი სახელმწიფო.

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ: „ქართლიც ცხოვრება“ საგანგებოდ მიუთითებს, რომ ფარნავაზის სახელწიფო აერთიანებდა საქართველოს ორივე გეოგრაფიულ ნაწილს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, რომ მის მიერ დაარსებული სახელმწიფოს ფუძემდებელი მასთან ერთად იყო ეგრისის ერიათავი ქუჯი.

ქუჯისა და ფარნავაზის ერიან სახელმწიფოს, როგორც მრავალჯერ ითქვა, აერთიანებდა ერთი წარმართული რელიგია, ერთ ენასა და მწიგნობრობასთან

ერთად, რაც საერთო კულტურის ნიშანია. მემატიანემ საგანგებოდ მიუთითა, რომ ფარნავაზმა ქუჯი დანიშნა ეგრისის ერისთავად.

არა მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“, მეორე, კიდევ უფრო ძველი საისტორიო წყრო „მოქცევაი ქართლისაი“ მეფე აზოს (აზონს) მიიჩნევს პირველი ქართული ერთიანი სახელმწიფოს ფუძემდბლად.

ეს წყაროც („მოქცევაი ქართლისაი“) გვამცნობს, რომ აზონმა დაარსა არა **„აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო“**, არამედ ერთიანი ქართული და მასში დასავლეთ საქართველოც შედიოდა, რადგანაც ამ წყაროს მითითებით ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი მდინარე ეგრისწალზე გადიოდა.

რითაა საინტერესო ეს წყარო ჩვენთვის?

იმით რომ „მოქცევაი ქართლისაის“, მტკიცებით, როგორც აღინიშნა, აზონის მიერ დაარსებულ სახელმწიფოში დასავლეთ საქართველოც შედიოდა ქრისტეშობამდე 400–300 წლით ადრე.

მართალია ეს ორი წყარო ერთმანეთთან ვერ თანხმდება თუ ვინ იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს პირველი მეფე, აზო (აზონი) თუ ფარნავაზი, ამასთანავე სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ მომენტს, მაგრამ ორივე მტკიცედ მიუთითებს, რომ ამ სამეფოს დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, ანუ **დასავლეთ საქართველო ამ სამეფოს ნაწილი იყო.**

„მოქცევაი“ დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ეგრისი ქართლის სამეფოში შედიოდა ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 336–323) ეპოქიდანვე, რადგანაც, მისი დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე (ამჟამინდელ აფხაზეთში), და შესაბამისად, შავ ზღვაზე.

„მოქცევაი“ წერს –

„და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჲ არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა **მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრისწყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისა“** („მოქცევაი ქართლისაი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 81)

http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva1.html

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ: უძველესი ქართული წყარო, „მოქცევაი ქართლისაი“, მიიჩნევს, რომ აზონის დროს პირველი ქართული სახელმწიფო **„აღმოსავლურ-ქართული“** კი არ იყო, როგორც ამჟამად მიიჩნევა, არამედ ზოგადქართული. ის მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, ეგრისს, ვიდრე მდინარე „ეგრისწყლამდე“.

როგორც აღინიშნა, ამავე ეგრისწყალს მიუთითებს „ქართლის ცხოვრება“ ფარნავაზის ცხოვრების აღწერისას მისი სამეფოს დასავლეთ საზღვრად.

საერთო ენასთან დაკავშირებით, ძალზე მნიშვნელოვანია მემატიანე არსენ ბერის მითითება.

აზონის ეპოქიდანვე ერთი ენის, ანუ, ერთიანი კულტურის უმთავრესი ნიშნის არსებობის საკითხს – საგანგებო ყურადება მიაპყრო მე-12 საუკუნის საეკლესიო მოღვაწემ – არსენ ბერმა.

წმ. დავით აღმაშენებლის მოძღვრი არსენ ბერი იძლევა ცნობას „მოქცევაი ქართლისაის“ განხილვისას – **„ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან ქართლიდან გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“.** (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ.III, გვ.47).

ანუ ქართული ენა, არა თუ აზონის მიერ დაარსებულ ქართლის სამეფოში იყო სახელმწიფო ანუ საერთო-სახალხო, არამედ, აზონის მამის ქვეყანაშიც კი, არიან-ქართლში.

არიან-ქართლშიც კი ქართული ენა სერთო – სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე იყო, რადგანაც არსენ ბერის სიტყვით, არიან-ქართლის ხალხის ენა იყო ქართული ენა, როცა, როგორც აღვნიშნეთ, წერს – „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან ქართლიდან გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“, აზონისა და მისი სამხედრო არისტოკრატიის უფრო ჩრდილოეთით, მცხეთის ქართლში გამოსვლის

შემდეგ კი, აზონის მიერ დაარსებული სახელმწიფო დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა, როგორც აღინიშნა, ამ სახელმწიფოს ხალხის ენა კი იგივე ის ქართული ენა იყო, რაც იყო მათი წინაპრების ენა არიან-ქართლში.

ქართლის სამეფოს ხალხის ენა ის ენა ყოფილა, რაც იყო არიან-ქართლის ენა, ესაა ქართული ენა, ანუ, მთელი ამ ვრცელი რეგიონის მოსახლეობა ჰერეთიდან შავზღვამდე ერთ ქართულ ენაზე მეტყველებდა, რაც კულტურის მთლიანობის ნიშანი იყო.

„მოქცევაი ქართლისაის“ ავტორიტეტს ამაღლებს ის, რომ, როგორც მიიჩნევა, მასში შესულია ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ჩაწერილი ქრონიკები.

სიახლე და მიზანი

რატომ ვსაუბრობთ ამ საკითხზე, რა წარმოადგენს ნაშრომის მიზანს?

ოფიციალური ხაზგასმა იმისა, რომ არსებობდა ორი კულტურა, საფუძველს აძლევს ამჟამად მომრავლებულ სეპარატისტებს ამტკიცონ რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას წილი არ მიუძღვის დიადი ქართული კულტურის შემოქმედებაში, რომელიც IV–X საუკუნეებში შეიქმნა – ამ საუკუნეებში შემუშავდა ქართული სალიტერატურო ენა, ითრგმნა წმიდა წერილი, ჩამოყალიბდა ქართული მწერლობა, არქიტექტურა, თავის ბრწყინვალე ბაზილიკებითა და ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიებით, ეროვნული ფერწერა და სხვა.

არსებობს კულტურის მთლიანობის მამტკიცებელი მრავალი მაგალითი, ვთქვათ, პალესტინაში იოანე ლაზის მონასტერში აღმოჩენილი მე-5 საუკუნის პირველი ქართული წარწერები, ნიშანი იმისა, რომ იოანე ლაზის სახით, ლაზები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, შემოქმედი იყო იმჟამინდელი ქართული კულტურისა და სალიტერატურო ენისა.

კულტურისა და ეკლესიის მთლიანობას მიუთითებს, რომ მე-6 საუკუნეში კირიონ ქართლის კათალიკოსი ეგრისის არქიეპისკოპოსი იყო, რომ მარტვილის მე-7 საუკუნის ეკლესია მცხეთის ჯვარ-გუმბათოვანი სტილითაა ნაგები, ხოლო მე-10 საუკუნის ეგრისელი იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიამ საფუძველი ჩაუყარა შემდეგი საუკუნეების ქართული პოეზიის დიდებულებას და სხვა.

კულტურის მთლიანობის უამრავი ფაქტი მიუთითებს ქართული კულტურის მთლიანობას პირველ ათასწლეულშივე.

ამჟამინდელი თავდაჯერებული მტკიცება იმისა, რომ დასავლეთ საქართველო თითქოსდა არასოდეს შედიოდა იბერიის შემადგენლობაში, წარმოადგენს უარყოფას წყაროების პირდაპირი ჩვენებებისა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას თავისი იბერიელობა კარგად ახსოვდა მე-20 საუკუნემდე, და ეს დაივიწყეს იმის შემდეგ, რაც საბჭოთა ისტორიკოსებმა ჩაუნერგეს, რომ ისინი იყვნენ არა იბერები, არამედ კოლხები. ეს კარგად ჩანს XVII–XIX საუკუნის დოკუმენტებში. მაგალითად მე-18 საუკუნეში შედგენილ „ივერიელთა ერთობის ტრაქტატში“, სადაც ოდიშისა და იმერეთის წარმომადგენლები თვაიანთ თავს ივერიელებს უწოდებენ. ისინი წერენ „ჩვენ ყველა ივერიელებს, ქართლში, კახეთში, იმერეთში, ოდიშსა და გურიაში მცხოვრებთ“... – **„ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერისა, ოდიშისა და გურიისათა“.**

ივერიელებს, ანუ ქართლელებს, კახელებს, იმერლებს, მეგრელებსა და გურულებს ამთლიანებდათ ერთი სარწმუნოება, ეკლესია, ერთი ენა და სისხლით ნათესაობა – როგორც ამ სახელმწიფო დოკუმენტშია ნათქვამი.

იქ დამატებულია, რომ ყველა ისინი ვალდებულნი იყვნენ ყვარებოდათ ერთმანეთი, რადგანაც ერთი სისხლი ანუ გენეტიკა აერთიანებთ. ამ დოკუმენტში ნათქვამია –

„ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთი მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა სიყვარული ვი-

თარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის“. http://www.georoyal.ge/?id=1894

უფრო ადრე, მე-17 საუკუნეში, ლევან დადიანს რუსეთის ხელმწიფე ოფიციალურ დოკუმენტებში „ივერიის მეფეს“ უწოდებდა, ხოლო, თვთ ლევან დადიანიც თავის თავს „ივერიის ხელმწიფეს“ უწოდებდა. სინამდვილეში ის სამეგრელოს მთავარი იყო, მაგრამ მისი დოკუმენტები ასახავს იმ ფაქტს, რომ მის დროს სამეგრელო ივერიის ნაწილად მიაჩნდათ.

მე-19 საუკუნეშიც, სამეგრელოს მთავრების შთამომავლები თავიანთ თავს ივერიელებს უწოდებდნენ, არა მხოლოდ ისინი, აფხაზეთის მთავარი გიორგი შერვაშიძეც თავის თავს ივერიელს უწოდებდა.

მხოლოდ მე-20 საუკუნეში ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების დაჟინებული მოთხოვნით შეიცვალა ეს თვითშემეცნება.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის დიდ გერბზე აღმოსავლეთ საქართველო ასახულია ქართლის გერბით – герб Карталинии, დასავლეთ საქართველო კი ასახულია ივერიის გერბით – герб Иверии (დასავლეთ საქართველოს ივერიად წოდება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები რუსეთის იმპერიაში თავისი ელჩების საშუალებით თავს წარადგენდნენ, ივერიის მეფე-მთავრებად http://meufeanania.info/gerbius.

იმდენად მრავალ დოკუმენტურ მასალაში ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს ივერია, რომ მე-19 საუკუნესა და მე-20 ს. დასაწყისში მრავალი მეცნიერი (მაგალითად ნ. მარი) მიიჩნევდა, რომ ივერია – დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა უცხოურ მასალებში.

აღსანიშნავია, ის საოცარი ფაქტიც, რომ, თითქმის მსგავსადვე, ოფიციალური ისტორიკოსების ნაწილი **კახეთის, ვიდრე თელავამდე, უცხო სახელმწიფოს – ალბანეთის სამეფოსა და ალბანეთის საკათალიკოსოს ნაწილად მიიჩნევეს**, რაც ასევე წარმოადგენს წყაროების, კერძოდ პლინიუსის, პტოლომეს, და სხვათა ცნობების არასწორი გააზრების შედეგს (იხ. წიგნი „ქართული ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში, ალბანეთი“ (2019).

მსგავსი ქმედება ივანე ჯავახიშვილმა ასე შეაფასა: „არ იღწვის მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის“.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა „ჩვენ ქართველთაისა“ („სასწაულნი სვეტიცხოვლისა“). ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 340).

ზოგიერთი ამჟამინდელი ქართველი მეცნიერის მსგავს დებულებებს, რომ დასავლეთ საქართველო და, ასევე, კახეთი თითქმის თელავამდე, X–XI საუკუნეებამდე არ შედიოდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, თავის თეორიულ ნაშრომებში მტკიცების სახით აქტიურად იყენებენ აფხაზი საეკლესიო სეპარატისტები და სხვა სეპარატისტული ჯგუფები, ასევე ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ტერიტორია

თელავამდე ალბანეთის სამეფოში შედიოდა და ამიტომაც გამოთქვამენ შესაბამის პრეტენზიას, აღსანიშნავია ასევე, რომ ეს არასწორი თეორია ისწავლება საქართველოს სკოლებსა და სასწავლებლებში, რითაც კნინდება ახალგაზრდა თაობის ეროვნული თვითშემეცნება.

როგორც აღინიშნა, ქართულ წყაროებს არ ეთანადება მტკიცება, რომელიც, დევს ოფიციალურ საიტზე, კერძოდ:

„არსებობდა ორი კულტურა დასავლეთ ქართული – კოლხური და აღმოსავლეთ ქართული – იბერიული. ფარნავაზმა ძვ.წ. IV-III საუკუნის მიჯნაზე შექმნა პირველი აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო – ქართლის სამეფო“ .
http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=193

„კოლხეთში ქუჯი ერისთავს
https://ka.wikipedia.org/wiki/farnavaz_I

კოლხეთის მამასახლისს ქუჯს
https://ka.wikipedia.org/wiki/farnavaz_I“

როგორ შევათავსოთ ერთმანეთს ამჟამინდელი ოფიციალური საიტის მტკიცება, რომ არსებობდა ორი კულტურა, და მაგალითად დიდი მეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას საპირისპირო მტკიცებას, გამოთქმულს 1958 წელს მის მიერ გაწეული კვლევების საფუძველზე, რომ ქართული სალიტერატურო ენა (მე-5 საუკუნისათვის) შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ –

„ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, – იქნება ეს ქართველი – ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა“.

ეროვნული ენის ანუ სალიტერატურო ენის ერთიანობა, კი კულტურის ერთიანობის ნიშანია.

ქართული წყაროების მიხედვით როგორც მეფე აზონი (მოქცევაი ქართლისაი), ისევე მეფე ფარნავაზი (ქართლის ცხოვრება) იყვნენ არა „ე.წ. „აღმოსავლურ ქართული“ არამედ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლები.

ამასთანავე, ამ წყაროების მიხედვით ქუჯი არ ყოფილა „კოლხეთის“ ერისთავი ან მამასახლისი, არამედ, მას „ეგრისის ერისთავის“ ტიტული მიანიჭა მეფე ფარნავაზმა, მით უმეტეს, ის არ ყოფილა „კოლხეთის მეფე“, როგორც ამჟამადაა ოფიციალურად ცნობილი **(„ქუჯი – კოლხეთის მეფე (ერისთავი) დაახლოებით ძვ. წ. 325-ძვ. წ. 280 წლებში. ქართლის მეფის, ფარნავაზის მოკავშირე და თანამებრძოლი.“** https://ka.wikipedia.org/wiki/ქუჯი

რაც შეეხება კოლხეთს, უნდა განვასხვავოთ თუ რომელი ეპოქის კოლხიდა იგულისხმება,

სხვაა „კულხა“, „კოლხა“-კოლხეთი, ის იხსენიება ძვ.წ. XII საუკუნეში ასირიულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში. ესაა ძლერი კოლხეთის სახელმწიფო, რომელიც განადგურდა კიმერიელების შემოსევების შემდეგ ქრისტეშობამდე დაახლოებით ძვ. წ. VIII–VII საუკუნეებში და სხვაა კოლხეთი სტრაბონის ეპოქისათვის, რომელიც იყო არა სახელმწიფო, არამედ ისტორიული ოლქი, მხოლოდ ნაწილი ან გავლენის სფერო რომისა და შემდეგ ბიზანტიის სახელმწიფოსი.

როგორც აღინიშნა ამ ზოგადქართულმა კოლხეთის სახელმწიფომ (კოლხიდამ) იარსება ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის შუა საუკუნეებამდე და ის დასუსტდა სკვით-კიმერიელების შემოსევების შედეგად.

ის ყოფილა ბრინჯაოს ეპოქის ბოლოსათვის კავკასიაში დაარსებული პირველი ქართული სახელმწიფო.

ძველი კოლხური კულტურის არეალი (დაახლოებით ძვ. წ. XII–VII სს.) ფარავდა და მოიცავდა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოსაც, ცხინვალში, ხევში (ყაზბეგის რაიონში), დიღომში (თბილისში) და სევანის ტბასთან, და იქვე, ლალვარში, აღმოჩნდა კოლხური არქეოლოგიური არტეფაქტები.

ჩრდილოკავკასიში გავრცელებული ყობანის ცნობილი კულტურა, იგივე კოლ-

ხურია. მისი შემოქმედია ჩრდილო კავკასიაში მიგრირებული სამხრეთკავკასიური მოსახლეობა, რაზეც მიუთითებს ქართლის ცხოვრება ჩრდილოკავკასიელთა ეთნარქების ლეკოსისა და კავკასოსის ცხოვრების აღწერისას.

„არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკჳდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთჳს გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღჳთგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად. და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა, დასავალით“.

http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_1.html

„კოლხიდის ბრწყინვალე კულტურა უფრო ფართო აზრით შეიძლება იწოდოს- „კოლხიდურ-ყობანურ კულტურად“, თარიღდება ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის დასასრულიდან ვიდრე მე-7 საუკუნემდე. განვრცობილი იყო თურქეთის ქალაქ ორდუდან ვიდრე სოჭამდე, ფარავდა მიწაწყალს ყაზბეგიდან მცხეთამდე. პირველად ამ კულტურის ძეგლები აღმოჩნდა 1869 წელს ჩრდილო ოსეთის აულ ყობანში, ამიტომაც ის დიდი ხნის მანძილზე ყობანურ კულტურად იწოდებოდა, მაგრამ შემდეგში მისი მნიშვნელოვანი ნივთები აღმოჩნდა საქართველოს მრავალ ადგილას. უმეტესად დასავლეთში, ამიტომაც ეწოდა კოლხური. 1931 წელს მ. ივაშენკომ წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ყობანის ბრინჯაოს კულტურის მთავარი მატარებლები იყვნენ კოლხები და უფრო სამართლიან იქნება თუ ყობანის კულტურას ძველი კოლხების კულტურას უწოდებენ – წერდა მ. ივაშენკო.

1941 წელს გამოქვეყნდა ივაშენკოს ნაშრომი «Материалы к изучению культуры колхов», რომელშიც ის აკეთებს დასკვნას – „ბრინჯაოს ნაწარმი დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიიდან, მიეკუთვნებიან ყობანურ კულტურას, ანუ სხვა სიტყვებით, კოლხების კულტურას“. ის ასევე მივიდა დასკვნამდე, რომ დასავლეთ საქართველოდან, იმერეთიდან, რაჭიდან და ლეჩხუმიდან ეს კულტურა გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიაში (А.Б. Шанава Р.О. Аргун, Келасурская, или Великая, Абхазская стена

http://apsnyteka.org/2272-ivaschenko_m_velikaya_abkhazskaya_stena.html.

მაშასადამე მ. ივაშენკო ამტკიცებდა, რომ ყობანური კულტურის მთავარი მატარებლები არიან კოლხები.

ჩვენთვის აქ საინტერესო, ისაა, რომ კოლხური კულტურა მოიცავდა არა მხოლოდ თანამედრეოვე საქართველოს, არამედ ჩრდილო კავკასიას და ვრცელ მიწაწყალს საქართველოს სამხრეთით – ორდუმდე და აღმოსავლეთით ყაზბეგამდე და სევანის ტბამდე.

შესაბამისად კოლხური კულტურა ბრინჯაოს ეპოქაში და რკინის ეპოქის დასაწყისშიც საერთო, ზოგადქართული იყო და არა მისი რომელიმე ეთნიკური ჯგუფისა.

ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეს შეიძლება ვუპასუხოთ, თუკი დასავლეთ საქართველოდან ეს კულტურა გადავიდა ჩრდილო კავკასიაში, მიუხედავად კავკასიონის მაღალი მთაგრეხილისა, მით უფრო არ გაუჭირდებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოღწევა.

უფრო ზუსტად, ის მოიცავდა პროტოქართველების განსახლების რეგიონს ორდუდან (თურქეთიდან) სევანამდე, ჩრდილო კავკასიის ჩათვლით, მათ შუა რეგიონს კი აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი კოლხური კულტურა ზოგადქართული მოვლენა იყო და ის მოიცავდა ქართველთა განსახლების უმეტეს რეგიონს.

ამ კულტურას ამჟამად ძირითადად ოსებს მიაკუთვნებენ, მაგრამ სოფელი ყობანი მდებარეობდა საქართველოს სამეფოს შიგნით, მოხევეებისა და დვალების საზღვარზე. აქ ოსები მხოლოდ მე-15 საუკუნის შემდეგ გამოჩდნენ, როცა ვახუშტის სიტყვით ჩრდილოეთიდან, ჩერქეზე-

თის გავლით შემოსულმა ოსმა მეომრებმა დვალების ტომი დაიპყრეს და დაიმორჩილეს, შემდეგ კი გააოსეს, ასე, რომ ბრინჯაოს ადგილობრივ კულტურასთან ოსებს კავშირი არა აქვთ. აღსანიშნავია, რომ კულტურითა და ეკლესიურად დვალები ქართულენოვანი ტომი იყო, უერთგულესი მრევლი ქართული ეკლესიისა, თავისი ქართული ხელნაწერების გადამწერი კალიგრაფებით თუ ქართველი საეკლესიო მოღვაწეებით.

ქრონოლოგიურადაც კოლხური კულტურა უფრო ძველია, და მასთან შედარებით უფრო ახალგაზრდაა ყობანური კულტურა.

ეს ნიშნავს, რომ პირველადია კოლხური კულტურა, ყობანური მხოლოდ მისი გვიანდელი განშტოებაა, გადატანილი ჩრდილო კავკასიაში სამხრეთკავკასიელა, კერძოდ კი ქართველთა ერთი ნაწილის გადასახლების შემდეგ, რის შესახებ ცნობებია ქართულ წყაროში. რომლის მიხედვით უმკვიდრო ანუ დაუსახლებელი იყო ჩრდილო კავკასია აღნიშნული ეპოქის წინ და ამიტომ იქ გადასახლდა ქართველთა ნათესაობის ერთი ნაწილი.

ასე რომ ძველი კოლხეთი, რომლის მეფეს ჰეროდოტეც ახსენებდა, იყო არა დასავლურქართული სახელმწიფო, არამედ ზოგადქართული, შესაბამისად, მისი კულტურა ზოგადქართული კულტურაა და არა რომელიმე ეთნოგრაფიული ჯგუფისა.

ძველი კოლხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრე იყო ქართლის სამეფო დაარსებული აზონის, ფარნავაზისა და ქუჯის მიერ.

მაგრამ, სულ სხვაა სტრაბონის ეპოქის კოლხეთი, ვუწოდოთ მას ახალი კოლხეთი.

ძველი კოლხეთის დასუსტების შემდეგ, ამ ტერმინით („კოლხიდა“) აღინიშნა ტერიტორია, ძველი კოლხეთის ერთი გეოგრაფიული ნაწილი ზღვის პირას, ესაა ახალი კოლხეთი.

ახალი კოლხეთი (კოლხიდა) იყო არა სახელმწიფო წარმონაქმნი, არამედ ისტორიული ოლქი. ის დასახლებული იყო არა ერთი ხალხით, არამედ სხვადასხვა ქართული ტომით. ამ ოლქში ბერძენმა მილეტელმა კოლონისტებმა დომინანტობა მოიპოვეს მათ მიერ დაარსებული სავაჭრო კოლონიების საშუალებით. შემოსულმა მილეტელებმა თავიანთ სავაჭრო პოლისები დაარსეს იმ ყოფილი კოლხური ქალაქების ადგილას, რომელნიც სკვით-კიმერიელებმა გაანადგურეს.

ამ ისტორიულ ოლქს პირობითად შეიძლება სტრაბონის კოლხეთი ეწოდოს, ის, როგორც სტრაბონის, ასევე სხვა მრავალი ავტორის ცნობით (პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი და სხვები), მდებარეობდა ტრაპეზუნტის ოლქში ვიდრე თითქმის რიონის მარცხენ სანაპირომდე.

ანუ ახალი კოლხიდა მდებარეობდა რიონის დასავლეთ სანაპიროს მხარეს და მიმართული იყო ტრაპეზუნტისაკენ, მისი მთავარი მდინარე იყო ჭოროხი – ფაზისი.

ამ მდინარის (ჭოროხის) სათავე არმენიის მიერ იყო დაპყრობილი იმჟამად, ამიტომაც, ამავე ავტორების (სტრაბონი და სხვ.) ცნობით, ფაზისის სათავე არმენიაში მდებარეობდა, რადგანაც ისინი ფაზისს ჭოროხს უწოდებდნენ (იხ. წიგნი „სტრაბონი კოლხეთის შესახებ“ 2011; ასევე წიგნი „პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე, თეოფილაქტე სიმოკატა, თეოფანე, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი და იმპერატორი იუსტინიანე ლაზიკის შესახებ (გამოკვლევა რუკებით) თბილისი. 2011).

აქვე უნდა აღინიშნოს, ალბათ ჩვენი თემისათვის უმთავრესი მომენტი, კერძოდ არასწორია აღიარებული მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოსდა ქართული და უცხოური წყაროები არ ეთანადებიან ერთმანეთს დასავლეთ საქართველოს მიმართ.

ამის მიზეზია, ახალი კოლხეთის არასწორი ლოკალიზაცია თანამედროვე ისტორიკოსების მიერ. როგორც აღინიშნა ძველი, ძლიერი კოლხეთი და მისი დიდებული კულტურა ფარავდა სრულიად საქართველოს (და ასევე მის მომიჯნავე მხარეებს), ხოლო ახალი კოლხეთი მოი-

ცავდა შავიზღვისპირა ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ჭოროხის ხეობის ჩათვლით.

უცხელი ავტორები – სტრაბონი, არიანე, პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი აღწერენ ახალ კოლხეთს, და, ისინი, ა. შ. მდინარე ფაზისის ქვეშ გულისხმობენ მდ. ჭოროხს, ამიტომაც მიუთითებდნენ მუდამ, რომ ფაზისის სათავე არმენიაშია, რომ ფასისი წყალი სასმელად საუკეთესოა თავისი გემოთი ზღვის პირასაც კი (მაშინ როცა რიონის წყლის შესმა მის შესართავთან შეუძლებელია, ის ტალახის ფერია და ჭაობის ბაქტერიებითაა გაჯერებული), რომ ფაზისი მოლურჯო-ტყვიისთერია, ასეთი ფერი კი ჭოროხს აქვს, რიონი შესართავტან, როგორც ითქვა ტალახისფერია, რომ ფაზისი წყალი მსუბუქია, რადგანაც მასში შლამი ნაკლებია, ხოლო რიონის წყალი შლამის ყავისფერი ნაკადია, ყველა ნიშნით ფაზისი ჭოროხია, ის იყო სტრაბონის ეპოქის კოლხეთის მთავარი მდინარე, ის აღნიშნული უცხოელების აზრით მოიცავდა ასევე ტერიტორიას ამჟამინდელი ლაზისტანის მიმართულებით, მათი ლაზიკის სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობდა არა რიონის დაბლობზე, არამედ ჭოროხის ხეობაში, პეტრადან ვიდრე აფსილიამდე, მათი პეტრა, როგორც გაარკვია გ. გრიგოლიამ იყო ქართული ქალაქი ხუფათი (ხოფა) ზღვისპირას, ხოლო აფსილია იმჟამად ერქვა სუფსის ხეობის მიწა-წყალს, თავისი მდინარე გუბაზოულან ერთად.

რაც შეეხება ქართული წყაროების ეგრისის საერისთავოს, ის სულ სხვა მხარეს, რიონის მარჯვნა სანაპიროდან ვიდრე ეგრისწყლამდე იყო გადაშლილი.

მაშასადამე უცხოური წყაროები აღწერენ სულ სხვა გეოგრაფიულ არეს, ხოლო ქართული სულ სხვას, შესაბამისად, მათი ცნობები ერთმანეთს არ ეთანადებიან.

აქედან გამომდინარე უცხოური და ქართული წყაროების ცნობები დასავლეთ საქართველოს მიმართ ერთმანეთს არც ეწინააღმდგებიან. ესაა ჩვენი მთავარი დასკვნა.

როგორც ითქვა, ქართული წყაროების ეგრისი მოიცავდა რიონის მარჯვენა სანაპიროს მხარეს – რიონიდან ეგრიწყლამდე, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო უცხოური წყაროების ლაზიკა მდებარეობდა რიონის სხვა, მარცხენა სანაპიროს მხარეს, როგორც აღინიშნა ტრაპეზუნტის მიმართულებით, მას ძველ ქართულ წყაროებში „კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა ეწოდება“, რომელიც რამდენჯერმე ჩამოაშორეს ქართლის სამეფოს, ბოლო ბიზანტიამ მიიტაცა ვარაზ-ბაკურის დროს. მე-4 ს. ბოლოს. მას „განუდგნენ კლარჯნი და მიერთნეს ბერძენთა“. ამ განდგომილ კლარჯი ერისთავის მემკვიდრეებს შემდეგ ბიზანტიელებმა „ლაზიკის ბასილევსის“ ტიტული უბოძეს.

უცხოური წყაროების ლაზიკა ბიზანტიური სახელმწიფოებრივ საფეროში შედიოდა საკმაო ხნის მანძილზე. ის იყო ქართლის სამეფოს ყოფილი ნაწილი, რომელიც დაიკარგა ძირითადად იმის შემდეგ, რაც ქართლის მეფე ვარაზ-ბაკურს წაართვეს ბიზანტიელებმა კლარჯეთი, თავისი ზღვისპირა ნაწილით, მართალია ვახტანგ გორგასალს დაუბრუნებია ეს ტერიტორია, მაგრამ მე-6 საუკუნეში ქართლის სამეფოს გაუქმების კვალდაკვალ ბიზანტიამ ჭოროხის შესართავიც დაიპყრო, აქ მან ბუფერული ლაზიკის სამეფო შექმნა, მის საზღვარი სუფსის ხეობასთან გადიოდა, ხოლო, რაც შეხბა დასავლეთ საქართველის დანარჩენ ნაწილს, მას ამ დროს, ანუ მე-6 და მე-7 საუკუნეებში უწოდებდნენ არა ეგრისს, არამედ სვანეთს.

აი, ეს ტერიტორია, ანუ სვანეთი („სვანია“) ანუ დასვლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, იყო სადავო, სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მთელ მე-6 საუკუნის მანძილზე.

ტერმინი „სვანეთი“ (სვანია) დასავლეთ საქართველოს რომ ერქვა, ჩანს უცხოური წყაროების უამრავი ცნობიდან, რომელთა მიხედვით იბერიასა და კოლხეთს შორის სვანეთი მდებარეობდა.

მე-6 საუკუნისათვის სვანეთი რომ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს,

მათ შორის ბარსაც მოიცავდა, კარგად ჩანს ბერძენი ისტორიკოსის სიტყვებიდან, რომ სვანეთი „თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ“. (გეორგიკა, გვ. 229). ასეთი ცნობა მრავალია.

სვანეთი, მხოლოდ თანამედროვე მესტიისა და ლენტეხის რაიონები რომ ყოფილიყო, ამ რაიონების გავლით სპარსელები კოლხეთს ვერ ააოხრებდნენ, აგათია სქოლასტიკოსის ცნობით კი სპარსელებს სვანეთი უნდა გაევლოთ კოლხეთი რომ აეოხრებინათ, ანუ სპარსელებს დასავლეთ საქართველოს ბარი უნდა გაევლოთ ჭოროხის ხეობაში ანუ კოლხეთში რომ შესულიყვნენ. მაშასადამე დასავლეთ საქართველოს ბარსაც სვანეთი ერქვა.

როგორც აღინიშნა, უცხოელები მე-6 საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სვანეთს უწოდებდენ, ხოლო კოლხეთ-ლაზიკას უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილს, ჭოროხის ხეობას.

სპარსელების დაპყრობილ იბერიასა (აღ. საქართველოსა) და კოლხეთს (ჭოროხის ხეობა) შორის სვანეთი (დას. საქარველო) მდებარეობდა.

ანუ უცხოელების სიტყვით იბერიასა და კოლხეთს შორის სვანეთი მდებარეობდა, რომელზეც გადიოდა ძალზე მნიშვნელოვანი გზები, მათ შორის ჩრდილო კავკასიიდან ბიზანტიაში მიმავალი.

იბერიას, ლაზიკასა და ამ ეპოქის სვანეთს შორის უმჭიდროესი კავშირი იყო და ერთ მთლიანობად განიხილებოდა. ამიტომაც ამბობდნენ სპარსელები, **ჩვენ რომ სვანები გადმოგცეთ, ვითარცა ლაზიკისადმი დაქვემდებარებული ტომი, მაშინ თქვენ „საშუალება მოგეცემათ იბერიის შესახებაც იდავოთ“** (გეორგიკა, III, გვ. 215).

თუკი ბიზანტიელები სვანეთს (ანუ დასავლეთ საქართველოს) გააკონტროლებდნენ, მაშინ მათ იბერიისაკენ გზა გაეხსნებოდათ.

ეს საკითხები გამოწვილვითაა განხილული წიგნში „საეპისკოპოსოები ლაზიკაში“.

მაშასადამე, ბიზანტიელებისათვის ლაზიკა იყო მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს მხარე, უმეტესად ჭოროხის ხეობა, ხოლო ქართული წყაროების ეგრისის საერისთავო, როგორც ითქვა სხვა მხარეს მდებარეობდა – ის რიონის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მოიცავდა.

ასე, რომ ამ შემთხვევაში ქართული და უცხოური წყაროები ერთამანეთს არ ეწინააღმდეგებიან.

რაც შეეხება აფსილების ტომს, ის ჩანს მე-6 საუკუნის ბოლოსათვის ბიზანტია-სპასეთის გამანადგურებელი ომების დროს გადასახლდა სუფსის ხეობიდან უფრო ჩრდილოეთით, შემდეგი დროის აფხაზეთში და იქ შეიტანა ქართული ენა, რომელც მალევე გადაიქცა აფხაზთა მეფეების, იქაური ადმინისტრაციისა და ეკლესიის, ენა. ამას ხელი აფხაზეთში სხვა ქართულენოვანი ტომების ცხოვრებამაც შეუწყო.

სუფსის ხეობიდან აფსილების ტომის მიგრაცია უფრო ჩრდილოეთის მიმართულებით, გამოწყვეული უნდა ყოფილიყო სპრსეთ-ბიზანტიის ომში ბიზანტიელების გამარჯვებით, რომელთაც სუფსის ხეობაში მცხოვრები აფსილების მეზობელი მისიმიელების ტომი ამოხოცეს დაუნდობლად, დედა-წულით, მათი ორგულობისათვის ომის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მისიმიელები მიუვალ ადგილებში, სუფსის სათაავეების სრულიად მთაგორიან, დახრამულ და საცხოვრებლად ამჟამადაც უვარგის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ (შესაძლოა ჩოხატაურისს რაიონში მიუვალ და კაცთაგან „უვალ“ მიდამოებში აღმართული მთა „ლობოროტის“ კალთებზე, ეს მთა ვანის რაიონის საზღვართან მდებარეობს, მესხეთის ქედის განშტოება ლობოროტის ქედზე, ხანისწყლისა და სუფსის სათავეში, აქ დიდი კანიონები და ციცაბო კლდეებია, მსგავსად აღწერენ უცხოელები მისიმიანთა ტომის საცხოვრისს) **აქ ბიზანტუელების მიერ გადამწვარი სოფლების ცეცხლის ალს აფსილიაშიც ანუ სუფსის ხეობაშიც ხედავდნენ.**

აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ მისიმიელთა ქვეყნის დაპყრობის შემდეგ არამარტო დახოცეს მკვიდრი მოსახლეობა, არამედ ცეცხლს მისცეს მათი სახლ-კარი. **„ამ ცეცხლის დროს უფრო მრავლად დაიხოცნენ ბარბაროსები: ზოგიერთები სახლებში იყვნენ დარჩენილნი და იქ გადაიწვნენ, ან ნანგრევებში მოჰყვნენ: ზოგიერთებს კიდევ, რომლებიც გარეთ გამოვარდნენ, მახვილებისაგან ჰქონდათ გამზადებული სიკვდილი. მრავალი ბავშვი, რომლებიც მწარე ტირილით ეძახოდნენ მშობელ დედებს, დატყვევებული იქნა. ამათგან ზოგიერთები კლდეზე დაუშვეს შეუბრალებლად და ასე იქმნენ დაგლეჯილნი, ხოლო ზოგიერთები, თითქოს თამაშის მიზნით, ჰაერში იქნენ ასროლილნი და როდესაც შემდეგ სიმძიმისაგან უკან დაეშვნენ, აშვერილი შუბები დაახვედრეს და ზედ ააგეს ჰაერშივე** (გეორგიკა, III, გვ. 171).

ბიზანტიელთა ამ სისასტიკეს მისიმიელთა მიმართ აღწერენ თვით ბიზანტიელი ავტორები, ამ მაგალითით შეშინებული აფსილების ტომი უნდა გადასახლებულიყო ჩრდილოეთით, მიწაზე, რომელსაც ქართველებმა შემდეგში აფშილეთი უწოდეს. აღსნიშნავია, რომ აფსილებიცა და მისიმიელებიც ქრისტიანები იყვნენ, ამის მიუხედავად მისიმიელები ბიზანტიელებმა არ დაინდეს.

რაც შეეხება ქართულ წყაროებში დასხელებულ „ეგრისს“, ის აღნიშნულ მხარეში მდებარეობდა, მისი ცენტრი იყო ბედია, იგივე ეგრი, წყაროსავე მითითებით მისი ერთერთი მთავარი მდინარე იყო ეგრისწყალი, რომელსაც სათავე ბედიასთან ჰქონდა. ამ მხარეს დაარსა ფარნავაზმა ეგრისის საერისთავო მოქცეული რიონსა და ეგრისწყალს შორის. ის არგვეთის საერისთავოსთან ერთად, ქართლის სამეფოში შედიოდა.

ცხადია, კოლხეთი ქართული ტომებით იყო დასახლებული (ჯერ კიდევ ჰეკატოს მილეტელი კოლხებს მოსხებს უწოდებდა ქრისტეშობამდე მე-6 საუკუნეში), მაგრამ ის მრავალჯერ ჩამოაშორეს ქართლის სამეფოს და შეიყვანეს ბერძნული და შემდეგ ბიზანტიური გავლენის სფეროში.

იგივე ითქმის აღმოსავლეთ საქართველოში ალბანეთის საზღვართან დაკავშირებითაც. ამ საკითხს სხვაგან ვეხებით.

არქეოლოგიის გაყალბება

თვალსაჩინოებისათვის მაგალითად მოვიყვანთ არქეოლოგების მიერ მოპოვებულ ორ, მაგრამ აბსოლუტურად ერთი და იგივე ფორმისა და ეპოქის მასალას, რომელთაც არასწორ ანალიზს უკეთებენ და ამით მათ კულტურულ წარმომავლობას ამრუდებენ.

არქეოლოგებმა მოიპოვეს ქართლში (ახალგორში) და დასავლეთ საქართველოში (ვანში) ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით მე-4 საუკუნის შესანიშნავი საგანძური, ერთიდაიგივე შინაარსობრივი დატვრთვისა და შესახედაობისა.

განძი ერთგვარია, ერთნაირია, რაც მათ ფოტოებზეც ნათლად ჩანს.

მიუხედავად მათი იგივეობისა, იმის მაგიერ რომ ქართველ მკვლევარებსა და არქეოლოგებს სიხარულით საქვეყნოდ განეცხადებინათ, რომ ეს არქეოლოგიური მონაპოვარი ერთ-ერთი ფაქტობრივი მაგალითია იმისა, რომ ქრისტეშობამდეც ქართველ ხალხს აერთიანებდა ერთი კულტურა, რასაც დაბეჯითებით მიუთითებენ ქართული წყაროები, მათ განაცხადეს, რომ ვანში მოპოვებული საგანძური სხვა კულტურის დამადასტურებელია და ახალგორისა კი სხვა.

ერთს უწოდებენ დასავლურ-ქართულს (კოლხურ) კულტურას, მეორეს კი „აღმოსავლურ-ქართულს“, ანუ ხდება არა მხოლოდ წყაროების, არამედ, არქეოლოგიის გამრუდებაც კი.

კოლხი დიდებულის ცხენის ოქროს შესამკობელი.
https://ka.wikipedia.org/wiki/kolxeTis_samefo

სასაფეთქლეები.-ახალგორის-განძი.-ძვ.-წ.-IV.–სემ,-სსმ
http://www.gch-centre.ge/wp-content/uploads/2018/05/ სასაფეთქლეები.-ახალგორის-განძი.-ძვ.-წ.-IV.-სემ-სსმ.ჯპგ

როგორც ეს მაგალით აჩვენებს, ორივე ნივთი იდენტურია და მათ შორის განსხვავება ძნელი მოსაძებნია, მაგრამ, როგორც ითქვა, ერთს დასავლურ ქართულ კულტურას აკუთვნებენ, მეორეს კი აღმოსავლურ ქართულს. სინამდვილეში კი ისინი ერთი კულტურის ორი ნივთია და არა ორი განსხვავებულიკულტურისა.

ორივე ნივთი აზონ-ფარნავაზის ეპოქისასაა და კარგად მიანიშნებს, რომ ქართლის სამეფოში ანუ ფარნავზის ეპოქის საქართველოში, რომელც ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ ნაწილს მოიცავდა, ერთი კულტურა არსებობდა, რასაც ეს ორი არტეფაქტი ადასტურებს.

მსგავსი მაგალით სხვაც არსებობს, რომელთაც ჩვენ სხვაგან ვეხებით.

არქეოლოგები ეძებენ კოლხეთის ქალაქებს, იქ სადაც ისინი არასოდეს მდებარეობდნენ, ამიტომც ვერაფერს პოულობენ. ამასთან დაკავშირებით წამყვანი არქეოლოგები წერენ –

„სადღეისოდ არ არის მიკვლეული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორებიცაა ფასისი და დიოსკურია...გარდა ამისა, მართალია არქეოლოგიურად შესწავლილია პიტიუნტი, მაგრამ პიტიუნტში დღემდე არ არის გამოვლენილი სტრაბონის მიერ ნახსენები ქალაქის დროინდელი ძეგლები“ (მასალები ძვ.წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის ნამოსახლარები სამაროვნები,2017) https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/-2018/03/Kolxetis-Arqeologiuri-Ruka-V-I-ss_El.-Versia.pdf

პიტიუნტი არა აფხაზეთში, არამედ ოფ-რიზესთან მდებარეობდა, ფაზისი გონიოსთანაა საძებნი, ხოლო დიოსკურია ერქვა სურმენეს. საერთოდ, მიზეზი იმისა, რომ „სადღეისოდ არ არის მიკვლეული“ კოლხეთის ცნობილი ქალაქები დასავლეთთ საქართველოს კუთხეებში (სადაც მათი აზრით ისინი მდებარეობდნენ), არის ის, რომ სტრაბონის კოლხიდა არა ამ, არამედ, სხვა რეგიონს მოიცავდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, რომელზეც ზემოთ მივუთითეთ.

წყაროები

მოქცევაჲ ქართლისაჲ – არის ჩვენამდე მოღწეული უპირველესი ქართული სასტორიო თხზულება. შედგება ორი ნაწილისაგან, პირველია ქრონიკების ნაკრები, შედგენილი წარმართობის ეპოქიდან ვიდრე მე-9 საუკუნემდე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საუკუნეში, მეორე ნაწილია საქართველოს გაქრისტიანების ისტორია ანუ წმიდა ნინოს ცხოვრება, ამიტომაც ეწოდება ამ თხზულებას „მოქცევაი ქართლისაი“. აღსანიშნავია, რომ ის თვითონვე ათარიღებს თავისი დაწერის საუკუნეს, ესაა მე-4 საუკუნის 30-იანი წლები, აქაა თვით წმიდა ნინოს მიერვე მოთხრობილი ქართლის მოქცევის ამბები, ასევე მეფე მირიანის, აბითარ მღვდლის, სიდონიასა და ამ დიდი მოვლენის სხვა მოწმეების მოგონებანი. მის რედაქციაში ნათქვამია თუ როგორ ჩამოყალებდა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო ანუ ქართლის სამეფო:

„ხოლო ესე აზოჲ წარვიდაარ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნიმამამძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გა.

ა“. და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ, ძჱ არიან-ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.

ბ“. და შემდგომად მისადადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხჳ[რ]სა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქჳან არმაზ“

http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva1.html

ეს წყარო („მოქცევაი“) აზოს უწოდებს „მეფეს“ - **„და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ, ძჱ არიან-ქართველთა მეფისაჲ“**

http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva1.html

აზოს (ანუ აზონის) მამის სახელი ცნობილია ქართლის ცხოვრებისათვის – იარედოსი (იარედი), ის ალექსანდრე მაკედონელს ქართლის პატრიკად ანუ „მამასახლისად“ დაუსვამს, რაც შეიძლება ეთანადებოდეს ტერმინს „სატრაპი“.

სახელი იარედოსი კავშირშია ისეთი სიტყვის ძირთან, როგორიცაა სხვა წყაროებში ცნობილი – არვანდი, ერვანდი.

ცნობილია, რომ არვანდიდები (ერვანდიდები) იყვნენ სატრაპები საქართველოს მახლობლად მდებარე აქემენიდური სპარსეთის სატრაპიისა.

ალექსანდრეს ეპოქაში ეს სატრაპები მაკედონელებმა შეიცვალეს, ანდა დაიმორჩილეს.

ცნობილია რამდენიმე სატრაპი ერვანდის სახელით.

სპარსულად მათი სახელი იყო არა ერვანდი არამედ „არვანდი“, ვფიქრობ ეს სპარსული სახელი უფრო ახლოა ქართულ სახელთან „იარედი“ .

ამ მიწაწყალზე რამდენიმე სპარს სატრაპსა და და შემდეგ მეფეს ერქვა „არვანდი“ (ერვანდი, იერვანდი).

პირველს მათ შორის ბერძნები „ორონტს“ უწოდებდნენ.

მოვსეს ხორენაცის ცნობებით, სომხებს სძულდათ ერვანდიდები და მათ მიიჩნევდნენ არა სომხებად, არამედ მხეცის მსგავს არსებებად, რომელიც წარმოშობილი იყო ხარისა და დედაკაცის არაბუნებრივი კავშირის შედეგად (როგორც ითქვა, ეს ჩანს მოვსეს ხორენაცის თხზულებიან).

რატომ სძულდათ სომხებს ერვანდიდები? ამის მიზეზი იყო ის, რომ მათი დინასტები არშაკიდები ებრძოდნენ ერვანდიდებს და საბოლოოდ დაამხეს კიდეც ისინი. აქედან ჩანს, რომ ერვანდიდები სომხებს არ მიაჩნდათ ეროვნულ ლიდერებად.

არიან-ქართლის მეფის სახელი „იარედი“ (აზონის მამა) შეიძლება მიგვითითებდეს ერვანდიდების დინასტიისა და აზონის გენეტიკური ერთობის შესახებ.

ცნობილი და გამოჩენილი სატრაპი ერვანდ 1, რომელიც რამდენჯერმე აუჯან-

ყდა კიდეც თავის სპარს მეფეს, გარდაიცვალა დაახლოებით ძვ. წ. 344 წელს, ხოლო აზონი ქართლის მეფე, სერგი გორგაძის ვარაუდით მეფობდა 330 წლიდან (272 წლამდე), ამიტომაც ამ თარიღების მიხედვით და ასევე სახელების მსგავსებაზე დაყრდნობით, ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის პირველი მეფის აზონის მამა დინასტიურად ანდა სხვა გზით დაკავშირებული იყო ცნობილი სატრაპი ერვანდ 1-თან. ის, იგივე იერვანდ I. იგივე არვანდი, ორონტი, რომელსაც ქართლის ცხოვრება იარედს (იარედოსს) უწოდებს.

ისინი ადგილობრივი წარმოშობის დიდებულების წრიდან შეიძლება ყოფილიყვნენ, ადგილობრივები კი ქართულ სამყაროსთან იყნენ დაკავშირებულები, რადგანაც, სპარსეთის იმპერიის მე-18 და მე-19 სატრაპიები დასხლებული იყვნენ ქალდებითა და სხვა პროტოქართული ტომებით. ერვანდი ამ სატრაპიის მმართველი იყო.

განსხვავებით მე-18 და მე-19 სატრაპიებისაგან, მე-13 სატრაპიას არმენია ეწოდებოდა.

სატრაპია „არმენია“ კი სომხებით და ალბათ სომხების აქ მისვლამდე მცხოვრები ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

სომხები (არმენიელები) საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით მოძრაობდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ისინი შიჭრნენ მე-18 და მე-19 სატრაპიებშიც სარსელების მხარდაჭერით, უფრო ძვ. წ. მე-5 საუკუნეში, როგორც ეს შეიძლება გავიგოთ ქსენოფონტეს შრომებიდან.

მიზეზი იმისა თუ რატომ უჭერდნენ სპარსელები მხარს სომხებს იყო ის, რომ აღნიშნული ქართული ტომები ებრძოდნენ სპარსელებს, ხოლო სომხები თანამშრომლობდნენ და გადასახადებს იხდნიდნენ.

არმენიელების მე-13 სატრაპია უფრო სამხერთით მდებარეობდა, აქედან არმენიელები სპარსეთის დიდი დახმარებით შეიჭრნენ ამ ქართველურ ტომთა შორის და დაიჭირეს მათი ყველაზე ნაყოფიერი მიწები, კერძოდ სომხებმა მიწები დაიჭირეს კარდუხებსა და ქალდებს შორის. კარდუხები არ ცნობდნენ სპარსეთის ბატონობას და ებრძოდნენ მათ, ქსენოფონტეს სიტყვით კარდუხებს მთებზე სპარსელების 120 ათასიანი ჯარიც კი დაუმარცხებიათ.

„Кардухи воинственны и не подчиняются царю. А когда однажды царское войско численностью в 120000 человек напало на них, то никто из царских солдат не вернулся обратно“
yhttp://www.vehi.net/istoriya/grecia/ksenofont/anabazis/03.html

განსხვავებით მეომარი ქართული ტომებისაგან, სომხები ერთგულად ემსახურებოდნენ მიდიელებსა და სპარსელებს და დიდი გადასახადებსაც იხდიდნენ, ამასთანავე ჯარითაც ეხმარებოდნენ.

მგავსი ვითარების გამო სომხებმა შეძლეს ქალდების ყველაზე საუკეთესო მიწებზე დასახლება ტიგროს-ევფრატის სათავეებიდან არაქსის ხეობის ჩათვლით. ამის გამო ბარის საუეთესო მიწების დაკარგვის შემდეგ ქალდებმა მთებიდან დაიწყეს მუდმივი ომები სომხების წინააღმდეგ. ამის გამო თვით სპარსეთის შაჰი კიროსი შევიდა ქალდების მიწაზე და ზავი ჩამოაგდო სომხებსა და ქალდებს შორის, ანუ მიწები კვლავ სომხებს დარჩათ, ხოლო ქალდების მთებში სპარსელებმა თავისი სიმაგრეები ააგეს ამ ზავის შესანარჩუნებლად, ანუ ქალდები დაზარალდნენ, ხოლო სომხებმა დაიკანონეს მათი საუკეთესო მიწები.

(„Одновременно Кир разрешил конфликт между армянами и их соседями халдеями. Узнав, что одним не хватает рабочих рук и пастбищ для скота, а другим полей для выращивания пшеницы, Кир заключает взаимовыгодный для обеих сторон мир“.
https://ru.wikipedia.org/wiki/Киропедия

ამის მიუხედავად აპოლოდორეს ცნობით იბერები ძვ. წ. მე-2 საუკუნეში კვლავ ცხოვრობდნენ არაქსის ხეობაში,

„Согласно свидетельству Аполлодора (140 год до н. э.) граница между Иберией и Арменией проходила по Араксу, а это уже говорит о том, что к … что «река Кура протекает по границе Армении и Иберии».

https://secrethistory.su/484-istoriya-trebuet-obektivnosti.html

არაქსის ხეობა ძვ. წ. 190 წლამდე კვლავ იბერების ხელში რომ იყო, ჩანს სტარბონის ცნობითაც, რადგანაც აქ მდებარე ხორძენა, პარიადრეს კალთები კვლავ იბერებს ეკუთვნოდა, მოსინიკებს კი კარენიტი ანუ არზრუმის ოლქი.

იბერებს ეკუთვნოდა უვრცელესი ტერიტორია პარიადრედან გოგარენას ჩათვლით, და, ცხადია, მათ შუა მდებარე ხორძენა. ესაა, როგორც აღინიშნა, უვრცელესი მიწა-წყალი, არაქსის ხეობის მომცველი (ან მისი დასავლეთი ნაწილისა).

ანუ, ტრაპეზუნტის ქვემოთ მდებარე მიწაწყალი პარიადრეს გრძელი ქედის ფერდობებიდან ვიდრე მტკვრამდე, და მტკვრის იქით – გოგარენა (მდებარე საკასენას მეზობლად,აღმოსავლეთით), 190 წლამდე, ჯერ კიდევ იბერებს ეკუთვნოდა.

ეს ძვირფასი ცნობა სტარბონისა, რომელიც კარგი საშუალებაა არიან-ქართლის ადგილმდებარეობის დასადგენად, სრულებით უყურადღებოდაა მიტოვებული.

ანუ არმენიის მეფე არტაქსიამდე და ზარიადრამდე (ძვ. წ. 180–190 წლამდე) ტერიტორია ტრაპეზუნტიდან მტკვარ-ალაზნის შესართავამდე და მტკვრის იქით, კვლავ იბერების ხელში იყო.

მალე ისინი (პარიადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა, კარენიტი, არაქსის ხეობა) არტაქსიამ და ზარიადრემ (არმნენიის მეფეებმა) იბერებს წაართვეს და შეუერთეს მათ მიერ დაარსებულ ე.წ. დიდი და მცირე არმენიის სამეფოებს.

5. Далее рассказывают, что Армению, в прежние времена бывшую маленькой страной, увеличили войны Артаксия и Зариадрия. ..они расширили совместно свои владения, отрезав часть областей окружающих народностей, а именно: у мидян они отняли Каспиану, Фавнитиду и Басоропеду; у иберов – предгорье Париадра, Хорзену и Гогарену, которая находится на другой стороне реки Кира; у халибов и мосинеков – Каренитиду и Ксерксену, которая граничит с Малой Арменией или является ее частью; у катаонов – Акилисену и область вокруг Антитавра; наконец, у сирийцев – Таронитиду. Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке. Страбон, ГЕОГРАФИЯ, КНИГА XI,14

იბერებისაგან ამ რეგიონების მიტაცების შემდეგ უკვე არმენიად სახელდებულ ხორძენა, გოგარენა, პარიადრეში, ასევე კარენიტსა და სხვა ყოფილ ქართულ ოლქებში, კიდევ უფრო ინტენსიურად დაიწყო მკვიდრი ქართველების იბერებისა თუ მოსინიკების არმენიზაცია, ისეთი ტემპით, რომ სტარბონის დროს მათი სალაპარაკო ენა უკვე სომხური იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არიან-ქართლი ერქვა მე-18 და მე-19 სატრაპიებს, რომელნიც შემდეგში ე. წ. დიდი და მცირე არმენიების მიწაწყლის უდიდესი ნაწილი გახდა.

მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწა-წყალს შემდგომ, ძვწ. წ. მე-II–II საუკუნეებში, ეწოდა იბერების ხორძენა, გოგარენა და პარიადრე, უფრო ადრეც, ქსენოფონტეს დროს ეს რეგიონი ქართული ანდა წინაქართული ტომებით – ქალდებით, კარდუხებით, ტაოხებით, ფასიანებითა და სხვა იყო დასახლებული, ესაა ის მიწაწყალი, რომელიც სატრაპიების ეპოქაში არიან ქართლად, ანუ ირანის, სპარსეთის ქართლად იწოდა. მას სახელი შეეცვალა სტარბონის მიერ აღწერილი არტაქსიასა და ზარიადრეს შემდეგ. არმენიის ამ მეფეებმა ეს მიწა-წყალი იბერებისაგან დაიპყრეს, და შეიყვანეს ე. წ. დიდი და მციირე არმენიების შემადგენლობაში, დაიწყო იქაური ქართველების (იბერების) არმენიზაცია, მათ სტრაბონის დროს უკვე სომხურენოვანი ხალხი ეწოდება. эти народности теперь говорят на одном языке.

შესაბამისად ამ არმენიებში მკვიდრი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა ეთნიკური ქართველობა, რომელნიც აღმოჩნდნენ არმენიული ზედაფენის გამგებლობაში.

ეს პროცესი შემდეგშიც გაგრძელდა, აქ, უკვე არმენიად სახელდებულ მიწა-წყალზე, ქართველების არმენიზაცია გაგ-

რძელდა სომხეთის გაქრისტიანების შემდეგაც.

საბოლოოდ, მოგვიანებით, ჩვენი ერის მე-8 საუკუნის შემდეგ, არმენიის მკვიდრი ქართველების მხოლოდ ერთმა ნაწილმა, ქალკედონიტური სარწმუნოების საფარველქვეშ შეძლო ეროვნული ვინაობის აღორძინება ტაოსა და მიმდებარე (თეოდოსიოპოლ-არზრუმისა და ბასიანის) რეგონებში და სხვაგან.

მათ ბერძნები „იბერებს“ უწოდებდნენ, შემდეგში, მათ მიწაწყალზე დაარსა ბიზანტიის იმპერიამ თავისი სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის ფემა“ ანუ „იბერიის თემი“, რომლის დედაქალაქები იყო ანისი და თეოდოსიოპოლისი ანუ არზრუმი, ორივე იბერიელებით მჭიდროდ დასახლებული.

არმენიის იბერები იყვნენ არა ე.წ. ქალკედონიტი სომხები, არამედ პირიქით, ის იქაური ეთნიკური ქართველები იყვნენ, რომელთაც თავი გმირულად დააღწიეს არმენიზაციის უღელს ქალკედონური სარწმუნოების საფარქვეშ.

არიან-ქართლთან დაკავშირებით, კითხვაზე, თუ რატომ ეწოდებოდა ამ ქვეყანას ეს სახელი („არიან-ქართლი“), შეიძლება ვუპასუხოთ, რომ მე-18 და მე-19 სატრაპიები, ანუ ქართველებით დასახლებული სატრაპიები შედიოდნენ იმ სახელმწიფოში, რომელსაც ერქვა – „არიანა“, არიანას იმპერია – **Ariyānām Xšaçam.**.

ირანის ანუ არიანას ქართლი, იგივე არიან ქართლია, მას ასვე, სპარსეთის ქართლიც ერქვა, იგულისხმებოდა უფრო მეტად აქემენიდური სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწა-წყალი ვანის ტბიდან ტაოს ჩათვლთ კლარჯეთამდე, უფრო ის ტერიტორია, რომელსაც შემდეგ არარატის სამეფო უწოდეს, ესაა ე. წ. მცირე არმენია და დიდი არმენიის ჩრდილო ნაწილი, რომელიც ოდესღაც, სტრაბონის ცნობის შესაბამისად, იბერიად იწოდებოდა და აპოლოდორეც ცნობის შესაბამისად, ჯერ კიდევ იბერებით იყო დასახლებული მის დროს.

ანუ არიან ქართლი არის აქემენიდური ირანის ქართლი, მის მოსაზღვრედ მდებარეობდა სუვერენული სახელმწიფო – „მცხეთის ქართლი“.

ორივე სახელი, ჩანს, ძველთაგანვე პირობითია და მიმართული უნდა იყოს მკითხველისადმი, ან მსმენელისადმი, რათა მას გაადვილებოდათ გაგება იმისა თუ რომელ ქართლს ეხებოდა წაკითხული ინფორმაცია, აქემენიდური სპარსეთის ქართლს, ანუ არიან-ქართლს, თუ მის მეზობლად მდებარე მცხეთის ქართლს.

სპარსეთის აქემენიდური სახელმწიფოს მე-18 და მე-19 სატრაპიები იქ მდებარეობდნენ, სადაც, შემდეგში, მე-11 საუკუნეში იყო ბიზანტიური იბერიის თემი („θέμ Ιβηρί ς“).

XVIII სატრაპია არიან-ქართლი სავარაუდოდ მოიცავდა აქემენიდთა სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიებს. მე-18-ში ცხოვრობდნენ წინაქართული ტომები:

მატიენები (ხურიტები), სასპერები, ალაროდები.

XIX სატრაპია მე-19 სატრაპიაში – მუშკები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები (პონტო).

ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის შაჰის დამარცხებისთანავე გათავისუფლებული ყოფილი, მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწებზე ქართული სახელმწიფოს არსებობის შესახებ უნდა მიგვანიშნებდეს ძველი ბერძენი ისტორიკოსის ფლავიუს არიანეს ცნობა, რომ სწორედ აზონისა და ფარნავაზის ეპოქაში, ალექსანდრე მაკედონელს სწვევია ხორასმიონის მეფე ფარასმანესი, რომელიც კოლხებს ემეზობლებოდა.

ამ ცნობიდან გამომდინარე შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ფარასმანესის სამეფო, არა შუა აზიაში, არამედ კოლხეთის მეზობელ რეგიონში მდებარეობდა, ანუ იქ, სადაც აქემენიდების დროს მე-18 და მე-18 სატრაპიები, ხოლო ბიზანტიელების დროს იბერიის თემი მდებარეობდა.

როგორც ითქვა, იბერიის თემის ძირითადი მოსახლეობაც ის იქაური ძველი იბერები იყვნენ, რომელნიც ან არმენიელების ბატონობის გამო გასომხდენენ, ანდა დაიბრუნეს იბერიული თვითშემე-

ცნება ქალკედონური წმიდა სარწმუნოების საფარქვეშ).

როგორც აღინიშნა, აზონის მამას ერქვა სახელი იარედოსი, იარედი, რაც, ჩვენი აზრით იგივეა რაც იერვანდი, ერვანდი, ორონტი, რომელიც იყო სპარსელების სატრაპი ამ რეგიონთან.

ამჟამად ისტორიკოსები აერთიანებენ აქაური სატრაპიების მიწაწყალს და მათ, ერთად უწოდებენ „აირარატის სამეფოს“. ანდა მიიჩნევენ მათ დიდ და მცირე არმენიის ნაწილებად.

ამასთანავე, მიიჩნევენ მთელ ამ ვრცელ ტერიტორიას მხოლოდ სომხებით დასახლებულად, ისე, რომ არც კი მოიხსენებენ ამ ყოფილი სატრაპიების მკვიდრ ქართულ (წინაქართველურ) ტომებს სასპერებს, ალაროდებს (მე-18), მუშქებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიკებს (მე-19) და არც იქაურ მატიენებს (ხურიტებს) და სხვებს.

მათ ერვანდიდების დინასტია მართავდა. ჩანს, მათთან აკავშირებდა „მოქცევაი ქართლისაი“ აზონს და ამით მიუთითებდა, რომ ეს მიწაწყალი იგივე „ქართლი“ იყო,

ქართველებს ათასწლეულის შემდეგაც კი ახსოვდათ ამ რეგიონის ქართულობა, რომ აქ ქართული ენაც კი იყო გავრცელებული და ამიტომ, დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ ბერი წერდა კიდეც, რომ არიან-ქართლი ქართულენოვანი ქვეყნა იყო და მისი მცხოვრებნი „ქართველებად“ იწოდებოდნენ და ამბობდა „ჩვენ შვილნი ვართ არიან ქართლიდან გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“, ასე მიმართავდა ის თავისი დროის, ანუ მე-12 საუკუნის ქართველობას.

მეორე დასკვნა:

ყველაზე უძველესი ქართული საისტორიოს წყაროს „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით აზო (აზონი) არის პირველი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფუძემდებელი. მისი სამეფო მოიცავდა ქვეყნის ორივე მხარეს – ეგრისწყლიდან ვიდრე ჰერეთამდე.

ეს წყარო საქართველოში პოპულარული იყო პირველ ათასწლეულში, მას სინას მთაზეც კი კითხულობდნენ ქართველი ბერები და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ, ამჟამადაც იქაურ წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში დაცულია იქაური ქართველი ბერების კუთვნილი ამ წიგნის მე-10 საუკუნის ხელნაწერები.

აზონის მამის იარედოსის სამეფო „არიან-ქართლი“ უნდა იყოს სპარსეთის აქემენიდური იმპერის (ანუ არიანას **(Ariyānām Xšaçam)** მე-18 და მე-19 სატრაპიები, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ ქართული ტომებით ქალდებით, სასპერებითა და სხვ. არიან-ქართლში ასევე შედიოდა ტაო, კლარჯეთთან ერთად. მეფის სახელი იარედი-იარედოსი, შესაძლოა მიგვანიშნებდას, რომ ის იყო აქაური სპარსი სატრაპების – ერვანდიდების ოჯახის წევრი. არსენ ბერის ცნობიდან ჩანს, არიან ქართლის მოსახლეობის ენა ქართული იყო და არიან-ქართლის მეფეები ქართველები იყვნენ.

„ქართლის ცხოვრება“

უმთავრესი ქართული საისტორიო წყარო „ქართლის ცხოვრება“, დაწერილია „ჟამითი ჟამად“, ანუ სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა საუკუნეში, პავლე ინგოროყვამ გაარკვია, რომ მისი ერთრთი უმთავრესი თხზულება „ცხოვრება ფარნავაზისი“ დაწერილია წარმართობის ეპოქაში, ანუ საქართველოს გაქრისტიანებამდე, მასში მოთხრობილია, თუ როგორ დაარსა ფარნავაზმა ერთიანი ქართული სახელმწიფო ქუჯი ერისთავთან ერთად:

„მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა,
რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ.
ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართველი,
ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა,
და დედულად სპარსი ასპანელი.
და იყო იგი ძმის-წული სამარისი,
რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესსა
მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო
...
მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თჳსი ქუჯის თანა
და რქუა:
„მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა,
და ძმის-წული სამარა მამასახლისისა,
და არს ჩემთანა ხუასტაგი დიდ-ძალი.
აწ ინებო,
რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენთანა,
და ვიყვნეთ ჩუენ ძმა
და ვიჴმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე.
გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერისთავსა,
და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი“.
მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა
და რქუა: „აღდეგ და მოვედ ჩემ თანა,
და ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა,
და ხუასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი
ვიდრე გამოვჩნდეთ მტერად აზონისა.
მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა აწყუედილთა მისგან
და მიწყუდეულთა.
და ვგონებ, რომელ ჰრომთა მათგანნი-ცა გამოგუერთნენ.
რამეთუ ურიცხუნი აწყუედილ არიან მათგანნი-ცა აზონისგან“.

მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა,
და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა,
და დედა-ცა და დანი მისნი მისთანა.
და მივიდა ***ქუჯის*** *თანა და რქუა მას* ***ქუჯი:***
„შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა,
და შენ გმართებს უფლობა ჩემი
აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა,
რათა განვამრავლნეთ სპანი;

და უკეთუ მოგუეცეს ძლევა,
შენ ხარ უფალი ჩუენი
და მე ვარ მონა შენი“.
მაშინ ***შეიერთნეს და ეზრახნეს*** *ოვსთა და ლეკთა.*
ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნდა ხარკისა მიცემა აზონისა
და გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი
და განიმრავლნეს სპანი.
ეგრისით ***შეკრბეს ურიცხუნი სპანი***
და მომართეს აზონს.
ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თჳსთა და შემოკრიბნა.

მაშინ ათასი მჴედარი რჩეული ჰრომთა მათგანი,
რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან,
განუდგეს აზონს
და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა.
მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს.
ხოლო სპანი რომელ დარჩეს აზონს, ვერდა-რა მიენდო მათ,
რამეთუ ყოველთა ზედა ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ
და მივიდა კლარჯეთს,
და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა.
...

ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა
სპანი საბერძნეთით,
განძლიერდა ფრიად
და მომართა ფარნავაზს.
ხოლო ფარნავაზს განემრავლნეს
მჴედარნი ქართლისანი.
მოუწოდა მათ
და უჴმო ქუჯის და ოვსთა.

და შეკრბეს ესე ყოველნი,
...
და მოკლეს აზონ,
და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს
და ტყუე ქმნნეს.
და წარვიდა ფარნავაზ
და **მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა,**
და ეკლეციით შემოიქცა.
მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი,
და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა.
ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ხუასტაგი აზონის-ცა,
და იქმნა სიმდიდრე გარდარეული.

ხოლო ეგრის წყალს **ქუემოთ დარჩა ბერძენთა,**
რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა.
მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად,
და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად.
და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა
და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე,
რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი,
და დაამტკიცა იგი ერის-თავად მუნ.
და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი.

მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა
მტერთა თჳსთაგან
და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა
და ეგურსა ზედა.
და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი
ქართლოსიანნი,
განაწესნა **ერის-თავნი რვანი და სპასპეტი.**

ერთი გაგზავნა მარგჳს ერის-თავად,
და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი,
ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ.
და ამან-ვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა.
და გაგზავნა მეორე კახეთისა ერის-თავად,
და მისცა არაგჳთგან ვიდრე ჰერეთამდე,
რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუანისა ერის-თავად,
და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე
და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშჳლდის ერის-თავად,
და მისცა სკჳრეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე,
რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერის-თავად,
და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა,
რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი.

მეექუსე გაგზავნა ოძრჴის ერის-თავად,
და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის,
ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშჳდე გაგზავნა კლარჯეთის ერის-თავად,
და მისცა არსიანითგან ზღუამდე.

და მერვე, ქუჯი, იყო ერის-თავი ეგრისისა.

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად
და მისცა ტფილისითგან
და არაგჳთგან ვიდრე ტასისკარამდე
და ფანვარადმდე, რომელ არს შიდა-ქართლი.

და ესე სპასპეტი იყო შემდგომად-ვე
წინაშე მეფისა,
მთავრობით განაგებდის ყოველთა ერის-
თავთა ზედა.

ხოლო ამათ ერის-თავთა ქუეშე,
ადგილთა და ადგილთა,
განაჩინნა სპასალარნი
და ათასის-თავნი,
და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი
სამეუფო
და საერისთავო.

ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ
მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა.
...
ხოლო თუენი გაზაფხულისა
და სთულისა არისანი დაყვნის მცხეთას,
სამეუფოსა ქალაქსა;
და თუენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა;
ხოლო თუენი ზაფხულისა — წუნდას.
და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს
და კლარჯეთს,
და მოიკითხნის მეგრელნი
და კლარჯნი,
და განაგის ყოველი საქმე დაშლილი.

ხოლო იგი ჰრომნი ათასნი მჴედარნი,
რომელნი აზონისგან მოერთნეს
ფარნავაზს,
რომელი ზემოთ ვაჴსენეთ, იგინი განყვნა
ჴევთა და ქუეყანათა შინა,
იპყრნა იგინი კეთილად,
რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მჴნედ
იყვნეს.
და უწოდა მათ სახელად აზნაურნი.
...
და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე
ქართლსა შინა ქართლოსისა
ნათესავთაგანი.
ამან განავრცო ენა ქართული,
და არ-ღა-რა იზრახებოდა სხუა ენა
ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა.
და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.
და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს
წინაშე არმაზისა კერპისა.

http://www.georoyal.ge/?id=1946

მეორე ათასწლეულში საქართველოში საისტორიო წიგნთაგან დიდი პოპულარობა მოიპოვა „ქართლის ცხოვრებამ“, იმდენად, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ მივიწყებულიც კი იქნა.

ეს მომენტი საინტერესოა იმით, რომ „მოქცევაის“ მოხედვით პირველ ერთიან საქართველოს სახელმწიფოს საფუძველი ჩაუყარა მეფე აზომ (აზონმა), ხოლო „ქართლის ცხოვრების“ თანახმად ეს ყოფილა არა აზონი არამედ მეფე ფარნავაზი. ყოველ შემთხვევაში ისინი ერთ დროს ცხოვრობდნენ, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში. მათ შესახებ უცხოური წყაროები თითქმის არ არსებობს, გამონაკლისია ორი ძველი სომეხი ისტორიკოსი, რომელნიც ახსენებენ ფარნავაზს (მათ შესახებ ქვემოთ ვსაუბრობთ), ხოლო აზონის მამის „არიან-ქართლის სამეფოს“ სავარაუდო ადგილსამყოფლის რეგიონის შესახებ ცნობებებს ვიღებთ ზოგიერთი ბერძენ რომაელი ავტორისაგან, რომელთაც ასევე ქვემოთ ვეხებით.

რატომ იყვნენ ისინი (ანუ აზონი და ფარნავაზი) ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფუძემდებლები?

იმის გამო რომ მათ მიერ დაარსებულ სამეფოში შედიოდა საქართველოს ყველა რეგიონი მდ. ეგრისწყლიდან ვიდრე ჰერეთამდე.

მაშასადამე მათ სამეფოში შედიოდა ეგრისი, კახეთი და კლარჯეთი შიდა ქართლთან ერთად.

ამ სახელმწიფოს წყაროებში „ქართლის სამეფო“ ეწოდება, ვინაიდან პირველ ათასწლეულაში ტერმინით „ქართლი“ აღინიშნებოდა ის სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელსაც ამჟამად „საქართველო“ ეწოდება.

ამჟამად, რატომღაც, ქართველი ისტორიკოსები, მკაცრად ოითხოვენ პირველი ათასწლეულის „ქართლის“ აღსანიშნავად სიტყვა „საქართველო“ არავინ გამოიყენოს, მაგრამ ეს მომენტი მიგვაჩნია საბჭოთა ეპოქის დანატოვარ უზუსტობად, აღსანიშნავია, რომ თვით ქ. პატკანოვი, რომელიც არ იშურებდა ძალღონეს ქართული წყაროების დასამცრობად, აზონ-

ფარნავაზის ეპოქის ქართლს აქართველოს უწოდებს.

მართალია, მეორე ათასწლეულში სიტყვა „ქართლი“ ჩაანაცვლა სიტყვა „საქართველო“მ, და სიტყვა „ქართლი“თ მხოლოდ მისი ერთ-ერთი რეგიონი აღინიშნებოდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ ტერმინს პირველ ათასწლეულში, მით უმეტეს აზონ ფარნავაზის ეპოქაში ის დატვირთვა ჰქოდა, რაზეც მივუთითეთ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ამჟამინდელი მკვლევარი წყაროების გაყალბებასაც კი არ ერიდება, მაგალით, საინტერნეტო სივრცეში (სახელმწიფოს სახელით) დადებული ზოგიერთი ოფიციალური სტატია ფარნავაზის შესახებ დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ეგრისი არ იყო მისი სამეფოს საერისთავო, მაშინ როცა წყაროში ნახსებნებია 8 საერისთავო და ეგრისი მისი მერვე საერისთავო იყო.

ჩვენმა ზოგიერთმა ისტორიკოსმა რატომ გააყალბა წყაროს ცნობა?, რათა წარმოადგნინონ რომ თითქოსდა ფარნავაზის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში იყო სხვა სამეფო, რომელსაც ეს ისტორიკოსები „ეგრისის სამეფოს“ ანდა კოლხეთის სამეფოს უწოდებენ (და ქუჯის კი ამ სამეფოს მეფედ მიიჩნევენ), მაშინ როცა ეს მტკიცება სრულიად ეწინააღმდეგება აღნიშნულ წყაროების დაბეჯითებულ მითითებას, რომ სწორედ ეგრისმა და მისმა ერისთავმა ქუჯიმ ჩაუყარა საფუძველი „ქართლის სამეფოს“ ანუ პირველი გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს.

რატომ უარყოფენ ქუჯის გამორჩეულ ღვაწლს ქართველთა ერთობისათვის?

აღსანიშნავია, რომ შემდეგ საუკუნეებშიც ეგრისი და სამეგრელო ტრადიციულად, მუდამ იყო შემოქმედი და ინიციატორი საქართველოს გაერთიანებისა, მაგალითად ჭყონდიდელების ეპოქაში ანუ მე-10 მე-14 საუკუნეებში, მე-17 საუკუნეში კი ლევან მეორე დადიანი, რომელსაც მისი თანამედროვეები (მათ შორის იმჟამინდელი რუსეთის მეფე) „ივერიის ხელმწიფეს“ უწოდებდა, მე-19, მე-20 საუკუნეებშიც კი სწორედ სამეგრელოდან გამოსული უდიდესი მოღვაწეები იყვნენ მებრძოლები საქართველოს აღდგენისათვის.

მესამე დასკვნა – ქართლის ცხოვრების მიხედვით ფარნავაზი იყო არა აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, როგორც ამჟამად არასწორად აღინიშნება მნიშვნელოვანი ინტერნეტგვერდების მიერ, არამედ ყოველი ქართლისა, ანუ სრულიად საქართველოსი, რადგანაც პირველ ათასწლეულში ტერმინი ქართლი სრულიად საქართველოს ეწოდებოდა.

ფარნავაზის სამეფო აღმოსავლეთთან ერთად ასევე მოიცავდა დასვლეთ საქართველოს, ვიდრე შავ ზღვამდე და მდინარე ეგრისწყლამდე, რომელიც აფხაზეთში გაედინება. ეგრისი მის მიერ დაარსებული სახელმწიფოს ანუ ქართლის სამეფოს მე-8 საერისთვაოს წარმოადგენდა.

ქართლის სამეფოს დაარსების უმთავრესი მოღვაწე მეფე ფარნავაზთან ერთად იყო ეგრისის ერისთავი ქუჯი.

მთელ სახელმწიფოში განივრცო ერთი ქართული მწიგნობრობა, ერთი ქართული სახელმწიფო ენა და ერთი სარწმუნოება, რომელსაც არმაზის თაყვანისცემა ეწოდებოდა.

ფარნავაზი იყო საქართველოს რელიგიურ და სამოქალაქო კეთილმოწყობის წინამძღოლი, საფუძველი ჩაუყარა ადმინისტრაციულ, საფინანსო, სამხედრო და სხვა ზოგადსახელმწიფოებრივ სისტემებს.

მან ქართული მწიგნობრობის შექმნითა და ერთიან სამეფოში მისი განვრცობით საფუძველი ჩაუყარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომცველ ერთიან კულტურას.

სომხური წყაროები ფარნავაზის შესახებ

ფარნავაზის შესახებ ჩვენ მოგვითხრობს მხოლოდ ქართული და ზოგიერთი სომხური წყარო.

ერთერთია სომეხი ისტორიკოსი მე-5 საუკუნისა ფავსტოს ბუზანდი (ბიზანტიელი, თუმცა ასევე, მიიჩნევა, რომ ის მეოთხე საუკუნეში ცხოვროდა).

ფავსტოს ბუზანდის „სომხეთის ისტორიის“ მე-15 თავში აღნიშნულია, რომ სომხეთის მეფე პაპის (353–374 წწ.) სპარაპეტი მუშეღ მამიკონიანი შემოიჭრა საქართველოს განაპირა მხარეებში და აქ დასაჯა ფარნავაზიანები, რომელნიც ჩანს, მას ებრძოდნენ.

ფავსტოსი წერს „სპარაპეტი მუშეღი წავიდა ივერიის მეფის წინააღმდეგ, დაიპყრო მთელი ივერიის ქვეყანა, ხმალს მისცა ყველა აზატი და ერისთაავთა საგვარეულოები, რომელიც მოძებნა. სპარაპეტმა მუშეღმა ბრძანა ჯვარზე გაეკრათ ფარნავაზიანები ...დაიჭირა ტერიტორია ძველ საზღვრამდე, რომელიც იყო არმენიასა და ივერიას შორის, ესეიგი დიდ მდინარე მტკვრამდე და დაბრუნდა უკან“ ФАВСТОС БУЗАНД „ИСТОРИЯ АРМЕНИИ“ 5.15)

http://www.vehi.net/istoriya/armenia/buzand/05.html.

„Потом спарапет Мушег пошел на иверийского царя, жестоко притеснил и разгромил его, покорил всю иверскую страну, предал мечу всех азатов и все нахарарские роды, которых нашел. Спарапет Мушег приказал распять на кресте Пар[н]авазеанов в иверийской стране, а бдэшха Гугарка, служившего раньше армянскому царю и под конец восставшего, схватив, обезглавил и истребил мужское поколение его рода, а женщин и дочерей увел в плен. И вообще всех нахараров в этой [163] стране, восставших против армянского царя, обезглавил, весь гавар вновь покорил и взял заложников, а остальных обложил данью. И заняв территорию до старой границы, которая была между Арменией и Иверией, то есть до большой реки Куры, вернулся оттуда“ (ФАВСТОС БУЗАНД „ИСТОРИЯ АРМЕНИИ“ 5.15).
http://www.vehi.net/istoriya/armenia/buzand/05.html.

ეს მომხდარა 370 წლის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ეპოქაში საქართველოში ფარნავაზიანები ნამდვილად ცხოვრობდნენ.

როგორც რ. ლოლუა წერს ფარნავაზს ახსენებს ასევე მეორე სომხური წყარო – მხითარ აირივანეცი თავის ქრონიკაში, მე-13 საუკუნეში, აქ ის ფარნავაზს უწოდებს ქართული მწიგნობრობის შემქმნელს –

«Показательно, что армянский автор XIII в. Мхитар Айриванеци в своей „Хронографической истории“ называет царя Парнаваза создателем грузинской письменности (Albania Caucasica: Сборник статей: Вып. I. Москва, 2015. Р. Т. Лолуа, Месроп Маштоц и вопросы генезиса еркатагира и кавказско-албанского письма, с. 193): http://round-the-world.org/?p=7484

სომეხ ისტორიკოსებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ერთერთი პირველი სომეხი ისტორიკოსი კორიუნი თავის თავს ეთნიკურ ქართველად და ქართველების ეპისკოპოსად მიიჩნევდა, თუმცა ის არმენიზებული იყო, ისევე, როგორც, მაგალითად, შემდეგი დროის ისტორიკოსი მოვსეს კალანკტაუაცელი, რომელიც ეთნიკური ალბანელი იყო, მაგრამ არმენიზებული და სომხურად წერდა.

კორიუნი თავისი ისტორიის მე-15 თავში აღწერს მაშტოცის საქმიანობას ივერიაში, წერს, რომ ის იყო ერთერთი იმ ივერ ყრმაწვილთაგანი, რომელნიც მეფე ბაკურმა განსასწავლად შემოკრიბა თავისი სამეფოდან. სწავლის დასრულების შემდეგ კი მან ივერთა ეპისკოპოსის წოდებას მიაღწია.

«Из них и я, недостойный, вступил в сан епископа; среди них первый Самуэл, муж святой и благочестивый, стал епископом при царском дворе» (Корюн, Житие Маштоца, текст, новоарм перевод, предисловие, примечания проф. М. Абегяна, русск пер. стр. 87–88.)

აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის სომეხმა ისტორიკოსებმა შეცვალეს კო-

რიუნის ისტორიაში კორიუნის თვითაღიარება თავისი ივერიელობის შესახებ და თვითნებურად „გაასწორეს“ ამ წყაროს ტექსტი შემდეგი სახით –

„Из них же нашлись достойные для возведения в сан епископа: имя первого из них — Самуэл; муж святой и благочестивый, ставший епископом при царском дворе“

http://www.vehi.net/istoriya/armenia/korun/koriun7-15.html

კორიუნი ჩანს იყო არმენიის ივერების ანუ ტაოსა და მიმდებარე ოლქების ეპისკოპოსი, შესაბამისად სომხეთის ეკლესიის იურიდიქციაში და არა საქართველოს ეკლესიისა, ამიტომაც მისი სახელი არ ჩანს ქართველ ეპისკოპოსთა სიაში.

ის თავისი იურისდიქციის შესაბამისად თავის მოძღვარ მაშტოცთან იმყოფებოდა და ამისათვის არ ესაჭიროებოდა ქართლის მთავარეპისკოპოსის დასტური, ამიტომ ის მოძღვართან ერთად ანგარიშს აბარებდა სომეხთა კათალიკოსს, რასაც მიუთითებს კიდეც.

არმენიაში, უამრავი მკვიდრი იბერიელი ცხოვრობდა განსაკუთრებით თეოდოსიოპოლისის (არზრუმის) ოლქში, ტაოში, ბასიანში ვიდრე ანისამდე. ისინი სომხური ეკლესიის სამრევლოს წარმოადგენდენ, არმენიაში სომხურ საეკლესიო იურისდიქციაში მყოფ ქართველ მრევლს ქართული სასულიერო პირები ემსახურებოდა, ოღონდ მათი საეკლესიო ლოცვის ენა იყო სომხური, რადგანაც სომხურენოვნებას უმკაცრეს მნიშვნელობას ანიჭებდა სომხური საკათალიკოსოს ხელმძღვანელობა, ეს კარგად ჩანს „ეპისტოლეთა წიგნიდან“ და მოვსეს კალანკატუაცის „ალვანთა ქვეყნის ისტორიიდან“.

მაგალითად, ქართული საულიერო წოდება რომ მსახურობდა სომხურენოვან ეკლესიებში ეს ჩანს ქართლის კათალიკოს კირიონის მაგალითიდან.

კირიონი მე-6 საუკუნის ბოლოდან ქართლის კათალიკოსი, მე-6 საუკუნის 80–90-იან წლებში სომხეთის ეკლესიის მღვდელმთავარი იყო. ის იყო აირარატის ოლქის ქორეპისკოპოსი და ასევე დვინის მონასტრის წინამძღვარი, მას სომხურ ეკლესიაში მღვდელმთავარის მაღალი კათედრა 5 წლის მანძილზე ეჭირა, მაგრამ ახალგაზრობის წლებშიც ასევე სომხეთში, კერძოდ კი ბიზანტიურ სომხეთში სწავლობდა (Митр. Анания (Джапаридзе) https://www.pravenc.ru/text/1840497.html)

„ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, რომ სომხურ ეკლესიას ემსახურებოდა ქართველი ეპისკოპოსი პეტრე, და ასევე „ქართველ ეპისკოპოსად“ იწოდება ცურტაველი მღვდელმთავარი მოსე, რომელმაც თავისი კათედრა მიატოვა და სომხების კათალიკოსთან უჩივლა ქართლის კათალიკოსს.

სომხეთში ივერებთ დასახლებულად ითვლებოდა ტაიქი (ტაო) და, როგორც ითქვა, მათი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო კორიუნი მე-4 საუკუნეში.

შესაძლოა „კორიუნის“ დიდი სახელის გამო იქაურ, ანუ სომხეთის ამ მხარეებში მოღვაწე ერთერთ ქართველ სასულიერო პირს, „კირიონი“ უწოდეს, რომელიც „სომხურენოვან“ მრევლს ემსახურებოდა სომხეთში და შემდეგ ქართლის კათალიკოსად აირჩიეს.

კვლავ არიან ქართლის საკითხს რომ შევეხოთ – როგორც ითქვა, ამ მიწაწყალს, მაგალითად აირარატს, სადაც ქართველი მღვლელმთავარი კირიონი მოღვაწეობდა, ერთ დროს სპარსეთის (ირანის) სატრაპია ეწოდებოდა, ხსოვნა იმისა, რომ ამ ქვეყანას ოდესღაც ერქვა „სპარსეთის ქართლი“ ანუ „არიან ქართლი“ დიდხანს დარჩენილა, როგორც ამ ოლქის ზოგადი ქართული დასახელება.

ანუ ამ ოლქს ქართველები ძველებურადვე „სპარსეთის ქართლს“ ანდა „ირანის ქართლს“ (არიან-ქართლს) უწოდებდნენ.

ამით უნდა იყვეს გამოწვეული მე-5 საუკუნის საეკლესიო საბუთებში მოხსენიება ეპისკოპოსისა, რომელსაც უწოდებდნენ „ქართლის სპარსული ნაწილის ეპისკოპოს იერემიას“.

431 წელს ეფესოში ჩატარდა III მსოფლიო საეკლესიო კრება, როგორც მიიჩნევენ ამ კრების მომზადებაში მონაწილეობა მიუღია ქართლის ე.წ. „სპარ-

სული ნაწილის“ ეპისკოპოსს იერემიას. ამ კრების მასალებში მოხსენიებული ქართველი ეპისკოპოსი იერემია, როგორც მას უწოდებენ, „იბერიელი იერემია“ ყოფილა ნესტორიანელთა წინააღმდეგ მებრძოლი და V ს-ის პირველ ნახევარში გააფთრებით იბრძოდა ნესტორიანელთა დოქტრინის წინააღმდეგ. ეს იერემია თავის თავს ასე უწოდებს: „იერემია ურჰაელი ქართველი მართლმადიდებელი, ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული“. http://meufeanania.info/orze/

ჰიპოთეზა ფარნაბაზისა და ფარნავაზის ურთიერთმიმართების შესახებ (ბერძნულ-ლათინური წყაროები სატრაპ ფარნაბაზის შესახებ)

ბერძნულ-ლათინური წყაროებიც იცნობს რამდენიმე ფარნაბაზს, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის სპარს სატრაპებს.

ფარნაბაზი სპარსეთის სახელმწიფოს სატრაპი იყო ფრიგიის მხარეში. ოდესღაც, ეს ოლქი თუბალებთ, ანუ, იოსებ ფლავიუსის განმარტებით, იბერების წინაპრებით, ყოფილა დასახლებული. ასევე, ფრიგია მიიჩნევა მოსოხებით დასხლებულ ტერიტორიდ, მოსოხებს კი იოსებ ფლავიუსი კაპადოკიელებად მიიჩნევდა. ის მათ იაფეტის ძის მეშეხის (მოსოქის) შთამომავლებს უწოდებდა. იპოლიტე რომაელი „მეშეხებს“ ილირიელებთან აკავშირებდა

Иосиф Флавий отождествлял каппадокийских Moschoi с библейским племенем потомков Иафета, происходившим от Мешеха, в своих размышлениях о генеалогии народов, тогда как Ипполит Римский связывал «мешех» с иллирийцами. Мешех, наряду с Тубалом, отнесены к народам Гог и Магог в Книге Иезекииля 38:2 и 39:1.
https://history.wikireading.ru/51451

მოსოხები იგივე მესხებია. ჰეკატე მილეტელი (ძვ. წ. 550–476) მოსოხებს კოლხებს უწოდებს, რომლებიც მატიენების (ხურიტების) გვერდით ცხოვრობდნენ. Fragmenta historicorum graecorum I, fragm. 228.

ჰეროდოტეს წერს, რომ ერთ ლაშქარს შესადგენდნენ მათთან (მოსოხებთან) ერთად ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები, ისინი აქემენიდების სპარსული იმპერიის მე-19 სატრაპიაში შედიოდნენ. ეს მე-19 სატრაპია სპარსეთის იმპერიისა უშუალოდ მდებარეობდა ამჟამინდელი საქართველოს უშუალო სამხრეთ საზღვარზე, შავ ზღვასთან.

შემდეგში მოსხები სტრაბონის ცნობით ცხოვრობდნენ ამჟამინდელ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ „მესხეთს“ ვუწოდებთ.

მიღებულია, რომ პლინიუს უფროსი მესხებს (მოსხენებს) ათავსებს ე.წ. დიდი არმენიის სამხრეთით, კაპადოკიასთან ახლოს.

ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში სახელწოდებით „მოსხი“ აღნიშნავდნენ კაპადოკიელების წინაპრებს.

საქართველოში კაპადოკიელებს ქართველების თანამეტომეებად რომ მიიჩნევდნენ, ეს იმითაც ჩანს, რომ წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის და დიდი კაპადოკიელ მამებს მუდამ ეროვნული სიამაყის სიმბოლოებად წამოაჩენდნენ.

როგორც აღინიშნა, ფარნაბაზი ფრიგიის, მოსოხებისა და თუბალების – ქართველთა პროტოწინაპრების ქვეყნის სატრაპი იყო. ცნობილია რამდენიმე ასეთი სახელის მქონე ფარნაბაზი.

ალექსანდრე მაკედონელი სიყრმიდანვე იცნობდა ფარნაბაზს და შემდეგშიც ურთიერთობა ჰქონდა მასთან, შემდეგ ის დაბრუნდა სპარსეთის მეფესთან და გახდა სპარსეთის სახელმწიფო მოღვაწე და იცნობენ ფარნაბაზ III - მე-3 (ძვ. წ. 360–310)-ის სახელით, ის იყო ჰელესპონტოს ფრიგიის სატრაპი.

როცა ალექსანდრე შეიჭრა სპარსეთის საზღვრებში დაახლოებით ძვ. წ. 321 წელს ფარნაბაზი ებრძოდა მას, თავისი

თანამდებობრივი მოვალეობის აღსასრულებლად.

ჩვენი თემისათვის აღსანიშნავია, რომ სპარსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ ალექსანდრემ ყოფილ სატრაპს ფარნაბაზს მიუტევა და მისცა თავისუფლება.

ალექსანდრესაგან შენდობისა და თავისუფლების მიღების შემდეგ ფარნაბაზის ბედი უცნობია.

აი, ამის შემდეგ შეიძლება მისი დაკავშირება ქართველთა ფარნავაზთან, უფრო მეტად კი, აზონთნ, რადგანაც აზონი იყო არიან ქართლის მეფის ძე, არიან ქართლი კი მდებარეობდა აღნიშნული ფრიგიასთან უფრო ახლოს, მის ჩრდილოეთით, ამჟამინდელი თურქეთის ჩრდილო ნაწილში.

ალექსანდეს შიშით, ფარნაბაზის მსგავსად, სხვა სპარსმა უმაღლესმა მოხელეებმაც სპარსეთის დამხობის შემდეგ მიაშურეს ჩრდილოეთის მხარეებს.

ალექსანდრეს უახლოემა მოხელეებმა (დიადოხოსებმა) მალევე, ძვ.წ. 330 წლიდან საფუძველი დაუდეს ახალი სამეფოების წარმოქმნას, ამიტომ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ალექსანდესაგან ამინისტირებულმა ფარნაბაზმა ჩრდილოეთის მხარეებში თავისი თავი წარმოადგინა ალექსანდრეს ნების გამტარებლად და ასეთი სახით, ვითარცა ალექსანდრეს წარმომადგენელი შევიდა არიან-ქართლში.

ანუ, ალექსანდრეს „წარმომადგენელი – პატრიკი“ ფარნაბაზი შევიდა იმ ვრცელ ოლქში, რომელსაც სტრაბონი იბერების ოლქს უწოდებს, კერძოდ იბერების პარიადრეში, ხორძენესა და გოგარენაში. იქვე მდებარეობდა სხვა ოლქი კარენიტიც, რომელიც ასევე ქართულ ტომს ეკუთვნოდა.

ყოფილ სატრაპ ფარნაბაზს შესაძლოა მოეხერხებინა მაკედონური რაზმების დახმარებით დაეწყო ბრძოლა არიან-ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ ყოფილი მე-19 და მე-18 სატრაპიების ტერიტორიებზე სპარსეთის დამხობისთანავე აღდგენილა ადგილობრივი სახელმწიფოებრიობა, რომლის მმართველობის დაუფლება სურდა ფარნაბაზს).

შესაძლოა, არიან-ქართლის (ანუ უბრალოდ ქართლის) ქვეყანაში გამართულ ამ ბრძოლას უწდებენ ქართული წყაროები ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლას ქართლში.

ჩანს არიან-ქართლის მეფე, რომლის სახელი წყაროს მიხედვით იყო „იარედოსი“ დამარცხდა სატრაპ ფარნაბაზთან ბრძოლაში, დამარცხდა მისი ძე აზონიც და ამიტომ, ამ მარცხი გამო აზონმა გადაწყვიტა თავისი სამხედრო არისტოკრატია გადაეყვანა თავისი ქვეყნის უფრო ჩრდილოეთ ნაწილში სადაც დაარსა მცხეთს „ქართლის სამეფო“, ხოლო გამარჯვებული ფარნაბაზი დაეუფლა იარედოსის ტახტს.

შემდეგ კი მისი ვითარცა ლეგენდარული გმირ-მებრძოლის სახელი დაერქვა ასევე აზონთან მცხეთის ტახტისათვის მებრძოლ ჩვენს ფარნავაზს.

(კიდევ ერთხელ შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველთა ეს ოლქები (ანუ პარიადრე, ხორძენა, გოგარენა, კარენიტი და სხვა, თანამედროვე თურქეთის ჩრდილოეთით, ქართულად „არიან ქართლი“) დასახლებული იყო ქართული ტომებით – ქალდებით, ტაოხებით, მოსინიკებით თუ ბიძერებით. ესაა აქემენიდური სპარსეთის ყოფილი სატრაპია, რომელსაც, შემდეგში არმნიელების დაპყრობის შემდეგ დიდი არმენია ეწოდა).

ამ რეგიონში სამეფოს არსებობის შესახებ ალექსანდრეს ეპოქაში მიუთითებს კაპადოკიის მმართველი არიანე, ის თავის წიგნში „ალექსანდეს ანაბაზისში“ წერს, რომ ალექსანდრესთან მივიდა კოლხების მეზობლად მდებარე ხორასმიონის მეფე ფარასმანე და შესთავაზა თანამშრომლობა.

მაშასადამე, ჯერ კიდევ არიანეს ეპოქაში, 1–2 საუკუნეებში, მიაჩნდათ, რომ შავი ზღვიპირა რეგიონთან, კოლხიდასთან, ძვ. წ. IV–III სს-ში არსებობდა ფარასმანესის სამეფო და, ჩანს, მას უწოდებენ ქართული წყაროები არიან ქართლს.

მაშასადმე, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში იბერების აღნიშნულ ოლქში (ხორძენა, პარიადრე, გოგარენა, კარე-

ნიტი) არსებობდა მეფე მითრიდატეს სახელმწიფო „კოლხების გვერდით“.

ალექსანდრეს მხედარმთავრები ეძებდნენ ასეთ ქვეყნებს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად. ასეთი სახის სარდლებმა არტაქსიამ და ზარიადრემ სომხეთის სახელმწიფო დაარსეს ძვ. წ. მე-2 საუკუნეში (190–180-იან წლებში).

არტაქსიასა და ზარიადრამდე თითქმის ერთი საუკუნით ადრე, ყოფილ სატრაპ ფარნაბაზს შესაძლოა მოეხერხებინა მაკედონური რაზმების დახმარებით დაეწყო ბრძოლა არიან-ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ანუ ყოფილი მე-19 და მე-18 სატრაპიების ტერიტორიებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, არიან-ქართლის ანუ უბრალოდ ქართლის ქვეყანაში გამართულ ამ ბრძოლას უწდებენ ქართული წყაროები ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლას ქართლში.

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ასახელებენ სპარსულ მე-18 და მე-19 სატრაპიებში მცხოვრებ ზემოთ ჩამოთვლილ ქართველთა წინაპარ ტომებს, მაგრამ ამ ტერიტორიაზე სტრაბონი ასახელებს იბერების რეგიონებს – პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენას ხოლო სტრაბონამდე საუკუნეებით ადრე მცხოვრები ქსენოფონტეს (ძვ. წ. 424–355) ცნობით ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქალდები, ფასიანები, ტაოხები და სხვა ქართული ტომები. ხოლო, იქ მცხოვრებ კარდუხებსა და ქალდებს შორის უკვე სოლივით იყო შეჭრილი მისული სომხური მოსახლეობა, რომელთაც ქალდების საუკეთესო მიწები დაისაკუთრეს სპარსი მოხელეების მხარდაჭერით. ათასწლეულის შემდეგ აქ, ამავე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ტაოელები და სხვა ქართული ტომები, ათასწლეულიის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე დაარსა ბიზანტიის იმპერიამ მე-11 ს-ში თავისი ადმინისტრაციული ერთეული „ივერიის თემი“, რომლის დედაქალაქები იყო ანისი და თეოდოსიოპოლისი (არზრუმი). აქ დაარსდა მე-10 საუკუნეში სახელმწიფო „ქართველთა სამეფო“, რომლის საზღვარი ვანის ტბამდე აღწევდა დავით კურაპალატის დროს. ამის მიზეზი იყო ის, რომ იქაურ ნაწილობრივ არმენიზებულ მოსახლეობას ჯერ კიდევ ახსოვდა თავისი ნამდვილი ეროვნული ვინაობა ანუ თავისი ქართველობა და ამიტომაც მხარს უჭერდნენ ეროვნულ ლიდერს დავით კურაპალატს, ამიტომაც მიაღწია მისმა არმიამ მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერით ვანის ტბამდე. შესაბამისად, მკვიდრი ხალხის მხარდაჭერით მიაღწია მისი სამეფოს საზღვარმა ვანის ტბამდე. ყოველივე ეს ფაქტი მიუთითებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ვანისტბიდან ვიდრე ტაოსა და კლარჯეთის ჩათვლით უწყვეტად ცხოვრობდა ივერიული მოსახლეობა, თუმცა არტაქსიასა და ზარიადრეს შემდეგ, ამ მიწა-წყალს არმენია ეწოდა და იქაური მკვიდრი ივერები არმენიზაციის წნეხის ქვეშ იყვნენ (ტაოში, ვიდრე მე-8 ს. 80-იან წლებამდე).

კვლავ დავსვათ კითხვა, შესაძლოა თუ არა სატრაპი ფარნაბაზი ალექსანდრესაგან შენდობის შემდეგ, მისივე დავალებით წამოსულიყო კავკასიისაკენ და აქ განეხორციელებინა ის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმე, რასაც წყარო მეფე ფარნავაზს მიაწერს?

აქ საინტერესოა, რომ წყაროს მიხედვით აზონის მამის სახელი იყო იარედოსი, ეს სახელი მრავლის მიმანიშნებელია.

საქმე ისაა, რომ აღნიშნულ რეგიონში მიუთითებენ სახელმწიფოებრივი ერთეულის „იერვანდების სამეფოს“ არსებობას. მას სომხურ სამეფოს უწოდებენ, მაგრამ მისი მოსახლეობა ეთნიკურ ქართველობას წარმოადგენდა ზემოთ ჩამოთვლილი აქ მცხოვრები ტომების გამო, და არა სომხური. იმუამად ისინი ცხადია უფრო ნაკლებ იქნებოდნენ არმენიზებულნი. მათ ერთ ნაწილს ეროვნულ-ქართული იდენტობა დიდხანს გააჩნდათ, რასაც მიუთითებს ამ ოლქის სახელი „არიან-ქართლი“ და ათასწლეულის შემდეგ ამავე ტერიტორიაზე დაარსებული სახელმწიფოს „ქართველთა სამეფოს“ არარსებობა.

მნიშვნელოვანია არიან-ქართლის მეფის სახელი – იარედი.

მოქცევაის სახელი იარედი უნდა შევადაროთ სახელ იერვანდს, აირარატის მეფეების დინასტიურ სახელს

როგორც ითქვა, ქართული ტომებით დასახლებულ ამ არეალზე ნამდვილად წარმოქმნილა სამეფო, რომელსაც ამჟამად უწოდებენ აირარატის სომხურ **სამეფოს, ერვანდუნების სომხეთს.**

Ервандидская Армения, также Айрарат-ское царство, Великая Армения) – древнее армянское государство, существовавшее в северо-восточной части Армянского нагорья в 331–200 годах до н. э.
http://fccland.ru/stati/15788-ervandidskaya-arme-niya.html

მაგრამ მხოლოდ სომხების იყო ეს სამეფო თუ მისი ტერიტორია უფრო მეტად დასახლებული იყო ქართული ტომებით?

სახელმწიფო, რომელსაც დღეს აირარატის სომხური სამეფო ეწოდება უფრო მეტად ქართული ტომებით იყო დასახლებული, ეს ქსენოფონტესა, სტრაბონის, აპლოდორეს და სხვათა ცნობებიდან ჩანს.

აქაური მმართველი სპარსი სატრაპების დიდნასტიური სახელი იერვანდი იყო.

მართალია, ამჟამად იერვანდებს სომხებად აცხადებენ, მაგრამ ისინი იყვნენ სპარსი მოხელეები, შაჰის მიერ დანიშნულები. მართალია მე-13 სატრაპიას არმენია ერქვა, მაგრამ სატრაპები სპარსი მოხელეები იყვნენ.

მის გარდა, მე-18 და მე-19 სატრაპიებს მხოლოდ სომხებით დასახლებულად აცხადებენ, მაგრამ წყაროებიდან, კერძოდ ქსენოფონტესა და სტრაბონის ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ აქ მკვიდრი მოსახლეობა ქართული იყო, ამის თქმის უფლებას იძლევა სტრაბონის პირაპირი ცნობა, რომ ხორძენა, პარიადრე და გოგარენა იბერების მიწა-წყალია და არა სომხებისა, სომხებმა ეს ქართული რეგიონები დაიპყრეს და იქ სტაბონისავე ცნობით სომხური ენა გაავრცელეს. სამწუხაროდ, სტრაბონის ამ ძვირფას ცნობას ქართველმა მეცნიერების დიდმა ნაწილმა ყურადღება არ მიაქცია. თუკი იქაური ტომები იბერიული იყო, მაშინ შესაძლოა ეერვანდიდები წარმოშობით ქართველები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში არიან-ქართლის მეფეს ეს სახელი – იარედი ერქვა.

იერვანდების დინასტიიდან იყო იერვანდ I – **სოფენესა და მატიენეს სპარსი სატრაპი. სპარსულად მას აურუანდი ერქვა, ავესტურად ნიშნავს „დიდ მეომარს“.**

რამდენიმე სპარს სატრაპ იერვანდის სახელია ცნობილი, თუ რომელ მათგანს გულისხმობს მოქცევაი ქართლისაი აზონის მამად, ანდა მისი ოჯახის წევრად, ეს საკვლევია, პირველი, მეორე თუ მესამე.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, სტრაბონი ახსენებს მცირე ზომის არმანიას, რომელიც ძვ. წ. 180 წლისათვის არსებობდა. ის მისი სიტყვით, გაიზარდა, არტაქსიასა და ზარიადრეს დროს როცა იბერებს წაგლიჯა ხორძენა, პარიადრე და გოგარენა.

თუკი ჩვენ გავიზიარებთ სტრაბონის ცნობას, რომ ამ მხარეებს იბერები ფლობდნენ აღნიშნულ არტაქსიამდე და ზარიადრამდე, მაშინ შესაძლებელია ამ მხარეებში წარმოქმნილი აირარატის სამეფოს თავდაპირველი მოსახლეობად ქართველობა მივიჩნიოთ, უცხოური წყაროების მიერ დასახელებული აქაური წინარექართული ტომების გარდა, ასევე, არიან-ქართლის მეფის სახელის იარედის გამო.

ყოველ შემთხვევაში ქართულ წყაროს იარედი ანუ იერვანდი (აირარატის დინასტების სახელი) – არიან-ქართლის მეფედ მიაჩნია, ანუ ქართველებისათვის ეს მხარეები ქართული ქვეყნები იყო.

თუკი კვლავ მივუბრუნდებით ფარნაბაზისა და ფარნავაზის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, უნდა ითქვას, რომ ფარნაბაზ III (Φαρνάβαζος Γ’ της Φρυγίας) აქემენიდების სახელმწიფოს სატრაპი ნამდვილად მოღვაწეობდა ერთ-ერთი ერვანდის დროს 360–30 წლებში. შესაძლოა ამ ერვანდს უწოდებს ქართული წყარო არიან-ქართლის მეფეს „იარედს“, აზოს მამას.

https://www.google.com/search?q=Φαρνάβαζος+Γ'+της+Φρυγίας&tbm=isch&chips=q:φαρνάβαζος+γ+τησ+φρυγίασ,online_chips:pharnabazus&client=opera&hs=659&hl=ru&sa=X&ved=2ahUKEwjZyfu1leLtAhWFNewKHRnfC3oQ4lYoBnoECAEQHw&biw=1482&bih=723#imgrc=0jHpf9cyfQ6QcM&imgdii=WXscmXSQtdeFpM

https://www.google.com/search?q=Φαρνάβαζος+Γ'+της+Φρυγίας&tbm=isch&chips=q:φαρνάβαζος+γ+τησ+φρυγίασ,onl

სპარსეთის სახელმწიფოს დამხობის შემდეგ ამ მხარეებმა მოიპოვეს სპარსეთისაგან თავისუფლება, თუმცა მოექცნენ მაკედონიელ მხედართა ხელქვეშ. შესაძლოა აღნიშნულმა ფარნაბაზმა მაკედონიელ მხედართა მხარდაჭერით ტახტიდან ჩამოაგდო იერვანდი, რომლის ვაჟმა თავს უშველა მცხეთისაკენ გადაადგილებით დიდებულებტან ერთად.

შემდეგ კი თვით აზონთან მებრძოლ ლიდერს უწოდეს ფარნავაზი, ძველ ლეგენდარულ ლიდერ ფარნაბაზის სახელის შესაბამისაც. სატრაპი ფარნაბაზი აზონის ოჯახს, მის მამას ებრძოდა, ხოლო მცხეთელი ფარნავაზი თვით აზონს.

მაშასადამე, შემდეგდროინდელი აირარატი ჯერ კიდევ ქსენოფონტეს დროს ქართული ტომებით ტაოხებითა და ფასიანებით იყო დასახლებული და არა სომხებით, ამიტომაც, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ აღნიშნული მე-18 და მე-19 სატრაპიების მიწაწყალს ქართველები უწოდებდნენ „არიან-ქართლს" ანუ „ირანის ქართლს" „მცხეთის ქართლისაგან" განსასხვავებლად. ტერმინში „არიან ქართლში" სიტყვა არიანი არის სპარსეთის სახელმწიფოს თვითსახელწოდება, არიანი ერქვა სპარსეთის სახელმწიფოს იმჟამინდელი სპარსელების ენაზე, ანუ არიან-ქართლი ესაა სპარსეთის იმპერიის მეეე-18 და მე-19 სატრაპიები, ანუ სპარსეთის ქართლი.

დასკვნა

კულტურის მთლიანობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, კავკასიაში ალბანეთის ხალხი ისტორიის ასპარეზიდან გაქრა იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო ერთიანი კულტურის, ერთიანი სალიტერატურო ენის შემუშავება, როგორც ამის შესახებ წერს ზოგიერთი მკვლევარი.

რაც შეეხება ქართველ ერს, მან წარმატებით შეძლო სალიტერატურო ენისა და კულტურის შემუშავება. მისი კულტურის მთლიანობის ძეგლები, მაგალითად, უძველესი ქართულენოვანი ხელნაწერები ცნობილია ისტორიული საქართველოს ყველა კუთხიდან – აფხაზეთიდან, სვანეთიდან, სამეგრელოდან, კახეთიდან, მესხეთიდან, ჩრდილო კავკსიიდან, ამჟამინდელი თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯნის მხარეებიდან.

ქართული კულტურა, რომელიც მუდამ საერთოქართული იყო, შეიძლება ითქვას მოიცავდა იმ არეს, რომელსაც ათასწლეულებით ადრე ფარავდა ძველი კოლ-

ხიდის ბრწყინვალე კულტურა და მისი ნაწილი ე.წ. ყობანური კულტურა (ანუ ძველი კოლხიდის კულტურა მოიცავდა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, არამედ კავკასიაში იმ უვრცელეს არეს, რომელიც შემდგომში მოიცვა ქართულმა კულტურამ და ისტორიულმა სახელმწიფომ).

მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ქართული კულტურის არეალი შუა საუკუნეებშიც კი ძირითადად მოიცავდა იმავე გეოგრაფიულ არეალს, რომელსაც მოიცავდა ძველი კოლხური კულტურა.

ჩვენი ძველი ისტორიოგრაფიის თანახმად, ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე და ამ **ქვეყანაში, მეფე ფარნავაზის ეპოქიდანვე, მხოლოდ ერთი კულტურა არსებობდა, ერთი მწიგნობრობით, საერთო ენითა და წარმართული რელიგიით, ხოლო გაქრისტიანების შემდეგ ერთი სარწმუნოებითა და ერთი ეკლესიით.**

საბოლოო დასკვნა

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომცველ აზონის, ფარნავაზისა და ქუჯის მიერ ძვ. წ. IV-III სს. დაარსებულ სახელმწიფოს („ქართლის სამეფოს“) აერთიანებდა ერთი კულტურა.

ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ მისი წინამორბედი – ძველი კოლხიდის (კოლხეთის) კულტურა (ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარი – I ათასწლეულის I ნახევარი), საქართველოს მომცველი იყო, როგორც ამას აჩვენებს მისი კულტურის განვრცობის არეალი.

ძველი კოლხეთის სახელმწიფოს ისტორიული მემკვიდრე იყო აზონისა და ფარნავაზის მიერ დაარსებული „ქართლის სამეფო“, რომელიც ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ ნაწილს მოიცავდა და ის, წყაროების მიხედვით არსებობდა ახ.წ. VIII საუკუნემდე, არჩილ და მირ მეფეებამდე. ამ სამეფოს აღორძინების ფაქტად განიხილებოდა საქართველოს გაერთიანება მე-10 ს. ბოლოს.

ძველი კოლხეთის ძლიერება კიმერიელების შემოსევის ძვ.წ. მე-8 ს. შემდეგ ჩაიფერფლა, მაგრამ სიცარიელეს ავსებდა „ახალი კოლხეთი“, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა. გაირკვა, რომ ასეთი ლოკალიზაციის შემთხვევაში, უცხოური წყაროების ცნობები „ახალი კოლხეთის“ შესახებ არ ეწინააღმდეგებიან ქართული წყაროების ცნობებს.

ერთიანი, თანამედროვე ქართული კულტურისა და სახელმწიფოს მესაძირკვლეებად ქართულ წყაროებს მიაჩნდათ მეფეები აზონი და ფარნავაზი. კულტურის მთლიანობა მიიღწეოდა ქვეყნის ორივე ნაწილის მომცველი ერთი სახელმწიფო ენით, ადმინისტრაციით, საფინანსო სისტემითა, რაც ყველაზე მთავარია რელიგიით, და სხვა ნიშნით.

მაშასადამე, ეროვნული წყაროებისა და მოღწეული არტეფაქტების თანახმად, ძველთაგან საქართველოში არსებობდა ერთი კულტურა და არა ორი.

ათასწლეულთა მანძილზე ჩვენი ხალხის ხანგრძლივი ცხოვრების ერთ-ერთი საფუძველი იყო ერთიანი კულტურის არსებობა.

29. 12. 2020 წ.

დემეტრე თავდადებული

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

თამარის აყვავებული ქვეყანა მისი შვილების დროს მონღოლებმა დაიპყრეს.

1242 წელს დაზავების შემდეგ მტერმა აღიარა ქართული სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ქართველები ხარკს იხდიდნენ.

მონღოლებმა ქვეყანა დუმენებად დაჰყვეს.

ნარინ დავითისა (რუსუდანის ძისა) და ულუ დავითის (ლაშას ძის) მეფეთა წოდებით საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1248 წლისათვის დუმენებად დაყოფა გაუქმდა.

1259 წელს დავით ნარინი აჯანყდა, 1260 წელს კი – ულუ დავითი. ნარინი დასავლეთ საქართველოში მეფედ დაჯდა და მონღოლებისაგან თავისუფალი ქვეყნის მეთაურად იქცა, ხოლო ულუ მონღოლებს შეურიგდა.

1272 წელს ტახტზე ავიდა მისი ვაჟი დემეტრე II.

1289 წელს დემეტრე II სიკვდილით დასაჯეს.

მონღოლებმა, ფაქტობრივად, უბრძოლველად დაიმორჩილეს აღმოსავლეთ საქართველო ასეთ დროს ქართულმა ეკლესიამ საჭიროდ მიიჩნია, შეწევნოდა საქართველოს დამშვიდების საქმეს.

ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა კიდევ ერთხელ ინება საქართველოს შეკრება ერთ მთლიან ქვეყანად.

დაახლოებით 1242 წელს „რუსუდან მეფემ ბათო ყაენთან ვოლგისპირეთში არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გაგზავნა“[10].

მან მიაღწია ზავს მონღოლებთან, რომლის თანახმად მონღოლთა უმაღლესი ხელისუფლება სცნობდა ერთიან და განუყოფელ საქართველოს სახელმწიფოს ქართველი მეფის მეთაურობით, აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ვალდებულება უნდა ეკისრა, ხოლო დასავლეთ საქართველო, როგორც დაუპყრობელი მხარე, მონღოლთა ვალდებულებისაგან თავისუფალი იყო.

„ზავის თანახმად, საქართველოს მეფე მონღოლთა უზენაეს უფლებას ცნობდა. დაწესებულ იქნა უფლებრივი განსხვავება საქართველოს აღმოსავლეთისა და და სავლეთის ნაწილებისათვის: ლიხთამერ საქართველოში, როგორც მონღოლთაგან და პყრობილ ქვეყანაში, ქართულ ხელისუფლებასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლთა მოხელეები და სარდლები (ნოინები) ჯარითურთ. ლიხთიმერეთი კი ამ მხრივ თავისუფალი იქნებოდა. საქართველოს დაეკისრა ყოველწლიურად 50000 პერპერას გადახდა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. დაზავების შედეგად საქართველოს მთავრობა ქუთაისიდან თბილისს გადმოვიდა“ [11].

ზავი მონღოლების იმპერიასა და საქართველოს შორის დაიდო დაახლოებით 1242–43 წლებში, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს მპყრობელმა მონღოლებმა ცნეს საქართველოს სახელმწიფოს არსებობა, თუმცა მოითხოვეს გადასახადები.

1259 წელს მონღოლებს აუჯანყდა რუსუდანის ძე – დავით ნარინი და გადავიდა დასავლეთ საქართველოში.

„აჯანყების შედეგად დასავლეთ საქართველო ფაქტობრივად გამოეთიშა მონღოლთა მფლობელობას. ის აღარც ხარკს იხდიდა და მონღოლთა ჯარიც ვეღარ ბედავდა ლიხის ვიწრობების გადალახვას. ნარინ დავითის კარი ამიერიდან მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლთა უშიშარი თავშესაფარიც გახდა“[12].

აღსანიშნავია, რომ მონღოლთა მძლავრობას ქართველმა ხალხმა უპასუხა მაღალი ქრისტიანული მორალით, ურთიერთსიყვარულით, ურთიერთგატანით. მრავალმა ქართველმა დადო თავი მოყვასისა და სამშობლოს გადასარჩენად. თავდადება ხშირი მოვლენაც კი იყო ამ საშინელ ეპოქაში.

თავს დებდა არა მარტო რიგითი ქართველი მეფისა და მამულისათვის, არამედ მეფეც – ერის გადასარჩენად.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თავს დებდნენ მხოლოდ სარწმუნოებრივი მოსაზრებით და ამ თავდადების სანაცვლოდ ქრისტესაგან მოელოდნენ სულის

ცხონებას. ცხადია, ესეც იყო მონღოლთა ბატონობის დასასრულს. საქართველოში შემოსვლისას კი მონღოლები ქრისტიანებს არ ავიწროებდნენ (ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მაჰმადიანები). ამიტომ თავდადება სარწმუნოებისათვის შემდგომ გახდა საჭირო.

მხოლოდ ყაზან ყაენის (1295–1304) დროს გამოცხადდა ისლამი სახელმწიფო რელიგიად.

მაგრამ ქართველები თავს სწირავდნენ არა მარტო რჯულისათვის, არამედ მამულისა და მოყვასისათვისაც.

ჟამთააღმწერელის მიერ მოყვანილი უთვალავი მაგალითი თავდადებისა მიუთითებს, თუ რა სულიერ სიმაღლეზე აუყვანია ქართულ ეკლესიას ქართველი ერი, რომელმაც დიდი გასაჭირის დროს შეძლო უდიდესი ქრისტიანული სიყვარულის გამომჟღავნება.

თამარ მეფის შვილთაშვილს ათი წლის დემეტრეს მოუკვდა მამა – დავით ულუ, დედამისი გვანცა მონღოლებმა უფრო ადრე მოკლეს.

11 წლის ყრმა ქართველმა დიდებულებმა აბაღა ყაენს მიჰგვარეს ურდოში და სთხოვეს, საქართველოს მეფეთ-მეფედ დაემტკიცებინა. ყაენმა შეისმინა ქართველთა თხოვნა და თბილისში მეფე დემეტრე დაჯდა ტახტზე.

„აღასრულეს წესი კურთხევისა კათალიკოზმან და ეპისკოპოზთა და ყოველთა მთავართა საქართველოსა ერეთით, კახეთით, სომხეთით, ქართლით და ჯავახეთით და ტაოთ, რომელნი შეკრებულ იყუნეს“.

დემეტრეს „აქუნდა ჩვეულება, აღიღოს საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, და თჳსითა ჴელითა მისცემდის, და ყოველთა უწყოდიან მოწყალება მეფისა და ამისთჳს გლახაკნი ღამით ფოლორცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხჳვნენ მეფესა“.

15 წლის მეფეს, პოლიტიკური მოსაზრებით, ცოლად შერთეს ტრაპიზონის კეისრის ასული.

ააგო პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღვთისმშობელისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირა სოფელნი და ზვარნი და განუჩინნა მონაზონთა საზრდელი და განაგო კეთილითა“...

დემეტრე მეფე – ყაენმა ეგვიპტეზე სალაშქროდ იხმო. გაჰყვა მეფე ყაენს დიდძალი ლაშქრით, გმირულად იბრძოლა, 1278 წელს დემეტრე გილანი დალაშქრა.

1280 წელს აბაღა ყაენმა ისევ გაიწვია ქართველები საომრად, ამჯერად ეგვიპტის ახალი სულთანის, მელიქ მანსურის წინააღმდეგ.

ქალაქ ამასიასთან 1281 წელს 30 ოქტომბრის ბრძოლაში გმირობას უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

ამდენი ლაშქრობებისაგან ქვეყანა გაღატაკდა, გავერანდა.

მეფემ მიიღო და გაითავისა მონღოლური წესი – მრავალცოლიანობა, რასაც გმობდა ქართული ეკლესია – დემეტრემ მონღოლთა ნოინის ასული სოლღარი შეირთო ცოლად, შემდეგ კი, მოიტაცა ბექა ჯაყელის ასული ნათელა.

მისგან დემეტრე მეფეს შეეძინა „უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ ჴელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“ – გიორგი V, ერისგან ბრწყინვალედ წოდებული.

უფალმა სასჯელი მოუვლინა „საზეპურო ერს“ ცოდვთა გამო: ვნების ოთხშაბათსა და ხუთშაბათს მიწა იძრა „სამხილებელად უსჯულოებათა ჩუენთათჳს“.

პარასკევს კვლავ იძრა მიწა, შაბათს კი საფუძვლიანად შეარყია და შეაძრწუნა ქვეყანა: ეკლესია-მონასტრები, მთა და ბორცვი დაინგრა, მიწა გაიპო და იქიდან შავი კუპრისმაგვარი წყალი ამოიჭრა, ხეები ამოიძირკვა. აწყურის ეკლესია ჩამოინგრა და უფალმა სასწაულებრივ იხსნა ლიტანიობით შესვენებული ღვთისმშობლის ხატი – გუმბათი ჩამოვარდა და ქუდივით დაემხო ტაძრის შუაში დასვენებულ ხატს. დაინგრა მცხეთა, მთელი სამცხე. ურიცხვი ადამიანი დაიღუპა.

გლოვამ და ტირილმა მოიცვა სრულიად საქართველო.

უწესო ქორწინებისათვის მეფის სამხილებლად ათონის მთიდან ჩამოვიდა ღირსი ბასილი მონაზონი და უთხრა:

„უკეთუ დაუტევენ უწესონი ქორწინებანი, მე თავს-მდებ გექმნე, რათა კეთილად წარგემართოს მეფობა შენი“.

მეფემ უგულებელყო წმიდა ბერის ნათქვამი. მაშინ ბასილი მონაზომა მომავალი უწინასწარმეტყველა:

„ბოროტად და უპატიოდ მოიკლა მძლავრთა მიერ და ოჯერ იქმნე სამეფოსაგან შენისა და შვილნი შენნი მიმოდაიბნინეს და სხვამან დაიპყრას მეფობა შენი“

აბაღა ყაენის გარდაცვალების შემდეგ ყაენის ტახტისათვის სამკვდროსასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს აბაღას ძმა, აჰმადი და შვილი, არღუნი.

დემეტრე მეფე იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო შეთქმულებებში.

არღუნის წინააღმდეგ მოწყობილი ერთ-ერთი შეთქმულების მეთაურობა დაბრალდა არღუნის პირველ ვეზირს, ბუღას, რომელიც მზახლად ეკუთვნოდა დემეტრეს.

ყაენმა შეიპყრო და თავი მოჰკვეთა ბუღას, იგივე დღე ეწია მის ნათესავ-მომხრეებსაც.

ყაენის კარზე დაიბარეს მეფე დემეტრე.
http://orthodoxy.ge/tveni/marti/12-demetre.htm

ურდოში განსასჯელად დაბარებულმა დემეტრე II თავდადებულმა შეკრიბა თავისი სამეფოს სამღვდელოება, დიდებულები და განუცხადა – „განრისხებულია ყაენი, თავისი ყველა მთავარი გაწყვიტა. ახლა მე მიხმობს. თუ მთიულეთში წავალ, თავს გადავირჩენ, მაგრამ ვაი, რომ მთელი ჩემი სამეფო მათ ხელში ჩავარდება. რამდენი სული ქრისტიანი გაწყდება და დატყვევდება, ეკლესიები წაიბილწება და მოოხრდება, ხატები და ჯვრები შეიმუსრებიან, ხოლო თუ მივალ ყაენის წინა, ნამდვილად ვიცი, მომკლავს. ახლა სიბრძნით განიხილეთ ეს საქმე, ხოლო მე ასე ვფიქრობ: მრავალმღელვარე არის ეს წუთისოფელი, დაუდგომელი და წარმავალი, ჩვენი დღეები სიზმარივით და აჩრდილებივით წარვლენ. ჩვენც უნებლიეთ და სწრაფად გავალთ ამ წუთისოფლიდან. რა სარგებლის მომტანი იქნება ჩემი ცხოვრება, თუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდება და მე მძიმე ცოდვებისაგან გავალ ამ სოფლიდან. ახლა მნებავს, რათა მივიდე ყაენის წინაშე, და იყოს ღვთის ნება, თუ მომკლავენ, ვფიქრობ, რომ ქვეყანა დარჩება

„ხოლო ვითარ ესმათ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და მოძღვართა და მთავართა, განკვირდეს, თუ ვითარ დადვა მეფემან სული თვისი ერისა მისისათვის“ და უპასუხეს – მეფეო, ქვეყანაც რომ გადარჩეს, ვინაა შენი შემცვლელი? ახლა გირჩევთ, რომ წახვიდე მთიანეთის სიმაგრეებში, ანდა აფხაზეთში, როგორც მამაშენი მოიქცა და არაა საჭირო თავის განწირვა შენგან, ჩვენ ყველანი მტკიცე ერთგულები ვართ“.

მეფემ თქვა: „თქვენ ჩემი სიყვარულისა და ერთგულების გამო ამბობთ ამას, მაგრამ მებრალება უბრალო ხალხი, ისინი ცხვრებივით უღონონი არიან სიკვდილის წინაშე. არსაიდან ელიან ნუგეშისცემას. მე დავდებ ჩემს სულს ჩემი ერისათვის. არ დავიშლი ურდოში წასვლას“.

მაშინ ყველანი წამოდგნენ გაკვირვებულნი და უთხრა აბრამ კათალიკოსმა: „მრავალი მეფე მორიდებია და თავისი თავი ასე დაუცავს. ახლა, თუ შენ დადებ შენ სულს ერისათვის, ჩვენ, ყველა, ეპისკოპოსები ვიტვირთავთ შენ ცოდვებს, მაგრამ ღვთის წინ ვამბობთ, რომ მოწამეთა შორის იქნები შერაცხილი, როგორც უფალი სახარებაში ბრძანებს: „ამაზე უფრო მეტი სიყვარული არ არსებობს, რათა კაცმა დადოს სული თვისი მოყვასისათვის“.

თუ ერთი მოყვასისათვის სულის დადება სიკეთეა, რაოდენ უფრო სასარგებლოა ურიცხვი სულის სიცოცხლე“ – როცა ეს მოისმინა მეფემ კათალიკოსისაგან, გაიხარა და დაასკვნა ურდოში წასვლა“.

ურდოში დემეტრე მეფე დააპატიმრეს.

სასიკვდილო სასჯელის მოლოდინში მას საშუალება მიეცა ურდოდან გაპარვისა, ამიტომაც ერთგულებმა ურჩიეს:

„აჰა, შენი თავი შენს ხელშია. ღამით აიყვანე მორბედი ცხენები და წადი, განშორდი ამათ ხე ლთაგან“.

მაშინ უთხრა მეფემ: „ისმინეთ ჩემი, რამეთუ თავიდანვე ვიცოდი ჩემი სიკვდილი, მაგრამ დავდე თავი ჩემი და სული ჩემი ერისათვის. ახლა თუ გავიპარები, უბრალო ერი მოისრება და რა სიკეთეა მთელი ქვეყანა შევიძინო და სული წარვიწყმიდო“. „მან არ შეისმინა განზრახვა თავისი მოყვარული მთავრებისა“.

დემეტრე მეფის სიკვდილს ასე აღწერს მემატიანე – „ილოცა და ეზიარა ჩვენი მეუფე ქრისტე ღმერთის სისხლსა და ხორცს. ილოცა ცრემლით და მერე მიუპყრა ქედი და აჰა, დღე საშინელი და შესაზარი: იკადრეს ბილწებმა ღვთის ცხებულ მეფეზე და წარკვეთეს მეფე დიმიტრის თავი.

ხოლო პატივი ღმრთისა მაშინვე გამოჩნდა თავის ცხებულზე, რამეთუ მზემ თავისი შარავანდედი სრულიად გააუჩინარა. ჩამოდგა დიდი სიბნელე, რითაც ყოველი წარმართი გაკვირვებული დარჩა. დილის ათი საათიდან საღამომდე სიბნელე ჩამოწვა (როგორც მთელი მსოფლიოს სიცოცხლის მიმნიჭებელი უფლის ვნების დროს), რათა ცნობილი გამხდარიყო, რომ პატიოსანნი არიან ცხებულნი ღმრთისანი“.

საერთოდ, დემეტრე მეფე სათნო და კეთილი ადამიანი იყო, „მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა, გინა სხვათა კაცთა, რამეთუ აქვნდა ჩვეულება, აღიღოს საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი და თვისითა ხელითა მისცემდის. და ყოველთა უწყოდიან მოწყალება მეფისა და ამისათვის გლახაკნი ღამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხვივნენ მეფესა. ამას თანა მოეგო მარხულობა, ღამით ლოცვა და მუხლთყრა ფრ იადი, რამეთუ ათას ხუთასი მუხლი მოადგის მიწასა ზედა. ესრეთ ყოვლითურთ გამშვენებული და განათლებული იყო“.

ათას ხუთასი დიდი მეტანიის გაკეთება დღეში უდიდესი სარწმუნოების ნიშანია. ამიტომაც ასეთი მეფისაგან სულისა და თავის განწირვა ერისათვის მოულოდნელი არ არის, მონღოლთა მძიმე ეპოქაში კი თავდადების უნარი აღმოაჩნდა მრავალ ადამიანს.

ქართველთა თავგანწირვა და თავდადება მართლაც საარაკო იყო ამ დროს.

(„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“. ტ.3)

თუბალი, მოსოქი, იბერი, ფარნავაზი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

აღთქმა ღმერთისა ერთან

დედამიწის ზურგზე გაფანტვის შემდგომ ადამიანებმა თანდათან დაივიწყეს თავიანთი წინაპრებისაგან გაგონილი და ნასწავლი გადმოცემები ღმერთზე, ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ სიშორისა თუ ურთიერთქიშპის გამო ხალხებს შორის მისვლა-მოსვლა და კავშირი შემცირებული, ანდა შეწყვეტილი იყო. ჭეშმარიტი ღმერთის დავიწყების შემდგომ გავრცელდა ცრუმორწმუნეობა, ზეციური და ქვეყნიური ქმნილებების თაყვანისცემა, ამიტომაც ერთი უხილავი ღმერთის მაგიერ თაყვანი სცეს მრავალ ცრუ „ღმერთს“, მათ გამოსახულებებს – კერპებს ემსახურებოდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ მათ.

თანდათან კერპთაყვანისმცემლად იქცა მსოფლიოს ყველა ხალხი, ამიტომაც უფალმა ინება დედამიწაზე ყოფილიყო ერთი ხალხი მაინც, რომელშიც დაცული იქნებოდა ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელსაც ეცოდინებოდა იგი და თაყვანს სცემდა მას და მხოლოდ მას.

უფალმა ინება ასეთი ერი წარმოეშვა ერთი კაცის – აბრამის შთამომავლობისაგან. აბრამი ჭეშმარიტი ღმერთის მადიდებელი იყო, წარმოშობით შუამდინარელი, მისი მამის სამშობლო ქვეყანა იყო ქალდეა, ქალაქი ური. ამ დროისათვის ქალდეა ერქვა ქვეყანას ტიგროსსა და ევფრატს შორის თითქმის სპარსეთის ყურედან ბაბილონამდე. აქ, როგორც აღნიშნული იყო, ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეპოქაში ჯერ შუმერები, შემდგომ ხურიტები და პროტოქართველების მონათესავედ მიჩნეული სხვადასხვა ტომები სემიტებთან ერთად. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ქალდეა უფრო მოგვიანებით ეწოდებოდა დღევანდელი საქართველოს მეზობლად მდებარე ქვეყნებსაც – ურარტუდან პონტოს ჩათვლით გადაშლილ მხარეს. ურარტუელთა უზენაეს ღმერთს „ხალდ“ – ქალდ ეწოდებოდა და ისინი თავიანთ თავს ქალდეველებად მიიჩნევდნენ. „საფიქრებელია, რომ ტერმინი „ქართველი“ დაკავშირებულია ქალდ-თან და მისი მეშვეობით, სხვა ამავე ძირის წინააზიურ უძველეს სახელებთან“, – წერდა ს. ჯანაშია (ტ. III, 1959, გვ. 195). სახელ ქალდეას ივანე ჯავახიშვილიც აკავშირებდა ქართველებთან. „დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართ-მეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება. იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი სამშობლო უნდა ყოფილიყო. ამ სამშობლოს ხსოვნა მესამე შტოს წარმომადგენელს, სვანებსაც აქვთ შერჩენილი – ეს კართუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის“ (ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 403-404).

ასე რომ, ქალდეა არა მარტო აბრაამის წინაპართა სამშობლოა, ის ქართველთა პირველსამშობლოდაც შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი ვერსიის არსებობა უნდა მიუთითებდეს, რომ ქალდეველთა ქვეყანა სემიტებთან ერთად ალბათ ქართველთა მონათესავე, ანდა პროტოქართველური ტომითაც იყო დასახლებული.

როგორც წინა თავიდანაც ჩანდა, შუამდინარეთში ქართველთა მონათესავე ტომებს ქრისტეშობამდე ათასეული წლებით ადრე დაცული ჰქონდათ მცირე მარცვალი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა. ქალდეველთა ურში მცხოვრებ აბრამს კი ჰქონდა შეურყეველი სარწმუნოება ღმერთზე.

„მოჰკიდა ხელი თერახმა თავის ძეს აბრამს, თავის შვილიშვილ ლოტს, ჰარანის ძეს, თავის რძალს სარაის, თავისი ძის აბრამის ცოლს და გავიდნენ ერთად ქალდეველთა ურიდან ქანაანის ქვეყანაში წასასვლელად. მიადგნენ ხარანს და იქ დამკვიდრნენ“ (დაბ. 11, 31).

ქალდეველთა ურს, სადაც ცხოვრობდა მამა აბრამისა თარრა ანუ

თერახი, ჩვეულებრივ აიგივებენ სამხრეთ მესოპოტამიის ქალაქ ურთან, საიდანაც ის ოჯახთან ერთად გადასახლებულა ქალაქ ხარრანში მესოპოტამიის ჩრდილო ნაწილში. იგი იქვე გარდაიცვალა. როგორც აღინიშნა, მესოპოტამიაში საზოგადოდ საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ხალხები ცხოვრობდნენ. ისტორიკოსთა თანახმად, ქრისტეშობამდე IV-III ათასწლეულში აქ მცხოვრებმა შუმერებმა შექმნეს პირველი ქალაქი-სახელმწიფოები (ერიდუ, ური, ურუკი, ლაგაში, ნიპური). შემდგომ აქ შემოდიან სემიტური ტომები, რომლებმაც აითვისეს შუმერთა კულტურა. ქრისტემდე III ათასწლეულში აქ სარგონ მეფემ შექმნა ერთიანი სემიტური მესოპოტამიის მომცველი სახელმწიფო – აქადი. ამავე III ათასწლეულში აქ შეიჭრნენ კვლავ სემიტური – ამორეველთა ტომები, მათ მიერ შექმნილი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ბაბილონი. ძველბაბილონური სახელმწიფოს შემქმნელადაა მიჩნეული მეფე ხამურაბი – კანონმდებელი. ხამურაბიანთა დინასტია დაამხეს ხეთურმა ტომებმა 1530 წელს ქრისტეშობამდე. II ათასწლეულის შუა ხანებში მესოპოტამიაში გამოჩნდნენ ხურიტები, სახელმწიფო მითანის შემქმნელები. ხურიტები, ისტორიკოსთა ერთი ნაწილის თანახმად, ქართველთა წინაპრებადაა მიჩნეული, ისევე როგორც ზოგიერთი ხეთური ტომი და განსაკუთრებით პროტოხეთები. აბრაამის მამის – თარრას – ქალდეველთა ურიდან გამოსვლის დროისათვის ქალდეა, მართლაც ქართველთა წინაპარი ტომებით ყოფილა დასახლებული.

მსოფლიო წარღვნის შემდეგ უფალმა ღმერთმა აღთქმა დადო, ანუ კავშირი შეკრა მთელ კაცობრიობასთან – ნოეს საშუალებით. შემდგომ აბრაამის საშუალებით – ადამიანთა თანამონათესავე ჯგუფთან, ხოლო სინას მთაზე უფალი ღმერთი დაუკავშირდა მხოლოდ და მხოლოდ ერთ ხალხს, იაკობის შთამომავლებს – ისრაელთა შვილებს. მან მისცა მათ კანონი, გადააქცია ის თავის რჩეულ ერად.

ხარანში ყოფნისას, აბრაამი (მაშინ ჯერ კიდევ აბრამი ერქვა) იღებს ღვთისაგან ბრძანებას – „უთხრა უფალმა აბრაამს: წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს. კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ. 12.1-3). „უთხრა უფალმა აბრამს მას შემდეგ, რაც ლოტი გაეყარა: აახილე თვალი და გაიხედე ამ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ. მთელი ეს ქვეყანა, რასაც ხედავ, შენთვისა და შენი მოდგმისათვის მომიცია სამარადისოდ. ქვიშასავით ურიცხვს გავხდი შენს შთამომავლობას. თუ ვინმე შესძლებს ქვიშის დათვლას, შენი შთამომავლობაც დაითვლება“ (დაბ. 13. 14-16).

შემდგომი სიტყვა აღთქმისა აზუსტებს წინა აღთქმების მონაცემებს: „ამ დღეს დაუდო უფალმა აღთქმა აბრამს და უთხრა: შენი შთამომავლობისათვის მიმიცია ეს ქვეყანა ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარემდე – ევფრატის მდინარემდე...“ (დაბ. 15. 18).

შემდეგ კიდევ უფრო გამოწვლილვითაა ჩამოყალიბებული – „ოთხმოცდაცხრა წლის იყო აბრამი, რომ გამოეცხადა უფალი აბრამს და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გაგამრავლებ. პირქვე დაემხო აბრამი და ასე ელაპარაკა მას ღმერთი: „ეს მე ვარ, და აჰა, ჩემი აღთქმაც: „უამრავ ხალხთა მამა შეიქმნები! აღარ გერქვას ამერიდან სახელად აბრამი, არამედ აბრაამი იყოს შენი სახელი, რადგანაც უამრავ ხალხთა მამად გაქცევ. დიდად, დიდად გაგამრავლებ, ხალხებად გაქცევ და მეფენი გამოვლენ შენგან. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და შენს შთამომავალთა შორის თაობიდან თაობამდე, სამარადისო აღთქ-

მას, რომ შენი და შენი შთამომავლობის ღმერთი ვიქნები. მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას, სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები. უთხრა ღმერთმა აბრაამს: ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა შთამომავლობამ თაობიდან თაობამდე"... (დაბ. 17. 1-9). აღთქმის პირობა იყო წინადაცვეთა აბრაამისა და მისი შთამომავლობისა. წინადაცვეთილობა იყო ნიშანი ღვთის ხალხის კუთვნილებისა.

აბრაამი 100 წლისა იყო, როცა სარამ, ღვთის დაპირების თანახმად, შვა ძე, რომელსაც უწოდეს ისააკი. მანამდე აბრაამს სარას ნებით მხევალ აგართან ეყოლა ისმაილი – ისმაიტელთა მამამთავარი, ასევე ხეთთურასთან ჰყავდა – მადიანი, მადიანელთა მამამთავარი. ისააკმა შეირთო რებეკა, რომელმაც შვა ტყუპი ვაჟები ესავი – ედომელთა მამამთავარი და იაკობი – ისრაელიანთა მამამთავარი. მართალია, ესავი პირმშო იყო, მაგრამ იაკობმა თავისი მოხერხებით მიიღო პირმშოება და მამის კურთხევაც. ამის შემდეგ გაექცა ესავის რისხვას. გაემართა მესოპოტამიაში, ხარანის სანახებში, დედის ნათესავებთან. გზაზე დაუღამდა, დაიდო ლოდი სასთუმლად და დაწვა ერთ ადგილს – „ესიზმრა: მიწაზე კიბე დგას და თავით ცას სწვდება, უფლის ანგელოზები ადი-ჩამოდიან კიბეზე. აჰა, უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა და ღმერთი ისაკისა. ეს მიწა, რომელზედაც წევხარ, შენთვის და შენი შთამომავლობისათვის მომიცია. შენი შთამომავლობა ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იქნება და განივრცობი დასავლეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ, შენითა და შენი შთამომავლობით იკურთხება მიწიერთა მთელი მოდგმა. აჰა, შენთანა ვარ და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ, კვლავ დაგაბრუნებ ამ მიწაზე. არ მიგატოვებ, ვიდრე არ აგისრულებ ყველაფერს რაც გითხარი" (დაბ. 28, 12-15). ხარრანში იაკობს შერთეს ლია და რახილი, მათთან და აგრეთვე მათ მხევლებთან იაკობს ეყოლა თორმეტი ვაჟი და ერთი ქალი, მათგან წარმოიშვა ისრაელის თორმეტი ტომი. თავისი ოჯახით უკან დაბრუნებისას იაკობს „უთხრა ღმერთმა: იაკობია შენი სახელი, აღარ გერქმევა ამიერიდან სახელად იაკობი, არამედ ისრაელი იქნება შენი სახელი. და უწოდა სახელად ისრაელი. უთხრა ღმერთმა: მე ვარ ღმერთი ყოვლადძლიერი, ინაყოფიერე და გამრავლდი. ხალხი და ხალხთა კრებული წარმოიშობა შენგან და მეფენი გამოვლენ შენი საზარდულიდან. ქვეყანა, რომელიც მივეცი აბრაამს და ისაკს, შენთვის მომიცია, შენი შთამომავლობისათვის მომიცია ეს ქვეყანა" (დაბ. 35, 10-12).

იაკობის ძემ – იოსებმა – ეგვიპტეში გადიდკაცების შემდგომ ქვეყნად ჩამოვარდნილი შიმშილობის გამო მამამისი ოჯახით მიიწვია მაღძარ ეგვიპტეში: „უთხრა ღმერთმა ისრაელს ღამეულ ხილვაში: იაკობ, იაკობ! მიუგო: აქა ვარ. უთხრა: მე ვარ ღმერთი, ღმერთი მამაშენისა. ნუ გეშინია ეგვიპტეში ჩასვლის, რადგან იქ გაქცევ დიდ ხალხად. მე ჩაგყვები ეგვიპტეში, მევე ამოგიყვან იქიდან და იოსები დაგიხუჭავს თვალებს საკუთარი ხელით" (დაბ. 46, 2-3).

ეგვიპტეში ჩასვლის შემდგომ იაკობის ოჯახი დასახლდა მდიდარ მხარეში, რამდენიმე ასეული წლის შემდგომ ის იქცა დიდ ხალხად, მაგრამ დროთა ვითარებაში ეგვიპტელთა მონები გახდნენ – „„გამოხდა მრავალი ხანი და მოკვდა ეგვიპტის მეფე. აკვნესდნენ მძიმე შრომისაგან ისრაელიანები, გაჰკიოდნენ და მისწვდა მათი ღაღადი ღმერთს. მოესმა ღმერთს მათი კვნესა და გაიხსენა ღმერთმა აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან დადებული აღთქმა. მოხედა ღმერთმა ისრაელიანებს და იცნო ღმერთმა ისინი" (გამ. 1. 23-25).

გამოიყვანა უფალმა ისრაელიანები ეგვიპტიდან და მიიყვანა აღთქმულ ქვეყანაში. ხალხის წინამძღვრობა უფალმა დააკისრა წინასწარმეტყველსა და რჯულმდებელს.

მოსე ჩვილობიდანვე იზრდებოდა სასახლეში. ის ფარაონის ქალიშვილის მიერ იყო ნაშვილები, მაგრამ მოწი-

ფულობისას გამოამჟღავნა ეგვიპტელთა მიერ დაჩაგრული თავისი ერისადმი სიყვარული და თავდადება. ამ დროს მოკლა ზედამხედველი ეგვიპტელი და იძულებული გახდა გაქცეულიყო ეგვიპტიდან.

ის გაემართა სინას ნახევარკუნძულისაკენ, მადიამელთა მიწაზე, იქ შეირთო ცოლი და მწყემსავდა ცხვრებს. ერთხელ ცხვარი წაასხა უდაბნოს იქით და მიადგა ღვთის მთას – ხორებს. „გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი. თქვა მოსემ, მივალ და ვნახავ ამ დიდებულ სანახავს რატომ არ იწვის მაყვლოვანი. დაინახა უფალმა რომ მოდის მოსე სანახავად და დაუძახა შუაგულ მაყვლოვანიდან: მოსე, მოსე! მიუგო – აქა ვარ. უთხრა: ახლოს ნუ მოხვალ! გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ წმიდა მიწაა. უთხრა: მე ვარ მამაშენის ღმერთი. სახე დაიფარა მოსემ, რადგან ღვთის ხილვისა შეეშინდა. და თქვა უფალმა: ვიხილე ჩაგვრა ჩემი ერისა ეგვიპტეში და მომესმა ზედამხედველებისაგან გამწარებული ღაღადი. რაკი გავიგე მისი გასაჭირი. ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და წავიყვანო მაგ ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და რძე, ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში. „აჰა, მოიწია ჩემამდე ისრაელიანთა ღაღადმა და ვიხილე მათი ჩაგვრა, როგორ ჩაგრავენ მათ ეგვიპტელები. ახლა გაგზავნი ფარაონთან, რომ გამოიყვანო ეგვიპტიდან ჩემი ერი, ისრაელიანები“ (გამ. 3. 2-10).

კვლავ უთხრა უფალმა მოსეს ისრაელიანთა შესახებ – „მიგიღეთ ჩემს ერად და ვიქნები თქვენი ღმერთი. გეცოდინებათ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ეგვიპტელთა კირთებისაგან თქვენი გამომხსნელი“ (გამ. 6.7).

ამის შემდგომ უფალი ღმერთი „ჩემს ერს“, „ჩემს ხალხს“ უწოდებს ისრაელიანებს. მოსემ იცოდა, რომ ფარაონი უარს იტყოდა ეგვიპტიდან ასეულათასობით მუშის, ანუ ებრაელთა გაშვებაზე. უფალი ამბობს – „არ მოგისმენთ ფარაონი. მაშინ ხელს მოვუჭერ ეგვიპტეს და დიდი სასჯელების ძალით გამოვიყვან ჩემს კრებულს, ჩემს ერს, ისრაელიანებს ეგვიპტის ქვეყნიდან“ (გამ. 7.4).

ყოველი წარდგომის დროს მოსე ფარაონს ეუბნებოდა: „ამბობს უფალი, ებრაელთა ღმერთი: გაუშვი ჩემი ხალხი, რათა მემსახურონ“.

ფარაონი არ უშვებდა ებრაელებს, რისთვისაც ათი სასწაულებრივი სასჯელით დაისაჯა ეგვიპტე, რომელთა დროსაც ებრაელები უვნებელნი რჩებოდნენ, თანახმად უფლის სიტყვისა – „გამოვარჩევ ჩემ ხალხს შენი ხალხისაგან...“ (გამ. 8. 23). ისჯებოდა ფარაონი, თუმცა უფალი აგებინებდა დასჯის მიზეზს: „აქამდე აბუჩად იგდებ ჩემს ერს და არ უშვებ“ (გამ. 9.17).

ებრაელთა გაუშვებლობისათვის ეგვიპტელები სასტიკად დაისაჯნენ. თავზარდაცემულმა ფარაონმა გაუშვა უფლის ერი. ექვსასი ათასი კაცი ქალებისა და ბავშვების გარდა გაემართა მეწამული ზღვისაკენ. წინ მიუძღოდათ მათ უფალი, დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად. გონს მოსვლის შემდგომ ეგვიპტელები უკან გაეკიდნენ ებრაელებს, მოსემ ღვთის ბრძანებით ზღვა კვერთხით ორად გაჰყო, ებრაელები მშრალი ზღვის ფსკერის გავლით გავიდნენ მეორე ნაპირას, ფარაონი კი თავისი მხედრებითა და ეტლებით კვლავ კვერთხის დაკვრით შეერთებულმა ზღვამ დაახრჩო.

როგორც აღინიშნა, აღთქმა – კავშირი – უფალ ღმერთსა და მის ერს შორის ეგვიპტიდან გამოსვლის შემდგომ დაიდო.

ეგვიპტიდან გამოსვლის სამი თვის შემდგომ მოსე თავისი ხალხით მიადგა სინაის მთას.

„ავიდა ღმერთთან მოსე და მთიდან ჩამოსძახა მას უფალმა: ასე უთხარი იაკობის სახლს და ამცნე ისრაელიანებს: თქვენ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტეს,

როგორ აგიტაცეთ არწივის ფრთებით და ჩემთან მიგიყვანეთ, ამიერიდან თუ შეისმენთ ჩემს სიტყვას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ჩემს საკუთრებათ გამოგარჩევთ ყველა ხალხისაგან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა. მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად მეყოლებით. აი, სიტყვები, რაც უნდა უთხრა ისრაელიანებს“ (გამ. 19: 3-6).

ყველა ხალხისაგან გამორჩეულობისა და უფლის ერად ქცევისთვის ისრაელიანებს უნდა დაეცვათ აღთქმა უფლისა – შეესმინათ მისი სიტყვა. „მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად“ გამორჩევისათვის ისრაელიანებმა მზადყოფნა განაცხადეს – „ერთხმად მიუგო ერმა და უთხრა: ყველაფერს შევასრულებთ, რაც ბრძანა უფალმა. წაუღო მოსემ უფალს ხალხის ნათქვამი“ (გამ. 19.8).

უფალმა უბრძანა მოსეს მოემზადებინა ხალხი ღვთის გამოცხადებისათვის. ხალხი ორი დღის მანძილზე იწმენდდა თავს, თავის ტანსაცმელს, მოსემ მთის გარშემო ხაზი შემოავლო, როგორც ინება ღმერთმა, რათა მას არავინ მიახლოვებოდა სიკვდილის შიშით, რამეთუ ამ დროს ღმერთი მთაზე იყო. მესამე დღის დილით სინას მთა ღრუბლით დაიფარა, დაიწყო ელვა და ქუხილი.

„გამოიყვანა ბანაკიდან ხალხი მოსემ ღვთის შესახვედრად და დადგნენ მთის ძირას.

ბოლავდა მთელი სინაის მთა, რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში, როგორც ქურას, ისე ასდიოდა კვამლი და ძლიერად ირყეოდა მთა. თანდათან ძლიერდებოდა საყვირის ხმა. ლაპარაკობდა მოსე და ეხმიანებოდა ღმერთი“ (გამ. 19. 18-20).

ღმერთმა წარმოსთქვა ხალხის გასაგონად მცნებები:

1. თქვა ღმერთმა ყველა ეს სიტყვა:

2. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან.

3. არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები.

4. არ გაიკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში, მიწის ქვეშ.

5. არ სცე თაყვანი მათ, არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, რომელიც მამის ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეებს, მესამე და მეოთხე თაობაში.

6. ათასწლილ სიკეთის მზღველი ჩემს მოყვარულთათვის და ჩემი მცნებების დამმარხველთათვის.

7. არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს მისი სახელის ფუჭად მაფიცარი.

8. გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი.

9. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე შენი საქმეები.

10. მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთო, არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურებმა, სახლში რომ გყავს.

11. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია და მეშვიდე დღეს შეისვენა, ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდა ჰყო იგი.

12. პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის.

13. არა კლა.

14. არ იმრუშო.

15. არ იქურდო.

16. არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ.

17. არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან (გამ. 20. 1-17).

როგორც აღნიშნული იყო, უფალი ღმერთის მიერ დედამიწაზე მცხოვრებ მრავალ ხალხთა შორის ერთის გამორჩევა გამოიწვია კერპთაყვანისმცემლობის გავრცელებამ – ყველა ხალხს დავიწყებული ჰყავდა ჭეშმარიტი ღმერთი. სარწმუნოების დამცველად უფალმა ისრაელიანები ამოირჩია. მართლაც ამ ერმა

საუკუნეთა მანძილზე შეძლო სიწმინდით გადაეცა სხვადასხვა ერებისა და კაცობრიობისათვის (თვით ამ ერში განხორციელებული ღვთის ძის – იესო ქრისტეს მიერ) – ჭეშმარიტი სარწმუნოება. საერთოდ ერის – ერთი წარმოშობისა თუ სხვა მხრივ გაერთიანებული ხალხის ამორჩევით უფალმა ღმერთმა აკურთხა კაცობრიობის ხალხებად, ერებად დაყოფა.

იესო ქრისტეს შემდგომ ყოველი ერი, მატარებელი მართალი სარწმუნოებისა, ღვთის ხალხად იქცა, მათ შორის ქართველი ერიც. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ეს მომხდარა სულიწმიდის მოფენის შემდეგ, როცა დედა ღვთისას წილად ხვდა ივერიელთა მოქცევა. ჩვენებით გამოცხადებისას მაცხოვარი მას ეუბნება – „ჰოი, დედაო ჩემო, მე არ უგულებელვყოფ ყველა ხალხზე უფრო საზეპურო ქართველ ერს მათზე შენი მეოხებით“ (ქ. ც. I, გვ. 37).

თუბალი და მოსოქი

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა მამები, უცხოელ საეკლესიო მოღვაწეთა დარად ცნობისწადილით ეძიებდნენ წინაპრებს ღვთისმშობლის წილხვედრი ერისას. დასტური ამისა არის ლეონტი მროველ ეპისკოპოსის და არსენ ბერის შრომები ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ.

არსენ ბერმა იცის, რომ მკითხველს აინტერესებს, – „ჩვენ, ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ“, იგი პასუხობს – „ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი „ვუწყით“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. 1971, III, გვ. 46). „არიან-ქართლით“ გამოსული ხალხი ქრისტეშობამდე დასახლებულა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის მიერ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის – ე.ი. საქართველოს – შენება დაუწყია – „იწყო შენებად ქვეყანასა ჩვენსა, ხოლო თანაჰყვა აზოვე, ძე არიან-ქართველთა მეფეთა და მისცა ქვეყანა ეს ჩვენი სამეუფოდ და სამკვიდრებლად და გაუჩინა საზღვარი ჰერეთი და ეგრისწყალი, სომხითი და მთაი ცროლისაი და თვით წავიდა“ (იქვე, გვ. 47).

ამ კონცეფციის თანახმად, მოსახლეობა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოისა, შთამომავალია „არიან-ქართველებისა“. ისინი აზოვემ – „არიან-ქართლის“ მეფის ძემ, საქართველოში ჩამოასახლა. მაგრამ ვინ იყვნენ და სად ცხოვრობდნენ „არიან-ქართველები“, სად იყო „არიან-ქართლი“?

არსებობს მეორე კონცეფციაც, რომელიც მიეწერება ლეონტი მროველ ეპისკოპოსს. ლეონტის თანახმად, ქართველი ერი ჩამოყალიბდა საქართველოს მიწა-წყალზე; ქართველ ტომთა ეთნარქები იყვნენ ქართლოსი, ეგროსი, ჰეროსი და სხვები. მათი წინაპარი თარგამოსი კი სამხრეთის ქვეყნიდან ჩამოსახლდა ამიერკავკასიაში.

საერთოდ ჩვენი ერის, ანდა მისი წინაპრის სამხრეთიდან ჩამოსახლეობის თეორია ბუნებრივია, რამეთუ სამშობლო კაცობრიობისა, ძველი ხალხებისა და ერების მესოპოტამიაა, საიდანაც, ბიბლიის თანახმად, ისინი გავრცელდნენ მსოფლიოში. ყველა ძველი ერი თავის წინაპარს მესოპოტამიასა და წინა აზიაში ეძებდა, მათ შორის ქართველებიც, მით უმეტეს, რომ წმიდა წერილის ძველი კომენტატორები ქართველთა ანუ იბერთა წინაპრებს ასახელებდნენ ნოეს უახლოეს შთამომავალთა შორის.

„დაბადებაში“ ნოეს ძის იაფეტის შთამომავალთა შორის მოხსენიებული თუბალი და მოსოხი – ქართველთა წინაპრებადაა მიჩნეული როგორც ძველ ისე ახალ ისტორიკოსთა მიერ.

იოსებ ფლავიუსი იაფეტის შვიდ ძეთაგან ორის – თუბალისა და მოსოხის შესახებ წერს – „დაამკვიდრებს უკუე თოვილოსცა თოვილთასა, რომელ აწ ივირად იწოდებიან. ხოლო მესქინნი, მესხოის მიერ აღშენებულნი კაჰპადუკად იწოდებიან...“ (იოსებ ფლავიუსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძველისიტყვაობისანი,

1987, გვ. 103). ივერიელთა წინაპრებად ბიბლიის თუბალი მიიჩნევა. „ქართლის ცხოვრება“ კი, როგორც ცნობილია, ქართველთა წინაპრებად მიიჩნევს ბიბლიურ თარგამოსს. ის იოსებ ფლავიუსის თანახმად, „ღომარო ს“ ძეა. მისგან წარმომავლობა ასეთია – „თორდამის უკუე – თორღამელნი, რომელნი თნებისაგან ელლინთაისა ფრიგვად იწოდეს“ (იქვე, გვ. 103).

ფლავიუსი თარგამოსს ფრიგიელთა წინაპრად მიიჩნევს, ლურსმულ და იეროგლიფურ ტექსტებზე დაყრდნობით, „ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა ჰ. ვინკლერმა მეცნიერულად დაასაბუთა ძველბერძნული წყაროების „ფრიგიისა“ და სარგონ II-ის (ძვ. წ. 722–705 წწ.), დროინდელი ასურული ტექსტების – „მუშქების“ ქვეყნის იგივეობა (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, 1988, გვ. 252).

მაშასადამე, „მუშქები“ – ქართველთა ერთი დიდი ტომი – თარგამოსს დაუკავშირდა [თარგამოს – ფრიგიელნი (ფლავიუსით) – მუშქები (ვინკლერით)].

ასურული ტექსტების „ტაბალ“ ბიბლიურ თუბალთან (სეპტანტა, Θοβελ; ზოგჯერ _ Θοβερ; ვლუგატა – Τηυβαλ) გაიგივებულია ე. დრომეს მიერ (იხ. ს. ჯანაშია, ტ. III, 1959, გვ. 70).

მაშასადამე, ბიბლიური თუბალი წინაპარია – იბერებისა ანუ ქართველებისა, იოსებ ფლავიუსის ამ კომენტარს ეთანხმებიან და ავრცობენ ჩვენი მეცნიერები, რაც შეეხება ბიბლიურ მოსოქ-მოსოხს, ისიც ქართველთა (მესხური ტომის) წინაპრად იყო მიჩნეული, ამჟამად კი ჩვენ შეგვიძლია ის დავუკავშიროთ „ქართლის ცხოვრების“ თარგამოსს (თარგამოს-ფრიგიელნი-მესხნი) იმ გზით, როგორც ზემოთ იყო გადმოცემული, თარგამოსი კი, როგორც ცნობილია, აღნიშნული ქართული წყაროს თანახმად, არა მარტო ქართველთა, არამედ სომეხთა წინაპრადაც არის მიჩნეული (თარგამოს – ჰაოს, ქართლოს). აქ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ჰეროდოტეს ცნობა – „ფრიგიელებს, როგორც მაკედონიელები ამბობენ, ეწოდებოდათ ბრიგები მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონიელების მეზობლად ცხოვრობდნენ, ხოლო აზიაში რომ გადავიდნენ, მიწა-წყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს – ფრიგიელები დაირქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ...“ (ჰეროდოტე, ისტორია I, 1976, გვ. 434). „იბერ“ – „ბრიგ“ სახელების დაკავშირება მსგავსი ეტიმოლოგიით შესაძლებელია.

ფრიგიელებს, როგორც აღინიშნა, მუშქებთან, ხოლო ამ უკანასკნელს მესხებთან აიგივებენ.

აღსანიშნავია, რომ მესხებს ძველთაგანვე მთელ ქართულ მოსახლეობასთან აიგივებდნენ, მაგალითად, სტრაბონი დასავლეთ საქართველოს თითქმის ცენტრალურ ნაწილს – მოსხების ქვეყანას უწოდებს, ხოლო ჩრდილოკავკასიელი ტომები აღმოსავლეთ ქართულ ტომებს – მესხებს უწოდებენ. დაღესტნელები „ავარიელები – ფშავ-ხევსურებს „მოსოხის (ანუ „მოსოქის“) სახელით იცნობენ (იხ. ჰ. უსლარ „ავარსკიი იაზიკ“ 1889, II, გვ. 24, 26).

როგორც ითქვა, ფრიგიელებს (რომლისაგანაც წარმომდგარან მესხები) ასევე „ბრიგ“-ები ერქვათ. ამ სიტყვის ფუძე საგულისხმო იგივეობას ავლენს თუბალ-იბერის ფუძესთან – „თბლ“ – „ბრ“. ფუძე – „ბრგ“ (ბრიგ.) და „ბრ“ (იბრ) უთუოდ მსგავსნი არიან.

ს. ჯანაშია ბიბლიის თუბალებსა და მოსოქებს ერთი წარმოშობის ურთიერთმეზობლად მცხოვრებ ხალხად მიიჩნევს.

შემთხვევითი არაა, რომ თუბალი და მეშექი ბიბლიაში თითქმის მუდამ ერთად მოიხსენება. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ბიბლიის კომენტატორებს. ისინი ერთად მოიხსენებიან იაფეტის ძეთა ჩამოთვლის დროს („იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი“ (დაბ. 10.2), ასევე ეზეკიელის მიერ (32:26; 38:2; 39:1), ხშირად ეზეკიელი ჩრდილოეთის ხალხებს შორის აგრეთვე იხსენიებს „გომერს თავის ურდოთი, თოგარმას სახლს...“ (38:6), ასირიელ მეფეთა ანალებში, როგორც აღინიშნა, არც თუ იშვიათად იხსენიება უსკი და თაბალ, ვითარცა ორი მეზობელი ეროვნება, მცხოვრებნი კილიკიაში, ხოლო ჰეროდოტე ამბობს, ტიბარეკებს ანუ იბერიანელთა

(იბერიელები) და მოსხების, კოლხეთის ახლოს მცხოვრებთა შესახებ. მეცნიერები თვლიან, რომ თავდაპირველად ორივე აღნიშნული ეროვნება ცხოვრობდა ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში, მიდიასა და სკვითიას შორის, ე.ი. კოლხეთსა და იბერიაში (იხ. „ტოლკოვაია ბიბლია“, პეტერბურგი, 1904–1907 I, გვ. 69. კომენტარი).

წინასწარმეტყველი ეზეკიელი თუბალსა და მუშექს ახსენებს სხვა ჩრდილოელ ხალხებთან ერთად, რომელნიც ცოდვათა გამო დაისჯებიან; ეზეკიელზე ადრე ისრაელის მეზობლად მცხოვრებ დიდ ხალხთა დასჯის შესახებ წერდა იერემია წინასწარმეტყველი. საქმე ის იყო, წინასწარმეტყველებანი უშუალოდ შეეხებოდა ისრაელს, უფლის ერს, რომელიც ეღირსა აღთქმულ მიწაზე დასახლებას, მაგრამ დაარღვია აღთქმა უფალთან სხვადასხვა ცოდვათა გამრავლებით, რის გამოც უნდა დასჯილიყო აღთქმული მიწიდან გადასახლებითა და სხვა ერის მონობაში ყოფნით. კერძოდ, ისრაელიანები ქალდეველთა მეფე ნაბუქოდონოსორს უნდა გადაესახლებინა ბაბილონში. რის შემდეგაც ქალდეველებიცა და სხვა ჩრდილოელი ხალხებიც დაისჯებოდნენ უფლის მიერ. იერემია ქადაგებდა – „ამას იტყვის უფალი ღმერთი: „აჰა, მე მოვუწოდებ და მოვავლენ ჩრდილოეთის ყოველ ერს და ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსორს, მონასა ჩემსა, და მათ მოვიყვან ამ ქვეყანას და ყოველთა გარემოს ერთა ზედა, დავაქცევ მათ და შევცვლი უდაბნოდ საუკუნოდ, და იქმნებიან ეს ერნი მონებად ბაბილონის მეფისა 70 წელ და მის შემდგომ მე დავსჯი ბაბილონის მეფეს და მის ერს მათი უსჯულოებისათვის და ქალდეველთ ქვეყანასაც გადავაქცევ უდაბნოდ“. მართლაც, ებრაელები გადაასახლეს ბაბილონში, სადაც ისინი ტყვეებად იყვნენ 70 წელს, ხოლო ქალდეველთა ბაბილონის სამეფო შემდგომ თანდათან უდაბნოდ იქცა და დავიწყებას მიეცა. წინასწარმეტყველების შესაბამისად დაეცა თითქმის ყველა იმდროინდელი ტომები და ცნობილი სახელმწიფოები (იგულისხმება ებრაელთა ბაბილონში ტყვეობის ხანა), დაეცა და სახელოვნება დაკარგა ათასწლეულების მანძილზე დიდებულმა ეგვიპტემ, რაც იწინასწარმეტყველა ეზეკიელმა – „ადამის ძევ, მიმართე პირი ფარაონისაკენ, ეგვიპტის მეფისაკენ და უწინასწარმეტყველე მას და მთელ ეგვიპტეს ელაპარაკე და უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი, აჰა, შენზე ვარ ფარაონო, ეგვიპტის მეფევ, დიდო გველეშაპო, რომ გაწოლილხარ შენს მდინარეებში და ამბობ ჩემია მდინარე, ჩემთვის შევქმენიო. ლაყუჩებში ჩანგლებს გაგიყრი, ...მოგისვრი უდაბნოში შენი მდინარეების თევზებთან ერთად... მიხვდება ეგვიპტის ყველა მცხოვრები, რომ უფალი ვარ, რადგან ლერწმის საყრდენი იყავი ისრაელის ხალხისათვის“ (ეზეკ. 29. 2-4). ანდა: „ადამის ძევ, გამართე გოდება ფარაონზე, ეგვიპტის მეფეზე და უთხარი: ჭაბუკ ლომს ჰგავდი ხალხთა შორის და გველეშაპივით იყავი-თქო ზღვებში! ირქინებოდი შენს მდინარეებში და ფეხებით ამღვრევდი წყლებს, თელავდი-თქო მათ მდინარეებში. ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოვისვრი შენზე ჩემ სათხეველს ხალხთა სიმრავლეში და ამოგათრევენ ჩემი ბადით...“ (32. 1-3).

მართლაც, ქრისტეშობამდე მეხუთე საუკუნიდან, ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის შემდგომ სახელოვანი ეგვიპტე დაეცა და ის უმნიშვნელო, სხვებზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცა. მსგავსადვე ასრულდა ეზეკიელის წინასწარმეტყველებანი სხვა ხალხებსა და სახელმწიფო წარმონაქმნებზე. დაეცნენ ისრაელთა მტრები – ყამონიანები (ამონიტები) თანდათან დაეცა ფინიკიელთა ცნობილი ტვიროსი, რამეთუ წინასწარმეტყველთა თქმით, „ვაგლახს ამბობს იერუსალიმზე, შეიმუსრება იგი – ხალხების კარიბჭე... გაუკაცრიელდება“ (იეზ. 26:2). ტვიროსი ცნობილი ქალაქი, სახელმწიფოს ცენტრი იყო, სადაც ხალხებთან ერთად ქართველთა წინაპრებიც ვაჭრობდნენ – „იავანი, თუბალი და მეშექი იყვნენ შენი გამსაღებლები, ტყვეებს და სპილენძის ჭურჭელს გიხდიდნენ საქონელში, თოგორმას

სახლიდან ცხენებს, საბრძოლო რაშებს და ჯორებს გიგზავნიდნენ სანაცვლოდ“ (იეზ. 27:13-14).

აქ ქართველთა წინაპარი ტომები – თუბალი, მეშექი და თოგარმა ერთად იხსენიებიან, რადგანაც ისინი მეზობლები და მონათესავენი იყვნენ. საუკუნოდ დაეცა ასურეთი – ისრაელის მტერი. „იქ არის აშური და მთელი მისი კრებული, მის გარშემო მისი საფლავები ყველანი განგმირულნი არიან, მახვილით დაცემულნი“ (32:22).

დაეცა ცნობილი ელამი, ედომი, დაეცა მეშექი და თუბალი. მათ წინასწარმეტყველი სხვა დასჯილ ხალხთა შორის ასახელებს – „იქ არის მეშექი და თუბალი და მთელი მისი სიმრავლე“ (32:26). ისინი ისჯებიან მათი მეზობლის ისრაელის წინააღმდეგ მტრობის გამო, ისჯება თვით ისრაელიც, რომელიც შემდგომ იპოვის თავის თავში ძალას, აღადგენს სიყვარულს უფალთან, დაიცავს აღთქმას და კვლავ აღორძინდება, ასევე აღორძინდება ღვთის მცნებათა დამცველი ყოველი დაცემული ერი. მართლაც, მეშექის და თუბალის ძველი დიდებისაგან დაცემა და უმნიშვნელო ტომად ქცევა შეუმჩნეველი არც შემდეგდროინდელ ისტორიკოსებს დარჩენიათ. პირველქართველთა დიდებულება, მათი სახელმწიფოები, ქალაქები, კულტურის ბრწყინვალება აჩრდილად იქცა. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ ქრისტეშობამდე 3–4 საუკუნით ადრე ქართველთა დაცემის შესახებ – „თუმცა ასურულ წყაროებში ჩვენი ერის მაშინდელი მდგომარეობა დაწვრილებით არ არის აღწერილი, მაგრამ IV საუკუნის ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრებას თუ იმდროინდელ მდგომარეობას შევადარებთ, შეუძლებელია მაინც ვერ შევამჩნიოთ, რომ ჩრდილოეთისაკენ წაწეულ ქართველებს ცხადი დაქვეითება ეტყობათ. ვაზის მოვლას, ღვინის დაყენებას, საქონლის მოშენებას, მადნეულის დამუშავებასა და იარაღ-ჭურჭლის გაკეთებას, მართალია, წინანდებურად მისდევდნენ, მაგრამ სად იყო წინანდელი სიმდიდრე, სასახლეები, აუარებელი განძი და ქონება, რომლის ხელში ჩაგდებას თავის დროზე ასურეთის ბატონები კვეხულობდნენ ხოლმე. წინათ მათ ქალაქები ჰქონდათ, მეოთხე საუკუნეში კი სალაპარაკოდაც არ ღირდა, რაც იყო ისიც ციხეებს უფრო მიაგავდა, ვიდრე ქალაქს, წინათ ქართველები ძლიერ და მდიდარ ერად ითვლებოდნენ, აღებ-მიცემობისათვის შორეულ ქვეყნებში მიდიოდნენ და ყველგან სახელი გავარდნილი ჰქონდათ. IV საუკუნეში კი ისინი პატარა-პატარა ტომებად იყვნენ დანაწილებულნი, მამაცობის პატივი მეზობლებშიღა ჰქონდათ შერჩენილი, მსოფლიოში კი მათი სახელი აღარ ისმოდა...“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, გვ. 70).

დიახ, ჩვენი ერი დაეცა, ეზეკიელის წინასწარმეტყველება თუბულსა, მეშექსა და თოგორმაზე აღსრულდა. ეზეკიელი ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ცხოვრობდა. IV საუკუნეში ქართველთა წინაპრების ძველი დიდება მეზობლებს თუ ახსოვდათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათი სახსენებელი უფალმა არ გააქრო, რამეთუ ისინი უფლის ერს ლაშქრავდნენ არა დამოუკიდებლად, არამედ სკვითების იძულებით, რომელთაც „გოგს“ უწოდებდნენ. ის მთავარი იყო მეშექისა და თუბალისა, ე.ი. კავკასიის იქით მცხოვრებ ჩრდილოეთის ხალხებს აუძულებია სამხრეთელი მეზობლები – ქართველთა წინაპრები, ელაშქრათ „ისრაელის მთებზე“. ეზეკიელი ამბობს ღვთის სიტყვას – „ადამიანის ძევ! იწინასწარმეტყველე გოგზე და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი, აჰა, შენზე ვარ როშის, მეშექის და თუბალის მთავარო, მოგატრიალებ, გამოგათრევ და წაგიყვან ჩრდილოეთის კიდეებიდან და მოგიყვან ისრაელის მთებზე გაგაგდებინებ მშვილდს მარცხენა ხელიდან და ისრებს მარჯვენა ხელიდან დაგაყრევინებ. ისრაელის მთებზე დაეცემი მთელი შენი ურდოიანად და ხალხთან ერთად, შენ რომ გახლავს...“ (ეზეკ. 39: 1-3).

მრავალი ხალხი დაისაჯა, რომელთაც წინასწარმეტყველის პირით ამის მიზეზს ამცნობს უფალი – „რაკი საუკუნო მტრობა გქონდა და მახვილს მიუგდე ისრაელიანები მათი გასაჭირის ჟამს, საბოლოო სასჯელის ჟამს“ (ეზეკ. 35: 5).

ქართველთა წინაპრები დასჯილან იმის მიერ, ვისი ხელითაც დაისაჯნენ ისრაელიანები; მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულ და გადასახლებულ იქნენ უცხო ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ნაბუქოდონოსორს, ზოგიერთი ძველი ისტორიკოსის აზრით, არა მარტო ებრაელთა გადასახლება მიეწერება, არამედ ქართველთა გადასახლებაც სამხრეთის ქვეყნებიდან უფრო ჩრდილოეთით.

ქრისტეშობამდე IV–III საუკუნის ბერძენი მწერალი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ნაბუქოდონოსორს ახსენებს ვითარცა იბერიელთა ძველი სახელმწიფოს დამპყრობელს.

„ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, მას შემდეგ რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა, ერთი წილი მათგანი გადაადგილა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, იქ დაასახლა“ (გეორგიკა, 1961, გვ. 30). ევსევი კესარიელი წერს – „აგრეთვე მეგასთენე ამბობს თავის „ინდოეთის“ მეოთხე წიგნში, რომელშიც მოგვითხრობს ამის წინ მოხსენებული ბაბილონელთა მეფის შესახებ, რომ ის სიმამაცით და საგმირო საქმეებით ჰერაკლეს აღემატებოდა, იმდენად აღემატებოდა, რომ ლიბიის და იბერიის მეტი წილი, ამბობს იგი, დაიპყრო“ (იქვე, გვ. 30).

ამ ცნობით ნაბუქოდონოსორს დაუმორჩილებია და დაუპყრია მთელი იბერიის სახელმწიფო, რომელიც სამხრეთით ლიბიასთან მდებარეობდა, აუყრია ქართველები და გადმოუსახლებია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ანუ კოლხეთსა და შემდგომდროინდელ ლაზიკაში. ეს მომხდარა ქრისტეშობამდე VI საუკუნეში. მეგასთენის აღნიშნულ ცნობას იმეორებენ შემდეგი დროის ისტორიკოსები მარაბას-კატინა (I ს.), მოსე ხორენაცი (V ს.) და სხვები.

ნაბუქოდონოსორს ქალდეელთა მეფეც ერქვა.

ქვეყნის სახელწოდებამ „ქალდეამ“ ათასწლეულთა მანძილზე ადგილი წაიცვლა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, შუმერებიდან – ქართველებამდე. ნაბუქოდონოსორი, ქალდეური ბაბილონის ყველაზე ცნობილი მეფე ასურელთაგან ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს სათავეში ჩაუდგა 604 წლისათვის და 562 წლამდე მართავდა მას.

ნაბუქოდონოსორს ჰქონია ღვთის სიყვარული (ბაბილონში 53 დიდი ტაძარი და ასობით სამლოცველო არსებობდა). მან ხელახლა ააშენა დაქცეული ბაბილონი, ტაძართა და სატაძრო ნაგებობათა აშენება მისი უმთავრესი საზრუნავი იყო. მათკენ იყო მიმართული სახელგანთქმული ბაბილონის საპროცესიო გზები, რომლებსაც მთელ სიგრძეზე ფერადი (ლურჯ-ცისფერი) ჭიქური მიყვებოდა, მათზე გამოყვანილი ყვითელფაფრიანი თეთრი ლომებით, ხარებითა თუ გველეშაპებით. ქალდეელთა მეფე დაუღალავი მშენებელი იყო. მისი ხელით ინება უფალმა იერუსალიმის დასჯა, სადაც 597 წელს გაილაშქრა, იუდეის მეფე იოაკიმი ოჯახითა და წარჩინებულებით ბაბილონში გადაასახლა, იერუსალიმის უმდიდრესი ტაძრის განძთან ერთად. მალე, ეზეკიელის წინასწარმეტყველების შესაბამისად, ნაბუქოდონოსორმა კვლავ აიღო აჯანყებული იერუსალიმი 587 წელს, გაძარცვა, დაწვა, ათასობით იუდეველი გადაასახლეს ბაბილონში, რისთვისაც ათწლეულთა შემდგომ თვით ბაბილონიც დაისაჯა. უფლისაგან განდგომა იყო მიზეზი ებრაელთა დატყვევებისა, როგორც იერემია წინასწარმეტყველი წერს – „იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: წადი და ყურში ჩასძახე იერუსალიმს: ასე ამბობს-თქო უფალი: მე მახსოვს შენი ყმაწვილური ერთგულება და პატარძლური სიყვარული, როცა მომყვებოდი უდაბნოში, უხნავ-უთეს მიწაზე. უფლის სიწმიდეა ისრაელი, მისი მოსავლის ნათავარი. ყოველი მისი მჭამელი დადანაშაულდება, უბედურება დაატყდება თავს, ამბობს უფალი. ისმინე უფლის სიტყვა იაკობის სახლო და ისრაელის სახლის ყოველო საგვარეულოვ! ასე ამბობს უფალი: რა ნახა ჩემში ცუდი თქვენმა მამა-

პაპამ, რომ განმიდგა, ამაოებას რომ აჰყვა და თავადაც ამაოებაში ჩაეფლაო?.. არ უთქვამს მღვდლებს, სად არისო უფალი, რჯულის კაცებმა არ მიცნეს, მწყემსები გამიდგნენ, წინასწარმეტყველნი ბაალის სახელით გიქადაგებენ და უსარგებლო კერპებს აკეთებენ, ამიტომაც კიდევ მექნება თქვენთან დავა... კარგად გამოიკვლიეთ, ნახეთ, თუ სადმე მომხდარა ამგვარი რამე. თუ შეუცვლია რომელიმე ხალხს თავისი ღმერთები, თუმცა არ ყოფილან ისინი ღმერთები. ჩემმა ერმა კი უსარგებლო კერპებზე გადაცვალა თავისი დიდება“ (იერ. 2, 1-11). ისრაელმა ორი დანაშაული ჩაიდინა, – ამბობს უფალი იერემიას აზრით: მიატოვეს ღმერთი – ცოცხალი წყაროსთვალი და ახალი წყლის ძებნა დაიწყეს – ე.ი. ცრუ ღმერთების ძიება (იერ. 2.13). ისრაელმა ამით მიატოვა უფლის სახლის შვილობა, რის გამოც იქცა ნადავლად მბრდღვინავი ლომებისათვის, რომლებიც უდაბნოდ უქცევენ ქვეყანას, გადაწვავენ და გააუკაცრიელებენ მის ქალაქებს (2,15).

„რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: გაჩეხეთ ხე და დაახვავეთ იერუსალიმის ირგვლივ. უნდა დაისაჯოს ეს ქალაქი! სავსეა ძალადობით. როგორც ჭაში გროვდება წყალი, ასე დაგროვდა მასში ბოროტება. ძალადობა და ძარცვა ისმის იქ. სნეულება და ჭრილობებია. ჩემს წინაშე მუდამ ფრთხილად იყავი იერუსალიმო, არ მიგატოვოს ჩემმა სულმა, არ გადაგაქციოთ უდაბნოდ, უკაცრიელ ქვეყნად... რადგან პატარიდან დიდამდე ყველა მომხვეჭელია, წინასწარმეტყველიდან მღვდელამდე ყველა ყალბისმქმნელი. ზერელედ მკურნალობენ ჩემი ერის ჭრილობებს. ამბობენ მშვიდობააო, მშვიდობა! თუმცა არ არის მშვიდობა. განა არ რცხვენიათ, სიბილწეს რომ ჩადიან? არა! სულაც არ რცხვენიათ, ამიტომაც დაეცემიან დაცემულთა შორის, წაიფორხილებენ, როცა დავსჯი მათ, – ამბობს უფალი“ (იერ. 6.6-15).

იერემიას ღვთის სიტყვის განცხადებისათვის სიმართლით შეურაცხყოფილი ბრბო ემუქრებოდა, ცილს სწამებდა და ესწრაფოდა მის დაღუპვას. უკეთური ქცევით დატანჯული წინასწარმეტყველი წყევლიდა თავის დაბადების დღეს, მაგრამ სიმართლის თქმას განაგრძობდა. მან პირდაპირ უთხრა მის დილეგში ჩამგდებ ერთ მღვდელს: „ასე ამბობს უფალი: აჰა, შიშის ზარს დაგცემ შენ და შენს მეგობრებს. დაეცემიან ისინი მტრების მახვილისაგან და შენი თვალით იხილავ ამას. ბაბილონელთა მეფის ხელში ჩავაგდებ მთელს იუდას. გადაასახლებს მათ ბაბილონში და მახვილით ამოსწყვეტს“ (იერ. 20,4).

წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი გარს შემოადგა იერუსალიმს. იერემიამ განუცხადა იუდეას მეფეს: „...ამბობს უფალი – ჩავაგდებ ციდკიას, იუდას მეფეს და მის მორჩილებს, ხალხს და ყველას... ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფის ხელში...“ (21.7).

მართლაც, აღსრულდა წინასწარმეტყველება. ისრაელიანები ბაბილონში გადაასახლეს, იერემია გოდებდა: „როგორ მარტო დარჩა ქალაქი, ოდესღაც ხალხმრავალი, ზის ქვრივი ქალივით, ხალხთა ქალბატონი და მხარეთა დედოფალი მოხარკე შეიქმნა. ტირის ღამღამობით, ღაწვებზე ცრემლი სდის, არავინ ჰყავს ნუგეშინისმცემელი, ყველამ უღალატა, მტრად გადაეკიდნენ მეგობრები“ (გოდება, I: 1-2). „აღასრულა უფალმა განზრახული, აახდინა თავისი ნათქვამი, რაც ჰქონდა ნაბრძანები ძველთაგანვე, დააქცია და არ შეიბრალა. მტერი გაახარა შენზე, რქა აღუმაღლა შენს დუშმანებს... ყრიან ქუჩის მტვერში ყმაწვილი და მოხუცი, ჩემი ქალწულები და მოყმეები მახვილით დაეცნენ; დახოცე შენი რისხვის დღეს, დაკალი, არ დაინდე“ (2.17,21).

ნაბუქოდონოსორმა დაატყვევა და გადაასახლა ებრაელი ხალხი, მასვე, როგორც უკვე აღინიშნა, ძველ ისტორიკოსთა ცნობებით, დაულაშქრავს ქართველთა სახელმწიფო, სადღაც სამხრეთში მდებარე, დაუტყვევებია ქართველობა და გადაუსახლებია ჩრდილოეთის ქვეყანაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ისრაელ დედათა დარად ტიროდნენ ალბათ ქართველი დედებიც, მაგრამ მათი

გოდების აღმწერი არავინ იყო, ჩანს, მათ შორის არ ჰყავდა უფალს გამორჩეული ერთგული. ისინი ამ დროისათვის კერპთმსახურნი იყვნენ, ჭეშმარიტი ღმერთი მხოლოდ ექვსასი წლის შემდეგ შეიცნეს ანდრია მოციქულის ქადაგების მეშვეობით.

აქ ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ რჩეულ ერთან, რომელიც აღთქმის დარღვევისათვის სამართლიანად დაისაჯა, უფალმა კვლავ განაახლა თავისი აღთქმა. ბაბილონის ტყვეობა დასრულდა. ებრაელები აღთქმულ მიწაზე დაბრუნდნენ. ქართველები კი, თუკი ვენდობით ძველ ისტორიკოსთა ცნობას მათი სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადასახლების შესახებ, დაფუძნენ ახალ ქვეყანაში, უწოდეს მას თავისი სახელი საქართველო. თუმცა, სიმონ ჯანაშიას დაკვირვებით, კავკასია ძველთაგანვე სამშობლო იყო ქართველების, ისევე როგორც წინა აზიის ზოგიერთი რეგიონი. ამ დროისათვის მოხდა არა ქართველთა გადასახლება, არამედ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს მათმა პოლიტიკურმა ცენტრებმა. ესე იგი, სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადასახლდა მხოლოდ პოლიტიკური ელიტა. ყოველ შემთხვევაში თუბალისა და მეშექის ძველი დიდება საუკუნო წარსულად იქცა. მათი ადგილი „იბერმა“ დაიჭირა.

იბერი

ეზეკიელის პირით გამოთქმული წინასწარმეტყველების კითხვისას – „უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ გოგ, როშის, მუშექის და თუბალის მთავარო! გაგაბრუნებ და ყბაში ჩანგალს ამოგდებ... თოგორმას სახლს ჩრდილოეთს კიდეებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად“ – გვახსენდება ს. ჯანაშიას სიტყვები – „უეჭველია, რომ VI-I საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველობამ დიდი ზარალი განიცადა. ამ ხანაში შემცირდა ქართველი ტომების მოსახლეობა და მასთან ერთად ამ ტომებმა თავისი მსოფლიო-ისტორიული პოზიციები დაჰკარგეს“ (ს. ჯანაშია, ტ. V, 1987, გვ. 212).

რაღა დარჩა ერთ დროს პირინეიდან პამირამდე განფენილი (ნ. მარი) ქართველური ეთნოსიდან?

ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ქართველური წარმოშობის ხალხები იქცნენ მცირე ტომებად, დაემხო მათი ერთ დროს სახელოვანი სახელმწიფოები. თავიანთი უბედურებისა და გაჭირვების დროს რამდენიმე ნაკადად მოაშურეს კავკასიას, სადაც ეგულებოდათ სახელმწიფოებრივი გაერთიანება მათი მონათესავე ქართული ტომებისა – სახელგანთქმული კოლხეთი. მართალია, კოლხეთის ძლიერების ხანა (ქრისტეშობამდე IX–VIII სს.) ამ დროისათვის განვლილი იყო, მაგრამ ის მაინც ფეხზე იდგა და ბუნებრივი საზღვრებისაგან დაცულს ძლიერი მტრებიც ნაკლებად ჰყავდა. მომავალი საქართველოსაკენ მოიწევდნენ ტიბარანებად ქცეული თუბალები, მესხებად ქცეული მუშქები, ახლა მცირე ტომებად ქცეული ქალდეველები ანუ ხალიბები, კარდუხები. ჰეროდოტეს თანახმად, წინა აზიაში ამიერკავკასიისკენ ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები – მოსხები, ტიბარანები, მაკრონები, მოსინიკები, კოლხები, ალაროდიელები, სასპეირები. ის ერთ მომენტთან დაკავშირებით წერს – „მოსხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ. პატარა ფარები და შუბები ჰქონდათ... ლაშქრობდნენ ტიბარანები, მაკრონები და მოსინიკები, რომლებიც მოსხებივით იყვნენ აღჭურვილნი... კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ... ალაროდიელები და სასპეირები კოლხების მსგავსად შეიარაღებულნი ლაშქრობდნენ“ (ჰეროდოტე, ისტორია, II, 434). როგორც ჩანს, ქართული ტომები იმ დროისათვის კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყო.

„ვრცელ მიწა-წყალზე მცირე აზიასა, სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე მცხოვრები ქართული გვარტომობის ხალხები“ (ს. ჯანაშია) აღნიშნული დროისათვის კავკასიაში შეყუჟულ ტომებად იყვნენ ქცეულნი, მაგრამ

უფალ ღმერთს ისინი არ დაუვიწყებია. მისცა ძალა, რათა ჩამოეყალიბებინათ ერთიანი „ქართლის სამეფოდ“ ცნობილი სახელმწიფო. შეჰკრა ისინი ერთიან ერად და იმის შემდეგ, რაც დედამიწაზე მოსული ძე ღვთისა, ჭეშმარიტი ღმერთი ამაღლდა, ეჩვენა დედა ღვთისას და უთხრა ქართველი ერის შესახებ: – „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 38) უფლის რჩეულ ერად იქცა, ყველა ქრისტემოყვარე ერის მსგავსად.

ამ სიყვარულის ნიშნად პირველ საუკუნეშივე ჩვენმა ერმა მიიღო ზეცით ქსოვილი კვართი უფლისა, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი, ნიშნად იმისა რომ „საზეპურო ერი“ მის წიაღში შენახულ კვართის მსგავსად სამარაჟამოდ, მის მეორედ მოსვლამდე, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი უნდა დარჩენილიყო, თუკი ქრისტიანობას დაიცავდა. უფალმა ათეულ ტომებად ქცეული ქართული ეთნოსი ქრისტეშობამდე 3-4 საუკუნით ადრე ერთიან ერად აქცია ეროვნული სახელმწიფოს დაარსებით. ერთიან ქართულ სახელმწიფოს „ქართლის სამეფოს“, ხოლო უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, „მოქცევა ქართლისაის“ თანახმად, მისი დასავლეთი საზღვარი ეგრისწყალზე გადიოდა, ასე რომ, ის მოიცავდა აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს. ამ სახელმწიფოს ხალხი ერთიან ერად შეკავშირდა და მას „ქართველნი“ ეწოდებოდათ. აქვე ისიც უნდა ითქვას, ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, სამხრეთში აღმოჩნდნენ მრავალრიცხოვანი ქართული ტომები. ქართული ტომები აგრეთვე ცხოვრობდნენ ეგრისწყალთან გამავალი საზღვრის გადაღმაც და ასევე აღმოსავლეთით – ალბანეთის მიმართულებით.

როგორც ითქვა, განსაკუთრებით მრავალი ქართული ტომი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოს გარეთ – შავი ზღვის სანაპირო მხარეში, რომელსაც ქალდეას, ანდა ჭანეთს უწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაარსებამ მეფე ფარნავაზის ეპოქაში, ფაქტობრივად გამოიწვია ქართული ეთნოსის ორად გაყოფა, კერძოდ, ერთი ნაწილი აღმოჩნდა თავის ეროვნულ სახელმწიფოში, ხოლო მეორე ნაწილი სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ მდგომარეობამ ხელი შეუწყო საერთო ქართული ენის დიფერენციაცია-დანაწევრების გაღრმავებას. ამის მიზეზი იყო ის, რომ ჯერ კიდევ ფარნავაზის სახელმწიფოს შექმნამდე საუკუნეებით ადრე კოლხური კულტურა მოიცავდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთის უმეტეს ნაწილს. კოლხური კულტურის არეალზე კი, როგორც მიიჩნევა, გავრცელებული იყო ფუძე ქართული ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებული, ჯერ კიდევ გაუყოფელი ე.წ. ზან-ქართული ენა.

ძველი კოლხეთი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს არ მოიცავდა, მასში აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი შედიოდა. კოლხეთი კავკასიაში ქართული ტომების გამართიანებელი იყო. ჰეროდოტეს აღწერიდანაც ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიურ სამყაროში ორ ქართულ ტომს აქვს ჰეგემონობა თავის თავზე აღებული, კოლხებსა და მოსხებს. კერძოდ, ლაშქრობისას (ანუ პოლიტიკური მოღვაწეობისას) მოსხებთან ერთად მოლაშქრე ტიბარანები, მაკრონები და მოსინიკები მოსხებივით არიან აღჭურვილნი, ხოლო კოლხებთან ერთად მყოფი ალაროდიელები და სასპეირები კოლხებივით შეიარაღებულნი. მოსხები და კოლხები კი წარმმართველებად ჩანან. მაგრამ მოსხებს ქრისტეშობამდე VI საუკუნეში მცხოვრები ბერძენი ავტორი ჰეკატოს მილეტელი „კოლხურ ტომად“ მიიჩნევს, ანუ მესხები და კოლხები ერთი ხალხია, ზოგადი სახელია კოლხი, მაშასადამე, კოლხეთი, კოლხური კულტურა და ყოველივე, რაც ძველ კოლხეთთანაა დაკავშირებული, არის არა დასავლეთ საქართველოს ლოკალური კულტურა, არამედ ზოგად-ქართული ეთნოსისა, ყველა ქართველური ტომისა, ეს შეეხება ენასაც. ძველ-

კოლხური ენა უნდა იყოს იმ დროისათვის სუსტად დიფერენცირებული ფუძე ქართულიდან გამოყოფილი, ე.წ. ზან-ქართული (ჯერ კიდევ დაუშლელი) ენა.

გ. მელიქიშვილი წერს – „მოსხებს ძვ.წ.აღ-ის VI ს-ის ბერძენი ავტორი ჰეკატოს მილეტელი „კოლხურ ტომს“ ეძახის. თუ გავითვალისწინებთ, რომ მესხური ელემენტი მუდამ ქართების ელემენტს ემთხვევა, „კოლხურს“ აქ დასავლურ-ქართულის მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ, რადგან, როგორც ითქვა, ძველი ლეგენდარული კოლხეთის არსებობის ხანაში (ძვ.წ.აღ-ის I ათასწლეულის პირველი საუკუნეები) კოლხეთი ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებულ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს მოიცავდა. ამ დროს მეგრელ-ჭანებსა და ქართებს შორის ენობრივი განსხვავება, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც „კოლხი“ სახელი ამ უძველეს ხანაში საერთო ქართველური, თუ ქართი-ზანური (მეგრულ-ჭანური) ელემენტის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. იონიელი ბერძნები ქართველ ტომებს ჯერ კიდევ ქართულ-ზანური ერთობის არსებობის „კოლხურ“ ხანაში გაეცნენ და „კოლხი“ სახელსაც, უნდა ვიფიქროთ, ამ ერთობის აღსანიშნავად ხმარობდნენ. ამიტომაც მოსხების „კოლხურ ტომად“ მოხსენიება ჰეკატოს მილეტელთან, საერთოდ, მათ ქართველობაზე მიუთითებს და მეგრულ-ჭანურ წარმომავლობაზე არაფერს ლაპარაკობს“ (საქ. ისტ. ნარკვ, I, გვ. 395).

ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების ეპოქა, რომელიც, ცხადია, რამდენადმე წინ უსწრებდა ფარნავაზის ხანას (IV–III სს. ქრისტეშობამდე) ხასიათდებოდა დიდი ცვლილებებით... კერძოდ, ამ დროს VIII–VI საუკუნეებში კოლხური კულტურის არეალში სამხრეთიდან შემოვიდნენ სხვადასხვა ქართველური ტომები, რაც გამოიწვევდა ძვრებს, მნიშვნელოვან გადანაცვლებებს.

როგორც აღნიშნული იყო, ამ დროის ქართველური ჯგუფის ძირითადი კულტურა სწორედ „კოლხური კულტურა“ უნდა ყოფილიყო (იხ. იქვე, გვ. 431). „აკად. ბ. კუფტინის აზრით, „კოლხური კულტურის“ გავრცელების საზღვარი თავდაპირველად მცხეთამდე აღწევდა. დღევანდელი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც გვიანი ბრინჯაოს ხანაში მჭიდროდ უკავშირდებოდა „კოლხური კულტურის“ ზონის მოსახლეობას... აკად. ს. ჯანაშია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართლი, კერძოდ, ისტორიული შიდა ქართლი, ის ტერიტორია უნდა იყოს, სადაც გვიან ბრინჯაოს ხანაში ხდებოდა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა გავრცელების საზღვრების ურთიერთკვეთა“ (იქვე, გვ. 432).

კოლხური კულტურის არეალი ვრცელდებოდა არათუ თანამედროვე საქართველოს უმეტეს ნაწილზე, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც და ვრცლად სამხრეთის მიმართულებითაც – „ასეთია, მაგალითად, უპირველეს ყოვლისა ჩრდილო ოსეთი და ყაბარდო-ბალყარეთი მთავარი ქედის მიღმა, აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელი ზოლი მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით, მესხეთიდან ვიდრე არაგვის ხეობამდე. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ჭოროხის აუზი და უფრო დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო, ყოველ შემთხვევაში ქალაქ ორდუმდე მაინც. აღარაფერს ვამბობთ ჩვენთვის საინტერესო ტიპის ცალკეულ ნივთებზე, რომლებიც აღმოჩენილია სომხეთის ტერიტორიაზე (ახტალა-ლალვარის მიდამოები, გოლოვინო, პარკარი, ლენინაკანი) და ურმიის ტბის რაიონში“ (იქვე, გვ. 255).

თანამედროვე ჩრდილოეთ სომხეთი, ყოველ შემთხვევაში ბამბაკის მთის ჩრდილოეთით მტკვრის აუზში მოქცეული ტერიტორია, ისტორიულად, ათასწლეულთა მანძილზე საქართველოში შემავალ მიწაწყლად, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარედ მიიჩნეოდა, ამიტომაც აქ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთების აღმოჩენა უნდა ჩავთვალოთ მტკვრის სამხრეთით კოლხური კულტურის გავლენის გავრცელებად. როგორც ჩანს, კოლხური კულტურა ვრცელდებოდა ჭოროხისა და საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ მტკვრის აუზებში, ასევე დასავლეთ

საქართველოში. სად მდებარეობდა ცენტრი, ბუდე კოლხური კულტურისა? – მიჩნეულია, რომ ის მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში. „როგორც არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს, თვით დასავლეთ საქართველო ამ კულტურის ძირითადი ბუდე უნდა იყოს“ (იქვე, გვ. 256), მაგრამ რატომ არ შეიძლება ეს ბუდე აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილიყო, ვთქვათ მტკვრის ხეობაში (ისტორიულ დიაოხთან, შემდეგდროინდელ ტაოსთან, კლარჯეთთან), ანდა ჭოროხის ხეობაში, სადაც ზოგიერთი მკვლევარი მეტალურგიის ცენტრების არსებობას ვარაუდობს? საფიქრელია, რომ ბუდე კოლხური კულტურისა მდებარეობდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ის ერთიანი კულტურაა და არა ლოკალური რომელიმე კუთხისა. მართალია, ჯერჯერობით უცნობია, ვრცელდებოდა თუ არა კოლხური კულტურა მცხეთის აღმოსავლეთით, მაგრამ, ძველქართულ წყაროთა თანახმად, აღნიშნული მიმართულებით ტერიტორიები დასახლებული იყო ქართული ტომებით (ქართლის ცხოვრებაში ასახულია, რომ აქ სახლობდნენ ქართლოსის უშუალო შთამომავალნი). კოლხური კულტურის ამ არეალში გაუვრცელებლობის შესახებ კი უნდა გავიმეოროთ გ. მელიქიშვილის ნათქვამი: „რა თქმა უნდა, სავალდებულო არ არის, რომ მატერიალური კულტურის ესა თუ ის არე ზუსტად ემთხვეოდეს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის გავრცელების საზღვრებს“, (იქვე, გვ. 432).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად უნდა დავეთანხმოთ გ. მელიქიშვილს – ქრისტეშობამდე პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში სახელი „კოლხი“ საერთო ქართველური, ანუ ზან-ქართული (ქართ-ზანური) ელემენტის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. სახელი „კოლხი“ სუსტად დიფერენცირებულ ქართულ ეთნიკურ ერთობას მოიცავდა (ამიტომაც უწოდებდნენ „მოსხებს“ – კოლხებს).

როგორც აღნიშნული იყო, ქრისტეშობამდე VIII საუკუნის შემდგომ კოლხური კულტურის არეალში დიდი ცვლილებები მოხდა, ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ კიმერიელები, მათ დაარბიეს კოლხეთი, ხოლო სამხრეთიდან თანდათან შემოსულა სხვადასხვა ქართული ტომები. ეს ქართული ტომები ერთ დროს წარმოადგენდნენ ცნობილ ხალხებს თავიანთი სახელმწიფოებით, მათ გააჩნდათ დიდი პოლიტიკური კულტურა, ამიტომაც შემოსვლის შემდგომ საკმაოდ მალე მოახდინეს დამხვედრი ტომების კონსოლიდაცია და ჩამოაყალიბეს „ქართლის სამეფო“ – ახალი ქართული სახელმწიფო. ს. ჯანაშიას თანახმად, სამხრეთით მდებარე ქართული სახელმწიფოების გაქრობის შემდეგ პოლიტიკურმა ცენტრებმა ჩრდილოეთით, დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე გადმოინაცვლა. ამას, როგორც აღინიშნა, ხელი შეუწყო ძველი კოლხური სამეფოს განადგურებამ კიმერიელთა მიერ. ამ შემოსევის შემდგომ, როგორც ფიქრობენ, კოლხეთის (ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს) მოსახლეობის ნაწილი მომხდურებთან ბრძოლაში გამწყდარა, გადარჩენილებს მეზობელ კუთხეებში შეუფარებიათ თავი.

სამხრეთიდან ჩრდილოეთით ქართული ტომების შემოსვლას, ანუ პოლიტიკური ცენტრების გადმონაცვლებას გარკვეულად გამოუცოცხლებია ძველი კოლხეთი. სამეფოც ჩამოყალიბდა, საქმე ის იყო, რომ კოლხები და შემოსული ტომები, როგორც აღინიშნა, ერთი ეთნოსი, ერთი წარმოშობის ხალხი იყო. ასე, მაგალითად, ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა შეიძლებოდა თუბალების (თობელის) კულტურა ყოფილიყო.

ს. ჯანაშია ბიბლიაში ნახსენებ იაფეტის ძე თუბალს და კაენის შთამომავლებს – თუბალ-კაენს, იაბელს, იუბალს ასე აკავშირებდა კოლხებთან (და იბერებთან): „ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ბიბლიის ორი სხვადასხვაგვარი ცნობის შეთანხმება ძნელი არ უნდა იყოს. ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში თუბალი მარტოა დასახელებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მას ძმებიც ჰყავს – აბალი და უბალი, ჩვენი აზრით იმ გარემოებას მოწმობს, რომ პირველად ხალხი მთლიანი სახითაა წარმოდგენილი,

მეორედ კი – თავისი მთავარი ტომების სახით. ადვილად აიხსნება თუბალის ორი სახელიც – თუბალ-კაენი და თობელი: „კაინ“ „კენი“ აქ ეპითეტია, რომელიც, სათანადო სემიტური ძირის საშუალებით „მჭედელს“ აღნიშნავს, თუბალი ხომ უპირატესად მჭედელი და მეტალურგია, შესაძლებელია ისიც (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი), რომ აქ გვქონდეს სათანადო სატომო სახელის გააზრებაც („კაენებს“, როგორც ვნახეთ, იხსენიებს პლინიუსი და შემდეგში ცნობილნი არიან ჭანნი – ოკაენიტებიც). დაბადების მეოთხე თავის ცნობაში საყურადღებოა ფუძის ახალი ფორმები, რომლებიც ჩვენ წინათ არ შეგვხვედრია – თავკიდური თ//ტ-ს ნაცვლად – ეს, უეჭველია, ახალი საფეხურია ამ სახელის განვითარებაში. ამ ცნობით მოცემული შესატყვისობანი: თ//ტ – ჰ// -0 საფუძველს აძლევენ ივ. ჯავახიშვილის და ი. ყიფშიძეს თუბალ-თაბალი და იბერი, შუალედი რგოლებით, ერთმანეთს დაუკავშირონ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამასთანავე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ტაბალ – ქართების გამოთქმაა, ტუბალ – ტობალ – მეგრულ-ჭანური, ხოლო ტიბარ სვანურ გამოთქმას უახლოვდებაო. საკმარისია მოვიგონოთ ასურული ცნობა ტაბალების 24 სამეფოს არსებობის შეხებ, რომ პარალელური ფორმების ასეთი სიმდიდრე სავსებით ბუნებრივად მივიჩნიოთ და სხვა დაკარგული ფორმებიც ვივარაუდოთ. დასასრულ, მოვიგონოთ, როგორ ახასიათებს ამ ქართველურ მოძმე ტომებს „შესაქმეთა წიგნის“ ავტორი. თობელის, ანუ თუბალ-კაენის შესახებ აქ ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხურო , მჭედელი რვალისა და რკინისა“ (IV, 22). თუ ამას დავუკავშირებთ თანამედროვე არქეოლოგის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურა, რომელსაც წინათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა, რომ ამ კულტურის აყვავების ხანა სწორედ თაბალ-თუბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა, უახლესი აღმოჩენებით ვრცელდება შორს სამხრეთით მცირე აზიისაკენ (ვგულისხმობთ ართვინისა და ორდუს განძებს), მაშინ ბუნებრივად შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა ნამდვილად თუბალების, ანუ თუბალ-კაინების კულტურა?“ (ს. ჯანაშია, III, 1959, გვ. 71-73).

ასე აკავშირებდა ს. ჯანაშია თუბალს კოლხთან და იბერთან, ხოლო მესხებს კოლხებთან ქრისტეშობამდეც აკავშირებდნენ.

ანთროპოლოგიურად აღნიშნულ ხანაში მთელი კავკასიის მოსახლეობა ერთგვაროვანი ყოფილა. მ. აბდუშელიშვილი წერს – „ამრიგად, მთელი კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა ერთ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში სამხრეთ-ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის სახელით არის ცნობილი. საქართველოს გვიან ბრინჯაოს და შემდგომ რკინის ფართო ათვისების პერიოდის მოსახლეობა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ტიპობრივად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. რაც გამორიცხავს რაიმე ახალი, ადგილობრივისაგან განსხვავებული ელემენტების შემოსვლას საკვლევ ტერიტორიაზე დროის აღნიშნულ მონაკვეთში“ („ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია“).

ანთროპოლოგიური, კულტურული, ენობრივი და სხვა მსგავსი ერთობა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ქრისტეშობამდე VI საუკუნეში აღორძინებულ კოლხეთის სამეფოში, რომელიც ამჯერად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, განფენილი იყო სამხრეთიდან შემოსულად მიჩნეული ე.წ. მესხური ტომები. დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციები და ასევე რიონის სამხრეთითაც მოქცეული მიწა-წყალი, ძველთაგანვე მსგავსი ელემენტებით ჩანს დასახლებული. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე შემოღწეული მცირეაზიელი მუშქები (მესხები), ჩანს, აქტიურ როლს ასრულებდნენ ამ მხარის პოლიტიკურ ცხოვრებაში... შემდეგში აქედან კიდევ უფრო ჩრდილოეთით გავრცელდნენ. მესხური სამოსახლონი უნდა

გაჩენილიყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში... დამახასიათებელია, რომ მცირეაზიული წარმოშობის სახელწოდებები უმკვიდრდება არა მარტო შიდა ქართლის მიწა-წყალზე აღმოცენებულ ციხე-ქალაქებს, არამედ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში წარმოშობილ ზოგ ამგვარ ცენტრსაც... მცირეაზიული ელემენტის პოლიტიკური ჰეგემონობა ვრცელდება მესხეთს, შიდა ქართლსა და სხვათა შორის, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილზეც. ეს ის ტერიტორიებია, სადაც მიმდინარეობდა ადგილობრივი ქართის და მცირე აზიიდან შემოღწეული მესხური ელემენტის წიაღში აღმოსავლურ ქართული (ქართლის, იბერიის) სახელმწიფოს ჩამოყალიბება“ (საქ. ისტ. ნარკვ, I, გვ. 397).

უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთის სამეფოს (VI–IV სს.) წიაღშივე საფუძველი ეყრებოდა ახალ ერთიან ქართლის სახელმწიფოს, ფარნავაზის მიერ დაარსებულს. ამას უნდა მიუთითებდეს, წყაროთა ჩვენება იმის შესახებ, რომ ფარნავაზის წინამორბედი (სამეფო ტახტზე) აზონი არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც მართავდა. ქრისტეშობამდე VI საუკუნეში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ისტორიული კოლხეთის სამხრეთ რაიონებში) მცხოვრები მოსახლეობა სპარსელებმა დაიმორჩილეს. ამ ადგილებში 401 წელს გაიარა ქსენოფონტემ. მისი აღწერით, ადგილობრივი ტომები უკვე განვითარებულნი იყვნენ. კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოიტები და ტიბარენები არ ემორჩილებოდნენ სპარსეთს. აღსანიშნავია, რომ ის „კოლხებს“ უწოდებს არა რიონის ხეობაში მცხოვრებ მოსახლეობას, არამედ ტრაპეზუნტის მიდამოებში მცხოვრებთ. დაახლოებით ამ დროს (რამდენადმე გვიანდელ პერიოდს) ეხება ქართული წყარო „მოქცევა ქართლისა “, რომლის თანახმადაც, სამხრეთში – წინა აზიაში მცხოვრები ქართველების ელიტა „არიან-ქართლის“ მეფე აზოვემ გადმოასახლა და განასახლა სრულიად საქართველოში, მათ შორის რიონისა და ენგურის ხეობებშიც, ვიდრე ეგრის წყლამდე. თუ ეს წყარო სწორია, მაშინ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში აქამდე კოლხური კულტურის არეალში მცხოვრებ ქართველობას შერევია სამხრეთიდან გადმოსახლებული ქართველობა და შემდეგდროინდელი ქართული ტომები თანაბარი ხარისხით მათი მემკვიდრენი არიან. თუმცა, როგორც აღნიშნული წყაროდან ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ „არიან-ქართლის“ მეფემ სრულიად საქართველოში განასახლა არა რაიმე მნიშვნელოვანი რაოდენობით მოსახლეობა, ამ სიტყვის სრული გაგებით, არამედ მხოლოდ მმართველი ზედა ფენა, აზნაურ-თავისუფალი მცირერიცხოვანი მმართველი ზედა ფენა. პავლე ინგოროყვას მიერ აღდგენილი თხზულების ტექსტში იკითხება ქართველთა გადმოსახლების შესახებ – „ხოლო ესე აზო წარვიდა „არიან-ქართლად“ მამისა თვისისა და წარმოიყვანა ათასი სახლი მდაბიო უფლისა და ათნი სახლი მამამძუძეთანი“ (პ. ინგოროყვა, ტ. 4, გვ. 515, 1978 წ.). აქ „მამამძუძე ნიშნავს მთავარს, ასევე უნდა ვიფიქროთ, რომ „მდაბიო უფლისა“ უფალთან, ანუ მეფესთან დაახლოებულ პირებს ეწოდებათ, არსენი ბერი შესაბამის ტექსტში გადმოსცემს, რომ აზომ არიან ქართლიდან მოიყვანა ათასი სახლი „მდაბიო უფლისა“ და ათი სახლი „მთავართაგან“. სულ მოყვანილია ათას ათი სახლი. „მოქცევა ქართლისაის“ მიაჩნია, რომ აღნიშნული მოსახლეობის შთამომავალნი არიან ქართველები, რომ მათ მალევე შექმნეს სახელმწიფო, მაგრამ შეუძლებელია ათას ათ ოჯახს შეექმნა უზარმაზარი, ზღვიდან ალბანეთამდე გადაჭიმული სახელმწიფო, ცხადია, ათას ათი სახლი წარმოადგენდა ზედა ფენას, ანუ სახელმწიფოს დვრიტას, მმართველ აპარატს, წყობილების ხერხემალს. ეს არის სწორედ ის, რაზედაც მიუთითებდა სიმონ ჯანაშია. მისი თეორიის თანახმად, მოხდა არა მოსახლეობის მასიური გადასახლება, არამედ ქართული პოლიტიკური ცენტრების გადანაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ანუ

იქამდე კოლხური კულტურის არეალში მცხოვრები ქართველობა აახლებს თავის სახელმწიფოებრივ წყობილებას. უფრო მაღალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და კულტურის მქონე სამხრეთული ქართული ზედაფენის მეოხებით მათ ჩამოაყალიბეს „ქართლის სამეფო“ (ანუ იბერიისა), აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებელი სახელმწიფო. სწორედ ზედა ფენა რომ მოვიდა, ამის ანარეკლი ჩანს „ქართლის ცხოვრებაშიც“. ამ თხზულების მიხედვით აზო – დამპყრობელია, მაკედონელი, რომელსაც ჰყავს „ასი ათასი რომაელი“, რომლის ძალითაც ხელისუფლება აქვს დამყარებული ქართველობაზე. „მოქცევაის“ მიხედვით, როგორც ვიცით, აზოს თან მოჰყვა „ათასი სახლი მდაბიო“, – „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი „ასი ათასი“ რომაელი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავის მხრივ „სახლიც“ თავის ქვეშ გულისხმობს შეიარაღებული მებრძოლების (ანუ ბრძოლისუნარიანი მამაკაცების) – არამცირე რაოდენობას. თუ გვიან საუკუნეებშიც კი „კომლში“ 20-მდე მამაკაცს გულისხმობდნენ, ქრისტეშობამდე, როცა ოჯახები გაუყოფელნი იყვნენ, „სახლში“ უთუოდ დიდი რაოდენობის მამაკაცები უნდა იგულისხმებოდეს. თუ მოცემულ რიცხვებს „ასი ათასი“ და „ათას სახლს“ ერთმანეთს შევადარებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერთ „სახლს“ ასამდე შეიარაღებული მამაკაცის გამოყვანა შეეძლო. სად დაასახლა აზომ შემოყვანილი მოსახლეობა, ანუ რომელ ქვეყანას ჩაუყარა მან საფუძველი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით – „იგი იმორჩილებს ქართლთან ერთად ჰერეთს და, ამრიგად, ავრცელებს თავის ხელისუფლებას მდინარე ბერდუჯიდან (დღევანდელი დებედა) ვიდრე „სპერის ზღვამდე (ე.ი. შავ ზღვამდე), იპყრობს აგრეთვე დასავლეთ საქართველოს (ეგრისს), ხარკს ადებს ოსებს, ლეკებს და ხაზარებს“ (ნარკვ. გვ. 438). „მოქცევაის“ მიხედვით, აზო შემოიყვანა ალექსანდრე მაკედონელმა. აი, როგორ საზღვრებში მოაქცია მისი ქვეყანა – „და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზო, ძე არიან ქართლისა მეფისა და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა“ (ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ. ტ. I, 1964, გვ. 81).

ამ წყაროს თანახმადაც, აზო – დასავლეთ საქართველოს სრული მპყრობელია, ვიდრე ეგრისწყლამდე, მაშასადამე, მას თავისი „ათასი სახლი“ მდაბიონი, ხოლო, ჩვენი აზრით, თავისი საყრდენი ხელისუფალნი, უნდა გაენაწილებინა მთელ სამართავ ტერიტორიაზე, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. ცხადია, მოხდებოდა დამხვდურებისა და მომსვლელების შერწყმა, ამიტომაც შემდგომი დროის მემატიანენი თავიანთ თავს (ე.ი. ქართველობას) თვლიდნენ – „არიან ქართლიდან“ მოსული ქართველობის მემკვიდრეებად.

სწრაფად ურთიერთშერწყმას ხელი ალბათ იმანაც შეუწყო, რომ მომსვლელნიც და დამხვდურნიც ერთი ეთნოსისანი, ერთი წარმოშობისანი იყვნენ. „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ზემოხსენებულ არსენ ბერისეულ ვარიანტში ნათქვამია, რომ ჩვენ, ქართველები ამ არიან-ქართლიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები ვართო. იგივეა ნათქვამი „მოქცევაის“ უფრო ძველ, შატბერდისეულ ხელნაწერში. არმაზის მთაზე მდგომი გაცისა და გას კერპების აღწერისას ნინო ამბობს, რომ ისინი იყვნენ თქვენი (ქართველთა) „არიან-ქართლელი“ მამების (ე.ი. წინაპრების) ღმერთები. მეფე მირიანი, მიმართავს რა ნინოს, ამავე გაცისა და გას ეძახის „ჩვენი მამების (წინაპრების) ძველ ღმერთებს“ (ნარკვ. გვ. 438).

ყოველივე ზემოაღნიშნულით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფოს მდგრადობა გამოწვეული იყო მოსახლეობის ერთგვაროვნებით, თუმცა კი, ერთი შეხედვით, სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით ეგრისწყლიდან და შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე არსებობდა ტომთა სიჭრელე, მაგრამ სახელმწიფომ ეს ტომები შეკრა, ერად აქცია, ამიტომაც, ჩვენი მატიანეები ათასწლეულთა მანძილზე ყოველგვარი

ყოყმანის გარეშე ჩვენი სახელმწიფოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ მოსახლეობას ქართველებს უწოდებდნენ, უცხოელები კი იბერებს. სხვადასხვა ქართული ტომების ერთიან ხალხად გადაქცევას ხელი უთუოდ იმანაც შეუწყო, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს ქართული ფუძე-ენის დაშლის ხარისხი დიდი არ იყო. ტომების ენები ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ე.წ. ქართებისა, ზანებისა და სვანების ენები, ცხადია, ამ ორიათას ხუთასი წლის წინ ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ. ისინი დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ შემდგომ, საფიქრებელია მას შემდეგ, რაც ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფო დაიშალა (იგულისხმება ვახტანგ გორგასლის შვილთა დროს). ქრისტეშობამდე IV საუკუნეში, ჯერ კიდევ ფარნავაზის სახელმწიფოს წარმოშობამდე, პირველად იქნა მოხსენებული იბერთა სახელი უცხოურ მწერლობაში. როგორც ჩანს, ქართველები იბერთა სახელწოდებით პირველად მოიხსენიეს პლატონმა და არისტოტელემ. ს.ჯანაშია წერს – „პლატონი თავის „კანონებში“, იხსენიებს „იბერებს“ იმ „მეომარ ხალხთა“ შორის, რომელნიც სვამენ უწყლო ღვინოს. არისტოტელე კი ამბობს – „იბერების“ მეომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არჭობენ ხოლმე, რამდენი მტერიც მოკლული ჰყავს მიცვალებულსო“. საფიქრებელია, რომ აქ ქართველები იგულისხმებიან, მაგრამ გადაჭრით ამის თქმისათვის დამატებითი მასალაა საჭირო“ (ს. ჯანაშია, ტ. III, გვ. 48).

ორიოდე საუკუნით ადრე ჰეროდოტესთვის უცნობი იყო ეს სიტყვა – იბერი, როგორც ჩანს, ის სხვაგვარად გამოითქმოდა იმ დროს, – სასპერებად. ჰეროდოტე ერთი მოდგმის სასპერებსა და კოლხებს იხსენიებს ასევე ერთი მოდგმის სპარსელებსა და მიდიელებთან ერთად. ეს უკანასკნელნიც შემდგომ ერთ ხალხად იქცნენ. სწორედ აღნიშნული ორი მოდგმის ხალხი – სპარსული (სპარსელ-მიდიელნი) და ქართული (კოლხ-სასპერები) ცხოვრობდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე – სპარსეთის ყურესა (წითელი ზღვა) და შავ ზღვას შორის. – „სპარსები ცხოვრობენ სამხრეთის ზღვამდე, რომელიც „წითლად“ იწოდებოდა. მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ – სასპერები, სასპერების ზემოთ – კოლხები, ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“.

სასპერებს, როგორც ჩანს, ფაქტობრივად ეჭირათ ადგილი ურარტუელებისა, რომელთა პოლიტიკური ცენტრები VI საუკუნისათვის უკვე განადგურებული იყო მიდიელთა და სკვითთა მიერ, თუმცა, როგორც ჩანს, სასპერები ჩრდილოეთის (მომავალი აღმოსავლეთ იბერიის) ტერიტორიასაც მოიცავდნენ. ჩრდილოეთის აღნიშნული ტერიტორიები, თავის დროზე ნაწილობრივ კოლხური კულტურის არეალში შედიოდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ შემდგომი დროის ავტორთა თანახმად, იბერიელები მდინარე არაქსამდე ცხოვრობდნენ. სასპერების შევიწროება არმენიელთა ტომების შემოსვლამ გამოიწვია ყოფილი ურარტუს ტერიტორიაზე.

ს. ჯანაშიას სახელი „იბერი“ გამოჰყავდა ტერმინებიდან – სუბარ-სასპერი-სპერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მას უკავშირებდა ბიბლიის თუბალსა და თობელს.

„ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელის ფუძის, ზემოთ, დოკუმენტურად, დამოწმებული თუ კანონზომიერად აღდგენილი ვარიანტები – ტიბარ, ტაბერ, ტაბარ, ტიბერ, ჰიბერ, იბერ და ამ სახელწოდებათა მატარებელი ტომების გავრცელების არე, განსაკუთრებით მცირე აზიის შინაგანი ოლქები, აუცილებლობით და სავსებით დამარწმუნებლად უკავშირდება, ერთი მხრით, „დაბადების“ თუბალსა და თობელს, მეორე მხრივ, ასურული წარწერების ტაბალს (როგორც ჩვეულებრივ სწერენ) ანუ თაბალს. „დაბადების“ ფაქტები, უკვე დიდი ხანია, რაც სპეციალურ განმარტების საგნად იქცა. ჯერ კიდევ ცნობილი სწავლული ებრაელი იოსებ ფლაბიოსი (I ს., ახ.წ.აღ-ით) ამტკიცებდა, რომ იაფეტის შვილის თუბალ-თობელის

შთამომავალნი მის დროს იბერებად იწოდებოდნენ... შემდგომში ფლაბიოსს ხშირად იმეორებდნენ ძველი მწერლები, განსაკუთრებით, ბიბლიურ გენეალოგიათა განმმარტებელნი, მაგრამ ახალმა მეცნიერებამაც ეს დებულება თითქმის უყოყმანოდ მიიღო“ (ს. ჯანაშია, III, გვ. 63).

დავამატებთ, რომ „თუბალს“ და მისგან ნაწარმოებ „ტიბარენის“ უკავშირებენ კოლხებსაც და ლაზებსაც. ამით კიდევ ერთხელ ხაზი ესმება კოლხებისა და იბერების ერთ ეთნიკურ მთლიანობას – „სტრაბონით, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში მთელი მხარე კოლხეთის დასავლეთით მდ. ღალისის შესართავამდე იწოდებოდა ტიბარანიად და დასახლებული იყო ტიბარანული ტომებით. ბიზანტიური, ძველქართული და ძველსომხური ცნობებით კი ვიცით, რომ ამ მიწა-წყალს შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ეწოდებოდა კოლხიდა, ლაზიკა (ლაზეთი), ხალდია და (დასავლეთ განაპირას) ჭანიკი...“ (ს. ჯანაშია, ტ. V, გვ. 49). ბიბლიური თუბალის შთამომავალნი არიან იბერები, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. იბერები ეწოდათ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასაც – კოლხებსაც, ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდგომ. ამ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის სახელის ტიბარან თობელებთან დაკავშირება სწორედ ამის შესახებ მეტყველებს. ქართველნი, ანუ იბერნი იაფეტის ძის შთამომავალნი არიან, წილხვედრი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, ნაკურთხნი უფლის მიერ.

ალალი და არამი (ურარტუ და არმენია)

არსებობდა თეორია, რომლის თანახმადაც, საბერძნეთში, იტალიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოგი სხვა რეგიონის უძველესი მცხოვრებნი პელასგები, ეტრუსკები, იბერები და სხვები კავკასიელებთან, შუმერებთან, ელამელებთან, ხეთებთან, ურარტუელებთან ერთად განეკუთვნებოდნენ „ხალხთა ალაროდიულ ოჯახს“. მათ აკუთვნებდნენ ქართველებსაც. ფაქტობრივად, აღნიშნული თეორიის გაღრმავებას წარმოადგენს ამჟამად მიღებული თვალსაზრისი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შესაძლო ნათესაობის შესახებ ხურიტულთან (აქედან ურარტულთან), პროტოხეთურთან, ელამურთან. ეს ენები თურმე ავლენენ ზოგიერთ საერთო ნიშანს გრამატიკულ წყობაში. ს. ჯანაშია ურარტუელებს, რომელთაც ხალდებს (თავიანთ სახელს) უწოდებდა – ქართველთა უშუალო წინაპრებად მიიჩნევდა. „ხალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდნენ“, – წერდა ის (ს. ჯანაშია, ტ. V, 1987, გვ. 35). ს.ჯანაშია ფაქტობრივად ავითარებს ჩვენი ეკლესიის წმინდანის ილია მართლის (ჭავჭავაძის) თვალსაზრისს ურარტუელთა შესახებ.

„დიახ, ბატონებო, ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცი ერი ყოფილა... ჩვენ უსაბუთოდ არ ვამბობთ ურარტელების ქართველობას“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1987, გვ. 84).

ურარტუელებს IX–VI საუკუნეებში სამხრეთ ამიერკავკასიასა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე გააჩნდათ თავიანთი დამწერლობა, რელიგია, თავისთავადი კულტურა, ხელოვნება, უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც ქრისტეშობამდე VII–VI საუკუნეებში დასუსტდა და საბოლოოდ დაეცა მიდიელთა ხელით. ურარტუელი ხალხი უსახელმწიფოდ დარჩა, უძლიერესი მტრები სწორედ ეთნიკურ ურარტუელებს დევნიდნენ. ყველა გადამთიელი ბატონად იქცა მათ ქვეყანაში.

„ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ მის დასავლეთ პერიფერიაზე გააქტიურდნენ სომეხი ტომები. მათ თანდათანობით იწყეს აღმოსავლეთით წინსვლა და ძველი ურარტუს მთელ რიგ რაიონს დაეუფლნენ. ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნის ბოლოს სპარსულ წარწერებში ძველი ურარტუ უკვე „არმინად“ იწოდება, ხოლო ეს სახელი თანდა-

თან უცხოელთა წრეში სწორედ სომხებს უკავშირდება. ამაში გამოხატულება ჰპოვა ურარტუს ძირითად რაიონებში სომხების ჰეგემონობის დამყარების ფაქტმა. ურარტუს მოსახლეობის ერთი ნაწილი ამასობაში სომეხთა წრეში გაითქვიფა... რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ნელ-ნელა ხდებოდა, ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი პროცესი იყო. ურარტუელთ უცბად არ დაუკარგავთ თავისი საკუთარი ტომობრიობა, თავისი ენა, კულტურა, ეთნიკური ინდივიდუალობა. საინტერესოა, რომ სწორედ ძველი ურარტუს ტერიტორია იგულისხმება სპარსეთის XVIII სატრაპიაში (ოლქში), რომელშიც, ძვ.წ.აღ-ის V ს-ის ბერძენი ავტორის ჰეროდოტეს ცნობით, შედიოდნენ ალაროდიები, მატიენი და სასპერები. ამათგან ალაროდი, უეჭველია, ძველ ურარტელებს გულისხმობს – სახელი „ალაროდი“ (არაროდი) ოდნავ სახეცვლილი იგივე „ურარტუა“. ეს სახელი შემორჩა დღეს არარატის მთას, რომელსაც ადგილობრივი სომხური მოსახლეობა „მასისს“ უწოდებს (ძვ. აღმ. ხალხთა ისტორია, გვ. 359).

ურარტუელთა სახელი ქართველთა მეხსიერებას „ალალის“ სახით უნდა შემოენახა. ამის საფუძველი იქნებოდა ისიც, რომ ბერძნებიც ურარტუელებს – ალაროდებს, ალალოდებს უწოდებდნენ.

– მოვსეს ხორენაცი, მამა სომხური ისტორიოგრაფიისა, არამს სომხურ ტომებს უწოდებს, ის წერს – „როგორც ყველასათვის ცნობილია, გარშემო მობინადრე ხალხები ჩვენს ქვეყანას დღემდე არამის სახელის მიხედვით ეძახიან“ („სომხეთის ისტორია“, 1984 წ., გვ. 77).

„არამი“ – სომეხთა რამდენიმე ეთნარქის სახელია ხორენაცის მიხედვით. სომეხთა მამამთავრების გენეალოგია ასეთია – „იაფეტმა შვა გამერი, გამერმა შვა თირასი, თირასმა შვა თორგომი, თორგომმა შვა ამასია, ამასიამ შვა გელამი, გელამმა შვა ჰარმა, ჰარმამ შვა არამი, არამმა შვა არა მშვენიერი“ (იქვე, გვ. 62).

როგორც ვხედავთ, მათ შორის „არამი“ რამდენიმეს ჰქვია, მხოლოდ სხვადასხვა ვარიაციებით. ამიტომაც შეიძლება ძველ ცნობიერებაში სომხეთის სახელი – არამს დაუკავშირდა. ალალი და არამი ხალხები ჩვენი მეზობლები იყვნენ, მათ ერთმანეთთან არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონია ილია ჭავჭავაძისა და სხვა მეცნიერთა მოსაზრებით. ლენორმანიო, წერს ილია, ურარტუელებს ქართველებად და ქართველთა მონათესავეებად მიიჩნევს და არა სომხების „რომელთანაც ურარტუელებს არავითარი ნათესაობა არა აქვთ“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, გვ. 88).

ყოველივე ზემომოყვანილი საინტერესოა ჩვენი ეკლესიის იერარქისა და მემატიანის, ლეონტი მროველი ეპისკოპოსის ქართველ ეთნარქთა გენეალოგიის განხილვისათვის.

„ქართლის ცხოვრება“, შეიძლება ითქვას, სომეხთა ხსენებით იწყება, „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანელთა – ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 3).

მროველის მიერ გადმოცემული გენეალოგიით, თარგამოსის შთამომავლობა ასეთია: „პირველსა ერქვა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექვსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს“ (იქვე, გვ. 4).

თუ ერთმანეთს შევადარებთ ხორენაცისა და მროველის მიერ გადმოცემულ გენეალოგიურ სიებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

ხორენაცით:	მროველით:
იაფეტი – – – – –	იაფეტი
გამერი – – – – – –	იაფეტის ძე
თარასი – – – – – –	თარში
თორგომი – – – –	თარგამოს
ჰაიკი – – – – –	ჰაოს, ქართლოს და ა.შ.

ხორენაცის თორგომი, როგორც მროველის თარგამოსი, იაფეტის შთამომავალია, მროველს (ისევე, როგორც ხორენაცის) თარგამოსის ძედ მიაჩნია ჰაოს ანუ ჰაიკი. განსხვავება ისაა, რომ ქართველი ეპისკოპოსის აზრით, თარგამოსს რვა ძე ჰყავდა, ხოლო სომეხი ქეთხუდის (რჯულის მასწავლებლის) აზრით, – ერთი ძე.

ხორენაცით: მროველით:
თორგომი – – – – –– თარგამოსი
ჰაიკი – – – – –– – ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს

სრულიად აშკარაა – ლეონტი მროველი ან ხორენაცის გენეალოგიით სარგებლობს და უმატებს მას სახელებს ქართველი ეთნარქებისას, ანდა ხორენაცი იყენებს რომელიღაც ძველ გენეალოგიას, სადაც თარგამოსი კავკასიელების მამათავრადაა გამოყვანილი, მაგრამ არ ასახელებს თარგამოსის სხვა ძეებს, გარდა ჰაოსისა. ამგვარი ქმედებების მიზეზს თვითონვე ასახელებს, ოღონდ „საღვთო რჯულის“ მაგალითის მოშველიებით – „საქმე ისაა, რომ საღვთო წერილი გამოჰყოფს თავისიანებს, თავის საკუთარ ერს. ხოლო სხვებს, ვითრაცა უღირსთ და შეურაცხთ, უგულებელყოფს, მათი შთამომავლობის შესახებ არაფერს ამბობს“ (მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“, გვ. 63).

თუ საღმრთო წერილიც კი არ ასახელებდა ეთნარქებს, არამედ მხოლოდ „თავისიანებს“, თავის საკუთარი ერის ეთნარქებს გამოჰყოფდა და სხვებს უგულებელჰყოფდა, ე.ი. არ ასახელებდა, სრულებით არაა გასაკვირი, რომ ხორენაცს არ დაესახელებინა თარგამოსის სხვა შთამომავლები, გარდა ჰაოსისა – სომეხთა ეთნარქისა, მით უმეტეს რომ მას კავკასიის სხვა ერები შედარებით უმნიშვნელო ერებად მიაჩნდა.

უფრო სავარაუდოა, რომ ხორენაცმა დაასახელა თარგამოსის ერთი ძე – ჰაოსი, ხოლო მროველმა თარგამოსის ძეების რიცხვი გაზარდა. ლეონტი მროველი იმეორებს ხორენაცის გენეალოგიას, ოღონდ ავსებს მას საკუთარი ერის ეთნარქების სახელებით. ისმის კითხვა – ლეონტი მროველმა რატომ მიიჩნია ქართველთა ეთნარქები და სომეხთა ეთნარქი ერთი მამის შვილებად, ჰქონდა თუ არა მას ამისთვის რაიმე საფუძველი? უნდა ვიფიქროთ, რომ ამის საფუძველი იყო ქართველ ხალხში დაცული ძველი გადმოცემა (ანდა ცნობა) იმის შესახებ, რომ უძველეს დროს საქართველოს სამხრეთით, რომელსაც შემდგომ სომხეთი ეწოდა, ერთ დროს ცხოვრობდა ქართველთა მონათესავე დიდი ერი.

ალალი ხალხის ხსოვნა მროველის დროს, ათეულობით საუკუნის წინ, უთუოდ მეტად იყო შემორჩენილი ძველ საქართველოში, ვიდრე შემდგომ. ვინ იცის, იქნებ ჰაოსში ჩვენი ძველი მემატიანენი ძველ ურარტუელებს გულისხმობდნენ, რომელთა შესახებაც ილიას ძველი თავადური სისხლი ათქმევინებდა – „დიახ, ბატონებო, ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან“.

მართალია, ურარტუს ქართველთა მონათესავე ძველი ტომები მათ ქვეყანაში შემოსულ არმენიელებში ასიმილირდნენ, მაგრამ შეუძლებელია ქართულ აზროვნებაში არ დარჩენილიყო მოგონება ან გადმოცემა მათ შესახებ. ალბათ, მოგვიანებით ლეონტი მროველის ან მისი წყაროს ეპოქაში ქართულმა აზროვნებამ ძველი ურარტუს ქართველები და სომხები გაუთანაბრა ერთმანეთს და მემატიანემ მიიჩნია, რომ სწორედ სომხები იყვნენ „თვისნი“ ქართველებისა. უფრო მეტიც, თარგამოსის ძეთა შორის უდიდესნიცა და უპირატესნიც – „ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლისრღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა, სიმხნითა“ (ქ. ც. I, გვ. 4).

სომეხთა წინაპრის ასეთი ქება, ადამის შთამომავალთა შორის ყველაზე უკეთესად მიჩნევა, თვით სომეხ მემატიანეებსაც არა აქვთ გამოთქმული, მით უმეტეს, რომ არმენიელები არც კი მოიხსენიებოდნენ ურარტუს სახელმწიფოს დაქცევამდე (ქრისტეშობამდე VI საუკუნეში), მსგავსი ქება კი ნამდვილად შეშვენოდა ალაროდიელთ, ურარტუს ბრწყინვალე სახელმწიფოს მქონე ერს, რომლის დიდება, ძლიერება და ხელოვნება ძველ სამყაროში ერთ-ერთი უშესანიშნავესი იყო. ალბათ ამიტომაც მიჩნეულ იქნა ალალთა ადგილას მცხოვრები არმენიელების წარსული ასე სახელოვნად.

ლეონტი მროველი ქართველთა და კავკასიელთა ეთნარქებს ერთმანეთის „თვისებს“ უწოდებდა და ძმებად მიიჩნევდა, ანუ კავკასიელ ხალხებს ერთი ეთნიკური წარმოშობის მქონე მონათესავე ერებად თვლიდა. იბერიულ-კავკასიურმა მეცნიერებამ, რომელიც მეოცე საუკუნეში შეიქმნა, ხანგრძლივი ძიებით დაასაბუთა კავკასიის მკვიდრ ერთა მონათესავეობა. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველს, ანუ მისი ეპოქის მეცნიერებას გააჩნდა რაღაც საბუთი ანდა გადმოცემა კავკასიელთა მონათესავეობის შესახებ. ხოლო თუკი მის მიერ ნახსენებ „ჰაოსის“ ქვეშ ვიგულისხმებთ ურარტუელებს, მაშინ ჩვენს თვალწინ გაცოცხლდება თეორია ე.წ. ალაროდიელ ხალხთა ოჯახის (ე.ი. ძველ ურარტუელთა და სხვათა) მონათესავეობის შესახებ.

არმენიელი ხალხი, როგორც აღინიშნა, ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ჩამოყალიბდა, ხოლო ლეონტი მროველი ქრისტეშობამდე ათასწლეულების წინ დებს თარგამოსისა და მისი ძეების კავკასიაში შემოსვლის თარიღს. ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ ამ ეპოქისათვის (ათასწლეულების წინ) იაფეტური (ქართველური) ენები მოიცავდა მსოფლიოს ვრცელ რეგიონს. ამ დროისათვის, მისი აზრით, ქართველური ენები გავლენას ახდენდნენ ფუძე ინდოევროპულზე, ურთიერთობა ჰქონდათ სემიტურთან, სომხურ ენას კი ნიკო მარი მიიჩნევდა „ნარევი ტიპის“ ენად, „ნ. მარი ინტენსიურად მუშაობდა სომხურ ფილოლოგიაშიც. მას, როგორც ქართულის კარგ მცოდნეს, უთუოდ უნდა შეენიშნა, რომ სომხურ ენაში ბევრი რამ, რაც ინდოევროპულ ენებთან შედარებით ვერ აიხსნება, შეიძლება აიხსნას ქართულთან შედარებით“ (ი. შილაკაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა“, 1975 წ., გვ. 27). „ნ. მარის მიხედვით, როგორც ცნობილია, ამ მინარევმა სომხური ენა აქცია რაღაც საშუალოდ კავკასიურსა (შემდეგ იაფეტურსა) და ინდოევროპულ (შემდეგ პრომეთეიდულ) ენებს შორის მდგომ ენად“ (იქვე, გვ. 30). ი. შილაკაძე წერს – „სომხეთის ტერიტორიაზე ინდოევროპული მოდგმის ხალხს მერმინდელ მოსულებად ვივარაუდებთ თუ ადგილობრივ მკვიდრად (როგორც ზოგიერთი ფიქრობს), ერთი ცხადია: ამ ტერიტორიაზე წინათ არსებობდა სახელმწიფოები და ცხოვრობდნენ ხალხები (თუ ტომები), რომელთაც ქართველ ხალხთან (და საერთოდ კავკასიელ ხალხებთან) გარკვეული კავშირი ჰქონდათ, თუ ასეა, ცხადია, სომეხი ხალხი, როგორც ეთნიკური ერთეული, უთუოდ შეიცავს ამ ხალხების და ტომების მინარევს. ამ მინარევს კი თავისი წვლილი უნდა შეეტანა ახალ ოჯახში. ეს ეჭვს გარეშეა. მაშასადამე, სომხურში ინდოევროპულ ენებთან შედარებით აუხსნელთაგან ბევრი რამ შეიძლება აიხსნას ქართველურსა და კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან შედარებით (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საშუალო და ახალი სომხური ენები დიალექტითურთ, რომელთაც რამდენადაც უფრო ღრმად ვსწავლობთ, იმდენად მეტად ვრწმუნდებით, რომ სომხურ ენას ბევრი ისეთი თვისება შეუძენია, რაც ქართულ-ქართველური ენების თვისებას გვაგონებს და რასაც ძველ სომხურში ადგილი არ ჰქონდა. ამან ათქმევინა ი. კარსტეს – სომხური ენის დიალექტები ინდოევროპული წარმოშობისა არ არიანო“ (იქვე, გვ. 29).

ხორენაცი მუდამ ლაპარაკობს სომეხთა გადმოსახლეობის დროს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები არასომხური ტომების შესახებ, რომლებიც ათქვეფილან შემოსულ მოსახლეობაში. ხორენაცის „ისტორიის“ ქართულად მთარგმნელი ა. აბდალაძე წერს: „ხორენაცის ამ და მსგავს ცნობებში ასახულია ისტორიული სინამდვილე იმის შესახებ, რომ ე.წ. „დიდი სომხეთის“ მიწა-წყალზე სომეხთა მოსვლამდე მკვიდრობდნენ სხვა ხალხები, მათ შორის ქართული მოდგმის ტომებიც“ („ისტორია“ გვ. 249).

ხორენაცი აღწერს ურარტუს ქვეყანაში სომეხთა წინაპარი ტომების გადასახლების სურათს, ის წერს, რომ ჰაიკი „...ბაბილონში ვაჟის არამენეაკის შეძენის შემდეგ გაეშურა ჩრდილოეთის მხარეებში მდებარე არარადის ქვეყნისაკენ თავისი ვაჟებითა და ქალიშვილებით... იგი მივიდა და დამკვიდრდა ერთი მთის ძირას, ვაკეზე, სადაც უკვე დასახლებულიყო მცირეოდენი ხალხი ადრინდელი გაფანტვის

დროს. ჰაიკმა დაიმორჩილა ისინი და ააგო იქ სამემკვიდრეო სახლი. ამას ძველი ზეპირგადმოცემებიც ადასტურებენ“ (მ. ხორენაცი, ისტორია, გვ. 70).

ჰარქის ზეგანზე, სადაც „თორგომის სახლის მამანი“ დამკვიდრებულან, ხორენაცის ცნობით, „ადრიდანვე ცხოვრობდნენ მცირეოდენი კაცნი, რომლებიც ნებით დაემორჩილნენ გმირს, ზეპირი გადმოცემები ამასაც ადასტურებენ“ (იქვე, გვ. 70).

ხორენაცი კვლავ წერს – „საკვირველია მემატიანეს ნათქვამი, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალ ადგილას გაფანტულად მკვიდრობდა მცირეოდენი ხალხი, ჩვენი ძირეული წინაპრის ჰაიკის მოსვლამდე“ (იქვე, გვ. 73).

მოსულმა არმენიელებმა დამხვედრი ტომები შთანთქეს, მოახდინეს მათი ასიმილაცია, ეს პირდაპირ ჩანს ხორენაციდან. მაგალითად – „ამასთანავე (არამმა) უბრძანა იქაურ მკვიდრთ, შეეთვისებინათ სომხური ენა და ლაპარაკი“ (იქვე, გვ. 77).

ისიც უნდა ითქვას, რომ ურარტუს მიწა-წყალზე შესვლის შემდგომ მოხდა ჩამოყალიბება სომეხი ხალხისა, როგორც ეს აღინიშნება სომეხ ისტორიკოსთა მიერ. ამ დროს ჩანს, სომხურ ენაზე გავლენა იქონია, დამხვდურ, მკვიდრ ხალხთა ენამ.

შ. ძიძიგური წერს – „ნიკო მარის კონცეფციით, ქართულ ენობრივ სამყაროს დიდი გავლენა მოუხდენია სომხურ ენაზე წინაისტორიულ ხანაში, უძველეს პერიოდში, როდესაც ხდებოდა სომხური ეთნოსის ფორმირება, შესაბამისად – სომხური ენის ჩამოყალიბება. ნიკო მარის უდიდესი წვლილი არმენოლოგიაში, სწორედ ეს არის. კონცეფციის სქემა ასეთია: სომხური ნარევი ენაა, ორბუნებოვანია, ერთი ფენა, შენარევი და შეზრდილი სხვა ფენასთან, ქართულ-კავკასიურ სამყაროსთან სიახლოვით არის აღბეჭდილი“ (შ. ძიძიგური, „ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი“, (1985, გვ. 104).

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას იძლევა გამოითქვას მოსაზრება, რომ ძველ საქართველოში არსებობდა მოგონება საქართველოს სამხრეთით მცხოვრები ძლიერი, ქართველთა მონათესავე ხალხის შესახებ, და ვინაიდან საქართველოს სამხრეთით იმ დროისთვის სომხები ცხოვრობდნენ, ქართველთა გენეალოგიის შემდგენელმა მემატიანემ სხვა ქართველურ მონათესავე ტომების ეთნარქთა შორის ჰაოსიც ჩართო, ვითარცა პიროვნული გამოხატულება ხსენებული მოგონებისა. ჩანს, მროველის ჰაოსი – ურარტუს ძლიერების ანარეკლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი თავისუფალი ერი აიტანდა თავის ეროვნულ მატიანეში მტკიცებას იმისას, რომ მათი მეზობელი ერის წინაპარი თავიანთ წინაპარზე უპირატესი და უძლიერესი იყო. სწორედ ქართველ ხალხში დარჩენილ მოგონებას სამხრეთელი მონათესავე მეზობლის შესახებ უნდა გაეხადა ასატანი მროველის გენეალოგიის ეროვნულ მატიანეში ჩართვა.

როგორც აღინიშნა, მროველი თავისი გენეალოგიის შედგენის დროს იყენებდა ხორენაცის გენეალოგიას. მაშასადამე, ეს გენეალოგია V საუკუნეზე ადრე ვერ შედგებოდა. ძნელი საფიქრებელია, VIII–XI საუკუნეებში ქართველებისა და სომხებისათვის ეწოდებინათ ძმები და „თვისნი“, ქართულ-სომხური ეკლესიების დაშორებისას ატეხილი იდეოლოგიური ბრძოლის გამო. მანასკერტის 726 წლის კრების შემდგომ ქართული და სომხური ეკლესიები (და შესაბამისად იდეოლოგიაც) სრულებით განსხვავებული გზებით განვითარდნენ, სრულებით განცალკევდნენ, უფრო მეტიც, საქართველოში სომხეთთან და სომხურ ეკლესიასთან კულტურული ან რაიმე ერთობის დამადასტურებელი ყოველგვარი თხზულება ისპობოდა ანდა რედაქტირდებოდა.

სულ სხვა ვითარება იყო VI–VII საუკუნეებში. ამ დროს ქართველი და სომეხი ერები, ეკლესიები განსაკუთრებით დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან. ყოველ შემთხვევაში, ქართული მხარე იძულებული იყო ქართული ეკლესია სომხური ეკლესიის მოკავშირედ წარედგინა სპარსი ხელისუფლებისათვის. საქართველოს დაპყრობის შემდგომ სპარსეთი განსაკუთრებით უჭერდა მხარს სომხურ ეკლესიას, აძლიერებდა მას და ამასთან ერთად აიძულებდა მის იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანებს მიეღოთ ქრისტიანული სარწმუნოების ის ორიენტაცია, რომელსაც ადგა სომხური ეკლესია (ე.ი. ანტიბი-

ზანტიური). ამ დროს ხდებოდა ქართული წმიდა წიგნების რედაქტირება და „გამართვა“ სომხურის მიხედვით (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

უნდა ვიფიქროთ, რომ მემატიანემ ქართველ ეთნარქთა გენეალოგია შეადგინა სომხურ-ქართული ეკლესიების „ერთობის“ დროს VI–VII საუკუნეებში. ჯერ კიდევ მ. თარხნიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ლეონტი მროველის ლიტერატურული საქმიანობა VI–VII საუკუნეებს განეკუთვნება.

„მ. თარხნიშვილის აზრით, ლეონტი მროველის ლიტერატურული საქმიანობა მერვე საუკუნის მეორე ნახევარს ვერ გადასცილდება – უფრო ზუსტად ის უნდა დაიდოს VI–VII საუკ. სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებამდე“ (კ. კეკელიძე, ლიტ. ისტ. გვ. 238).

ფარნავაზი

საქართველოს პირველი ერთიანი სახელმწიფოს დამაარსებლის, ანბანის გამავრცელებლის, ქართული მწიგნობრობის ფუძემდებლის, მეფე ფარნავაზის ცხოვრება აღწერილია ქართველთა უმთავრეს საისტორიო, ეროვნული სიწმინდის ხარისხამდე ამაღლებულ წიგნში, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება. მიჩნეულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალი, თარგამოსიანთა გენეალოგია, თვით რედაქტორს შეუდგენია (კერძოდ, მას თავისი დროის მოთხოვნილების შესაბამისად დაუწერია ძველ წყაროთა გამოყენებით „ამბავი რვათა ძმათა“, „გამოსვლა ხაზართა“, „შემოსვლა ალექსანდრესი“), ხოლო „ცხოვრება ფარნავაზისი“ – უკვე არსებული ძველი ქართული საისტორიო მოთხრობა, თავისი გემოვნებით გაუმართავს და ჩაურთავს წიგნში.


№ 2
1:3.900.000
ეგრისი
ლაზიკა
ბერძენ-ეგრისი
ბოსპორი
ალანეთი
ალბანეთი
ქართლი
ოსეთი
ეგერი
ოსეთი
ალბანეთი
ეგერი
ალბანეთი
ალბანეთი
ალბანეთ

ქვეყნის გამაერთიანებელი პირველი მეფის მამის სახელი მემატიანისათვის უცნობია, სამაგიეროდ მისთვის ცნობილია სახელი მამის ძმისა. ამასთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვა წერს – „ლეონტი მროველი აქ, ჩანს, იმეორებს რომელიღაც ძველი საისტორიო წყაროს ცნობას“ (ტ. IV, გვ. 523).

მემატიანე ფარნავაზის ამბის გადმოცემისას წერს, რომ ფარნავაზი „იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 20). მისი გენეალოგია, ცხადია, წყვეტილებით, ასეთია:

ფარნავაზამდე დიდი ხნით ადრე, ქართველთა ერთ მთავარ წინაპართაგანი – ქართლოსი, დასახლებულა მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდებარე არმაზის მთაზე. აქ აუშენებია სიმაგრეები (შემდგომში აქ არმაზის კერპი აღმართეს, იქამდე კი ამ მთის სახელი „ქართლი“ ყოფილა). ქართლოსს აუშენებია ორბის (შემდგომ სამშვილდედ წოდებული) და ხუნანის (ანუ მტუერის) ციხეები. უცოცხლია დიდხანს.

ქართლოსისა და თარგამოსის შთამომავალთ ერთმანეთში სიყვარულით უცხოვრიათ, შემდგომ კი აშლილან და დაკნინებულან. ამ მიზეზით მათ შორის აღარავინ ყოფილა უწარჩინებულესი და უსახელოვანესი. ადგილ-ადგილ თავადები (გამოჩენილი მეთაურები) ჩნდებოდნენ, მაგრამ მცხეთის თავადი ყველაზე წარჩინებულად ითვლებოდა სხვებთან შედარებით. მას მეფის, ან ერისთავის სახელი არ ეწოდებოდა, არამედ მამასახლისი. ის გამზავებელი და მოსამართლე იყო ქართლოსიანთა შორის.

სწორედ ამ დროისათვის დაუვიწყნიათ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც ქართველთა წინაპრებს სწამდათ, დაუწყიათ მსახურება მზისა, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავისა, „მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“.

დიდი ხნის შემდგომ გამოჩენილა ალექსანდრე მაკედონელი. იგი სხვა ქვეყანათა დაპყრობის შემდგომ შემოსულა ქართლში, სადაც მას უხილავს მკვიდრნი ქვეყნისა;



უნდა ითქვას, რომ აქ მემატიანეს მიერ გადმოცემული ამბავი აშკარად არეულია, ჩანს არა მარტო სხვადასხვა წყაროს, არამედ სხვადასხვა კონცეფციის გავლენაც. მაგალითად, როგორც ვიცით, სხვა წყაროს, „მოქცევა ქართლისაის“ – კონცეფციის თანახმად, ქართველები სამხრეთის „არიან-ქართლის“ ქვეყნიდან გადმოსახლებულან მაკედონელის დროს. მათ ამ ქვეყანაში დახვედრიათ უცხო ერი, „ქართლის ცხოვრების“ კონცეფციით კი ქართველობა ხალხად ყალიბდება საქართველოს მიწა-წყალზე, ე.ი. არ გადმოსახლებულა. ზემოაღნიშნული ამბის გადმოცემის დროს, როგორც აღინიშნა, ეს ორი კონცეფცია ერთმანეთშია არეული. მაგალითად, მაკედონელს ქართლში ხვდება ქართველობა და... უცხო ერი – ბუნთურქები და ყივჩაღები. აქ, ცხადია, აღებულია „მოქცევაის“ ამბავი, რომელიც სათანადოდ არაა შეჯერებული „ქართლის ცხოვრების“ კონცეფციასთან.

ქართლში შემოსვლის შემდგომ ალექსანდრე მაკედონელი შეებრძოლა და დაამარცხა ზოგიერთ კუთხეში მცხოვრები არაქართული ტომები – „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყვევნა და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი“ (ქ. ც. I, გვ. 18). არაქართველთა მოსპობის შემდეგ დარჩენილ ქართველ მოსახლეობას (ქართლოსიანებს) პატრიკად დაუტოვა მაკედონელი აზონი, იარედოსის ძე. მას ემორჩილებოდა 100000 რომაელი ქვეითი.

მათი სარწმუნოება, მემატიანეს გადმოცემით, ასეთი იყო: ებრძანა აზონს ალექსანდრეს მიერ ქართველთა ქვეყანაში დანერგილიყო თაყვანისცემა მზისა, მთვარისა, ხუთი ვარსკვლავისა, მსახურება უხილავი ღმერთისა, ყოვლის დამბადებლისა.



ალექსანდრეს წასვლის შემდგომ აზონმა მიატოვა ეს სარწმუნოება – „იწყო კერპთმსახურებად და შექმნნა ორნი კერპნი ვერცხლისანი: „გაცი და გაიმ“. აზონი სასტიკი და სისხლიანი კაცი ყოფილა, მას ქართველთათვის იარაღის ტარების ნებაც კი არ დაურთავს – გაუცია ბრძანება: „ყოველმან ქართველთაგანმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალით იგი“. – „და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“. სწორედ ასეთ დროს გამოჩენილა ფარნავაზი – ქართველთა განმათავისუფლებელი. სიყრმიდანვე კავკასიის მთებში ლტოლვილი ფარნავაზი სახელოვან ვაჟკაცად აღზრდილა. ის „იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“. მცხეთაში დაბრუნების შემდგომ ის გაუცნიათ აზონისათვის, როგორც სახელგანთქმული მონადირე. „შეიყვარა იგი აზონმან მონადირეობისათვის“. აზონთან დაახლოებას დიდად შეუშინებია დედა ფარნავაზისი, ეშინოდა შვილს დაეტოვებინა მცხეთა, ქართლი და წასულიყვნენ, რათა აზონის ხელს დასხლტომოდნენ.

მართლაც ოჯახმა გადაწყვიტა სხვაგან, ფარნავაზის დედის ქვეყანაში გადასახლება. მემატიანე განაგრძობს:

მაშინ იხილა ფარნავაზმა სიზმარი, თითქოსდა იგი იყო ერთ უკაცურ სახლში, უნდოდა გასვლა და ვერ გადიოდა. მაშინ სარკმლიდან შემოვიდა მზის სხივი შემოერტყა წელზე, გაიზიდა და გაიყვანა სარკმელიდან. და როდესაც ველზე გავიდა მზე, ფარნავაზმა ის იხილა დადაბლებული, ხელით შეეხო მზის პირს, მოხოცა ცვარი და იცხო თავის პირზე. გაიღვიძა ფარნავაზმა, გაუკვირდა და თქვა – ეს სიზმარი ალბათ დედაჩემის სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ამიხდება, იქ სიკეთეში ვიქნებიო.

იმ დღეებში ფარნავაზი სანადიროდ გაემართა და დიღმის ველზე ირმებს გაეკიდა. ირმები თბილისის ხრიოკებისაკენ გაიქცნენ. მისდევდა ფარნავაზი, სტყორცნა ისარი, ჰკრა ირემს, მან ცოტა გაიარა და დაეცა კლდის ძირში. ამასობაში დაღამდა, ჩამოქვეითდა ფარნავაზი და ირემთან გადაწყვიტა ღამის გათენება. ამ დროს გაწვიმდა ძლიერ. კლდის ძირში ფარნავაზმა გამოქვაბული შეამჩნია, ამოქოლილი. ამოიღო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი, რათა სიმშრალეში შესულიყო. შევიდა შიგნით და იხილა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი, უთვალავი ჭურჭელი ოქროვერცხლისა. ძლიერ გაუკვირდა, აღივსო სიხარულით და გაახსენდა სიზმარი. ისევ ამოქოლა გამოქვაბულის კარი. უთხრა ეს ამბავი დედასა და ორ დას. გამოიტანეს ეს განძი მალვით. ამის შემდგომ აზონის ქმედება მიუთითებს იმის შესახებ, თუ რა ძლიერი იყო იმ უძველეს დროსვე, ქრისტეშობამდე ასწლეულებით ადრე, ქართველთა შორის ეროვნული ერთიანობის გრძნობა და ქართველ ტომებს როგორ ჰქონდათ შენარჩუნებული ეთნიკური ერთიანობის სიმძაფრე. განძის პოვნით უცებ გამდიდრებულმა ფარნავაზმა, უპირველეს ყოვლისა, გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ეგრისის დასავლურ ქართული საერისთაოს მეთაურთან – ქუჯისთან და შეატყობინა მას მომხდარი ამბავი. ფარნავაზმა შეუთვალა სურვილი, თავისი განძით მისულიყო ქუჯისთან და ერთიანი ძალით შებრძოლებოდნენ აზონს – ქართველთა ქვეყნის დამპყრობელს.

მემატიანე წერს, რომ ამ ამბის მოსმენით „განიხარა ქუჯიმ სიხარულითა დიდითა და ჰრქუა: „აღსდეგ და მოვედ ჩემ თანა, ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, და ხვასტაგითა შენითა, განგიმრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტრად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა აწყვედილთა მისგან და მიწყვედულთა“ (ქ.ც. გვ. 22).

პასუხის მიღების შემდეგ ფარნავაზი დედითა და დებით სიხარულით წავიდა ქუჯისთან. ქუჯი ასეთი სიტყვებით შეეგება მას: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“ (გვ. 22). ფარნავაზი ამ დროისათვის, როგორც ვიცით, უბრალო, ყოველგვარი პატივისა და თანამდებობის უქონელ პირს წარმოადგენდა, ხოლო ქუჯი

ეგრისის ვრცელი ქვეყნის მფლობელი იყო, ამიტომაც მისგან თავისი თავის „მონად“, ხოლო ფარნავაზის „უფლად“ გამოცხადება აიხსნება გენეალოგიური უფროს-უმცროსობითი ურთიერთდამოკიდებულებით, რაც ძველი დროისათვის იყო დამახასიათებელი და სავალდებულოდ შესასრულებელი. ფარნავაზი „ქართლის თავთა შვილია“, ამიტომაცო, ამბობს „ეგრისის თავთა შვილი“, – მე შენ უნდა დაგემორჩილო, შენ „ჩვენი უფალი ხარო“. ასეთი ურთიერთობა გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველ გენეალოგიურ ვარიანტში, რომელსაც შემდგომ ასახვა ვერ უპოვნია „ქართლის ცხოვრებაში“, გენეალოგიური შტო, ჩანს ასეთი სახით იყო გადმოცემული:

ქუჯიცა და ფარნავაზიც ერთი წინაპრის შთამომავალნი არიან, მაგრამ ფარნავაზი პირმშოებითი უფლების ძალით ოჯახში, გვარში, უფროსად ითვლება, ის „უფალია“, მისი ყველა ნათესავი მას უნდა დაემორჩილოს. ასეთია იმ ჟამის კანონი.

ფარნავაზმა და ქუჯიმ მოილაპარაკეს ოსებთან და ლეკებთან, ისინი სიხარულით დათანხმდნენ აზონის წინააღმდეგ აჯანყებას, რადგანაც არ სურდათ მისთვის ხარკის მიცემა. მათგან მიიღეს დამხმარე სამხედრო ძალა, ეგრისში შეიკრიბა უთვალავი სპა. შეუტიეს აზონს. აზონი დამარცხდა და თავი შეაფარა კლარჯეთს. ფარნავაზი შევიდა მცხეთაში, იმავე წელს დაიმორჩილა „ყოველი ქართლი“, კლარჯეთის გარდა – ასე წერს მემატიანე, – „დაიპყრა ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯეთისა“, აქ უთუოდ „ყოველი ქართლის“ ქვეშ იგულისხმება როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო – სწორედ დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა ფარნავაზის საყრდენ ბაზისს აზონის წინააღმდეგ აჯანყებისას.

აზონს ფარნავაზის წინააღმდეგ ომში დაეხმარა „საბერძნეთი“ – მისგან მიიღო დიდძალი დამხმარე ძალა, სამაგიეროდ ფარნავაზს – „ასურისტანის მეფე ანტიოქოზი“. კიდევ ერთხელ შეებრძოლნენ ერთმანეთს აზონისა და ფარნავაზის ჯარები – არტაანის ნაქალაქევში, რომელსაც ჰური ანუ „ქაჯთა ქალაქი“ ერქვა. ბერძენთა ჯარები დაამარცხეს ქართველებმა, მოკლეს აზონი, შეიჭრა ფარნავაზი საბერძნეთის საზღვრებში – შევიდა ანძიოძორში და უკან დაბრუნდა ეკელეცის გზით. კლარჯეთი შეუერთა თავის სამეფოს და დაბრუნდა მცხეთაში.

ᲐᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ
№ 7
ᲞᲝᲜᲢᲝᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲡᲝᲭᲘᲗᲘ
ᲡᲐᲛᲐᲮᲔᲗᲘ ᲙᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲐᲜᲯᲘᲝᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲐᲡᲣᲠᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲐᲠᲐᲑᲗᲐᲜ

ქართლის სამეფოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით დაიდო მდინარე ეგრისწყალზე. ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროც (ისევე როგორც მარცხენა) წარმოადგენდა ეგროსის წილს, ე.ი. წარმოადგენდა ეგროსის შთამომავალთა საცხოვრისს (ვიდრე ხაზარეთის მდინარემდე „საცა წარსწუდების წუერი კავკასისა“), მაგრამ ეგრისწყალსა და ხაზარეთის მდინარეს (ე.ი. მდ. ეგრისწყალსა და მდ. ყუბანს) შორის მცხოვრებმა ეგრისელებმა არ ინებეს განდგომა „ბერძენთა“ სახელმწიფოსაგან და შესვლა ფარნავაზის სამეფოში. საზღვარი „ყოველი ქართლისა“ ამ მიმართულებით დაიდო მდინარე ეგრისწყალზე. მემატიანე წერს – „ხოლო ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“, ხოლო ეგრისის მეორე ნაწილი შევიდა ქართლის სამეფოში, თავისი სახელმწიფო ფარნავაზმა დაყო საერისთავოებად. პირველთა შორის მემატიანე ასახელებს ეგრისს და მის ერისთავს ქუჯის. ის გახდა სიძე ფარნავაზისა და მიიღო საერისთავოდ ყოველი ქართლის ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა. მან ააშენა ციხე-გოჯი. მარგვეთის საერისთავოში შედიოდა მიწები მდინარე რიონსა და ლიხის მთას შორის. შემდეგი საერისთავოები იყვნენ კახეთში, ხუნანში, სამშვილდეში, წუნდაში, ოძრხეში, კლარჯეთში. ერთი ერისთავი დაადგინა – სპასპეტად, მას შიდა ქართლიც მიეცა საგამგეოდ, ის წარმოადგენდა მეფის შემდეგ პირველ თანამდებობის პირს, ყველა ერისთვის განმგებელს. თავის მხრივ ერისთავებს ემორჩილებოდნენ სპასალარები და ათასისთავები, მათგან შემოდიოდა საერისთავო და სამეფო ხარკი.

ფარნავაზმა ააშენა ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოში დანგრეული ქალაქები და ციხეები, დედაქალაქ მცხეთას კი შემოავლო გალავანი.

ფარნავაზს შეუქმნია თავის სახელზე – კერპი არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქვა. ეს არმაზის კერპი აღმართა ქართლის მთის თავზე. დიდი დღესასწაული გადაიხადა კერპის აღმართვისას.

გამეფებისას 27 წლის იყო. 65 წელი ნებიერად იმეფა. „აღაშენა და განავსო ქართლი“.

ფარნავაზმა ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა, რის გამოც ქართულის გარდა სხვა ენა საქართველოში არ იხმარებოდა. მანვე შექმნა ქართული მწიგნობრობა.

სიკვდილის შემდეგ არმაზის კერპის წინ დაასაფლავეს.

ასე გადმოგვცემს ფარნავაზის ცხოვრებას ჩვენი მატიანე.

ქართლის, ანუ იბერიის ერთიანი დიდი სახელმწიფოს წარმოქმნას მეცნიერები ქრისტეშობამდე IV–III საუკუნეებით ათარიღებენ.

ფარნავაზისა და მისი მემკვიდრე მეფეების ანუ ფარნავაზიანების დროს მცხეთაში – სამეფოს დედაქალაქში, შენდებოდა ციხესიმაგრეები, სხვადასხვა ნაგებობანი, კიდევ სხვა კერპებიც აღუმართავთ. ფარნავაზის მიერ არმაზის აღმართვის შემდგომ მეფე საურმაგმა აღმართა კერპი აინინა, იწყო არმაზის ციხე-ქალაქის შენება. მეფე მირვანმა დანინას კერპი აღმართა, დაასრულა არმაზის მშენებლობა. მეფე ფარნაჯომმა კერპი ზადენ მთაზე აღმართა, ციხეც აუშენა. არსოკ მეფემ – ქალაქს სხვა ზღუდე შემოავლო. მეფე არტაგს კი არმაზში შიდა ციხე (აკროპოლისი) აუშენებია.

მათი შემდგომი მეფეები უკვე საკუთრივ მცხეთას აშენებდნენ, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქალაქს.

დედაქალაქს იცავდნენ რთული თავდაცვითი სისტემის მეშვეობით. არმაზ-ციხე სომხეთიდან, ალბანეთიდან და დასავლეთ საქართველოდან მომავალი გზების თავშეყრის ადგილას იდგა, ზადენ-ციხე კი ჩრდილოეთის მომთაბარეთა ქვეყნებიდან მომავალ გზას აკონტროლებდა. ქვეყანაში შედიოდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, როგორც ამას გვაცნობს სტრაბონი. საერთოდ იბერია სავაჭრო გზებით ყოფილა დასერილი. სტრაბონის ცნობით, იბერია კარგად ყოფილა დასახლებული, ქალაქები და დაბები მრავალრიცხოვანი იყო.

სახლები და ნაგებობები კარგად ნაგები, ხუროთმოძღვრული ხელოვნებით, ჰქონდათ კრამიტის სახურავები. იბერიაში მდებარეობდა ქალაქები – უფლისციხე, წუნდა, ოძრხე, ციხეგოჯი (ამ ქვეყნის დასავლეთი საზღვარი, როგორც აღინიშნა, მდინარე ეგრისწყალზე იდო).

უთუოდ ყოველ საერისთავოს გააჩნდა თავისი ცენტრი. ჩრდილოეთის მიმართულებით იბერიის საზღვარს, ჩანს, კავკასიონის წყალმყოფი ქედი წარმოადგენდა, რომლის იქითაც მცხოვრებ ტომებზეც ვრცელდებოდა სამეფოს გავლენა.


ძვ.წ. III საუკუნე
№ 8
საერისთავოები ფარნავაზის დროს
პონტოს ზღვა
(ანაკოფია)
(ცხუმი)
ეგრისწყალი
ფაზისი
VIII
I
IX
II
VI
V
IV
III
VII
ციხე-გოჯი
ქუთაისი
ტაშისკარი
ოძრხე
ფაზისი (გონიო)
ბედია
ბაზარ, ათინა)
(ბაზარ, ბაზარ, ათინა)
(ბაზარ, ბაზარ, ათინა)
(ბაზარ,

სამხრეთის მიმართულებით იბერია ვრცლად იყო გადაჭიმული. არმენიასა და იბერიას, ქრისტეშობამდე II საუკუნის ავტორის – აპოლოდორის ცნობით, ერთმანეთისგან ჰყოფდა მდინარე არაქსი. არაქსი ყოფილა გამყოფი იბერიელებისა და არმენიელებისა.

სამხრეთ-დასავლეთით იბერიის საზღვარი გადიოდა პირიადრის მთის კალთებზე, მას ეკუთვნოდა ხორზენე და გოგარენე, როგორც ბერძნები უწოდებდნენ სამხრეთ საქართველოს კუთხეებს. შემდეგ, სტრაბონის ცნობით, არმენიას იბერიისათვის წაურთმევია აღნიშნული კუთხეები, დაახლოებით 190 წელს ქრისტეშობამდე (იხ. საქ. ისტ. ნარკვ., ტ. I, გვ. 456).

ფარნავაზის რეზიდენციას და სამეფო ქალაქს წარმოადგენდა არმაზი. მისი სახელი მრავალ უცხოურ თანადროულ წყაროშიც არის ასახული, როგორც ჩანს, ის ცნობილი და სახელოვანი ქალაქი იყო. ამ ქალაქის სიდიადე დაადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა, ქართველ ერისმთავართა და წარჩინებულთა ბრწყინვალე ფუფუნება და დიდებულება ნათლად გამოაჩინა არქეოლოგიურმა ძეგლებმა. არმაზიდან სამეფო რეზიდენცია გადატანილ იქნა საკუთრივ მცხეთაში, ეს მომხდარა პირველი საუკუნის მეორე ნახევარში. პ. ინგოროყვას თანახმად, მეფე ფარნავაზი მეფობდა ქრისტეშობამდე 284–219 წლებში. 284 წელსვე დამყარებულა ქართული წელთაღრიცხვა.

„ძველქართული კალენდრის შესწავლიდან ირკვევა, რომ ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვა იწყება სწორედ იმ დროიდან, როდესაც, ლეონტი მროველის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაყოფის შედეგად მოხდა ახალი იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ფარნავაზიანთა დინასტიით ხელისუფლების სათავეში. სახელდობრ, დასაწყისი ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა არის 284 წელი ჩვენს ერამდე. ეს წელი არის გამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ქართული ქრონიკონის სისტემას, ...ეს თარიღი, 284 წელი, რომელიდანაც იწყება ქართული ნაციონალური ერა, არის თარიღი იბერიის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა იბერიის სახელმწიფოს ხელისუფლების სათავეში (პ. ინგოროყვა, ტ. IV, 1978, გვ. 558).

პავლე ინგოროყვამ სათანადო კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ ქართულ მატიანეთა ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია („მეფენი ქართლს შინა წარმართნი“) – წარმოადგენს ისტორიული სინამდვილის შემცველ დოკუმენტს, რომელიც მომდინარეობს წინაქრისტიანული ეპოქის ძველქართული საისტორიო წყაროებიდან (იქვე, გვ. 559).

ფარნავაზმა ერთ სახელმწიფოში გააერთიანა ქართული ტომები, შეჰკრა ისინი ერთ ხალხად, მან შესძლო ასევე ამ სახელმწიფოს გავლენის სფეროში მოექცია იბერიულ-კავკასიურად წოდებული, ქართველთა მონათესავე სხვადასხვა ტომები. კერძოდ, როგორც ითქვა, იბერიელთა და არმენიელთა შორის საზღვარი ერთ დროს მდინარე არაქსზე გადიოდა.

ჩრდილოეთის მიმართულებით ქართველთა გავლენის სფეროში, მემატიანეს თანახმად, შედიოდნენ ოსთა, დურძუკთა და ლეკთა ტომები. დურძუკები და ლეკები – ქართველთა მონათესავეებად უძველეს დროსვე მიიჩნეოდა. ოსთა შესახებ უნდა ითქვას, რომ როგორც წყარო მიუთითებს, ოსები იმ დროისათვის არ მიიჩნეოდნენ ირანულენოვან ტომებად, არამედ ითვლებოდნენ ქართველთა მონათესავე კავკასიურ (ადგილობრივ) ტომად. ჩვენი მატიანეს თანახმად, ოსები ყოფილან შთამომავალნი ხაზართა მეფის ძისა უობოსისა – „მროველის წარმოდგენით, უობოს ხაზართა მეფისშვილი ყოფილა, ხოლო ოსები თითქოს ამ უობოსის, ე.ი. ხაზართა და ქართველთა და სომეხთა ტყვეების „ნათესავები“, ანუ შთამომავალნი ყოფილან. ე.ი. ნარევი ეროვნება ყოფილა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, 1950 წ. გვ. 277).

აქედან ჩანს, რომ ფარნავაზის ეპოქაში ოსები მართალია ნარევ, მაგრამ მაინც ქართველთა მონათესავე ტომად მიიჩნეოდა. ოსები – რომელთაც შემდგომ ალანები ეწოდათ – უცხოელთა მიერ იბერიელებად მიიჩნეოდნენ – „XI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი იოანე ცეცესი ამტკიცებს: იბერები, აბაზგები და ალანები ერთ ხალხს შეადგენდნენო, ხოლო XV საუკუნის სომეხი მემატიანე თომა მეწოფელი განუმარტავს მკითხველებს, რომ ქართველთა სახლში, ე.ი. ქართულ ეროვნულ-კულტურულ გაერთიანებაში შედის რვა ტომი – ქართები („ვრაცები“), იმერლები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, მესხები, დვალები და ოსები“ (ს. ჯანაშია, ტ. V, გვ. 12). შემდგომი საუკუნის ევროპელი ავტორიც ასევე მიიჩნევს – „შტრიტერი თავისი შრომის ნაწილში, სადაც ლაპარაკია ზემო იბერიის მეზობლად ბინადარ ალანებზე, კატეგორიული და სრული ეჭვმიუტანლობის კილოთი აცხადებს, რომ ესენიც იბერიელები არიანო“ (შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, გვ. 174).

დვალებს, მართალია, რატომღაც დურძუკთა ტომს ათვლიდნენ ბოლო დრომდე, მაგრამ სინამდვილეში ქართველები იყვნენ. შემდგომ მოხდა დვალთა ტომის ირანიზაცია, გაოსება. შესაძლებელია, თავდაპირველად ოსებად სახელდებული ტომიც არ იყო ირანულენოვანი და შემდგომ, შუა საუკუნეების მანძილზე, ჩრდილო კავკასიაში მოხდა ოსების გაირანულენოვნება.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ალანები ირანულენოვანი ტომი იყო, მაგრამ არც ის უნდა დარჩეს უყურადღებოდ, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი ძველი ისტორიკოსებისა ალანებს, ქართველ ისტორიკოსთა მსგავსად, ხაზარულ (ე.ი. თურქულ) კავკასიურ წარმომავლობის ტომად მიიჩნევდა. მაგალითად, XIV საუკუნის არაბი გეოგრაფი ალანებს თურქულენოვან ხალხად თვლიდა, ის ერთ ალანურ ქალაქზე წერდა – „ის დასახლებულია ალანი ხალხით, და ისინი თურქები არიან – რომელნიც გაქრისტიანდნენ“. XV საუკუნეში ი. შილტბერგერი იყო ასებთან (ოსებთან) და ალანებთან. ისინი თურმე მაშინ ღმერთს თათრულ ენაზე ადიდებდნენ (იხ. ფ. ბურნ, „პუტეშესტვიე ივანა შილტბერგერა...“, წიგნი „ზაპირისკი იმპერატორსკოგო ნოვოროსიისკოგო უნივერსიტეტა“. ტ. I, ვიპ. 1 და 2. ოდესსა 1867, გვ. 31–33). პროფ. ნ. ბასკაკოვის თანახმად, ჩინურ წაყროებში მოხსენებული ტომი იაოშე (იასები, ოსები) თურქული წარმოშობისა ყოფილა. ასევე აღსანიშნავია, რომ ყარაჩაეველ და ბალყარელ ისტორიკოსებს თავიანთი ტომები ალანური წარმოშობისად, ალანები კი თურქულ-ხაზარულ წარმოშობისად მიაჩნიათ. ამ მხრივ, ჩანს არის რაღაც საერთო ძველ ქართულ და უცხოურ წყაროთა შორის.

ფარნავაზის დროისათვის სრულიად შესაძლებელია, ოსები ისევე ყოფილიყო იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ტომი, როგორც სხვა მეზობელი ტომები.

ფარნავაზის სახელმწიფო ფაქტობრივად მთელ კავკასიას აერთიანებდა თავის გავლენის სფეროში, მაგრამ ყველაზე არსებითი ისაა, რომ ქართველ ტომთა გამაერთიანებელი სახელმწიფოს შექმნამ სახელმწიფოსავე მეშვეობით შესაძლებელი გახადა ქართველთა ეროვნების ფორმირება, ერთიანი ხალხის, ერის ჩამოყალიბება. საზოგადოდ ცნობილია, რომ სახელმწიფოს აქვს თვისება ერთიან ხალხად ჩამოაყალიბოს სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობა, ასეთივე თვისებების იყო, ცხადია, ქართული ერთიანი სახელმწიფოც. მით უმეტეს, რომ ქართულ წაყროთა თანახმად, ფარნავაზის მიერ ჩამოყალიბებულმა სახელმწიფომ იარსება თითქმის ათასი წელი. კერძოდ, ეს სახელმწიფო დაშლილა ვახტანგ გორგასალის შვილების შემდგომ VI საუკუნეში – ასე გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრებაც“ და „მოქცევა ქართლისაიც“. ქართველი ერის ჩამოყალიბების დროს შესახებ ლაპარაკია ქვემოთ, ხოლო აქ უნდა ითქვას, რომ ფარნავაზის ეპოქაში ქართველთა ერთიანობას მიუთითებს ძველქართული გვარების ფორმათა ერთიანობა უძველეს საქართველოში. გამოკვლევებით დადგენილია, რომ უძველესი გვარის აღმნიშვნელი სუფიქსი ეგრისში, ანუ სამეგრელოში იყო „იანი“ (მისგან იქნა შემდგომ მიღებული დაბოლოება „ია“, „ვა“ და სხვა). უძველესი საგვაროვანო სუფიქსი სვანეთში იყო და არის „იანი“. უძველესი საგვაროვანო სუფიქსი სრულიად საქართველოს მთიანეთში – ფშავ-ხევსურეთიდან სვანეთამდე იყო „იანი“ (საოჯახოდ, საშინაოდ ამჟამადაც „იან“ ფორმები იხმარება). უძველესი საგვაროვანო სუფიქსი საქართველოს ბარშიც იყო – „იანი“. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: ძველ წყაროებში ერთადერთი დამაბოლოებელი სუფიქსი – „იანი“-ა – გვარებში – „ფარნავაზიანი“, „ხოსროიანი“, „არშაკუნიანი“, „ბაქარიანი“, „რევიანი“ (ქ. ც. გვ. 138). „მარუშიანი“, „ბაგრატონიანი“ (ქ. ც. გვ. 251). „არიშიანი“ (ქ. ც. გვ. 328). „ბარაბიანი“ (ქ. ც. 116). „ბივრიტიანი“ (ერისთავი ოძრხისა) ქ. ც. 185). „გოდერძიანი“ (ეს გვარია, რაც იქედან ჩანს, რომ მრავლობითის ფორმითაა წყაროში მოცემული – „გოდერძიანნი ტბელნი“), (ქ. ც. გვ. 248). იქვეა „მამეანნი“, „მამე-ი-ანი. „თარგამოსიანნი“ – ეთნარქები. შავლიანი (ივანე – აფხაზეთის მეფე. 258). „კავკასიანნი“ – სადაურობის აღსანიშნავად (130). „ნებროთიანნი“, „ნერსიანი“ (ნერსე – ქართლის ერისთავი, 241), „ქართლოსიანნი“ (ქართლოსის შთამომა-

ვალნი, 27), ჯუანშერიანი (ჯუანშერი-ისტორიკოსი, გვ. 248) და სხვა უამრავი.

მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ჩამონათვალი ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი გვარ-სახელები და აღნიშნული ფორმა პირთა შთამომავლობას მიუთითებს, მაგრამ ისინი საგვარეულო სახელებად იქცნენ ძირითადად. „იან“ სუფიქსით, როგორც აღინიშნა, მთელ საქართველოს სახელმწიფოში არსებობდა გვარები (გვარ-სახელები). ამის დასტურია მეგრულ-სვანური და მთიულური უძველესი ფორმები. ს. ჯანაშია წერს – „გაბატონებული უნდა ყოფილიყო გვარ-სახელების ეს ფორმა სამეგრელოშიც... მეგრული „ია“ – „იანის“ ნაშთია. ეს ცხადი ხდება, კერძოდ, ცნობილ გვარ-სახელთა ისტორიულ და ცოცხალ ფორმათა შედარებით, ამრიგად, ისტორიულსა და ლიტერატურულ (დადიანს, ლიპარტიანს, რატიანს, ბედიანს მეგრულ ცოცხალ მეტყველებაში უდრის: დადია, ლიპარტია, რატია, ბედია... ბოლოკიდურ – ნ-ს დაკარგვა ნიშანდობლივია მეგრულისათვის (ს. ჯანაშია, ტ. III, 1959, გვ. 40-41).

იქვე ს. ჯანაშიას განხილული აქვს „იან“ ფორმის გამოყენება გვარ-სახელებისავის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი). – „გვარ-სახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართულ ტომში, და ქართველურს პატრონომისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგს ქართველ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიკარგა“ (იქვე, გვ. 35).


ძვ. წ. III სს.
№ 12
საერისთავოები ვახუშტის მიხედვით - კლარჯეთი, ოძრხე, წუნდა (ქ.ც. IV, გვ. 657-659)
ბარამეთი ადგილები
სეფისთაოების საზღვარი
ვუფიქსული „ქართლის ყელი“
ბიზანტიასთან საქართველოს დამაკავშირებელი ე.წ. „ეგრ ქართლის“
მასშ. 2.400.000
ეგრისი
ეგრისის საერისთავო
ეგრ. საერისთავო
ეგრ. ქალაქი
ეგრ. ეპარქია
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ. ეპ.
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ.
ეგრ. ეპ

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეთნიკური ერთიანობა ქართველი ტომებისა ფარნავაზიანთა სახელმწიფოში (ქრისტეშობამდე III საუკუნიდან VI-მდე) გაცილებით უფრო ღრმა იყო, ვიდრე ამ სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (VI ს.). როგორც ცნობილია, პირველი ერთიანი სახელმწიფოს დაშლიდან მხოლოდ ორიოდე საუკუნის შემდეგ, VIII–IX საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რამაც, ცხადია, ქართული ტომები ერთმანეთს უფრო დააშორა (ზემოთ აღნიშნული ერთიანი ნიშნების „დასუსტება“ და „დაკარგვა“ ამის შედეგი უნდა იყოს), მართალია, შემდეგ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო (XI–XV სს), რამაც ხელი შეუწყო კონსოლიდაციას, მაგრამ შემდგომმა კვლავ დაშლამ გააღრმავა სვანურ, მეგრულ, გურულ, იმერულ, ქართლურ, კახურ და სხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფში ინდივიდუალური თვისებები. ფარნავაზის სახელმწიფოს დროს კი ერთიანი ეროვნული ნიშნები ღრმა იყო.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
(ნაკვეთი წიგნიდან „ადამიდან იესომდე)

იოანე (ივანე) მინჩხი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

1. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეებს

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასოდეს განუცხადებია პრეტენზია დასავლეთ საქართველოში თავისი ძველი იურისდიქციის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის მიმართ კონსტანტინეპოლს მსგავსი პრეტენზია რომ ჰქონოდა გამოთქვამდა როგორც წარსულში, ისე მეოცე საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესის დროს.

ცნობილი ბერძენი კანანისტი სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმე თავის წიგნში „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია" (ათენი, 1966) კონსტანტინეპოლის არავითარ პრეტენზიას არ გამოთქვამს საქართველოს ეკლესიის მიმართ.

ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო ადრე გამოთქვა ცნობილმა კვლევარმა მიხეილ თარხნიშვილმა. ის წერს – **„ბიზანტიას არც პატრიარქობის დროს არც სხვა რომელიმე ხანაში არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია საქართველოს ეკლესიის შესახებ" (მიქელ თარხნიშვილი, წერილები 1994, გვ. 463).**

აღნიშნული მოსაზრების თვალსაჩინო მაგალითია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეების მიმართ (იქვე, გვ. 436–438).

ბიზანტიის იმპერატორის საიდუმლო საბჭოს წევრი კონსტანტინეპოლელი პატრიარქი წმიდა ნიკოლოზ მისტიკოსი (+925) აღსაყდრდა 895 წელს. პოლიტიკური მოტივით 905 წელს გადაასახლეს. 911 წელს კვლავ დაუბრუნდა საპატრიარქო ტახტს. მოღწეულია მისი წერილები აფხაზთა მეფეებისადმი.

ბიზანტიის გამოჩენილმა იერარქმა ნიკოლოზ მისტიკოსმა, რომელიც წმ. ფოტის მოწაფე იყო, მრავალი პრინციპული მნიშვნელობის წერილი მიწერა თავისი ეპოქის მნიშვნელოვან სახელმწიფო და საეკლესიო პირებს. მათ შორის ის წერდა აფხაზთა მეფეებსაც. მ. თარხნიშვილის გამოკვლევით მას 902 წელს წერილი მიუწერია აფხაზთა მეფე **ბაგრატისათვის,** 906–907 წელს **კონსტანტინესათვის,** 924-925 წლებში მეფე **გიორგისათვის.**

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსთა კვლევით ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქა, მეცხე-მეათე საუკუნეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო როგორც ისინი უწოდებენ „დასავლეთ საქართველოს ეკლესიისათვის", რადგანაც იქედან თითქოსდა ამ ეპოქაში **განდევნილი იქნა ბერძნული საღვთისმსახურო ენა, განდევნილი იქნენ ბერძენი სასულიერო პირები, გაუქმდა ბერძნული ეპარქიები და საეპისკოპოსო კათედრები. მათი ადგილი კი თითქოსდა დაიჭირა ქართულმა.**

როგორც ცნობილია, ზემოთ აღნიშნული აფხაზთა მეფე გიორგის მიერ დასავლეთ საქართველოს ცენტრში დაარსებული იქნა **ჭყონდიდის საეპისკოპოსო** კათედრა. ცხადია თუ დასავლეთ საქათველო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა, მის ცენტრში ჭყონდიდის ქართული საეპისკოოსო კათედრისა და ეპარქიის დაარსება შეზღუდავდა კიდეც იქ ბერძნულ ეკლესიას ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კანონიერ უფლებამოსილებას, ეს კი უნდა ასახულიყო და აისახებოდა კიდეც მეფე გიორგიადმი მიწერილ კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ მიწერილ წერილებში, ეპოქის სხვა დოკუმენტებში.

ამ კუთხით სურათის შესასწავლად კარგი საშუალებაა სწორედ ამ ეპოქის კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები.

აფხაზთა სამეფო, როგორც ცნობილია მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს.

902 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფე ბაგრატს უწოდებს „ღვთის მოყვარესა და ზნე ტკბილ" ადამიანს, რომელიც სიყვარულს ბადებს ნიკოლოზ მისტიკოსის გულში.

უფრო მეტიც პატრიარქი მეფეს უწოდებს „ღვთის კაცს“, საკუთარ შვილს, მამბორივი ამბორით ესალმება მას. პატრიარქი მეფეს უწონებს „ღვთივ აღტყინებულ მისწრაფებას“ ალანთა ერის სახსნელად. ერთი სიტყვით პატრიარქი ძალზე აქებს და ყოველმხრივ ემადლიერება აფხაზთა მეფეს.

წერილიდან სრულებით არ ჩანს რაიმე კვალი იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში იზღუდებოდა ბერძნული საეკლესიო იურისდიქცია, არ ჩანს რაიმე კვალი იმისა, რომ ამ სამეფოში გააუქმეს ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები და რომ მისი ბერძენი მღვდელმთავრები იდევნებოდნენ.

თუ კი პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის დროს შეიცვალა ისეთი ცნობილი ბერძნული საეკლესიო კათედრების სტატუსი, როგორებიც იყვნენ ფასისის, როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას კათედრები, იმდენად, რომ ისინი ჩამოაცალეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და შეიყვანეს ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ცხადია ეს ადგილობრივი მთავრობის ნებართვით მოხდებოდა.

ადგილობრივ მეფეებს კი იმ დროისას – ბაგრატს, კონსტანტინესა და გიორგის თბილ წერილებს წერდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

შეუძლებელია ამ დიდმნიშვნელოვანი ეპარქიების დაკარგვით კონსტანტინოპოლი აღშფოთებული რომ არ ყოფილიყო, მით უმეტეს დასავლეთ საქართველოს მთავრობის მიმართ.

როგორც ითქვა, აღნიშნულ თბილ წერილიბში საერთოდ არ იხსენიება „გაუქმებული“ დიდმნიშვნელოვანი კათედრები და იქ მხოლოდ ახალქრისტიან ალანებზეა საუბარი.

ცხადია თუკი კონსტანტინოპოლის პატრიარქი დიდ მზრუნველობას იჩენდა აფხაზეთში სტუმრად მყოფი ალანიის ეპისკოპოსის მიმართ და თხოვდა აფხაზთა მეფეებს ყოველმხრივ, ყოველი საშუალებით დახმარებოდა ალანიის ეპისკოპოსს, მითუმეტეს გაცილებით უფრო დაეხმარებოდა ბერძენ სასულიერო პირებს თუ ისინი დასავლეთ საქართველოში **უკათედრებოდ დარჩნენ და იდევნებოდნენ**.

აღნიშნული წერილების განხილვა უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი რომ **IX–X საუკუნეებში აფხაზთა სამეფოში მსგავს დევნას ადგილი არ ჰქონია.**

ნიკოლოზ მისტიკოსის ყველა წერილი აფხაზთა მეფეების მიმართ გულითადი და გულთბილია.

კერძოთ 906–907 წლებში პატრიარქი აფხაზთა ახალ მეფეს კონსტანტინესაც წერს წერილს. მას უწოდებს „ბრწყინვალე საყვარელ შვილს“, ხოლო მის გარდაცვლილ მამას ბაგრატს კი უწოდებს **ნეტარს,** რომლის გარდაცვალება კონსტანტინოპოლმა ჯეროვნად იგლოვა.

პატრიარქი ღმერთს ჰმადლობს იმის გამო, რომ გარდაცვლილის ნაცვლად ტახტზე ავიდა მამის სათნოების მქონე ახალი ხელმწიფე, გონიერი და ბრძენი. ახალ მეფესაც პატრიარქი სთხოვს დაეხმაროს ალანიის ეპისკოპოსს და გააუმჯობესოს მისი საცხოვრებელი პირობები.

თითქმის 20 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქი წერილს წერს მეფე გიორგის. უწოდებს მას კეთილშობილს, რომელიც ღმერთმა დაადგინა, და შემკობილია სულიერი შარავანდედით. პატრიარქი გამოთქვამს დიდ სიხარულს, რომ მეფე ბრწყინვალე მაგალითს იძლევა თავისი კეთილშობილი ქცევებით.

წერილიდან ჩანს, რომ მეფეს და პატრიარქს იქამდეც ჰქონიათ წერილობითი ურთიერთობა. მეფეს დაინტერესება გამოუთქვამს გაეგო ბულგარეთის ამბები. პატრიარქი პასუხობს მას და თხოვს როგორც შეშვენის მის მეფურ დიდებასა და ბრწყინვალებას ძველებურად დაიცვას პატრიარქთან გულწრფელი მეგობრობა. პატრიარქი ამ წერილში მეფეს მეგობარს უწოდებს სამჯერ.

მ. თარხნიშვილის მიერ თარგმნილი ამ წერილებიდან კარგად ჩანს, რომ **902–925 წლებში დასავლეთ საქართველოში ადგილი არ ჰქონია ბერძნული ეკლესიის დევნას და არც წინა ეპოქაში წინა მეფეების დროს**.

მაშასადამე, მეცხრე-მეათე საუკუნეებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ გამოთქვამდა პრეტენზიას ქართული ეკლესიის მიმართ.

ისმის კითხვა მეცხრე-მეათე საუკუნეებში ქართული ეკლესია თუკი შეიჭრა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ამ ეპოქის კონსტანტინოპოლელი პატრიარქები (მაგალითად ნიკოლოზ მისტიკოსი) რატომ არ გამოთქვამდნენ პრეტენზიებს ქართული ეკლესიის მიმართ?

პასუხი ასეთია: სინამდვილეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის ახლო მთიანეთში, რომელსაც წყაროებში „სოფელი მეგრელთა“ ერქვა. აქ იყვნენ განლაგებულნი ფაზისის სამიტროპოლიტოს პეტრას, ზიგანას, როდოპოლისისა და საისინის ეპარქიები.

აქედან გამომდინარე დასავლეთ საქართველო არ შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

ბუნებრივია არარსებული ბერძნული საეპისკოპოსოების გაუქმება შეუძლებელი იყო, და ამიტომაც **კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასდროს გააჩნდა პრეტენზიები საქართველოს ეკლესიის მიმართ.**

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ყოველთვის ზოგად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, ქართული ეკლესიის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს პატრიარქის საერთო მეთაურობით. ამ ორ პირველ იერარქს შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას.

როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ.

როგოც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები.

ეს საკათალიკოსოები აღიარებდნენ ასევე უპირატესი პირველიერარქის ავტორიტეტს. მას „უხუცეს პატრიარქს“ უწოდებდნენ. მისი მოვალეობა იყო უზუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში ახალი საერთო კანონების შემუშავება (მაგ. XVI ს.-ის „სამართალი კათალიკოსთა“).

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო კრების მიერ აფხაზეთისა და ქართლის კატალიკოსთა მონაწილეობით გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა სამოქალაქო სამართლის სფეროშიც.

ზოგიერთ საელესიო-საკანონმდებლო კრებას მიღებული აქვთ კანონები, რომელნიც უფრო საერო-სამოქალაქო სამართლის სფეროს განეკუთვნებიან, ასეთებია მაგალითად სასჯელთა ჩამონათვალი ქურდობისათვის, ყაჩაღობისათვის და სხვა მსგავსი. როგორც აღინიშნა ამ კანონებს სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა.

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“, როგორც წესი ,ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში **ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტიარქი“).**

მაგალითად შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII ს. I ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს

სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე – მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაშიც აისახა, მაგალითად აფხაზეთის კათალოკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი", უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიარარქად ითვლებოდა, მაგალითად ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა –

„იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთსა და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში... ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი... ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივითუფრო მეტია ზემო იბერიის კატალიკოსზე... იბერები ქვემო იბერიის კატალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი, იმერეთის თავი, მათთან იწოდება მეფეთა-მეფედ" (სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალა „თეოლოგია", ათენი, 1966 წ. გვ.48, თარგმანი ბერძნულიდან რუსულად,1981).

მე-18 საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს, ამ ფაქტა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კატალიკოსს,და ის ძველებურად „უხუცეს" პირველპატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში, რაც ცხადია საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა, მაგალითად აფხაზ კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლო) სამართალის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები).

XIX ს.-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფომ დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, რომელიც იქამდე 1917 წლის 25 მარტის აქტის საფუძველზე აღდგენილად გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის მღდელმთავრებმა და მრევლმა.

რუსეთის იმჟამინდელმა მთავრობამ ცნო საქართველოს ეკლესიის შინაგანი სტრუქტურა, კერძოდ ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს მიანიჭა სრულიად საქართველის კათალიკოს პატრიარქის ტიტული, მაშასადამე ის აერთიანებდა უკვე საუკუნის მანძილზე არ არსებული (გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრებს. მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები. ამის შემდეგ ტიტული მიტროპოლიტი აღნიშავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და არა იერარქიულ თანამმდებობას. ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს.

შესაბამისად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვაწლისათის შესაძლოა ჯილდოს სახით ებოძოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

საქართველოს პატრიარქს მიენიჭა უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917–18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია, 2010 წლის კრებამ (წმ. სინოდმა) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მარ-

თავდნენ, მაგ. მანგლისისა, ქუთაისისა და სხვა.

აფხაზეთის საკათალიკოსო, ვითარცა ქართული ეკლესიის ერთერთი ადმინისტრაციული ერთეული (ბერძნული სამიტროპოლიტოს ფარდი) დააარსა საქართველოს საეკლესიო მმართველობამ, რაც ხელმწიფის კარის მიერაც იქნა დადასტურებული („ამან ბაგრატ განაჩინა კატალიკოზი აფხაზეთს“ – გვამცნობს ქართლის ცხოვრება), დასავლეთ საქართველო იმთავითვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა (IV ს-დანვე), აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებამ წარმოქმნა საფუძველი ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებისა. ამიტომაც არაა სწორი ნ. ლომოური, რომელიც აცხადებს რომ VIII ს-ში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გამოეყო დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეკლესიაც (ლომოური 2009, გვ. 40–46).

აფხაზთა მეფე გიორგი II – „დიდი და კარგი“ იოანე მინჩხის აღწერით

წმიდა პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, როგორც ცნობილია, წერილებს წერდა აფხაზთა მეფე გიორგი II-ს, საბჭოთა ეპოქის მკვლევარების სიტყვით, სწორედ მის ეპოქაში (X-ის დასაწყისში) თითქოსდა ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოართვა კათედრები აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) და მათზე თავისი უფლება განახორციელა. მიიჩნევა, რომ ცნობილი საეპისკოპოსოების (ფაზისის, როდოპოლისის, საისინის, პეტრას, ზიგანას) დაკარგვით კონსტანტინოპოლმა დაკარგა თავისი იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთზე). აისახა თუ არა ასეთი უმწვავესი მომენტი ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებში აფხაზთა მეფის მიმართ? არავითარ ოდნავ მინიშნებას, ან ნაკვალევს წერილები ამისას არ შეიცავს. პირიქით, არსებობს საბუთი, საიდანაც კარგად ჩანს, რომ არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არ არსებობდა კონსტანტინოპოლისა და (დას. საქართველოს) აფხაზეთის მეფეთა შორის, აღსანიშნავია, რომ სომეხთა პატრიარქისადმი წერილში იგივე ნიკოლოზ მისტიკოსი მოიხსენებს კავკასიაში საეკლესიო იურისდიქციის საზღვრებს. მას სადავო საკითხები რომ ჰქონოდა დასავლეთ საქართველოს მიმართ, სომეხ პატრიარქს მიწერდა კიდეც ამის შესახებ და იტყოდა, რომ მიწები აფხაზეთში შედიოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. ამასვე მიწერდა აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ჭყონდიდში X საუკუნეში შექმნილ საგალობელს აქვს ზედწერილი **„ეს გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა“**.

ეს ის გიორგი II-ია (922–957), რომელსაც წერილებს წერდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, აფხაზთა ეს მეფე იყო ქართული ენისა და კულტურის უდიდესი მოყვარული, იმდენად, რომ ის ევედრებოდა, „დიდი ვედრებით“ მიმართავდა თავისი სამეფოს პოეტსა და კომპოზიტორს ივანე მინჩხს, რათა მას დაეწერა ახალი ქართული საგალობლები.

მეორე მხრივ, როგორც წერილებიდან კარგად ჩანს, კონსტანტინოპლელი ნიკოლოზ მისტიკოსიც ევედრებოდა აფხაზთა მეფე გიორგი II-ს, რათა მას საზღვარგარეთის ამ ეკლესიის ინტერესები დაეცვა (ალანიის ეპარქიის მიმართ). **მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა და შესაბამისი მიმართვისა, გიორგი მეფემ კი, ამ რეგიონში (აფხაზეთში) დაიცვა მხოლოდ ქართული ეკლესიის უფლებები. კარგად ჩანს, რომ მას ყურადღება არ მიუპყრია უცხო პატრიარქის სათხოვრისადმი. სამაგიეროდ, მისი ზრუნვის საგანი მშობლიური ანუ ქართული ეკლესიაა.**

მეფე გიორგი იოანე მინჩხს „ევედრებოდა“ რათა მას დაეწერა ქართული საგალობელი და ამ „ვედრების“ შედეგად ივანე მინჩხს, ვითარცა კომპოზიტორს და პოეტს, შემოუღია დამოუკიდებელი საღლექსო საზომები ე.წ. „სპადუქნი“ და „მორთულნი“, ცხადია, თავისი შესაბამისი

მუსიკით (მუსიკალური კომპოზიციით), რომელსაც აღტაცებით შეხვედრია მთელი ქართული სამყარო X საუკუნეში, რის გამოც აფხაზეთის გარეთაც ის ძლიერ გავრცელებულა (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 672).

სინურ ხელნაწერში დაცულ საგალობელს ივანე მინჩხის მიერ დართული აქვს შემდეგი კიდურწერილი: „წმიდაო გიორგი, შეეწიე გიორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე“ (იქვე, გვ. 670).

დასკვნა:

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსთა კვლევით ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქა, მეცხე-მეათე საუკუნეები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ამ ეპოქაში დასავლეთ საქართველოდან თითქოსდა „განდევნილი იქნა ბერძნული საღვთისმსახურო ენა, განდევნილი იქნენ ბერძენი სასულიერო პირები, გაუქმდა ბერძნული ეპარქიები და საეპისკოპოსო კათედრები. მათი ადგილი კი თითქოსდა დაიჭირა ქართულმა“.

მაგრამ ისინი ძალზე ცდებიან, ასე რომ ყოფილიყო და ბიზანტიას დასავლეთ საქართველოში, ამ საუკუნეებში რომ დაეკარგა თავისი ეპარქიები, ასეთ შემთხვევაში, კონსტანტინოპოლის წმიდა პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი აფხაზთა მეფეებს საქებარ წერილებს არა თუ მიწერდა, არამედ მათ ეკლესიიდანაც კი განკვეთდა.

ამ დროს დასავლეთ საქართველოს მოიცავდა აფხაზთა სამეფო, და ამ მეფეებს ხოტბას ასხამდა ქართული ეკლესიის უდიდესი მოღვაწე იოანე მინჩხი.

მათ ასევე აქებდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი. მათი წერილები საპირისპიროს აჩვენებს, რომ აფხაზთა მეფეების ღვაწლი ძალზეა დაფასებული ბიზანტიელი პატრიარქის მიერ.

ეს იძლევა უფლებას იმის თქმისა, რომ ძალზე ცდებიან ის ქართველი მეცნიერები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ თითქოსდა დასავლეთ საქართველოს მე-10 საუკუნემდე მოიცავდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია. სინამდვილეში, როგორც ჩვენი შესაბამისი წიგნიდან ჩანს, ზიგანა-ზიგანევის, როდოპოლისის, პეტრასა და საისინის კათედრები მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამჟამინდელ ლაზისტანში, ტრაპეზუნტის სუმელა-გუმუშხანეს რეგიონში, ანუ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველო პირველი საუკუნეებიდანვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რასაც ქართული წყაროებიც მიუთითებს.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სიმართლის ძალა

მანანა ტაბიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

მეოცე საუკუნის სულიერების კრიზისი უკვე მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ჩაისახა და დღემდე გრძელდება; ყველა ქვეყანას სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახით დაუდგა ეს კრიზისი; მაგრამ საერთო ის იყო, რომ თანდათან დაიკარგა სულიერება, ადამიანები დათითოკაცდნენ, ჭეშმარიტება პრაგმატიზმს ანაცვალეს, დიდსულოვნება – სიხარბეს... ძნელი სათქმელია, რაა უკეთესი, სწორება აღიარებულ ქვეყნებზე ავიღოთ, მათი კოპირება ვცადოთ, თუ საკუთარი ქვეყნის მაჯისცემას ვუგდოთ ყური? დღეს ასეა: არსებობს ქვეყანათა ჩამონათვალი, რომელთაც ძალა, სიმდიდრე, პოლიტიკური გავლენა აქვთ, და მხოლოდ ამის საფუძველზე კულტურულ უპირატესობასაც ჩემულობენ. ამიტომაც დღეს შედარებით ღარიბ ან პოლიტიკურად ხელმოცარულ ერთა მიერ საკუთარ თავში იმის მოძებნა, რაც ამ ჩამონათვალის ქვეყნებს მიამსგავსებს, კულტურულობის „სერტიფიკატადაც“ განიხილება... და ვიდრე ქვეყანა საკუთარი თავის შეცნობის ნაცვლად სხვის კარზე ატუზული ღარიბის როლს ირგებს, იგი ვერანაირ პროგრესს ვერ ეღირსება, რადგან ვერც კი დაინახავს პროგრესისაკენ მიმავალ საკუთარ გზასავალს. ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება და რელიგია დღეს ერთმანეთს დაშორდა, და სწორედ ესაა ამჟამინდელი მსოფლმხედველობრივი კრიზისის მიზეზი. ადამიანის შემეცნების შინაარსი შორს სცილდება ადამიანის ინტელექტს, ნებისყოფას, წარმოსახვის უნარს, ტკივილსა და სიხარულს...

გმირები იმიტომ გვჭირდება, გმირები იმიტომ გვეძვირფასება, რომ მათი მეშვეობით ვინარჩუნებთ თავმოყვარეობას, მათი მაგალითით ვიკრებთ ძალებს, მათი სულიერი ენერგიის ხარჯზე ვიცავთ ეროვნულ ღირსებას, კულტურულ თავისთავადობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

მერაბ კოსტავაზე საუბარი ძნელია, რადგან უამრავი რამაა სათქმელი და აღსანიშნავი. ის საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ძალიან მნიშვნელოვანი, უაღრესად საამაყო და თაყვანსაცემი ნაწილი, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავახასიათებთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. მასში ჩვეულებრივი, ალბათ, არაფერია.

როდესაც გმირის ცხოვრებას ვაანალიზებთ, მის შეფასებას ბოლოდან ვიწყებთ, ანუ ვსაუბრობთ იმ შედეგზე, რომელიც მის გმირობას მოჰყვა. გმირობა სხვადასხვა სახისაა: არის ერთჯერადი გმირობა, როდესაც ერთ გადამწყვეტ მომენტში განხორციელებული მოქმედება მოვლენებს მიმართულებას შეუცვლის და დიდ სიკეთეს მოუტანს საზოგადოებას, ქვეყანას, კაცობრიობას. და არის გმირობა ხანგრძლივი ჯაფის, ყოველდღიური თავგანწირვის, ყოველწამიერი ზემოქმედების, მაგალითის... არის გმირობა ერთ ადამიანში მოცემული მრავალი ტალანტის საქვეყნოდ ამოქმედებისა, როდესაც გმირი საზოგადოებრივი ცხოვრების არა მხოლოდ ერთ ასპექტს აკეთილშობილებს, იცავს და გადაარჩენს, არამედ – მრავალს...

საქართველოს, უდავოდ, ესაჭიროება ამგვარი გმირები, მას ძირითადად ასეთი გმირები ჰყავს კიდეც: ჩვენი გმირები ერთდროულად არიან წინამძღოლებიც, რიგითებიც, პოეტებიც და მუსიკოსებიც, სულიერი სფეროს წარმომადგენლებიცა და ფილოსოფოსებიც, მეცნიერებიც, განსწავლულებიც, რაინდებიც, ზნეობრივად მტკიცენი, გამარჯვებულნიც და მიმტევებელნიც, ერის წიაღში აღზრდილნიც და გამორჩეულ წინაპართა შთამომავალნიც.

მერაბ კოსტავა შესანიშნავი პოეტია, საკუთარი, სრულიად ინდივიდუალური ადგილის მქონე შემოქმედია ისეთ მწვერვალთა შორის, როგორებიც ქართულ პოეზიაშია აღმართული. როგორც ზვიად გამსახურდია წერს, მერაბს თავისი ლექსების გამოქვეყნებაც კი არ სურდა, დროც არ რჩებოდა, რომ თუნდაც თავი მოეყარა მათთვის. მისი დრო მთლიანად

საქართველოს ეკუთვნოდა და მისი გასაოცარი განსწავლულობაც საქართველოს თავისებურებათა შეფასებას, ქართველი ერის თაობაზე საღმრთო ჩანაფიქრის ამოცნობას, საკუთარი მეობის გააზრებას ეძღვნებოდა. ის საქართველოს ეროვნული გმირია, რომელიც ერმა შერაცხა გმირად და არა, რომელიმე კერძო ინსტიტუციამ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ გმირობის ტოლფასი ბევრი ღვაწლი და თავდადებაა, მაგრამ ეროვნული გმირობა თავისი ღვაწლითა და თავგანწირვით უნივერსალურია, საყოველთაოა, და შედეგიც განფენილია ათასწლეულებზე...

გმირის ტვირთის სიმძიმეს საქვეყნო და საკაცობრიო გასაჭირის სიმძიმე განსაზღვრავს; რაც უფრო უჭირს ქვეყანასა თუ სულიერ ფასეულობებს მიწაზე, რჩეულთაგან მით უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს მათი დაცვა.

გმირის მოქმედებებს მისი ნიჭი, ზნეობრიობა და მიხდვედრილობა განაპირობებს. მიხვედრილობაში ვგულისხმობთ იმას, რომ როდესაც რჩეულმა, ზვარაკმა, მსხვერპლმა იცის, რა არის კარგი და მართებული, როდესაც გააზრებულია არსთაგამრიგის მოლოდინი მის სახედ შექმნილი ადამიანის მიმართ და როდესაც მიწიერი სხეულიც წინაპართა ზნეობრიობისა და სულიერების ძალუმი გენის მატარებელია, მას სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლია. მისი მოქმედება, ვისმესთან გაჯიბრებას ან ნიშნისმოგებას კი არ ეყრდნობა, არამედ საკუთარი ხვედრის გარდაუვლობას, იმ ერთადერთ გზას, რომლისკენ მიმავალ ბილიკებს მანამ კვალავდა, ვიდრე ამ ერთადერთ, უალტერნატივო გზას არ დაადგებოდა. გადასახლებიდან იწერებოდა: „ჩემი ნურაფრის გედარდებათ. ისე ვარ, როგორც სტამბოლის კაჟი. ჩემი თვითშემეცნების ზღვა ჯერ თუ არ გადამიცურავს, შუაგულს მაინც ხომ მივაღწიე. შუაგულში კი ზღვა ამღვრეული ვის უნახავს!" (მ. კოსტავა, აზრები..., გვ. 89).

ასეთი გმირია მერაბ კოსტავა, და კიდევ უფრო დიდი, ვიდრე ჩვენს კალამს ამის გადმოცემა შეუძლია. ისეთ მასშტაბურ ადამიანზე წერა, როგორიც მერაბია, ძალიან ძნელია, რადგან თავს ვერ აარიდებ ეკლექტიკას, და მისგან მოგვრილ უკმარისობის დამთრგუნველ გრძნობას. მაგრამ სიყვარულის, პატივისცემისა და მადლიერების გამოხატვის ამ შესაძლებლობაზე მაინც ვერ ვამბობთ უარს, და შევეცდებით მისი ცხოვრებისა და შემოქმედებს რამდენიმე ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება.

თვითანალიზი მისი ცხოვრების ნაწილია, მაგრამ ეს საკუთარი თავითა და აზრებით ტკბობა კი არა, საკუთარი აზრების, შეგრძნებებისა და მოქმედებების ქრისტიანული ნორმებით შემოწმებაა. აი, რას წერს დედას გადასახლებაში მყოფი: „ჩემზე ნუ იდარდებ, ყველაზე ნაკლებ გასაჭირში მე ვიმყოფები. ჩემთვის ცხე გართობაა და ცხოვრების შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. წელიწადის ეტლი ორგზის შემობრუნებასაც ვერ მოასწრებს, რომ ჩვენ ხანგრძლივი ხილვის შესაძლებლობა მოგვეცემა ჩემი გასახლების ადგილზე. ნუ გეშინია, დრო სადოღე ბედაურივით გაირბენს თავის სარბიელს. ვეცდები მჭიდროდ ავეკრა უნაგირს მისას და მტკიცედ ვიპყრა ხელთ მისი სადავეები, რათა არ მიმუხთლოს და ფლოქვებქვეშ არ მომიყოლოს მის მარულაში ჩაბმული იმედის კარიბჭეთა მაძიებელი. კარს ნუ გაუღებ ამაო დარდებს. ერიდე მაგ ვერაგსა და არამკითხე სტუმარს, ვინძლო გული ჟანგივით არ ამოგიჭამოს. დაე, უმეტესად სიხარული მკვიდრდებოდეს შენში. ბედის სამდურავი რა გჭირს. იცოდე, შენი გაზრდილი არასოდეს შეგარცხვენს..."(მ. კოსტავა, აზრები..., გვ. 90).

ასეთი რომ იყოს ადამიანი, ღვთის შვილი, რაინდი და გმირი, ის, როგორც აღვნიშნეთ, შემკული უნდა იყოს კაცობრიული მასშტაბის აზროვნებით, ზეადამიანური ჰუმანიზმითა და ზეციური ნების წვდომის უნარით.

„საქმეა იქცე მსოფლიო კაცად
და არ უმუხთლო ერსა და თვისტომთ.

ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას
ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო.“

დღეს, როდესაც მამულის სიყვარული ვიწრო აზროვნებად გამოცხადდა და თანამედროვე ადამიანმა ღმერთობა დაიჩემა, განსაკუთრებით ჭირს იმ სათნოებათა დაცვა, რომელთა წყალობით ადამიანი ღვთის შვილად რჩებოდა. ისეთი დრო დადგა, როდესაც ოდენ ემპირიული ცოდნით გაჯერებული მეცნიერება, საგანთა და მოვლენათა არსის ამოსახსნელად საკმარისი არაა; არნოლდ ტოინბი წერდა: „...როცა რელიგიის ნაცვლად მეცნიერებას გვთავაზობენ, ეს იგივეა პურს ითხოვდეთ და ქვა მოგაწოდონ.“ მერაბი მრავალგან აღნიშნავს, რომ სრულყოფილი ცოდნა მხოლოდ ფიზიკურისა და მეტაფიზიკურის, ხორციელისა და სულიერის, ამქვეყნიურისა და ტრანსცედენტულის ერთიან სურათშია... როგორც კი რელიგია უარიყოფა, უმალ იხსნება უმაღლესი სამართლისა და სიკეთის მიღწევის საჭიროება, საკმარისი ხდება მხოლოდ კანონთა მორჩილება, კანონებს კი, მოგეხსენებათ, ადამიანები წერენ, ადამიანები, რომელთაგან ზოგი კალიგულაა, ზოგი ჰიტლერი, ზოგიც სტალინი და მისთ....

ისტორიის გაყალბებაც ხომ იმიტომ ხდება, რომ სიმართლის მოლოდინიც კი ჩაკვდეს:

„ასეა, ასე სიყალბის გუდაა კაცთა ისტორია,
ქაღალდზე ნაჯღაბნით სიმართლის ძალუმ ხმას ძნელად თუ გაიგებ,
სიცრუის ხნარცვში და ჭორების მორევში თუ რამ სისწორეა,
ალბათ ის, რასაც წვითა და დაგვით იმ სოფლად წაიღებ.“ („ისტორია“)

მერაბ კოსტავას არაჩვეულებრივად ეხერხება ფაქტების სხვადასხვა რაკურსით განხილვა, ურთიერთდაკავშირება, განზოგადება და შეფასება მაღალი მორალური კრიტერიუმებით. მისი დიაპაზონი უფართოესია, ღირებულებათა სისტემა მყარი და ღრმად გაცნობიერებული. იგი წერს: „ხალხების წარსულს მხოლოდ იგი არ აგდებს აინუნში, ვინაც არ უწყის, რომ ისტორია ადამიანური ყოფის საიდუმლოებათა წვდომაა, რომ იგი ყველაზე უფრო აქტიური ადამიანების ბიორაფიათა ურთიერთგამსჭვალვაა, სურათი როგორც მაღალი იდეალების, ასევე ეგოისტური სურვილების ცხოვრებაში რეალიზების მცდელობისა და, აქედან გამომდინარე, სიკეთისა და ბოროტების უკომპრომისო ჭიდილისა, სკივრი ზნეობის უთვალსაჩინოესი მარგალიტებისა, ზნეობათა ჭეშმარიტი კიბე, სიკეთის ბოროტებაზე მორალური გამარჯვების წარმომჩენელი.“ (მ. კოსტავა, აზრები,... გვ. 86).

მერაბ კოსტავა უდიდესი ჰუმანისტია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მსოფლიო კაცია“, დიდი ინტერნაციონალისტი, რომელსაც საუკეთესოდ ესმის, რომ საკაცობრიო მრავალფეროვნება, რომელიც ღვთაებრივი ნების გამოხატულებაა, უპირველეს ყოვლისა, კულტურული მრავალფეროვნებისათვისაა შექმნილი და გასაფრთხილებელი, და ის ხელოვნური მიქსი, რომელსაც გლობალიზმი ამკვიდრებს, არ არის უფლისმიერი... სხვათა სიყვარული საკუთარის სიყვარულის შეცნობის შემდგომ მოდის და ის უდიდესი თეზისი „შეიყუარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ გზაა საყოველთაო სიყვარულისკენ... ამ გზაზე საკუთარი თავის – ანუ საკუთარი ერისა და მამულის გამოტოვება ღვთისკენ არ წაგვიყვანს.

სიყვარული ადამიანისთვის ბუნებრივი ნიჭი, გრძნობა და მიზანია; მანიაკალურ ფსიქიკასთან თუ არა გვაქვს საქმე, ამ განცდას უეჭველად დიდი, გამაკეთილშობილებელი ძალა აქვს, და ეს ძალა ასმაგდება მაშინ, როდესაც სიყვარულის საგანი თავისი ღირსებებით იმსახურებს ამ სიყვარულს. რაკი დაუმსახურებლად დაჩაგრულის გამოსარჩლება უმაღლესი სამართლიანობაა და სიქველე, ამიტომ ვერავინ გამოაცხადებს თავს ქველად და კეთილშობილად, თუკი სიმართლის მხარეზე არ იდგება ნიადაგ.

„ქართველ ხალხს ხელეწიფება დამოუკიდებლად არსებობა, რომ ამგვარი არსებობა სიკეთეა ნებისმიერი ერისათვის, რამეთუ მასში მსოფლიო სამართლიანობა გამოსჭვივის.“ (მ. კოსტავა, აზრები...).

მერაბ კოსტავა თავდავიწყებით სწავლობს საქართველოს ისტორიას, აკვირდება მას ძველ ცივილიზაციათა კონტექსტში, უღრმავდება, ენას, მწერლობას, საგალობლებს, ხუროთმოძღვრებას, პოლიტიკას, სოციალურ თავისებურებებს. კრიტიკულად განიხილავს ისტორიულ პირებსა და საკვანძო მომენტებს, და ასე მიდის ქართველი ერისა და საქართველოს მისიამდე, აკი ამბობს: „დიახ, ნებისმიერ ხალხს გააჩნია საკუთარი მისია და თავისი დრო შემოქმედებისა ჟამთა დინებაში განფენილი ერთიანი საკაცობრიო გრადაციის უვრცეს სხეულში“ (მ. კოსტავა, გზა ჭეშმარიტებისა, გვ.18). რამდენადაც მიწიერი ცხოვრების გვირგვინი ხელოვნება და კულტურაა, ხოლო ის ერები, რომელთა მისიაც სწორედ ხელოვნებისა და კულტურის სრულქმნაში მონაწილეობაა, განსაკუთრებულად იმსახურებენ საყოველთაო მხარდაჭერას საკუთარი თვითობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სწორედ ამგვარი ქვეყანაა საქართველო, საქართველოსთვის თავგანწირვა მისი შვილების მოვალეობაა, ხოლო თავისუფლებისათვის მისი ბრძოლის თანადგომა ზნეობრიობისა და სამართლიანობის გამოცდაა უცხო სახელმწიფოებისათვის; „არც ჩემი ერი, და არც მე, საკუთარი ბედის მგმობელი არასოდეს ვყოფილვართ, არამედ შავს ბედთან მებრძოლი ვიყავით მუდამ.“ (მ. კოსტავა, გზა ჭეშმარიტებისა, თბ., 20115, გვ. 50)

ის ერთიანობა, რომელიც მერაბ კოსტავას თავის ერსა და ქვეყანასთან აქვს, არასოდეს უშლის ხელს მთელი კაცობრიობის შვილადაც იგრძნოს თავი, პირიქით, ეს გზა მხოლოდ საქართველოთი გაივლება:

„საქართველოს სულიერი ძლიერებისათვის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო კულტურისადმი ქართველი ხალხის მართებულ პოზიციას, ვერც ერთი ერი დღეს ახალსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის, თუ მის შემოქმედებით პოტენციას საფუძველს არ უმაგრებს ფართო ამთვისებლობითი საქმიანობა. მაღალი კულტურა ამჟამად გლობალური მასშტაბებით განიზომება და ყველა დროის წამყვან კულტურათა სინთეზია.“ (მ. კოსტავა, ფიქრები ქართულ კულტურაზე, გვ. 5).

მერაბ კოსტავას იმდენად ბევრი და საგულისხმო თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ქართული ენის თაობაზე, რომ თეზისური ჩამონათვლის გარდა ამ საკითხს წინამდებარე სტატიის ფორმატში ვერანაირად ვერ ჩავტევთ; ეს საკითხი, ისევე როგორც მერაბ კოსტავას მოღვაწეობის სხვა ასპექტები, ცალცალკე, მონოგრაფიულად კვლევის საგანი უნდა გახდეს. თეზისურად კი ქართული ენისადმი მისი რამდენიმე, ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო, მოსაზრება ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა) ქართული ენა შორეული წარსულიდან მოდის და ამის გამო იმ პრაგმატულსა თუ ეზოთერულ ცოდნას ატარებს, რომელიც „მარადიულ ქმნადობაშია“ და ისე მიუძღვის თავის ერს მომავლისაკენ, რათა ძველ ცივილიზაციათა კვდომის პროცესს გამოჰგლიჯოს და მარადიული სცოცხლით აცოცხლოს: „ქართული ენა უძველესი მკვდარი ენების, სანსკრიტისა და შუმერულის კბილაა, თუმცა მკვდარი და ცოცხალი ენების შედარება პირობითია, ვინაიდან მკვდარი ენა ქარვაში ჩამუმიავებული ორგანიზმივით უცვლელია და გაყინული; ცოცხალი ენის წიაღში კი, ჰერაკლიტე ეფესელის გამოთქმისა არ იყოს, ისევე ვერ შეხვალ ორგზის, როგორც ერთი და იმავე მდინარეში, რადგან წყალი, წუთის წინ რომ ჩაიარა, სხვა წყალმა შესცვალა. ასევე ცოცხალი ენა, გუშინ რომ იყო, დღეს იგი აღარაა. მარადიული ქმნადობის განუწყვეტელ პროცესში იმყოფება ის, და არც შემთხვევით მოვიხსენიეთ შუმერული ენა ქართულთან დაკავშირებით. მეცნიერებაში არსებობს ჰიპოთეზა ქართველებისა და აწ გადაშენებული შუმერების ნათესაობაზე, ... მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდებოდა პირველი ქართველი მემატიანის, ლეონტი მროველის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ შემოთავაზებული ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ შეებრძოლნენ

კავკასიის კონკრეტულ ხალხებთან გაიგივებული ჰაოსი, ქართლოსი და ძმანი მათნი შუმერთა მეფეს, გმირ ნებროთს და როგორ დაამარცხეს იგი... ეს ყოველივე ნიშნავდა შუმერთა კულტურის იმ სულიერი იმპულსისაგან თავის დაღწევას, რომლის სიმბოლოსაც „ბაბილონის გოდოლი“ წამოადგენდა (შუმერთა კულტურას შემდგომში ბაბილონის კულტურასაც უწოდებდნენ) და რომელმაც თავის დრო მოჭამა, რადგან დროისა და სივრცის კომპონენტთა უარყოფით დღის, ანუ მე ცნობიერების მომავალში დამკვიდრებას უშლიდა ხელს. ძველ, ატავისტურ უნარებს აღვიძებდა იგი, რომელთა მეოხებითაც ადამიანები პირველსაწყისთან, ზეციურ სამყაროსთან კვლავ შეერთებას ცდილობდნენ. მაგრამ მე ცნობიერების გარეშე ნებისმიერი მისწრაფება განწირულია.“ (მ. კოსტავა, ფიქრები ქართულ კულტურაზე, გვ. 17-19).

ბ) ქართული ენა იბერიულ–კავკასიური ერთობის საფუძველთ საფუძველია და ამ ერთობას კავკასიის მომავლის განსაზღვრა შეუძლია;

გ) ქართული ენა მზადაა მიიღოს და გადაამუშაოს მსოფლიო კულტურის საუკეთესო მიღწევები, მას ამისთვის აქვს დიდი გამოცდილება, ლექსიკა-ფრაზეოლოგიური მზაობა და გრამატიკული მოქნილობა:... „მაღალი კულტურა ამჟამად გლობალური მასშტაბებით განიზომება და ყველა დროის წამყვან კულტურათა სინთეზია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო კულტურის განვითარებას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია, ამჟამად ეს საქმე ჩვენში მეტ სრულყოფას მოითხოვს, როგორც ყოველთვის, ამ სფეროში ერთ-ერთი წამყვანი როლი ამჟამადაც მთარგმნელობით ხელოვნებას განეკუთვნება, რადგან ბევრი როდია მცოდნე უცხო ენებისა, დედანში რომ ძალედვას ეროვნულ კულტურათა შედევრების გაცნობა“ (მ. კოსტავა, ფიქრები ქართულ კულტურაზე, გვ. 5).

დ) ქართული ენა მთლიანია და ამაშია მისი სიძლიერე; არ შეიძლება ქართული ენის დაშლა ძველ და ახალ ენებად, ისევე, როგორც კუთხურ მეტყველებებად მისი დაშლა არ ეგების: „მრავალ ენასთან შედარებით ამ თვალსაზრისით დიდი უპირატესობა გაგვაჩნია. დუღაბი ქართული ენისა მის განუყოფლობასა და ერთიანობაშია. სავალდებულოა რომ მართებულად შერჩეულმა სასწავლო პროგრამამ და სწავლების გაუმჯობესებულმა მეთოდიკამ შეასრულოს გადაუდებელი საქმე. რაიც პრაქტიკულად ერთიან ქართულს მთელი ქართველი ერის საკუთრებად აქცევს და სიკვდილს არ დაუთმობს ქართული ენის არც ერთ ნაწილს, არც ერთ ნაწევარს. ერთიანი ქართულის ათვისება დღეს ცურტაველის, საბანისძის და მერჩულეს ენით საუბარს როდი ნიშნავს. სახლში ან მეგობართა წრეში თუ გინდ ტკბილი იმერული, მეგრული, იუმორით გაჯერებული სხარტი გურული, ძარღვიანი ქართლ-კახური, დინჯი რაჭვული ან რვალისებრ ნაჭედი ფშავ-ხევსურული კილოთი ისაუბრე. მაგრამ დაუფლება სიტყვიერი არსენალისა, ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის ფლობას რომ განაპირობებს, ნებისმიერი ქართველის უპირველესი მოვალეობაა. მხოლოდ ამგვარმა რვალმა და ქვითკირმან ქართული ენისამან შეიძლება უზრუნველყოს სიმტკიცე ჩვენი ეროვნული მეობისა. მხოლოდ ქართული ენისადმი სწორ მიდგომას შეუძლია მტკიცე და საიმედო წანამძღვრების მომზადება საქართველოს მისაბაძ ერად გადაქცევისათვის. (მ. კოსტავა, ფიქრები ქართულ კულტურაზე, გვ. 36);

ე) ქართული ენა ქართული მწერლობის ენაა, იმ მწერლობისა, რომელიც მსოფლიოს შედევრებს ტოლს არ უდებს. არ შეიძლება აღზრდისა და განათლების პროცესში არ იყოს გათვალისწინებული ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის უწყვეტი ციკლის სწავლების საჭიროება:. „აუცილებელია მოზარდებს, უპირველეს ყოვლისა, მივაწოდოთ საუკეთესო, წარუვალი ღირებულების ქმნილებები, კალმის პირველი მოსმიდან დღემდე რომ შეუქმნია ქართველ ერს. მხატვრული ლიტერატურისა და არა საზოგადოების ისტორიის სპეციფიკიდან უნდა გამოდიოდნენ ისინი, რადგან მხოლოდ მაღალმხატვრული ღირებულების ქმნილებებს

ძალუძთ მაღალი გემოვნების გამომუშავება მოზარდებში, ცურტაველის დროინდელ და დღევანდელ ქართულს შორის იმხელა განსხვავება როდია, ძველისა და ახლის კატეგორიებით რომ მივუდგეთ ლიტერატურულ ენას.“ (მ. კოსტავა, ფიქრები ქართულ კულტურაზე, გვ. 36).

მსოფლიო კულტურამ ე.წ. ერთი შემოქმედებითი შედევრის მრავალი მაგალითი იცის. ასეთი ერთი ნაწარმოები ქმნის გენიოსს, ხვდება ანთოლოგიებში, რჩება მეხსიერებაში, აჭარბებს და ჩრდილავს ავტორის ყველა დანარჩენ მიღწევას... მერაბ კოსტავას მცირე მოცულობის, მაგრამ დიდებულ პოეზიაში ამგვარ საანთოლოგიო შედევრებად მუდამ დარჩება მისი სამი ლექსი: „დოსტოევსკის“, „ძმას ქრისტესმიერს“ და „შიმშილობა“. ამ ნაწარმოებებში შესანიშნავი სალექსო ფორმით განივთდა რუსთველური ფორმულა „სიბრძნის ერთი დარგისა“, რომელშიც კერძო შემთხვევის ფილოსოფიური აბსტრაჰირება ხდება. ხოლო ის ტანჯვა, რომელიც ემპირიულ მაგალითზეა დაფუძნებული დროსა და სივრცეში შეუზღუდავ ჭეშმარიტებად განზოგადდება:

„ზიზღით გასტყორცნის ალესილ ნაჯახს,
ვინც სინანულის ბილიკს იპოვის,
საკუთარ სულში გარდაჰქმნის ყაჩაღს
რუსეთი – ბნელი რასკოლნიკოვი...“

მერაბ კოსტავამ საკუთარი სულიერი განვითარების ურთულეს გზაზე იმდენი ხორციელი და სულიერი გვემა გამოიარა, იმდენი დაცემა და სიბილწე იხილა, რამდენსაც ძნელად თუ მოითვლის ადამიანი, მაგრამ ამ გამოცდილებას არა სიძულვილი, არამედ თანაგრძნობა, მიტევება და დახმარება მიაგება, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ჭეშმარიტმა ქართველმა... ჩვენ ხშირად განვიცდით ბოლო წლებში ქართველების მიმართ გავრცელებულ მოარულ ფრაზას, რომ „ჩვენ, ქართველები, მოღალატეები, გაუტანლები, ძუნწები და კაცთმოძულენი ვართ“. ეს კვალიფიკაცია კიდევ ერთი ბოროტგანზრახული თავდასხმაა ჩვენს ეროვნულ ფსიქიკაზე, მიმართული იქითკენ, რომ საკუთარი თავი შეგვაძულონ, „მეობის“ გადასარჩენი მოტივაცია წაგვართვან, იმ ფასეულობებში დაგვაეჭვონ, რომელთა დასაცავადაც ამდენი უბრძოლიათ ჩვენს წინაპრებს. ცხადია, ვისაც საკუთარი თავი არ უყვარს, ვინც საკუთარ მშობელსა და შვილში სიყვარულის საგანს ვერ ხედავს, ის ადვილად წავა თავისი ქვეყნიდან, ადვილად დაკარგავს ინდივიდუალობას, ეროვნულ იდენტობას... ეს საგანგებოდ გავრცელებული უზნეო ხმები მტრის ერთ-ერთი აქტიური იარაღი იყო ოდითგანვე. მერაბსა და ზვიადს ამ „ხმებით“ მუდამ ებრძოდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები და ამ სამსახურების მოდერნიზებული აგენტურა დღესაც ებრძვის... უამრავი სიბილწე გაუვრცელეს ამ გმირებს მათ სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც. აბა, დავფიქრდეთ, რატომ უნდა დასჭირვებოდა სუკს ჭორების გავრცელება დღემდე? ნეტავ, რა ძალა აქვს ასეთი სიმართლეს, რომ ამდენი წლის მერეც აშფოთებს მოწინააღმდეგეს? ეს ძალა სულიერია, დაუცხრომელია, უკვდავია და ისე წმინდაა, რომ მასთან მიახლოებისას ბოროტება ნაცარტუტად იქცევა:

„სინდისი გააზრების აბსტრაქტული ობიექტი როდია, არამედ აქტიური ქმედითი ცენტრიდანული ძალა, ტრანსფორმირებული სახით მძინარ მდგომარეობაშიც რომ გამოსცემს ექოს, მაგრამ თუ გაიღვიძა, ვეღარაფერი შეაკავებს მის მფლობელ ადამიანს სიკეთისა და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე“. (მ. კოსტავა, აზრები..., გვ.23).

უდიდესი წვრთნა საკუთარი ზნეობისა, გამარჯვება საკუთარ მიწიერ, ხორციელ არსებაზე ის მიზანია, რომლის მისაღწევადაც მრავალნი მიდიან ტაძრებსა თუ სხვა რელიგიათა საფიხვნოებში, მრავალნი მისდევენ მედიტაციებსა და ხორციელ თვითგვემას, თუმცა ხომ ვიცით, რომ „მრავალ არიან წოდებულ, მაგრამ მცირედნი რჩეულ.“ საკუთარი თავივით მოყვასის შეყვარებაა ძნელი, ხოლო მტრის შეყვარება ასმაგად ძნელია. ამ ურთულესი სულიერი მდგომარეობის მისაღწევად იღვწიან წმინდანები, საქართველოში კი ამ ზნეობრივ მიღწევას ნების-

მიერ ოჯახში მოვალეობად სახავდნენ აღზრდისას (გავიხსენოთ, რუსთველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას ცხოვრება და შემოქმედება... აი, ამ რანგის ადამიანზე ვსაუბრობთ ახლა, ადამიანზე, რომელსაც ბოროტების იმპერიასთან ბრძოლაში მტერმა წაართვა თავისუფლება, შვილი, ოჯახური სიმყუდროვე... რომელიც მრავალგზის გამოსცადა ბედმა მოთმინებაში, ფიზიკურ თუ სულიერ ტკივილში, მეგობრადნაგულვებ და სხვა ახლობელ ადამიანთა ღალატში, რომელმაც მაინც შეძლო მტრის აბსოლუტურ სურათში განეჭვრიტა შემცდარნი და თანაგრძნობის ღირსნი:

„მყოფადის ბედი არ წყდება უცებ,
არ გადიხსნება ზეცა იოლად,
უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს,
ვეშაპის მუცლით გასულ იონას,
და აიაზმას გადაასხურებს,
როცა განწმენდის ჟამი იელვებს,
როცა იქცევა ყველას მსახურად,
როცა ფეხს დაჰბანს გადამთიელებს.“

(ტანჯვათა ტიტანი, ვუძღვნი დოსტოევსკის)

იგი დიდი მამულიშვილია. მამულიშვილობა, და კერძოდ ქართველობა, მისთვის ღრმად გაცნობიერებული თვითობაა, უნდა ვიფიქროთ, რომ ნებისმიერი ერისა და ქვეყნისათვის იღვაწებდა ისეთი შვილი, როგორიც მერაბ კოსტავაა, მაგრამ საქმე ისაა, სხვა ერის წიაღში დაიბადებოდა კი ასეთივე მერაბ კოსტავა? მერაბ კოსტავა გმირის, პოეტისა და შემოქმედის ქართული ვერსიაა, ის კომპლექსური სახეა საქართველოს ისტორიის, მწერლობის, სარწმუნოების, .. სხვაგან მერაბ კოსტავა ვერ გაჩნდებოდა.

მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, რომ სულ რაღაც 20–30 წელიწადში მსოფლიო ახალ „წესრიგს“ შემოგვთავაზებდა, რომ სულ რაღაც ოცდაათ წელიწადში იმგვარად შეიცვლებოდა საკაცობრიო იდეალები, რომ უსიამოდ შეგვაკრთობდა ორაზროვნება ისეთი შესანიშნავი სიტყვებისა, როგორიცაა თავისუფლება, პატიოსნება, ერთობა, სიყვარული, თანამეგობრობა და სამართლიანობა... რადგან აღმოვაჩენდით, რომ ამ სიტყვათა და ცნებათა მნიშვნელობას მეტწილად კვლავ „მწიგნობარნი და ფარისეველნი“ განმარტავენ, როგორც ოდესღაც, შორეულ პირველ საუკუნეში...

დიახ, ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ იცოდნენ მათ, მთელ დედამიწაზე მიმოფანტულმა თითო-ოროლა რჩეულებმა... ჩვენში ყოველთვის ჩნდებოდნენ ამგვარი რჩეულნი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ეს მისია საქართველოში ორმა რაინდმა იტვირთა: ზვიადმა და მერაბმა...მერაბმა და ზვიადმა...

„სადაც ხელმწიფე ულირსია, ცუდად ირჯება,
იქ თვით ქურუმთა წინამძღვარიც უმაქნისია,
იმ ქვეყანაში ხალხიც მალე შეიბილწება,
ყოფა ტახტის და საკურთხევლის შესატყვისია.
იდუმალების დასწყვეტიათ წყარო ცოდვილთა,
სიბრძნეს დაწმენდილს, ნათლის სვეტად აღვიქვამთ მუდამ,
ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ,
ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა.“

და რამდენიც არ უნდა იცოდვილოს მტერმა, მათ დამარცხებას ვერასოდეს შეძლებს. ხოლო ერი, ამ უძლეველ გმირთა მორალური გამარჯვების მხილველი, სიმართლის უკვდავებაში დარწმუნებული, თავადაც არ დამარცხდება...

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა. აზრები, გამონათქვამები, შეგონებანი, გამომცემლობა „ზენაარი“, თბილისი, 2015.
2. მერაბ კოსტავა, გზა ჭეშმარიტებისა, თბილისი, 2015.
3. მერაბ კოსტავა, ფიქრები ქართულ კულტურაზე, (წერილი ანგარსკში დაიწერა 1984 წელს) თბილისი, 1989.
4. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბილისი, „მერანი“, 1990.

ქართული ხალხური დღესასწაულები: შუამთობა, მარიობა და ხარების ჭედობის ტრადიცია

როზეტა გუჯეჯიანი

„შუამთობა“ და „მარიობა“, აგრეთვე, ხარების ჭედობის ტრადიცია დამახასიათებელია ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველოსთვის. დღეისათვის ტრადიციული კულტურის ეს ელემენტები შემონახულია აჭარაში, ნაწილობრივ, მესხეთში, აგრეთვე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ – ისტორიული ტაო-კლარჯეთის ყველა მხარეში, სადაც კი ქართული სოფლები ჯერ კიდევ ცოცხალია. დღეობას ზოგან „შუამთობა“ ჰქვია, ზოგან კი – „მარიობა“ (გუჯეჯიანი 2014, გუჯეჯიანი 2015). ხარების შეჭიდების წესი არსებობს სვანეთშიც, კვირაცხოვლობის დღესასწაულის ერთ-ერთი ელემენტია.

სახელწოდება „შუამთობა“ სამეურნეო ციკლითაა წარმოქმნილი: ცნობილია, რომ ყოველი სოფლის სიახლოვეს – ზეგანზე – მდებარეობს აგარები/ყიშლები, სადაც მემთევრი (ოჯახიდან ერთი ან რამდენიმე წევრი – ანუ საქონლის მომვლელი, მწველავი და რძის ნაწარმის დამბინავებელი) საქონლითურთ ადის და ბინავდება გვიანი გაზაფხულიდან ზაფხულის დაწყებამდე. შემდეგ „მემთევრები“ აინაცვლებენ „თაში“/„იალაზე“ და იქ რჩებიან ადრე შემოდგომამდე, რა დროიდანაც ჩაინაცვლებენ აგარებში/ყიშლებში გვიან შემოდგომამდე. შემდეგ კი საქონლითურთ ბრუნდებიან თავ-თავიანთ სოფლებში. საზაფხულო სადგომები გამართულია, როგორც აგარაში, ასევე მთაში. საქონლის აგარაზე/ყიშლაზე გარეკვიდან მოყოლებული, სოფელში დაბრუნებამდე, არსებული დროის შუაგული ემთხვევა შუამთობის დღეობას. დღეობის ეტიმოლოგიის ხალხური ახსნაც ამგვარია: შუა მთობა. ეს თარიღი აგვისტოს შუა რიცხვებს უწევს, ძირითადად. სწორედ ამ დროს აღნიშნავენ მთებში დღეობას (გუჯეჯიანი 2014, 2015).

ტერმინი „მარიობა“ კი, ბუნებრივია საეკლესიო კალენდრითაა წარმოქმნილი და გულისხმობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების თარიღს – 15(28) აგვისტო. საქართველოს სხვადასხვა მხარეში ამ დღესასწაულს ხალხურად „მარიამობა“ ჰქვია.

ჩვენი დროისათვის შუამთობა/მარიობა, ტრადიციულად სოფლისგან საკმაოდ მოშორებით, ამა თუ იმ სოფლის საზაფხულო იალაღზე იმართება („თა“, „იაილა“) იქ, სადაც ჯერ კიდევ მისდევენ მესაქონლეობას. სამწუხაროდ, მესაქონლეობისა და ინტენსიური მიწათმოქმედების ტრადიციული ფორმები, მიგრაციული პროცესების გამო, სოფელთა უდიდეს ნაწილში მოშლილია. ამიტომაც დღეობის მასშტაბურობამ იკლო.

მესხეთი და აჭარა

მესხეთში ამჟამად შუამთობა იმართება ყოველი წლის ივლისის თვის ბოლო შაბათ-კვირას, ე.წ. ფერსათის მთაზე საზაფხულო იალაღებზე მყოფი მოსახლეობის მონაწილეობით. აქ შუამთობას აქვს სახალხო დღესასწაულის ხასიათი და ფორმა: „შუამთობისას“ იმართება შეჯიბრებები დოღში და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სრულდება ცეკვები, სიმღერები და სხვა სახის გასართობი ღონისძიებები. ანალოგიური სახის დღესასწაული იმართება სოფლების უდისა და არალის მთებშიც. ზემო აჭარაში შუამთობას საერთო-სახალხო დღესასწაულის სახე მიეცა და მას ადგილობრივი ადმინისტრაცია მართავს: გოდერძის უღელტეხილთან მიმდებარე საზაფხულო იალაღებზე მყოფნი ყოველი წლის აგვისტოს თვის პირველ შაბათს ზეიმობენ. მასში მონაწილეობენ როგორც ადიგენის, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტების (ხულო, შუახევი) მკვიდრნი.

ტაო-კლარჯეთი (თურქეთი)

„შუამთობა“ და „მარიობა“ ცოცხალი კულტურის ნაწილია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველთათვისაც. ეს დღეობა ისტორიული ტაო-კლარჯეთის ყველა მხარისათვის იყო დამახასიათებელი და ის ყველაზე მთავარი ელემენტია ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ დღეობათა წლიური კალენდრისა (გუჯეჯიანი 2015).

როგორც უკვე ითქვა, ტაო-კლარჯეთში ზოგიერთ თემში შემონახულია **„შუამთობის“** პარალელური სახელი **„მარიობა“**. სახელი „მარიობა“ შემონახულია ტაოს ქართულ სოფლებში (ხევაი, ბალხი, ქობაი), მთელ იმერხევში (მაგალითად, ბაზგირეთში, უსტამისში), აგრეთვე, ნიგალის მხარეში: ქართლას თემში, ბაგინისწყლისა და დევსქელის ხეობებში, მურღულის ხეობაში, მთელ ზემო მაჭახელში, ხებასა და მარადიდში და სხვ. რასაკვირველია, მოსახლეობაში, გარდა ერთეულებისა, რომლებმაც წიგნიერი გზით მიიღეს ცოდნა საქართველოდან, დაკარგულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის საეკლესიო არსი, რასაც, თავის დროზე, უკავშირდებოდა ეს დღეობა, მაგრამ ხალხმა იცის, რომ დღეობა ქართულია და ცდილობენ მის შენარჩუნებას. დღეობა მათში ქართული ეთნიკური იდენტობის მახასიათებლად აღიქმება (გუჯეჯიანი 2016). აღსანიშნავია, რომ დღეობას აღნიშნავენ ტაო-კლარჯეთიდან შორს მყოფნიც – იმერხევიდან XX საუკუნის სამოციანი წლებში ბურსის რეგიონში გადასახლებული ქართველებიც (სოფელი ბოღაზქოი). ისინი ბოლო სამი წელია მასშტაბურად აღნიშნავენ მარიობის ზეიმს და დღესასწაულს შთაბერეს ახალი სიცოცხლე.

ჩვენი დროისათვის დღეობა შედარებით ავთენტური სახით სრულდება ტაო-კლარჯეთის იმ სოფლების იალაღებზე, სადაც ჯერ კიდევ მისდევენ მესაქონლეობას. შუამთობას/მარიობას იშლება საერთო სუფრები, იმართება ფერხულები, ჭიდაობა, ხარების და ვაცების „ჭედობა“, ცხენების ჭენება, თოფების ნიშანში სროლა და სხვ. თურქეთის სხვადასხვა მხარეში გაბნეულ ნათესავები ერთად იყრიან თავს. დათქმულ დღეს სტუმრები და მასპინძლები („მემთევრეები“) იკრიბებიან თავ-თავიანთ „მთაში“ მთელი სამი დღით. ღამეს ათევენ იქვე მდგომ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებში. „მთისკენ“ ახალგაზრდობის ნაწილი ამჟამად მიემართება ნაჭრისგან დამზადებული კარვებითა და საძილე ტომრებითაც. გარდა სასოფლო „შუამთობისა“/„მარიობისა“, იმერხევში ადმინისტრაცია გეგმავს ყოველწლიურ გრანდიოზულ ფესტივალსაც, რომელსაც აღნიშვნის ტოპონიმიდან გამომდინარე **სათავის ფესტივალი** ჰქვია. სათავე ტოპონიმია და ჰქვია შუაგულ ტყეში არსებულ ვრცელ მინდორს. მდებარეობს სოფლებს – დიობანსა და უბეს – შორის. სათავის შუამთობა, რომელიც ტრადიციულად სწორედ ამ ადგილას იმართებოდა ადგილობრივი სოფლების მიერ, დღეს მთელი იმერხევის შუამთობის როლს ასრულებს (გუჯეჯიანი 2014, 2015).

სათავის შუამთობის/სათავის ფესტივალისათვის, ძირითადად, აგვისტოს პირველ შაბათ-კვირას იკრიბებიან იმერხეველები, მათი სტუმრები, ზოგიერთები მოდიან კარვებითა და ყველა საჭირო მოწყობილობით. სამი დღის მანძილზე რჩებიან. სათავის ფესტივალს ძალიან ბევრი სტუმარი ჰყავს ყოველწლიურად. შუამთობის ეს კონკრეტული დღეობა ცხადია, ტრანსფორმირებულია და მასში იკვეთება ნოვაციური ელემენტები, რომლებიც თანდათან ტრადიციად მკვიდრდება და იკარგება ავთენტური ნიშნები.

ისტორიულ ნიგალში, ქალაქ ართვინსა და მის მიმდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე ყოველ თემსა და მასში შემავალ სოფელთა ჯგუფებს (ხატილა, ქართლა, ომანა, თხილაძე, ორჯი, ტრაპენი) აქვთ თავ-თავისი „მთა“ („იაილა“), სადაც მიერეკებიან საქონელს გაზაფხულიდან შემოდგომამდე. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს სოფელთა იაილიები ძირითადად თეთრიწყალის მიდამოებსა და კარჩხალზეა გამართული,

ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე კი მთა ტრიალას მიდამოებში და ამ კონკრეტულ „მთებში“ იმართება შუამთობა/მარიობა (გუჯეჯიანი 2014, 2015).

კონკრეტული აღწერილობები:

ბაგინისწყლის ხეობის მასალა. *„შუამთობა გავაკეთეთ, ბაგინის, ადაგულის, ებრიკას, ახალდაბას, დევსქელის, შუახევის, არავეთის ხალხი, ყველა მოდის შუამთობაზე ჩვენ ოთინგოში გვაქვს შუამთობა. ოთინგოს ზაფხულში ვართ. სხვა სოფლებს ყველას თავ-თავისი შუამთობა აქვთ. ბაგინელებს დიდი შუამთობა გვაქვს“. ებრიკის თემის მოსახლეობას თეთრიწყლის მთაზე აქვს იაილები: „მთა თელი ჩვენი ებრიკის არის თეთრიწყალი. შუანთობა თეთრიწყალზე ვიცოდით. ერთი თვე გახდა, იქ წავლენ. ხარების იატაღი ერთად გვქონდა. ისიც თეთრიწყალზე იყო“.* ***ახალდაბელები*** *შუამთობას კარჩხალში აღნიშნავენ, რადგან „ჩვენი მთა კარჩხალშია, სინკოთის იაილაა ჩვენთან ახლოს“; „სასმელი წყლი იალაიდან, თიდან მოვა, ირსას იალიადან მოვა წყალი, ირსის მთაში არი ჩვენი წყალი. ჩვენი მთა კარჩხალშია, იქვე არის ბაგინის, დევსქელის, შუახევის, ებრიკის მთა. ჩვენი და* ***ადაგულის იაილა*** *ახლოა. ორ თვეს იქ იქნებიან, ჩამოვლენ. გათოვლებულა და ჩამოვიდნენ გუშინ, მეც ვიყავ შუანთობაზე, ვისაამეთ“. „ცხენებ ვახტუნებდით თაში, კაცის ჭედობა, თოფის სროლა, ხარების, ვაცების ჭედობა ვიცოდით“.*

ბაზგირეთის თემის „მარიობა“. დღეობის მიმდინარეობის დროს ადგილობრივი მკვიდრნი იცავენ ტრადიციებს და ცდილობენ ავთენტურობის შენარჩუნებას. დღეობა ორდღიანია (აგვისტოს რომელიმე შაბათ-კვირა). თარიღს გამოითვლიან მუსლიმური მარხვის მიხედვით, ცდილობენ, დღეობა გახსნილების შემდეგ დაგეგმონ. დღეობას აღნიშნავს ბაზგირეთის თემის ყველა სოფელი და ჰყავთ დიდძალი სტუმარი. სადღეობო ცენტრად გაოყოფილია სოფლის უკიდურესი ჩრდილოეთი მხარე, შედრებით ვრცელი მოედანი. აქ აღმართავენ ტრიბუნას და იწვევენ ქართული სიმღებევის შემსრულებლებს. ტრადიცულ სამოსში გამოწყობილ ახლაგაზრდათა ჯგუდი შუადღისათვის რამდენჯემრე შემოივლის მთელ თემს და ხალხურ საკრავთა ახმიანებითა და შეძახილებით ეპატიჟება მედღეობეებს მოედნისაკენ. ოჯახები მიემართებიან მოედნისაკენ, მიაქვთ საზეიმო საკვები, ჭურჭელი, ჩაის მადუღარები, იკავებენ ადგილებს და სუფრასთან ეპატიჟებიან გამვლელ-გამომვლელებს. სახელდახელოდ აგებული სცენიდან ისმის ადგილობრივი სიმღერები, ახმიანებენ გარმონს და ჭიბონს, თავმოყრილი ხალხი დგება ფერხულში. დღეობის პირველი დღის კულმინაციას წარმოადგენს საკარნავალო ტიპის, თეატრალიზებული თამაშობა „ფადიკო“. „ფადიკოს“ თამაშობა დიდ ინტერესს იწვევს და მას ზოგჯერ რამდენიმეჯერ იმეორებენ. „ფადიკოს“ სიუჟეტში ვლინდება „ბერობანას“ ელემენტებიც. მეორე დღეს ამავე მოედნის ფერდობებზე იმართება ადგილობრივი ხალხური სპორტული თამაშობა „ბილა“. კვირა საღამოს სტუმრები იშლებიან. დღეობა მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი და პირველ რიგში, მისი ქართული ხასიათია აღსანიშნავი. სცენიდან თუ მედღეობეა საუბარი, ძირითადად, ქართულ ენოვანია და მუსიკალური ფონიც ამგვარივეა. ბაზგირეთში შემონახული მელოდიები, ძირითადად, ერთხმიანია. არის სიმღერები ბაზგირეთზე, აგრეთვე, ცოცხალია სატრფიალო შინაარსის სხვადასხვა სიმღერა.

ამრიგად, შუამთობა მრავალი ისტორიული შრის შემცველი, სინკრეტული ტრადიციული დღეობაა, არქაული ფესვებით. დღეობა უკავშირდება წლიურ სამეურნო წელიწადს, კერძოდ, მესაქონლეობას, თუმცა, ვვარაუდობ, რომ დღეობას აქვს ქრისტიანული წარსულიც: ჩანს, რომ არქაულ ცოდნას თავის დროზე შეერწყა მარიამობის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია, ხოლო რეგიონის ისლამიზაციის შემდეგ დარჩა „შუამთობის“ სახით. საგულისხმოა, მოსახ-

ლეობის ერთი ნაწილის გააზრებული განწყობა – დღეობათა განხილვა ეთნიკური იდენტობის შემნახველ და განმავითარებელ სეგმენტად (გუჯეჯიანი 2014, 2015).

ხარების ჭედობა ტრადიციულ ქართულ ყოფაში

ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ მსოფლიოს ბევრ ეთნიკურ კულტურაში არსებობდა ხარების ერთმანეთთან, ან ადამიანის ხართან, შეჯიბრების ტრადიცია. ხარების ჭედობის ტრადიცია დასტურდება საქართველოს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში (სვანეთი, რაჭა, აჭარა, სამცხე, ჯავახეთი, ტაო-კლარჯეთი), რიტუალისა და შეჯიბრების კონკრეტული სახელებითა და ფორმებით (გუჯეჯიანი 2016).

ეთნოგრაფიული მასალის რეკონსტრუირების საფუძველზე ირკვევა, რომ **ხარების ჭედობა ტრადიციული ქართული კულტურის ნაწილია** და ის თავიდან ამა თუ იმ რიტუალის შემადგენლობაში სრულდებოდა, რომელი რიტუალებიც დღესასწალთა ნაწილებს წარმოადგენდა. ეს დღესასწაულები იყო კვირაცხოვლობა სვანეთში, შუამთობის/მარიობა – აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში (გუჯეჯიანი 2016).

ცნობილია, რომ ტრადიციული ქართული ხალხური დღეობების უმეტესობა სამხედრო-საწესო ასპარეზობების ელემენტებსაც მოიცავდა: „ბურთაობა“, „ჩოგანბურთი“, „ლელობურთი“, დოღი, ჭიდაობა, საჯილდაო ქვის აწევა, ხტომა, სირბილი, მშვილდ-ისრის სროლა, მუშტიკრივი და სხვ. სამხედრო-საწესო ასპარეზობის ზოგიერთი ელემენტი ახლაც ცოცხალია, მაგალითად, სვანეთში ელიაობის დღეობის (ჰულიშ/ულიშ) მნიშვნელოვანი კომპონენტია სარიტუალო დოღი; წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი დღეობების ნაწილია ჭიდაობა, კვირიკობისა – საჯილდაო ქვის აწევა და სხვ. აჭარაში ამ მხრივ შუამთობისა და მარიობის დღეობები გამოირჩევა. ისტორიული ტაო-კლარჯეთის ზოგიერთ ხეობაში ამჟამადაც სრულდება სპორტული თამაშები დღეობებზე (გუჯეჯიანი 2016). ამავე დროს, ქართული ხალხური დღესასწაულების სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია ეთნომუსიკალური ელემენტები: საგალობლები, სიმღერები, ფერხულები. ცნობილია, რომ სარიტუალო ფერხულების შესრულების ტრადიცია, საკრალურ მომენტებთან ერთად, დაკავშირებულია სამხედრო წვრთნის აუცილებლობასთანაც (ბარდაველიძე 1968; ალავერდაშვილი 2013).

ტრადიციული ქართული ყოფა იცნობს ყოჩების, ვაცების „ჭედობის რკენის/წესსაც“, ზოგიერთ მხარეში მამლების შეჯიბრებაც იმართებოდა. ყოჩების შეჯიბრებას, მაგალითად, ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში სათემო-სასოფლო დღეობის „ლიხვდიშის“ დროს მართავდნენ. დღეობა დღესაც სრულდება ეცერის თემში და მას ყოველი სოფელი (თემს შიგნით) ერთიანად აღნიშნავს. მასპინძელი მორიგე ოჯახია, ზოგჯერ, სამი ოჯახიც ერთიანდება. დღეობას საკმაოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, ამ დღის ლოცვა და შესაწირავი მიმართულია თემის, სოფლის, მისი ყოველი წევრის მშვიდობიანობისაკენ. XX საუკუნის II ნახევრამდე სადღეობო ზვარაკად ზრდიდნენ ყოჩებს. სასოფლო მოედანზე იმართებოდა შესაწირავი ყოჩების შერკინება. სვანეთში ყოჩების შერკინება ახლა უკვე აღარ იმართება. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში კი ყოჩების შერკინება ამჟამადაც ჩვეულებრივი ამბავია და შეჯიბრებები ეწყობა „შუამთობის“ დღეობის დროს (გუჯეჯიანი 2016).

ხარების ჭედობის ამსახველი ქართული ეთნოგრაფიული მასალა საკმაოდ მდიდარია. სვანეთში ხარების ჭედობა კვირაცხოვლობის სადღესასწაულო ციკლის ნაწილი იყო. კვირაცხოვლობას სვანურად „უფლიშ“ – „უფლის დღე“ ჰქვია, სადღესასწაულო ციკლს კი – „უფლიშიერ“-ი. ვერა ბარდაველიძის მასალით, „უფლიშიერ“-ი ორიდან ექვს კვირამდე

გრძელდებოდა. სადღესასწაულო ციკლი მოიცვდა როგორც ლოცვის რიტუალს („ლიმზირ“), ასევე, ხარების ჭედობისათვის განკუთვნილ დღეებსაც, რომელთაც სვანეთის სხვადასხვა მხარეში შემდეგი სახელები ერქვა: ხანობ, ხანრე ლასკრობ, ფუსდა ხანი ლიტბალ, ლიუსხვარი, ვისხვობ და სხვა. ღვთისათვის შესაწირად განკუთვნილ კუროს (ვისხვ) საგულდაგულოდ უვლიდნენ, ზამთრობით სათივეში ამყოფებდნენ, მოხარშულ ცერცვს და ქერს მიართმევდნენ, ბანდნენ, სახრეს არ გადაუჭერდნენ. ვისხვ და მუსხი ვერა ბარდაველიძეს საერთო ქართული წარმომავლობის ტერმინად მიაჩნია და მას ძველი ქართული „უსხი“-დან მომდინარედ მიიჩნევს: „უსხი – სხვილის//მსხვილის ძველი ფორმაა“ (Бардавелидзе 1957. გვ., 157–158. Бардавелидзе, 1952). სამი წლის „ვისხვ“-ს კვირაცხოვლობის დღეობის („უფლიშ“) ზვარაკად მოამზადებდნენ. კვირაცხოვლობამდე ორი-სამი დღით ადრე საასპარეზოდ გამოიყვანდნენ. თუკი სოფელს შიგნით რამდენიმე ვისხვ-ი იყო, სოფლის მოსახლეობა სასოფლო მოედანზე – სვიფში ვისხვ-ების შეჯიბრებას მართავდა. გამარჯვებული ვისხვ-ი გაჰყავდათ სათემო შეჯიბრებაზე, სადაც სოფლებში გამარჯვებულ ისხვ-ებს არკინებდნენ. შემდეგ ყოველი სოფელი (ტერიტორიულ თემს შიგნით) ერთ გამარჯვებულ ბუღას გამოარჩევდა და მას უკვე სხვა სოფლის ვისხვ-ს შეარკინებდნენ. ხშირად ესა თუ ის თემიც ეჯიბრებოდა ერთმანეთს. გამარჯვებულად ითვლებოდა ის ბუღა, რომელიც მოწინაღმდეგე ბუღას მინდვრიდან გააქცევდა. ყოველი ვისხვ-ი შეიწირებოდა კვირაცხოვლობის ლოცვის დროს. ზოგიერთ თემში საკვირაცხოვლო რიტუალი ეკლესიათან იმართებოდა, ხოლო, მაგალითად, ეცერის თემში, ლოცვას საოჯახო ხასიათი ჰქონდა (მეოცე საუკუნის 30-იანი წლები). ყოველი ვისხვ-ის შემწირველი ოჯახი თავის სახლში, სალოცავად განკუთვნილ აღმოსავლეთის სარკმელთან ლოცულობდა. მამაკაცები ზვარაკს რქაზე ანთებულ სათელს მიაკრობდნენ, სამჯერ წაღმა დაატრიალებდნენ, ბეწვს შეუტრუსავდნენ და შეწირავდნენ. მლოცველებს ხელთ ეპყრათ ანთებული სანთლები, „ლემზირ“-ები (საწესო-სარიტუალო პურები სვანეთში, სეფისკვერის ხალხური ნაირსახეობანი) და ზედაშე (საწესო-სარიტუალო სასმელი საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის, სვანეთშიც). მთხრობელთა აზრით, ვისხვ-ი აუცილებლად უნდა შეეწირათ, მას მხოლოდ ამ მიზნით ზრდიდნენ (გუჯეჯიანი 2016).

ეს რიტუალი, მთხრობელთა დაკვირვებით, თანდათანობით ქრება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან: *„სამი-ოთხი წლის ვიქნებოდი, საუკეთესო ვისხვ-ი გვყავდა. ჭელირში ჩვენი ვისხვ-ი იყო გამორჩეული. ქურაშელებსაც ჰყოლიათ ვისხვ-ი. ქურაშიდან მათ წამოიყვანეს თავიანთი ვისხვ-ი, ჭელირიდან ჩვენ წავიყვანეთ, ჩვენს სოფლებს შორის შუა ადგილას შევჩერდით. გრამიტონ პაკელიანმა კისერზე შემისვა და ისე წამიყვანა. ჩვენი ბუღა ლამაზი იყო, მოწითალო ფერის, ლამაზი რქები ჰქონდა და სქელი კისერი. შეერკინნენ ერთმანეთს ჩვენი და ქურაშელების ბუღა. ჩვენმა აჯობა, ისე მაგრად ურქინა, ქურაშელების ბუღა გაიქცა. გაგვიხარდა. ყველა ჭელირელს გაუხარდა. ახლა ბავშვები ვაჭიდაოთო – თქვეს. გრამიტონმა ჩამომსვა და მოედნისკენ მიბიძგა. იქიდან ჩემი ტოლი ლადო ხორგუანი, აცხონოს ღმერთმა, გამოიყვანეს. ადვილად წავაქციე. ჭელირელებს გაუხარდათ, ხარმაც ჩვენმა გაიმარჯვა და ბიჭმაცო. შემისვეს ისევ მხრებზე და სახლში წამიყვანეს გამარჯვებული. ამის მეტად ბუღების ჭიდაობა არ მინახავს“* (მთხრობელი შოთა ტარასის ძე გუჯეჯიანი, 79 წლის, სოფელი ჭელირი, ეცერის თემი, მესტიის რაიონი, 2014).

ამრიგად, სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ხარების ჭედობა კვირაცხოვლობის სადღესასწაულო რიტუალის ნაწილი იყო, სარიტუალოდ განკუთვნილ ხბოს, რომელიც ღვთისთვის „დაყენებული“ ფურის ნაშობი უნდა ყოფილიყო, ზრდიდნენ სამი წლის მანძილზე და კვირაცხოვლობის დღის ლოცვის

დროს შეწირავდნენ. წინა დღეებში კი სოფელს შიგნით და ზოგჯერ თემშიც (იგულისხმება ტერიტორიული თემი), იმართებოდა საუფლო ბუღების შეჯიბრება (გუჯეჯიანი 2016).

აჭარაში ხარების ორთაბრძოლას **„ბუღიების ჭედობა“** ერქვა და მას ატარებდნენ ადრე გაზაფხულზე. აჭარის ტრადიციულ ყოფაში – ბუღიების ჭედობა – ადრესაგაზაფხულო დღეობათა ციკლშია მოქცეული. ის ბუღა, რომელსაც ჭედობისათვის ამზადებდნენ, აჭარაშიც, მსგავსად სვანეთისა, საპატიო ცხოველად ითვლებოდა. შემონახული ელემენტების რეკონსტრუირების შედეგად, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ გვიანშუასაუკუნეებამდე, აჭარაშიც, ბუღების ჭედობის წესი კვირაცხოვლობის სადღესასწაულო რიტუალის ნაწილი იყო, ხოლო შემდეგ, კვირაცხოვლობის სადღესასწაულო ციკლი და შესაწირავი ზვარაკის იდეა დავიწყებას მიეცა, რაც გამოწვეული იყო ამ მხარეში ახალი რელიგიის – ისლამის – გავრცელებით. ქართველ მუსლიმთა რელიგიის ხალხური ასპექტები ცალკე შესწავლის ობიექტია და აქ მასზე ყურადღებას არ შევაჩერებ. ისლამის გავრცელების შემდეგ, ზვარაკი, როგორც ასეთი, აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში „ყურბან ბაირამის“-თვის დამახასიათებელ ნიშნადღა შემოგვრჩა, რაც, რასაკვირველია ისლამის ტრადიციებიდან მომდინარეობს. კვირაცხოვლობის ტრადიცია, ჩემი აზრით, ტრანსფორმირდა „ბუღიების ჭედობის“ ხალხურ სანახაობად, ანუ, გაქრა რიტუალი და შემოგვენახა მისი მხოლოდ ეს კონკრეტული ელემენტი, ფრაგმენტის სახით (გუჯეჯიანი 2016).

„ბუღიების ჭედობა“ აჭარის ყოფაში დეტალურად აქვს შესწავლილი ვახტანგ შამილაძეს. ვახტანგ შამილაძის მასალით, აჭარაში საბუღე ხბოს საგულდაგულოდ არჩევდნენ და ზრდიდნენ: *„საბუღე ხბოს შერჩევისას... ყურადღება ექცეოდა მემკვიდრეობასა და გარეგნულ-ექსტერიერულ ნიშნებს (ტანი, თავი, ფეხები, რქები, სათესლე ჯირკვლები და ა. შ.). მხედველობაში იყო მიღებული ხბოს ტემპერამენტიანობა და სიცოცხლის უნარიანობა. საბუღედ შერჩეულ ხბოს ეთმობოდა ორი, ხშირად კი ოთხი ძუძუს რძე. გარდა ამისა, 5–6 თვის ასაკიდან ეძლეოდა ნაზად მოთიბული თივა, სიმინდი, ქერი და ცომი. იმავე ასაკიდან სასურველი იყო დედალი ლეკისა და დგნალის ფოთლის მოწოდებაც. ჩვეულებრივად საბურე ხბოს 3–4 წლის ასაკამდე ბაგური კვების პირობებში ინახავდნენ... მოჭედარ ბუღას კისერი მსხვილი უნდა ჰქონოდა, თავი დიდი, მოყვანილი, შიგშემოზრდილი რქებით. შუბლისა და რქების არე ხმელი და წინწავარდნილი, თვალები წამოცვენილი, ცხვირის ნესტოები გადმობრუნებული, ხშირი და მოკლე ბალანი, გრძელი კუდი. საუკეთესო მოჭედარი ბუღის შერჩევა და გამოზრდა დიდ ოსტატობად ითვლებოდა, ხბოს რქებს აფხეკდნენ და ულესავდნენ, ბაგის წინ თუნუქს აჭედებდნენ, რათა ხბოს თავისითაც აელესა რქები. ჭიდაობას ჯერ ხელით, მუხლით ან თავით აჩვევდნენ, შემდეგ სხვა მოზვრებს უქცევდნენ, ხმით ამხნევებდნენ. ჭიდაობას აწყებინებდნენ 3 წლიდან. 5 წლამდე ბუღა მომწიფდებოდა და 8–10 წლამდე კარგი მოჭედარი იყო* (შამილაძე 1973).

აჭარაში. „ბუღიების ჭედობა“ აპრილის პირველი კვირიდან იწყებოდა და მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. მუსლიმური კულტურის გავლენით, ჭედობას პარასკევ დღეს იწყებდნენ, რაც ვახტანგ შამილაძეს სრულიად სამართლიანად გვიანდელ მოვლენად მიაჩნია. მკვლევარი გამოთქვამს აზრს, რომ, შესაძლოა, ბუღიების ჭედობა ძველად ქაშატობის სადღეობო ციკლის ნაწილი ყოფილიყო. ცნობილია, ქაშატობა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული რიტუალია და იგი პირველი ხნულის გავლებასაც გულისხმობადა. *„აპრილის პირველ კვირას ბუღების პატრონები სოფლად შეჯიბრების დროსა და ადგილს დათქვამდნენ. ჭვანისა და ღორჯომის ხეობათა სოფლებში შეჯიბრებისათვის გამოყოფილი იყო კონკრეტული ადგილები: სოფელ ინწკირვეთში – დუბეჭალას მოედანი, სოფელ მეკეიძეებში – კინტავრა, სოფელ ნაღვარევში – გორიკულა და სხვ. შეჯიბრების დღეს ორივე მხრივ აურაცხელი*

ხალხი გროვდებოდა. ბუღების პატრონები თავიანთ ბუღებს გვერდში ედგნენ და შეძახილებით ამხნევებდნენ შეტაკებისას. ბუღის გამარჯვებას პატრონთან ერთად მთელი სოფელი ზეიმობდა ყიჟინითა და თოფის სროლით. დამარცხებული სოფლის მოსახლეობა კი ჩუმად ტოვებდა არენას, მაგრამ გამარჯვებულს განმეორებითი შეტაკებისათვის იწვევდა. ასე გრძელდებოდა მთელი კვირა. საასპარეზოდ ახალ-ახალი წყვილები ცვლიდნენ ერთმანეთს. ჭედობისათვის ბუღის საუკეთესო ასაკად 3–8 წელი ითვლებოდა. შემდეგ ბუღას კოდავდნენ, ასუქებდნენ და დაკლავდნენ, თუმცა ზოგჯერ „ნაბუღვარას“ უღელშიც კი შეაბამდნენ“ (შამილაძე, 1973. გვ. 44–47) .

აჭარული მასალა, ამ კონკრეტული ფაქტით, სვანურისაგან განსხვავდება, რადგან, როგორც უკვე ითქვა, სვანეთში ნებისმიერი ვისხვ-ი, თვით ყველა სხვა ვისხვ-ის დამმარცხებელიც კი, შესაწირავად იყო განკუთვნილი. სავარაუდოა, რომ აჭარაში დადასტურებული წესი ობიექტური ისტორიული ფაქტებითაა განპირობებული და ტრადიციის ტრანსფორმაციის შედეგია. აჭარის საზაფხულო იალაღებზე, ზოგან, ჩვენ დროშიც ატარებენ „ბუღიების ჭედობას“.

2006–2018 წლების ეთნოგრაფიული მასალით, ხარების//ბუღების ჭედობა გავრცელებულია მთელი ისტორიული ტაო-კლარჯეთის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაში. ხარების//ბუღების ჭედობა დასტურდება ნიგალში (ხება, მარადიდი, კატაფხია, ბეღლევანი, ბორჩხა, ჩხალას ხეობა, მურღული, შუახევი, დევსქელი, ბაგინისწყალი, ომანა, ტრაპენი, ზემო და ქვემო ორჯი, თხილაძე, ქართლა, ხატილა, ქალაქი ართვინი), იმერხევში (უსტამისის თემი, დიობანის თემი, მანატბის თემი, ხევწურილის თემი, ბაზგირეთის თემი), ზემო მაჭახელსა და ისტორიულ ტაოში (პარხლისწყლის ხეობა) (გუჯეჯიანი 2016).

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ამა თუ იმ ხეობაში, ხარების//ბუღების ჭედობის წესი შერწყმულია მესაქონლეობის ტრადიციებთან და ის ზოგჯერ დაკავშირებულია შუამთობის დღეობასთან, მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან კი ბევრგან დამოუკიდებელი სახით სრულდება და „ფესტივალადაა“ ქცეული. ცხადია, ტრადიცია ტრანსფორმირებულია, თვალსაჩინოა, რომ ნოვაციური ელემენტები თანდათან ტრადიციად მკვიდრდება, ხოლო იქ, სადაც ხარებს ჭედობა, კვლავ საზაფხულო საძოვრებზე იმართება (შუამთობის დღეობა), მას ძველებური სახე აქვს.

რამ განაპირობა ხარების ჭედობის ტრადიციის „ფესტივალად“ ფორმირება? პირველი მიზეზი შიდა მიგრაციაა: მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ართვინის რეგიონში იწყება მიგრაციული პროცესი: ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი სამუშაოდ და შემდეგ უკვე საცხოვრებლად გადადის დიდ ქალაქებში და ტოვებს მშობლიურ მხარეს. შიდა მიგრაციულმა პროცესმა იმატა 80-ინი წლებიდან. ჩვენი დროისათვის ტაო-კლარჯეთში მოშლის პირასაა ტრადიციული კულტურულ-სამეურნეო ტიპი და, შესაბამისად, დროთა განმავლობაში, დავიწყების საფრთხე ემუქრება მესაქონლეობის სამეურნეო ტრადიციებთან დაკავშირებულ შუამთობის დღეობის აღნიშვნის წესსაც. მეორე მიზეზი არის თურქეთის სახელმწიფოს მცდელობა ადმინისტრაციულ ჩარჩოებში მოაქციოს ხალხური დღეობების მართვა. „შუამთობის“ მსგავსად ცვლილება აისახა შეეხო ხარების ჭედობის ტრადიციაზეც. სახელმწიფოს ჩარევით შეიქმნა ახალი ოფიციალური სახალხო დღესასწაულები – „ხარების ფესტივალები“ მისი მენეჯმენტიც ადმინიტრაციამ შეითავსა. ხარების ჭედობის ყველაზე მასშტაბური „ფესტივალები“ არის კავკასორის, ახალთის, მურღულისა... ტრადიციის ჩასმამ „ფესტივალის“ ჩარჩოებში რიტუალს თვითმყოფადობა და ავთენტურობა დაუკარგა (გუჯეჯიანი 2016).

საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად შეკრებილი მასალა ავლენს საინტერესო სურათს: შუახანს გადაცილებულ მთხრობელებს ახსოვთ ხარების ჭედობის ძველი ფორმა, როდესაც შეჯიბრება ტარდებოდა ამა თუ იმ სოფლის სა-

ზაფხულო საძოვარზე, ე. წ. აგარაში ან „მთაში“ ხალხური დღეობს – შუამთობის დროს.

ხარების ჭედობისათვის, ზოგან **„ხარების იატაღს“** იყენებდნენ, რაც უფრო ძველ ტრადიციად მიმაჩნია. საზაფხულო იალაღების ყველაზე მაღალ ნაწილში, ნოყიერი ბალახით მდიდარ ალპურ ზონაში „მემთევრებს“ მოწყობილი ჰქონდათ ხარების სამყოფი ადგილები, ე.წ. „ხარების იატაღი“. სწორედ ამ ადგილებში იმართებოდა ხარების/ბუღების ჭედობა.

ისტორიულ ტაო-კლარჯეთშიც, ჭედობისათვის გამოსაზრდელ ვარგის პირუტყვად, მსგავსად აჭარისა და სვანეთისა, ერთი წლის ხბო შეირჩეოდა. ხბოს ნებაზე გაუშვებდნენ, ნებიერად ზრდიდნენ, რისი აღმნიშვნელი ეთნოგრაფიული ტერმინია „ხარებ ვაპატივებდით“: *„ვაპატივებდით ხარებ. შავ ცერცვ ავადულებდით, იმას ვასმევდით, თაფლს წყალში გუურევდით, იმას ვასმევდით“. „ხარს კიწი (ქედი) უნდა ჰქონოდა დიდი, კაი. რქის წამოთლა არ შეიძლებოდა, თუ იქმნა, არ იჭედებს ის ხარი“, „სახრე არ უნდა გადაუჭირო, არ იქნება“*. უშუალოდ ჭედობას აწყებინებდნენ სამი წლის ასაკიდან (გუჯეჯიანი 2016).

ართვინის რეგიონში ყველაზე მასშტაბური ხარების ფესტივალი **„კავკასორის“** სახელითაა ცნობილი, კავკასორი მთის (გეოგრაფიული მთა) სახელია და იგი ქალაქ ართვინიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. ფართო გაშლილი ზეგანია. ეს ადგილი ძველად აგარა ყოფილა და იქ იმართებოდა „შუამთობა“, რომლის ნაწილიც იყო ხარების ჭედობა. ამჟამად კი იქაურობა საფესტივალო არენადაა ქცეული: მაყურებლისათვის მოწყობილია დასასვენებელი და გასართობი ინფრასტრუქტურა. *„კავკასორშიც იყო ხარების ჭედობა ძუელად, ახლაც არის, სულ მთლად აქეთ მოყავან ხარები ყველას. იქ ახლა ფესტივალ აკეთებენ“*. ფესტივალი, დაახლოებით, 30 წელია იმართება (გუჯეჯიანი 2016).

მეორე მასშტაბური „ხარების ფესტივალი“ მურღულის ხეობაში იმართება. საასპარეზოდ შერჩეული ადგილი მურღულისწყლის მარჯვენა ნაპირზეა, **თხირაფუნა** ჰქვია. ძველად კი ხარების ჭედობა აქაც „შუამთობის“ ნაწილი იყო და „მთაში“ იმართებოდა: „ხარების ჭედობა ვიცოდით. აქ სოფელში ქვემოთ დუზი არის და იქ ვიქმთ. ჩვენი მთა არის შავი ქედი, ჩანს (ხელით გვიჩვენა მიმართულება) იქ არის, ყომრალი, იქ არის ხარების იატაღი. ფურების სხვა არის. ძველად ხარების ჭედობა იაილაში იყო. ხარების მეთავე გვყავდა“. ამჟამად თხირაფუნას ფესტივალში გამარჯვებული ხარის პატრონს ფულად ჯილდოს აძლევენ (გუჯეჯიანი 2016).

ხარების ჭედობა დამახასიათებელია ისტორიული ტაოს იმ ნაწილისთვისაც, სადაც დღემდე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს: პარხლისწყლის ხეობაში სამი დიდი თემი (ქვაბაი/ქობაი, ხევაი, ბალხი) ქართველებითაა დასახლებული და ამავე ხეობის სხვა სოფლებშიც ზემოთ დასახელებული სამი თემის ნამატი მოსახლეობაა განსახლებული. პარხლისწყლის ხეობაში ხარების ჭედობა ადგილობრივი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი სეგმენტია. მთხრობელებს ახსოვთ ხარების ჭედობის ტრადიციული ფორმაც: *„**თევნარში** ძოვდეს ხარები და ხარებს იქ ვაჭედებდით. თოვლი რომ გადნებოდა, მის მემრე წავიყვანდით ხარებს მთაში. იქ იყო რთველადე“. „**სარიგოლშიც** იყო ხარების ჭედობა, ღელეს აქეთკენ, ორ-სამ ალაგს ირჩოლებოდნენ, **ზაფორის** მთებშიც იყო, **დევთისაიშიც** იყო. ახლა ყველა თუთლუღში აკეთებს. ხარ ვზრდით, ფულს ვაკეთებთ. ხევაელების ხარების ჭედობა იყო **დუდგურ-ში**. დევსაკარაის ზემოთ არის ეს ადგილი. იქ ახლა ფესტივალ აკეთებენ“. „ქვაბავრები **წალიკვან** მივდოდით, იქ იყო ხარების ჭედობა“. ხევაელები ხარების ჭედობას **ჭანჭახშიც** მართავდნენ. „ქოხები იყო, ახლა გავერანდა. მაისიდან იყო ხარების ჭედობა. ქერით ვაპატიებთ, იქ ვაჭედებთ. ბუღაა, ხარი არ არის. ვერძებსაც ვაჭედებდით. სამი-ოთხი დღე იქ ვრჩებოდით აგარაში. ვფერხულობდით. კაცებიც ეჭიდებოდნენ, ვერძებიც. ხელის მოჭიდებაც ვიცოდით“*. **ხევაელები** ჭედობისათვის

განკუთვნილ ბუღებს საგანგებოდ უვლიდნენ საცორიას მთებში. „დევსაკარაიში საცორია იყო. საცორიას ვეძახით. დევსაკარაის უკნიდამ არის, ოლვილოძირიდამ. იქ მივასხამდით ხარებს. ხარი იატაღია იქ. იქ ღამით დაწვებიან. მეორემ მეცხვარე იქ აძოვებს ხარებს. ქერს დავნაყევდით, ცხელ წყალს მოვასხემდით, დასივდება ქერი, დარბილდება, იმას ვაჭმევდით ხარებს. შეიქნება დიდი ხარი". „*საცორიაში ბალხი, ხევაი, ქობაი ვიკრიბებოდით. ჭედობა დამთავრდებოდა, ქადებს გამოაცხობდნენ, კვარ ვანთებდით, დილაპლაპებოდა, ვიჭედებდით, ხელჭიდ ვიქნოდით – მაჯა ენ დიდი უნდა გქონოდა*" (გუჯეჯიანი 2016).

პარხლისწყლის ხეობის იმ სოფლებში, სადაც ამჟამადაც იმართება შუამთობა, ხარების ჭედობა კვლავ სადღეობო რიტუალის ნაწილად გვევლინება. შუამთობას ახლაც სრულდება ფერხულები, იმართება ჭიდაობა, ხარების შერკინება... ტრადიციულად, ამ დღეობაზე ჭანები/ლაზები და მურღულელები გადმოდიან მეზობელი ხეობებიდან. განსაკუთრებით ხალხმრავალია **წალიკვანის შუამთობა**. „*ცხენებ ვახტუნებდით წალიკვანში. წალიკვანი მარტო ქობაისი არის". „წალიკვანში კაცის ჭედობა, თოფის სროლა, ხარების ჭედობა ვიცოდით. იყო მამლის ჭედობა. მამლები ბევრი იყვნენ და ვაჭედებდით. მემრე ფეხბურთი დევწყეთ* (გუჯეჯიანი 2016)".

ფესტივალის სახე აქვს სოფელ **ახალთის** (პარხლისწყლის ხეობა) ხარების ჭედობას. ახალთში, ცენტრალური გზის პირას, სპეციალური არენაა აგებული და მთელი იუსუფლის რაიონიდან აქ მოჰყავთ რჩეული ხარები. ამ დღეობას აქვს ოფიციალური ხასიათი და „ხარების ფესტივალი" ჰქვია. გამარჯვებული ხარის პატრონს ფულად ჯილდოს აძლევენ.

ამრიგად, ამჟამინდელი ხარებით ჭედობა, თუკი მას აქვს „ფესტივალის" სახე, ტრანსფორმირებულია, არ არის რიტუალის (შუამთობის) ნაწილი და გადაქცეულია შეჯიბრებად. ყველა თანამედროვე ფესტივალი მსგავსია და კონკრეტული მახასიათებლებისაგან განძარცვულია. ამ დღეობებს აქვთ ოფიციალური ხასიათი. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ არის რამდენიმე სოფელი, სადაც ხარების ჭედობა კვლავაც რიტუალის ნაწილია და ტრადიციული ფორმით სრულდება.

გარდა, უშუალოდ, ხარების ჭედობისა, საქართველოს ტრადიციულ ყოფაში არსებობდა ხართან ადამიანის შერკინების წესიც. მას **„კურული"** ერქვა. კურული დამახასიათებელი იყო სამეგრელოს ტრადიციული ყოფისათვის. ვერა ბარდაველიძის მასალით, კურული, მაგიურ-რიტუალური ხასიათის წესი, უძველესი ტრადიცია იყო. კურული იმართებოდა სოფლის მოედანზე (Бардавелидзе 1957). მოედნის შუაში ჩაარჭობდნენ ბოძს და მასზე აბამდნენ სპეციალურად გაზრდილ და გავარჯიშებულ კუროს. ორი მამაკაცი კუროს აღიზიანებდა, ხელს ახებდნენ რქებზე, ყურებზე, წინა მხრებზე, ზურგზე. გაღიზიანებულ ბუღას ბოძიდან ხსნიდნენ და მასთან ბრძოლას იწყებდა ერთი მამაკაცი. მამაკაცი გამარჯვებულად ითვლებოდა, თუკი იგი გამძვინვარებულ ბუღას შებოჭავდა და წააქცევდა. კუროსთან ჭედობის დამთავრების შემდეგ იწყებოდა ადამიანთა ჭიდაობა (ჩიტაია 1959: 159).

ტერმინ „კურულის" შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ეთნოლოგ *ლალი მაძღარაშვილს: „მართალია, ეს ტერმინი გამოყენებულია ხარებთან შებრძოლების ისეთი სახეობის აღსანიშნავად, როდესაც ადგილი აქვს კაცისა და ხარის ორთაბრძოლას, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ იგი შეიძლება გამოვიყენოთ ყველა იმ გართობა-სანახაობის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად, რომელშიც ხარი მონაწილეობდა, იმისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ხარები ერკინებიან ერთმანეთს, თუ ხარი და კაცი*" (მაძღარაშვილი 1991: 180–181). აღსანიშნავია, რომ შემდგომ მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ (რ. გუჯეჯიანი, 2011–2015) დაადასტურა ტერმინ კურულის არსებობა ქართველთა სხვა მხარეშიც – ისტორიულ ნიგალში/ლიგანში. ნიგალის მხარეში,

როგორც უკვე აღინიშნა, ცოცხალია ბუღების რკინების/ჭედობის წესი და მას ზოგიერთი მთხრობელი „კოროლი“/„კორული“/„კურული“-ს სახელით იხსენიებს. ამასთანავე, „კორული“ მთის სახელადაც არის შემონახული. ამ მთაზე დღესაც იმართება ბუღების ჭედობა. ეს ახალი ინფორმაცია კიდევ უფრო განამტკიცებს ლალი მაძღარაშვილის მოსაზრების მართებულობას და ვვარაუდობ, რომ ტერმინი „კურული“/„კორული“/„კოროლი“, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, რადგან სიტყვის ფუძედ „კურო“ იკვეთება და სრულიად ბუნებრივია მისი განზოგადება მთელი ქართული სამყაროს მასშტაბით. კურო, სულხან-საბას განმარტებით არის „ჴარი გამოუყვერავი“ (სულხან-საბა 1991: 399), ანუ, ჭედობისათვის გამოსადეგი პირუტყვი, როგორც ეს მიღებული იყო ყოფაში.

არსებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე, გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ხარების ჭედობის ტრადიციის საკრალურობის გააზრების რამდენიმე ეტაპი არსებობდა და იგი იცვლებოდა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. პირველ ეტაპად მოიაზრება არქაული ხანა, როდესაც სარიტუალო ზვარაკს, თანადროული რელიგიური მსოფლაღქმიდან მომდინარე შესაბამისი რიტუალური დატვირთვა ახლდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხარების ჭედობის წესი საქონლის განაყოფიერებისა და გამრავლებისადმი მიძღვნილი მაგიური რიტუალების ნაწილია, რომ ეს წმინდა ხარების ბრძოლის კონტექსტითაა განსახილველი; ქართული ხარების ჭედობისა და კურულის წესი შედარებულია შუმერულ, კრეტა-მიკენურ ტრადიციებთან (ვ. ბარდაველიძე, ვ. შამილაძე) და ესპანურ კორიდასთან, რომელსაც ბასკური ფესვები აქვს (შ. ძიძიგური). ცნობილია, ხარის კულტს დიდი ადგილი ეკავა არქაული ხანის მითოსურ სამყაროსა და რწმენა-წარმოდგენებში. შესაძლოა, ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის უკვე იმ დროს არსებობდა ადამიანის ხართან შერკინების წესიც, რომელიც გვინობამდე შემოინახა სამეგრელოს ტრადიციულმა ყოფამ, სახელწოდებით „კურული“. კლარჯეთში დაფიქსირებული ტოპონიმი „კოროლი“/„კორული“ და ბუღების შერკინების სახელად „კოროლის“/„კორულის“/„კურულის“ არსებობა მაფიქრებინებს მის მომდინარეობას საერთო ქართული ენობრივი სამყაროდან და ტრადიციიდან. მომდევნო ეტაპად ქრისტიანობის გავრცელების პერიოდი წარმომიდგება, რაც სვანური მასალით ვლინდება და რაც, სავარაუდოდ, ტრადიცია იყო მთელ საქართველოში. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მხარეების იძულებითი გამუსლიმების შედეგად, აჭარაში, მესხეთსა და ტაო-კლარჯეთში, ბუნებრივია, იკარგება სარიტუალო ბუღის საკვირაცხოვლო ზვარაკად გაზრდისა და შეწირვის ტრადიცია. საკრალური არსი მივიწყებას ეძლევა, მაგრამ რჩება სპორტული სანახაობა – ბუღების ჭედობის წესი და ზოგან იგი უკავშირდება „შუამთობის“, ან „მარიობის“ ხალხურ დღეობას, უფრო დიდ ნაწილში კი საგაზაფხულო დღეობათა პირობით ციკლში ექცევა – მესაქონელობის ლოკალური ტრადიციებიდან გამომდინარე. შემდეგი ეტაპი თანამედროვე დრია, როდესაც მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან ხარების ჭედობის წესი სვანეთში თანდათანობით ქრება, უფრო ხანგრძლივად იგი არსებობს ზემო აჭარაში. ამჯერად კი, ფაქტობრვად, მხოლოდ ისტორიულ ტაო-კლარჯეთშია შემონახული, უმეტეს ნაწილში – ტრანსფორმირებული სახით.

ლიტერატურა

1. ქ. ალავერდაშვილი, საწესო ფერხულების შესწავლისათვის, კრ. ვერა ბარდაველიძე – 110, თბ., 2013.
2. ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, კრ., მსე, ტ., XIV, „მეცნიერება“, თბ., 1968. გვ., 44-64.
3. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искуство грузинских племен Тб., 1957.

4. В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти. Вопросы этнографии Кавказа., Тб., 1952.
5. რ. გუჯეჯიანი, ხარების ჭედობა ტრადიციულ ქართულ ყოფაში. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VI, თბ., 2016. გვ., 26-36.
6. Rozeta Gujejiani, The Ways to Maintain the Ethnic Identity: Folk Festivals of Georgians in Artvini Region (the Republic of Turkey), – "Fundamentalism. Ethnographies on Minorities, Discrimination and Transnationalism", Marcello Mollica (ed.) LIT Verlag Zurich 2016, Fribourg Studies in Social Anthropology, Band 44. გვ., 91–101
7. რ. გუჯეჯიანი, ქართული ხალხური დღესასწაულები ართვინის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ეთნიკურ ქართველთა შორის (ძველით ახალი წელი, შუამთობა, მარიობა). კრ. ტრადიციული რელიგიური სისტემა და თანამედროვეობა, თბ., 2015. გვ., 93-113.
8. რ. გუჯეჯიანი, ეთნიკურ ქართველთა ტრადიციული სულიერი კულტურის ისტორიიდან – შავშეთ-იმერხევი, – კრ., გივი წულაია 80, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2014.
9. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991.
10. ლ. მაძღარაშვილი, „კურული" ქართულ ტომებში. კრ. აია, თსუ, თბ., 1991.
11. ვ. შამილაძე, კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე. კრ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ., 1973.
12. გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქარველოში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ., IV, ნაკვეთი II, თბ., 1959.

მარტყოფის მისტერია – კიდევ ერთი საღვთო ომი ქართველთა (XXI-ე საუკუნიდან დანახული)

ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი, ლექსო ოთარაშვილი

გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი

ჩვენს მიერ მიგნებულ და განხილულ ერთ-ერთ უნიკალურ ისტორიულ პირველწყაროში, პიეტრო დელა ვალეს 1621 წლის 23 თებერვლით დათარიღებულ „მოგზაურობანი – სპარსეთი“-ს II ნაწილში, წარმოდგენილია მასალები გიორგი სააკაძის ირანში მოღვაწეობის შესახებ, რის შემდეგაც ბევრი რამ ნათელი და გასაგები ხდება ქართული (და არა მარტო ქართული) საზოგადოებისათვის. კერძოდ, ის რომ დიდი მოურავი და ქართველი, ხალხი შაჰ-აბასის ტირანიის მიმართ, შურისძიებისათვის ემზადება, ხოლო გიორგი სააკაძე ტრადიციულად ერთგული მსახურია თავისი მამა-პაპის მსგავსად ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისა (იგულისხმება ლუარსაბ II და თეიმურაზ I – ვ.ო.). სააკაძე ცდილობს ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებას საერთო მტერთან ბრძოლაში. მისთვის მიუღებელია ქართლ-კახეთის შაჰისგან დანიშნული მაჰმადიანი მმართველები, თუნდაც ისინი ფორმალურად ბაგრატიონთა გვარს ატარებდნენ. გიორგი სააკაძისთვის ასევე მიუღებელია ვერაგი შაჰ-აბასის მზაკვრული გეგმა აღმოსავლეთ საქართველოს განადგურებისა და ა.შ. ყოველივე ეს კარგად ჩანს პიეტრო დელა ვალეს, ამ შესანიშნავი იტალიელი მისიონერის და დიპლომატის ბრწყინვალე პუბლიკაციაში „XII წერილი ისპაჰანიდან“. ახლა ჩვენ, ისტორიულ-საარქივო მასალებზე დაყრდნობით რეალურად აღვწეროთ XXI-ე საუკუნიდან დანახული მარტყოფის მისტერია, რომლის მთავარი შემოქმედი და დირიჟორი (ოვაციების გარეშე) იყო გიორგი სააკაძე...

ირან-ოსმალეთის 1619 წლის ზავი არ იყო ხანგრძლივი. შაჰ-აბასმა მოკლე ხანში მოაგვარა ქვეყნის საშინაო საქმეები და დაიწყო საფუძვლიანი სამზადისი ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის [მუსტაფა ნაიმა, „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, თბ. 1979, წ.ნ. შენგელიას რედ. გვ. 51].

1622 წელს ირანის ხელმწიფემ მოხერხებულად ისარგებლა ინგლისელებსა და პორტუგალიელებს შორის არსებული წინააღმდეგობით და ინგლისელების ოსტინდოეთის კომპანიის ფლოტის დახმარებით (ქართველი უნდილაძის სარდლობით – ვ.ო.) კუნძულ ჰორმუზიდან პორტუგალიელები განდევნა, რითაც მან მოიპოვა საშუალება ირანის აბრეშუმი ზღვით სამხრეთ ირანიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაეტანა და უდიდესი ეკონომიური მოგება მიეღო. 1623 წელს შაჰ-აბასის არმიამ ოზბეგებიც დაამარცხა და ყანდაღარიც დაიპყრო.

ვერაგი შაჰ აბასის უახლოესი გეგმები ითვალისწინებდა მასკატიდან პორტუგალიელების განდევნას და ბასრიდან ოსმალოების გაძევებას, სადაც შაჰის გეგმის შესაბამისად შირაზის ბეგლარბეგმა იმამ ყული-ხანმა 1625 წელს ბასრას გარემოცვა დაიწყო, რაც სპარსეთის ყურეში ირანის ერთპიროვნული ბატონობის მომასწავებელი იყო. შაჰი ასევე ფიქრობდა სეფიანთა იმპერიის გაფართოებას ხმელთაშუა და მეწამული ზღვისაკენ და მექისა და იერუსალიმის დაპყრობას [A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the 17th and 18 th Centuries, I, London, 1939 წ. გვ. 267-271].

1623 წლის 28 ნოემბერს ირანელების მიერ ბაღდადის აღებით ფაქტიურად დაირღვა ირან-ოსმალეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება, ხოლო მომდევნო 1624 წელს შაჰის ჯარებმა დაიკავეს მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი [მ. სვანიძე „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს.“, თბ. 1971 წ. გვ. 280]. ამ ბრძოლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გიორგი სააკაძემ დიდად გამოიჩინა თავი და შაჰის უდიდესი ნდობა მოიპოვა, რაც

მან მაქსიმალურად გამოიყენა კიდეც ირანელი დამპყრობლების აჯანყებისათვის. 1623 წელს ირანმა ოსმალეთს „ჩოხურსაადის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი ყაჯარის“ სარდლობით მესხეთის ახალციხე წაართვა და სამხრეთ საქართველოში პოზიციები განიმტკიცა [„ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ”, ვლ. ფუთურიძის რედ. თბ., 1969 წ., გვ. 118-119].

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ მოძიებულ უახლესი სპარსული ცნობების თანახმად, XVII ს-ის სეფიანთა დინასტიის ცნობილი გენერლების ჩამონათვალში, ირანული ისტორიული წყაროების მიმოხილვისას, (ირანულ საიტზე) გიორგი სააკაძეა დასახელებული და წერია, რომ იგი არის „...ცნობილი დიდი მოურავი – ქართველი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური როლი ითამაშა XVII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში... გიორგი სააკაძე 1621–1623 წლებში სეფიანთა ირანის იმპერიის ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი და დიდი გენერალი იყო... იოსებ ტფილელის პოემა „დიდმოურავიანი“ (1681–1687 წლებში შექმნილი) პირველწყაროა, რომელიც გადმოგვცემს გიორგი სააკაძის ისტორიას...“ [https://fa.wikipedia.org/wiki/ ذ ظامی امرای:رده صـ فویـ ان ; https://fa.wikipedia.org/wiki/ساک ادزه گ یورگ ی]

1622–1624 წლებში გაძლიერდა ანტიირანული მოძრაობა საქართველოში. ვერაგი შაჰ-აბასის მზაკვრული და ბოროტი ზრახვები მიუღებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენისათვის და მწიფდებოდა სახალხო-ეროვნული აჯანყება ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლის ფარული მეთაური და ორგანიზატორი გიორგი სააკაძე იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და ისტორიული საბუთებიც ღაღადებენ, დიდი მოურავი აჯანყებისათვის სამზადისს საიდუმლოდ ინახავდა, თავი კი სისხლისმსმელი შაჰ-აბასის ერთგულ მოხელედ მოჰქონდა, რათა პათოლოგიურად დაუნდობელ შაჰს ეჭვი არ აეღო და უდიდესი საქმე არ ჩაეშალა ქართველი ერის გადარჩენისა [გ. ჯამბურია „გიორგი სააკაძე“,თბ., 1964 წ. გვ. 120]. „მოურავი აქამდე მტრის ბანაკში იყო და მოსაჩვენებლად შაჰის სამსახურზე ვითომც თავს არ ზოგავდა“ [ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, თბ. 1943წ. გვ. 303]. 1624 წელს შაჰ-აბასს ხორნაბუჯის ციხეში გამაგრებული ფეიქარ-ხანისგან მოსდის შემაშფოთებელი ცნობები განმეორებით კახეთში „მალე არეულობის მოხდენის“ თაობაზე [ისქანდერ მუნში, გვ. 121]. ამასვე უთითებს მუსტაფა ნაიმა, რომ „ფეიქარ სულთანი (ფეიქარ-ხანი – ვ.ო.) ქართველების სიმრავლემ საგონებელში ჩააგდო... ქართველები ისე მომრავლდნენ... ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო“ [მუსტაფა ნაიმა,161]. აქ ხაზგასმულია „ხმლიანი ქართველი“ ანუ საომრად და მტერთან საბრძოლველად უკვე აღჭურვილი. სწორედ გიორგი სააკაძე მუშაობს ფარულად თავად დავით ასლანიშვილ-ჯანდიერთან და კახეთის მამულიშვილ სხვა მესვეურ-თავადებთან ერთად, სავარაუდოდ მისი ახლო ნათესავის კახეთის ყოფილი მთავარსარდლის ომან ჩოლოყაშვილის სამეგობრო – სანდო წრესთან და ამზადებს აჯანყებას [ანტ. ფურცელაძე, გვ. 250]. სააკაძის ვოიაჟებზე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან და მათთან ერთგულების და ფიცის წიგნების შესახებ ისტორიული საბუთები და სიგელ-გუჯარები ღაღადებენ. ასევე აღსანიშნავია, ისიც, რომ სააკაძე ქართლში თავის მოწინააღმდეგე-მოქიშპეებს დაუზავდა და შეურიგდა, რის შესახებაც შესაბამისი ისტორიულ-საარქივო მასალები გვაუწყებენ.

1623–1624 წლებში, როცა შაჰ-აბასი ბაღდადისა და ერაყის დაპყრობითი ომებით არის დაკავებული, მას ფეიქარ ხანისგან ორჯერ მოსდის ცნობა ქართველების მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. ბუნებრივია, არც გიორგი სააკაძის ფარული მზადება და კავშირი გამოეპარებოდათ შაჰის მოთვალთვალე-მოყურადე მსტოვრებს. ამიტომ არის, რომ მძევლად პაატა სააკაძეს იტოვებს „მრისხანე მბრძანებელი“ ირანისა. გამოცდილი „ირანის

ლომი“ მიხვდა, რომ ქართველთა აჯანყება საფრთხეს შეუქმნიდა ირანის ბატონობას საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაშიც. ამიტომ შაჰმა დაუყოვნებლივ შეწყვიტა სამხედრო მოქმედებები ერაყში და ისპაჰანში დაბრუნდა [Lucien-Louis Bellan, Chah Abbas I-er : sa vie, son histoire, Paris, 1932 წ. გვ. 270]. აქედან შაჰ-აბასი მაზანდარანში გადავიდა და დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ოსმალეთის სულთანის წინააღმდეგ აჯანყებულ აბაზა ფაშას, რითაც იგი წინასწარ ღონისძიებებს ღებულობს ოსმალეთის შესაძლო შემოტევის აღსაკვეთად ამავე პერიოდში ამაგრებს ახალციხის ციხე-სიმაგრეს და თავდაცვას აძლიერებს [ისქანდერ მუნში, გვ. 119] ანუ შაჰ-აბასი ემზადება „გურჯისტანის საკითხის“ საბოლოოდ მოსაგვარებლად და ყველა წინაპირობა შეამზადა ამ პრობლემის გადასაჭრელად... [„საქართველოს ისტორის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 276-277]. ამ დროს ირანის იმპერია თავისი სახელმწიფოებრივი განვითარების ზენიტში იყო [დ. კაციტაძე, „ირანის ისტორია XIII–XVIII სს“, თბ.2009 წ. გვ. 417-420; ნ. ნაჭყებია, „ირანი“, თბ. 1972 წ. გვ. 6].

მაშასადამე, 1625 წლის დასაწყისში, შაჰ-აბასმა საბოლოოდ გადაწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოს ანუ ქართლ-კახეთის მთლიანად ამოძირკვა და განადგურება: ქართული მოსახლეობის ნაწილის დახოცვა და ნაწილის ირანში დედაბუდიანად გადასახლება, ხოლო ივერთა მიწაზე მომთაბარე, ნახევრად ველური თურქმანულ-ირანული ტომების მასობრივად ჩამოსახლება. ქართლ-კახეთის სამეფოთა ერთიანად განადგურებით, შაჰის ირანს შეექმნებოდა მტკიცე საფუძველი მომავალში მთლიანად ამიერკავკასიაში გაბატონებისა და გაუჩნდებოდა პლაცდარმი ჩრდილოეთ კავკასიაში შეღწევისათვის. ამ საკითხში ირანი ექიშპებოდა ოსმალეთს და რუსეთის სახელმწიფოს. ეს უკანასკნელი კი, არ უშვებდა ხელსაყრელ შემთხვევას და სპარსეთს შეახსენებდა, რომ ქართველებმა ივანე მრისხანეს დროიდან რუსეთის ქვეშევრდომად აღიარეს თავი. წინდახედულ შაჰ-აბასს კარგად ესმოდა, რომ თუ დღეს რუსეთის ამბიციები იფარგლება მხოლოდ დიპლომატიური დემარშებით, ვინაიდან მოსკოვს ჯერ არ გააჩნდა შესაძლებლობა ძალის გამოყენებით შეეღწია სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ შეიძლება დამდგარიყო დრო, როდესაც ქრისტიანული რუსეთი ძალას მოიკრებდა და ჯარით ღია აგრესიის გამოყენებასაც არ მოერიდება ამ რეგიონში (რაც მომავალში ასეც მოხდა კიდეც ვ.ო.). რუსთა ჯარის გამოჩენა დაღესტანში და მათი გარკვეული წარმატებანი, ასევე კახეთის მეფეთა სწრაფვა რუსეთისაკენ, რუსეთ-საქართველოს მომავალი მეგობრული ურთიერთობების პერსპექტივებს სახავდა, რაც როგორც ირანს, ისე ოსმალეთს მოსვენებას უკარგავდა. მოსკოვის ასეთი დაინტერესება კავკასიით, თავდაცვითი ინტერესებითაც იყო გამოწვეული და კასპიის სავაჭრო გზის უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი [ნ. ნაკაშიძე „საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის პირველ ნახევარში“, კრებ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, II ტ. თბ. 1973 წ. გვ. 19]. ამრიგად, XVII ს-ის დასაწყისში საქართველოს საკითხში რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში ფაქტიურად მუდმივი ჭიდილი იყო დიპლომატების დონეზე [თ.გ. ტივაძე «Материалы по внешнеполитической истории Грузии первой половины XVII века,” содержащихся в архивном фонде «Сношения России и Персией», „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, II ტ. თბ. 1973 წ. გვ. 29-35], მაგრამ რუსეთმა ვერ შეძლო დიპლომატიური დემარშების გარდა, რაიმე რეალური დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის მუსლიმანური აგრესიის შესაკავებლად.

შაჰ-აბას I-ს კი თავისი დამპყრობლური გეგმები ჰქონდა. მას ნაკლებად აღელვებდა ადამიანების ბედ-იღბალი. ეს ითქმის აბასის როგორც შინაურ, ასევე გარე წრეებთან და ხალხებთან მიმართებაში. ამის ნათელი მაგალითია შაჰის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში ეჭვმიტანილი საკუთარი შვილის – ტახტის მემკვიდრის, დედით ქართველის

(ამილახვრების ქალი – ვ.ო.), სეფი მირზას მოკვლის ბრძანების გაცემა. ამასვე მეტყველებს ასი ათასობით სომხების და აზერბაიჯანელების გადასახლება შიდა ირანში 1605 წ. [დ. კაციტაძე, „ირანის ისტორია III–XVIII სს “, თბ. 2009 წ. გვ. 416-418], კახელების აყრა-მოსპობა შაჰ-აბასის 1614–1618 წლების გამანადგურებელი შემოსევების დროს [„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტ. IV, თბ. 1973 წ. გვ. 262-272], და ამ გადასახლებებისას ათასობით ადამიანის დაღუპვა გზაში შიმშილით, მხეცური მოპყრობით, ავადმყოფობით... ირანელთა მიერ კახეთის ბარაქიან და მადლიან მიწა-წყალზე ვაზის თუ თუთის ხეების აჩეხვამ, ბაღვენახების და მარცვლეულის ყანების გადაწვამ, ვერ დააჩოქა უდრეკი სული ქართველთა, რომელთა ქრისტიანულ სალოცავებში, ეკლესია-მონასტრებში არ წყდებოდა უფლის სადიდებელ-სავედრებელი ლოცვები... XVII საუკუნე დასაწყისიდანვე სწორედ ქრისტეს მოწამეთა სიმრავლით არის გამორჩეული. მრავალრიცხოვან წამებულთაგან საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა თევდორე თავდადებული, წმინდა მოწამე ლუარსაბ II, დიდმოწამე, საქართველოს მნათობი – ქეთევან წამებული, 1616 წლის აღდგომას დავით გარეჯის უდაბნოში მოწყვეტილი 6000 ბერი, ცხრა ძმა ხერხეულიძე დედითა და დითა და მათთან ერთად მარაბდის ველზე გმირულად დაღუპული 9000 ქართველი, რომელთა შორის საეკლესიო ჯარში მებრძოლი ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი, დიდი მოურავის ვაჟი – დავითი (აღაპიტი) სააკაძეც არის... [მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, თბ. 2009 წ. გვ. 929; ვ. ოთარაშვილი „გიორგი სააკაძის ფენომენი...“ ტ. I, გვ. 199-224]

ცეცხლითა და მახვილით შემოსეულ ურჯულოს კახეთი მაინც არ დანებდა, ხალხი არ დამონდა და სიცოცხლემ კვლავ გაიდგა ფესვები სისხლით მორწყულ ქართულ მიწაზე. სიცოცხლესთან ერთად ქართველებში ბრუნდებოდა შურისძიების ამაყი გრძნობა... დიდი მცდელობის მიუხედავად შაჰ-აბასმა ვერ მოსპო გაუტეხელი კახელების მებრძოლი სული. ბრუნდებოდნენ გადაბუგულ და გაძარცვულ თავის სახლ-კარში კახელი გლეხები თუ თავად-აზნაურები... მრავლდებოდა ქართული მოსახლეობა... „ნელ-ნელა“ თავი მოიყარეს თავის სამკვიდრო საცხოვრებლებში აზნაურებმა და ჯარისკაცებმაც, რომელთაგან საშიში იყო არეულობის მოხდენა [ისქანდერ მუნში, გვ. 121]. ხორნაბუჯის ციხის რეზიდენციაში გამაგრებული ფეიქარ-ხანი და კახეთში მყოფი ყიზილბაშები ამის შემხედვარე შიშმა მოიცვა, და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეიქარ-ხანმა ორჯერ აცნობა შაჰს ფაზლი-ხუზანის ხელით [ჰიროტაკე მაედა, „ქართველები სეფიანთა ირანში“, თბ., 2011 წ., გვ.11], წერილი – უსტარით ამის შესახებ... და ზენიტში მყოფი ირანის იმპერიის ხელმწიფემ ერთხელ კიდევ მოინდომა (მისი ვარაუდით ალბათ საბოლოოდ – ვ.ო.) „წესრიგის დამყარება“ საქართველოში და ეს წესრიგი სომხური წარმოშობის სისასტიკით ცნობილ და დაუნდობელ ირანის სპასალარს ყარჩიხა-ხანს უნდა დაემყარებინა გიორგი სააკაძის დახმარებით [ისქანდერ მუნში, გვ. 120-121]. ეჭვგარეშეა,რომ (როგორც ისქანდერ მუნში გვიყვება – ვ.ო.) ვერაგმა და ქართველთა სისხლისმსმელმა შაჰ-აბასმა გაუმჯდავნა ყარჩიხა-ხანსაც და დიდ მოურავსაც თავისი დამპყრობლურ-ტირანული მიზანი „გურჯისტანის“ მიმართ და გარკვეული მკაცრი ინსტრუქციებიც მისცა მოქცეულიყვნენ ისე, „როგორც ძლევამოსილი სახელმწიფოსთვის იქნებოდა სასარგებლო“ [ისქანდერ მუნში, გვ. 121], ანუ აუხსნა მათ, რისთვისაც აგზავნიდა აღმოსავლეთ საქართველოში, ესოდენ დიდ ჯარს. მაგრამ აუხსნა და განუმარტა, რა თქმა უნდა, არა სრულად, ვინაიდან ეჭვიანი შაჰი არავის, მით უმეტეს სახელოვან ქართველ მხედართმთავარს არ ენდობოდა. ეს პიეტრო დელა ვალეს თუ ოსმალო მეისტორიის – მუსტაფა ნაიმას „ცნობებიდანაც“ კარგად ჩანს, რომელიც ზემოთ მოვიყ-

ვანეთ [Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle ...Volume 3.1658, Rome, pp.164-177; მუსტაფა ნაიმა, გვ. 162] შაჰის „საიდუმლო ბარათთან დაკავშირებით. აბასმა სააკაძეს, რა თქმა უნდა, ყველა დეტალი არ გაუმჟღავნა თავისი ვერაგული გეგმისა, მაგრამ ისიც, რაც ითქვა საკმარისი იყო, რომ როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად უდიდესი შესაძლებლობების მქონე დიდ მოურავს სათანადო დასკვნები გამოეტანა და განესაზღვრა თუ რა მოელის ქართლ-კახეთის მოსახლეობას – მის მშობელ ხალხს შაჰის ამ მზაკვრული შემოსევისას. ხაზგასმით კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო შემდეგი: გარდა იმისა, რომ ბრძოლებში გამობრძმედილი გიორგი სააკაძე იყო ჭკვიანი და გამჭრიახი გონებისა, მას ირანის შაჰის უახლოეს გარემოცვაში თავისი ხალხიც ჰყავდა, რაც სავსებით ბუნებრივია ისეთი სახელმწიფო მოღვაწისათვის, მით უმეტეს თუ მას მიზნად დაუსახავს ტანჯული სამშობლოს განთავისუფლება მაჰმადიანი დამპყრობლისაგან და მომავალში ერთიანი საქართველოს აღორძინება და თანაც ფარულად ეწევა საიდუმლო დიპლომატიურ ომს, ისეთ არაორდინალურ და პათოლოგიურად მძვინვარე პიროვნებასთან, როგორიც იყო შაჰ აბასი [გ. ჯამბურია, გვ. 126].

მას შემდეგ რაც ირანელებს საფურცლე–აღაიანთან ქართლ-კახელთა მზაკვრული გაულეტის გეგმა ჩაეფუშათ, ყიზილბაშთა სარდლობა მიხვდა, რომ ამ საქმეში გიორგი სააკაძის ხელი ერია (რასაც არც მალავს ისქანდერ მუნში, გვ. 121). ანტ. ფურცელაძე წერს: „...აქ უცებ, საიდუმლოდ აცნობა სააკაძემ ქართველებს რაც ხდებოდა მათ თავს; ვინც მიჰყავდათ, ვითომც და ყეენის წყალობის მისაღებათ“ [ანტ. ფურცელაძე „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო”,თბ., 1911წ. გვ. 245]. და ეს ამბავი ეტყობა მაშინვე შაჰ-აბასს აცნობეს... შაჰსა და სააკაძეს შორის ფარული ჭიდილი ნელ-ნელა ფარდებს ხსნიდა... თუმცა გიორგი სააკაძეს კვლავ შაჰის ერთგულად მოჰქონდა თავი. როგორც აღვნიშნეთ იგი ისევ ყარჩიხანის ბანაკში იყო. მას თვალყურს ადევნებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდ მოურავსაც ჰყოლია ირანში მსტოვრები, რომელთაც სააკაძეს „ირანის ლომის“ შიკრიკის საქართველოში წამოსვლა აცნობეს. მისი კაცები ამ შიკრიკს ანუ „შათირს“ ყიზილბაშთა ბანაკის მახლობლად ლოჭინის მიდამოებში დარაჯობდნენ, რომელთა დახმარებითაც ნადირობის საბაბით სწორედ ლოჭინის ხევში გამოსული გიორგი სააკაძე შეიპყრობს შაჰის ამ შიკრიკს და ხელში ჩაიგდებს აბასის საიდუმლოდ „დაბეჭდილ წიგნს“ ანუ წერილს [„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 278]. გიორგი სააკაძეს, რომ ირანელთა ბანაკის მახლობლად თავისი კაცები ეყენა ეს იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“ 185-ე სტროფიდანაც გამოსჭვივის:

„გავჩხრიკეთ, თავდაბეჭდული წიგნი უპოვეთ უბითა...“

ამ სტრიქონებში სიტყვები: „გავჩხრიკეთ“ და „უპოვეთ“ მრავლობით რიცხვშია ნათქვამი, რაც იმას ნიშნავს,რომ შათირის პოვნისას სააკაძე მარტო არ უნდა ყოფილიყო... ბატონი ანტონ ფურცელაძეც თვლის, რომ სააკაძე მარტო არ იყო შაჰის შიკრიკის შეპყრობისას: „... ფრთხილმა თვალმა სააკაძისამ შენიშნა შორს ვიღაცა უცხო კაცი, რომელიც საშინელი სისწრაფით მოეშურებოდა მარტყოფისაკენ. სააკაძეს გულმა უგრძნო, თუ ელოდა რასმე საშიშს სპარსეთიდან, გაუელვა თავში შეეპყრო ის კაცი. იმან მიაგება კაცები, რომ მოეყვანათ ის უცხო კაცი. ამ კაცმა იცნო სააკაძე, და არ წამოვიდა და უდიდესი სისწრაფით გასწია, რომ ან შეჰფარებოდა რასმე ან შეესწრო სპარსთა ჯარებში. სააკაძე გამოუდგა თვითონ თავისი ამალით და შეიპყრა ის კაცი. ის იყო შიკრიკი შაჰისა. იმას ძალით ამოართვეს უბიდამ ბრძანება შაჰისა, სადაც ეწერა მოკვლა სააკაძისა, მოსპობა კახეთისა და აყრა ქართლისა“ [ანტ. ფურცელაძე, გვ. 251-252.] ანტ. ფურცელაძე აქვე კომენტარს აკეთებს, რომ ირანელი მეისტორიე თვლისო, თითქოს ეს ამბავი გიორგი სააკაძემ მოიგონაო, რომ უფრო აეღელვებინა ქართველებიო

[ანტ. ფურცელაძე, იქვე]. მაგრამ აღნიშნული ისტორიული პასაჟი იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანშიც“ არის სამ სტროფში [სტრ. 184,185,186] გადმოცემული დეტალურად (ზემოთაც აღვნიშნეთ – ვ.ო.). შაჰ-აბასს კი კარგად ჰქონდა დახელოვნებული ე.წ. „ორმაგი სტანდარტებით“ სვლების გაკეთება. ამიტომ ჩემი აზრით შაჰის შათირის (შიკრიკის) შეპყრობის ამბავი რეალურია. როცა აანალიზებ მარტყოფის აჯანყების პერიპეტიებს თვალნათელია, რომ დიდი მოურავის ყოველი ნაბიჯი გათვლილია, დიდი ხნის ნაფიქრია და თითოეული სვლა ერთიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია. გიორგი სააკაძეს ტიტანური შრომა უნდა დაეხარჯა და ძალზე ბევრი გაეკეთებინა, რომ ქართველთა ეს აჯანყება წარმატებით დაგვირგვინებულიყო. პირველ რიგში მას უნდა მოეპოვებინა ნდობა და დახმარება – მხარში დგომა „ძლიერთა ქართლისათა“, რომელიც მან შესძლო განეხორციელებინა 1620-1624 წლებში (შერიგებისა და ფიცის წიგნები ჯავახიშვილებთან, ციციშვილებთან და სხვ.). ცნობილია ასევე, რომ გიორგი სააკაძემ მარტყოფის აჯანყების მზადების და მოწყობის შესახებ წინასწარ აცნობა აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსს – ზაქარაია ჯორჯაძეს (თავად ნოდარ ჯორჯაძის ძმას – ვ.ო.) და ეპისკოპოს პართენ წილკნელს. პლ. იოსელიანი სავარაუდოდ მაკრინე მონაზონის (მარიამ ბაგრატიონის) ჩანაწერებზე დაყრდნობით გვაწვდის ცნობას, რომ „... სპარსელებს არავითარი ეჭვი არ ეპარებოდათ და სრულიად დაენდვნენ მოურავს, რომელმაც სამშობლოს გათავისუფლების განზრახვა ქართლზე სპარსელების ლაშქრობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კათალიკოსსა და წილკნის ეპისკოპოსს პართენს გაანდო... კახელებმა მოურავის განზრახვა მაშინ შეიტყვეს, როცა სპარსელთა რაზმი სოფელ ადაიანისა და მუხრანის (დღევანდელი კასპის და მცხეთის რაიონების საზღვართან – ვ.ო.) სამფლობელოს მიდამოებს ანადგურებდა და აოხრებდა. ამავე დროს მოურავმა თავისი განზრახვა თეიმურაზსაც აცნობა“ [პლ. იოსელიანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება”, თბ., 1973წ. გვ. 38]. ის რომ დიდი მოურავი შაჰ-აბასის ტირანიის წინააღმდეგ აჯანყებაზე ჯერ კიდევ 1620 წელს ფიქრობდა და ემზადებოდა ცნობილი ევროპელი მისიონერის პიეტრო დელა ვალეს ჩვენს მიერ მიკვლეული და გაანალიზებული უნიკალური ჩანაწერები ადასტურებს [პიეტრო დელა ვალე, „მოგზაურობანი – სპარსეთი“, რომი (ძველ იტალიურ ენაზე), 1658 წ. გვ. 164-177; Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle ...Volume 3.1658, Rome, pp.164-177].

ჩვენი ვარაუდით, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს პატრიარქთან – ზაქარია ჯორჯაძესთან განდობა, 1623–24 წლებში მოხდებოდა, რადგან ზაქარია ჯორჯაძე 1623 წლიდან იყო აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქი და თეიმურაზ I-თან უაღრესად დაახლოებული პირი. სწორედ მისმა ძმამ ნოდარ ჯორჯაძემ და ეპისკოპოსმა შერმაზან ჩოლოყაშვილმა გადაარჩინეს გაუპატიურება-უპატიობას სააკაძის დედა თამარ ბარათაშვილი 1615 წელს (რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ – ვ.ო.) ბუნებრივია, თეიმურაზ I-თანაც კონტაქტები კათალიკოსის დახმარებით მოხდებოდა.

როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა გიორგი სააკაძემ ბოლომდე და საფუძვლიანად შესძლო დაერწმუნებინა აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყების აუცილებლობაში და ქართლ-კახეთის და მაშასადამე, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მოსპობისაგან გადარჩენის სხვა გზის არარსებობაში. დიდ მოურავს რომ არ დაერწმუნებინა საქართველო ეკლესიის უმაღლესი იერარქი თავის გადაწყვეტილების ჭეშმარიტებაში და აუცილებლობაში, მაშინ იგი ვერ მიიღებდა უფლის ნებით, ვერც კათალიკოსის ლოცვა-კურთხევას და ვერც ქართული ეკლესიის თანადგომას და დახმარებას. საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაში, კათალიკოს-პატრიარქს – ზაქარია ჯორჯაძეს, მხოლოდ

ქრისტიანობის მტერთაგან აღმოფხვრის საშიში გარდაუვალობის შეგნება დაარწმუნებდა და გიორგი სააკაძემ შესძლო ეკლესიის მამების დარწმუნება. რადგანაც მხოლოდ დიდი მოურავის მიერ შაჰ-აბასის ვერაგული, მაგრამ ლოკალური მიზნების ჩაწვდომა და გაგება ვერ დაარწმუნებდა ეკლესიას და მისი მცდელობა შეფასდებოდა რვილად ქვეყანაში შფოთის ჩამოგდებისა, მით უმეტეს, რომ ყიზილბაშთა ქცევა თუ არ ჩავთვლით საფურცლე-აღაიანის სისხლიან ინციდენტს, საქორწინო მაყრიონით, კარგად შენიღბული, მზაკვრული და ვერაგული გეგმა იყო გარეგნულად. ამას ემატებოდა ისიც, რომ ამ დროს ქართლ-კახეთის სამეფოებში, არც ერთგან ქრისტიანი, კანონიერი, ბაგრატიონი მეფე არ იჯდა და ქვეყნის ყოფნა-არყოფნაზე პასუხისმგებლობას იღებდა ჩვეულებრივი ქართველი თავადი, მართალია გამოჩენილი მხედართმთავარი, მაგრამ არა ე.წ. „ელიტარულ“ დიდებულთა წრიდან... ამდენად, აღმოსავლეთ ქართველოს კათოლიკოსს, მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებები დაარწმუნებდა ქართველთა საერთო-სახალხო აჯანყების აუცილებლობაში ქართველი ერის ხსნისათვის... რადგან, ერთადერთი გამოსავალი სწორედ გიორგი სააკაძის მიერ არჩეული და ორგანიზებული საერთო სახალხო აჯანყება იყო ურჯულოთაგან თავის დასახსნელად. და როგორც ჩანს, გიორგი სააკაძემ წარუდგინა ეკლესიის მაღალ იერარქს ამ გზის უტყუარობის მტკიცებულებები. საყურადღებოა, რომ 1625 წლის გაზაფხულზე, დიდმარხვის პერიოდში გიორგი სააკაძე იქცევა, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი... შესაბამისად კათოლიკოსმა დაუჯერა და ენდო სააკაძეს და უბრძანა ქრისტეს მსახურებს მოამზადონ მორწმუნენი და მოიყვანონ მრევლი საღვთო ომისათვის დამპყრობელ მაჰმადიანთა წინააღმდეგ... აქვე ხაზგასასმელია, რომ გიორგი სააკაძეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარს უჭერდა და ქმედით დახმარებას ჰპირდებოდა კახეთიდან „დაუზარებელი და მხნე დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“ (ანტ. ფურცელაძე), დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია გურიელი და იმერეთ-გურია-სამეგრელო-ოდიშის მეფე-მთავრები, რაც გამოჩნდა კიდეც 1625 წლის 7 აპრილს (25 მარტს ძვ. სტილით) მარტყოფის ულეველას (ულევარის) ველზე, როცა აპარანის წმინდა გიორგის ეკლესიასთან რიბირაბოზე სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხის წინამძღოლები შეიკრიბნენ საბრძოლველად თავიანთი რაზმებით.

ასევე, მხოლოდ სიტყვიერი დაპირებით მოყვარესთან, რომ ზურაბ არაგვის ერისთავს ცოლად დაუსვამს ლუარსაბ II-ის და ლელუ (იგივე თინათინ) ბაგრატიონს, რომელიც ქართლის მეფის წამებით მოკვდინების შემდეგ ფეიქარ-ხანს უფეშქაშა შაჰ-აბასმა [„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 278], ვერ აიყოლიებდა არაგველს, გიორგი სააკაძე, რათა ზურაბს გადაედგა ფრიად სახიფათო ნაბიჯი, რომელსაც შესაძლებელია მოეტანა არა მარტო საარაგვოს საფეოდალოს დაკარგვა, არამედ სიცოცხლესთანაც გამომშვიდობება. განა ხუმრობა საქმე იყო, აუჯანყდე საკუთარი ძალებით „ირანის ლომს“ და მის „ქვეყნიერების დამაქცევარ“ იმ დროისათვის საუკეთესო შეიარაღებულ (მათ შორის ცეცხლსასროლი ინგლისური თოფებით – ვ.ო.) ყიზილბაშთა ჯარს. ზურაბ არაგვის ერისთავი უნდა დარწმუნებულიყო, რომ მხოლოდ ქართველთა აჯანყების გზით შეიძლება საარაგვოს სამფლობელოს და სიცოცხლის შენარჩუნება, რომ ბოროტ შაჰ-აბასს ჩაფიქრებული აქვს, არა მარტო ქართული სოციალურ-ტრადიციული წყობილების შეცვლა, არამედ საერთოდ სურს წაართვას ქართველებს სამშობლო, გაწყვიტოს და აყაროს მამა პაპეული მიწა-წყლიდან ერიც და ბერიც, თავად-აზნაურობაც და გლეხობაც... გიორგი სააკაძემ დაუმტკიცა და აუხსნა ზურაბს ჯერ კიდევ სპარსეთში, რეალური საქმის ვითარება თავისი მთელი ტრაგიზმით, ანუ გაუმხილა თუ რა ვერაგული დავალება მიიღო შაჰ-აბასის ბრძანებით მან და ყარჩიხა ხანმა. იოსებ ტფილელის პოემა „დიდმოურავიანში“, ამ შეუდარებელ ისტორიულ პირ-

ველწყაროში, ეს მომენტიც დეტალურად არის გადმოცემული [სტრ. 179]:

„ ...ეს ვოქვი: ქვეყნისას ეს აოხრებას ბედავსა?!

ზურაბს გავენდევ, ერისთავს, უთხარ: თუ ვერვინ ხედავსა,

ჩემის ხელითა ეკალსა მოგლეჯს, მიძახდენ ბედ ავსა !-

ვირემ დაგვხოცდენ, მე დავჰხოც, ვიტვირთებ სისხლსა ქედავსა!“

და ზურაბ არაგვის ერისთავიც თანხმდება ლომურად მხარში დგომას თავის დის ქმარს და ეს უკვე ქვეყნის ხსნისაკენ მიმავალი სწორი და ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი იყო. ფაქტიურად, ღვთის ნებით ამ ორთა ანუ სიძე-მოყვარის კავშირს ეყრდნობოდა უპირველესად საქართველოს გადარჩენის იდეაც და გეგმაც, რაც ასევე კარგად ჩანს იოსებ ტფილელის (სააკაძის) „დიდმოურავიანის“ სტრიქონებიდან [სტრ.180]:

„... ისიც დამპირდა მოსვლასა, ჩვენ პაემანი დავდევით,

ქვეყანა იმ დღეს დადგინდა, ეს კაი ხიდი გავდევით!“

ამასთან, საკუთარი ცოლის ძმის გარდა, გიორგი სააკაძეს უნდა დაერწმუნებინა ქართლ-კახეთის სხვა თავად-აზნაურებიც და გლეხობაც, საერთო აჯანყების აუცილებლობაში, ირანელი დუშმანების უღლიდან დასახსნელად. ბუნებრივია, ამხელა საქმის სწრაფად ან მყისიერად გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, იმდროინდელ ტექნიკურ საშუალებებს კომუნიკაციისა (ინფორმაციული კავშირის – ვ.ო.) და გადაადგილების (ტრანსპორტირების – ვ.ო.) მხრივ. ისტორიულ-საარქივო დოკუმენტები თუ წერილობითი წყაროები (მემატიანე, ჟამთააღმწერელნი, მისიონერები, დიპლომატები და ა.შ. – ვ.ო.) ღაღადებენ, რომ გიორგი სააკაძე ამ აჯანყებას ფაქტიურად ქართლის მეფის – ლუარსაბ II-ის შაჰისგან მზაკვრულად დატყვევების შემდეგ, 1615 წლიდან ამზადებდა (რასაც ადასტურებს მაკრინე მონაზვნის ჩანაწერები) [პლ. იოსელიანი, გვ. 34; Les fameux voyages de Pietro della Valle, Parts 1-4, Paris,G. Clouzier, 1663წ. გვ. 183-184], ხოლო 1619 წლიდან, რაც იგი სიმონხანის ვექილად და მრჩევლად დაინიშნა [ისქანდერ მუნში, გვ.115], სააკაძე უკვე აქტიურად და გეგმაზომიერად იღწვის სამშობლოს გადარჩენისათვის.ამ მიზნით უზავდება და ურიგდება თავის მტრებს ქართლში, გაენდობა უმაღლეს სასულიერო იერარქებს, უახლოვდება და უმეგობრდება დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს და მეფე-მთავრებს, ხოლო ქართლში აძლიერებს და აიარაღებს „მოკიდებული კაცებისაგან“ [ნ. ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. III, თბ., 1966 წ. გვ. 113-115] შექმნილ ე.წ. ქრისტიანულ „სპეცრაზმს“, პიეტრო დელა ვალე „ქრისტიანულ მილიციას“ რომ უწოდებს (militia Christiana – რომელზედაც ჩვენს მიერ მოძიებულ ისტორიულ დოკუმენტშია საუბარი [Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle ...Volume 3.1658, Roma, გვ. 165], აახლებს კავშირებს კახეთში თავის დაღუპულ ნათესავის სარდალ ქაიხოსრო ომანიშვილი-ჩოლოყაშვილის სამეგობროსთან.

ამგვარად, ასეთი იყო მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებში 1624 წლის ბოლოს, როცა სააკაძე და ზურაბ ერისთავი ისევ ირანში გაიწვიეს.... აქვე აღსანიშნავია, რომ თუ გამოცდილმა და ცბიერმა შაჰ-აბასმა არ იცოდა გიორგი სააკაძის საიდუმლო მოღვაწეობის ყველა ნიუანსი, მას ქართლ-კახეთში შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარება ძალზე კარგად მოეხსენებოდა. რამაც უბიძგა კიდეც ირანის ხელმწიფეს, სასწრაფოდ გადაეჭრა ქართველების საკითხი ანუ დაესრულებინა „გურჯისტანის პრობლემა“. მაგრამ ცბიერი და გამჭრიახი შაჰ-აბასი შეცდა, როცა დიდი მოურავი საქართველოს თავისუფლების ჯალათად დაიგულა [ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, თბ. 1943 წ. გვ. 301]. სისხლისმსმელ შაჰ-აბასს კახეთის აოხრების, ლუარსაბ II-ის ჯერ მზაკვრულად დატყვევების, მერე მისი საბელით მოშთობის (1622 წ.) და „ქართლის მნათობის“ – ქეთევან დედოფლის სადისტური წამების შემდეგ,

შირაზში (1624 წ.) ქართველებს შორის სახელი დიდად ჰქონდა გატეხილი. ირანში, სამეფო კარზე ჩაყვანილ-ჩატყუებული ქართველები – შაჰის მეგობარ-მოლაშქრეებად თავდაწერილი მეომრები ანუ „შაჰისევანები“ ვერ ეღირსნენ დაპირებულ უხვ წყალობებს და ირანის იმპერიის გამუდმებული ომებისას აბასის დამპყრობლურ ზრახვებს უაზროდ და მრავლად ეწირებოდნენ, ხოლო ნაცვლად გამდიდრებისა კი თავისუფლების დაკარგვა, სამშობლოდან გადასახლება, გათათრება-გადაგვარება მიიღეს...

დიდი მოურავი, თავისი გამჭრიახი გონებით, კარგად მიუხვდა ურჯულო დუშმანის ვერაგულ გეგმებს და ცხადლივ დაინახა, რომ ირანის მრისხანე და დაუნდობელი შაჰ-აბასის ინტერესები, საქართველოში, ყველაზე მეტად სწორედ სააკაძის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. შაჰისთვის მისაღები და სასურველი იყო სუსტი, დაშლილი, თავადურ ქიშპობაში ჩავარდნილი და დაქუცმაცებულ-დაქცეული საქართველო. მაშინ, როდესაც დიდი მოურავის მიზანი იყო ერთიანი, ძლიერი, ბაგრატიონთა კვერთხის ქვეშ გაერთიანებული, დავით აღმაშენებლის დროინდელი ქრისტიანული, თავისუფალი საქართველოს დარი ივერია. „შაჰი კი ჩვენი ქვეყნის დამონება-გადაგვარებას ცდილობდა და ამ საქმეში სააკაძის გამოყენებას ლამობდა. დიდი პატივითა და უხვი წყალობით მტერი სააკაძეს სამშობლოს მესაფლავედ გადაქცევას უპირებდა“ [ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, თბ. 1943წ. გვ. 302]. მაგრამ დიდი მოურავის გული მაცხოვრისა და საქართველოს უსაზღვრო სიყვარულით ფეთქავდა მხოლოდ. და ფიქრობდა, როგორ გადაეტეხა ხერხემალში მაჰმადიანური ირანის იმპერია და ბოროტი შაჰის ძლიერება, როგორ დაეხსნა მშობელი ხალხი ურჯულოთ ბატონობისაგან, ტყვეობისაგან, მონობისაგან, მახვილისაგან...

მაშ ასე, დადგა 1625 წელი... ირანის 50 ათასიანი (ზოგიერთი მონაცემებით 70 ათასიანი – ვ.ო.) ჯარი, სპარსეთის მთელი ჯარების მთავარსარდლის ყარჩიხა-ხანის მეთაურობით საქართველოსკენ დაიძრა. ჯარის ნაწილებს როსტომ-ხანის (ხოსრო-მირზა – ვ.ო.) გადმოცემით თორმეტი ხანი და მრავალი ამირა და სულთანი (ხანზე დაბალი ჩინი ირანში – ვ.ო.) ედგა სათავეში [თ. ჟორდანია, „ქრონიკები“, ტ. II, თბ. 2018წ. გვ. 462]. მათ შორის იყვნენ, ასევე შაჰის ერთგული და ბრძოლებში გამოცდილი სომხური წარმოშობის შირვანის ბეგლარ-ბეგი, იუსუფ-ხანი და ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი, მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი [ისქანდერ მუნში, გვ. 120-121; გ. ჯამბურია, გვ. 123]. მათთან ერთად მოდიოდნენ გიორგი სააკაძე და მისი ცოლის ძმა – ზურაბ არაგვის ერისთავი. ოფიციალურად ყიზილბაშები მოაცილებდნენ სიმონ-ხანის (სიმონ II-ის – ვ.ო.) საცოლეს, შაჰ-აბასის შვილიშვილს – ჯაჰან–ბანუმ ბეგუმს. სააკაძეს კი ევალებოდა ყორჩიხა-ხანის მოქმედებების კონტროლი, მეგზურობა და კორექტირება. როგორც აღვნიშნეთ, ვერაგმა და ფრთხილმა შაჰმა ირანში მძევლებად დაიტოვა გიორგი სააკაძის უსაყვარლესი ვაჟი, 21 წლის პაატა სააკაძე და ზურაბ არაგვის ერისთავის ახლადმოყვანილი მეუღლე [„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, IV, თბ., 1973 წ. გვ. 277].

განჯის გავლით, ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებს მიუახლოვდა, საქართველოში შემოვიდა და დედაქალაქისაკენ გაემართა. თბილისის მოსახლეობა ამხელა „მაყრიონის“ ანუ მრავალათასიანი ჯარის დანახვაზე შეშფოთდა... ნარიყალას ციხის ირანული გარნიზონი კი ქორწილისათვის ემზადებოდა... გიორგი სააკაძე კი ფიქრობდა სიმონ-ხანის და ირანის ჯარების მთავარსარდლის ისა-ხან ყორჩიბაშის ასულ ჯაჰან ბანუს (შაჰ-აბასის შვილიშვილი ქალის ხაზით – ვ.ო.) ქორწინების საზეიმო აჟიოტაჟი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ეს ქორწილი საქორწინო მაყრიონის (ათეულ ათასი ყიზილბაში – ვ.ო.) სვლიდან დაწყებული გარეგნულად დიდი პომპეზური ზარზეიმის იერს ატარებდა, რომლის დასრულებისთანავე ქართლ-კახეთის აყრა-ამოწყვეტის შაჰისეული გეგმა უნდა განხორ-

ციელებულიყო. ამის თაობაზე „პარიზის ქრონიკაში“ ვკითხულობთ: „...ყარჩიხა ხან სარდალი იყო, და ყაენმან თავისის ქალის ზუბედა ბეგუმის ნაშობი ისახან ბეგინ შექმნილი ჯაჰან ბანუმ ბეგუმ ქართლის დედოფლათ გამოგზავნეს და ბატონს სვიმონს ცოლათ მისცეს, ყარჩიხა-ხან და სხვა ათი თორმეტი ხანი და ირანის ლაშქარი გამოატანა... ქალაქს მოვიდნენ, რომელსაც ეწოდება ტფილისი, და ქორწილი უყვეს, იყო მღერა, ნადიმი და მეჯლისი, ბურთაობა, ყაბახის სროლა. რა ქორწილება გადაიხადეს, ბრძანება იყო: ყეენისა, რომე კახი კაცი გაეწყვიტა და კახეთში ყიზილბაშნი დაესახლებინა [„პარიზის ქრონიკა“ ანუ ცხოვრება საქართველოჲსა და დიდი მოურავის ამბები გადმობეჭდილი უკლებლივ 1829 წ. პარიზში აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ გამოცემულის დედნიდან. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისგან, სტამბა არ. ქუთათელაძის ნიკ. ქუჩა, 21, ტფ. 1913 წ. გვ. 47-48]. სვიმონ-ხანის (სვიმონ II) და ჯაჰან ბანუს ქორწინება რომ ნამდვილად 1625 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, ამას სხვადასხვა კვლევები ადასტურებენ [ო. ჟიჟილაშვილი, „ქართლის მეფე სვიმონ II“, თბ. 2017წ., გვ. 41-44]. მე დავსძენ მხოლოდ, რომ რადგანაც ყიზილბაშთა „საქორწინო მაყრიონს“ გიორგი სააკაძეც მოყვებოდა, „მექორწინეთა“ ანუ ფაქტიურად დამპყრობელთა ჯარის შემოსვლაც 1625 წელს მოხდებოდა საქართველოში. რადგანაც უფრო ადრე, ირანის ჯარებიც და გიორგი სააკაძეც, 1622–1624 წლებში დელი, ყანდაღარი, ბაღდადის ბრძოლებით იყვნენ დაკავებულნი...

დავუბრუნდეთ ისევ სვიმონ-ხანის და ჯაჰან ბანუს ქორწინების აჟიოტაჟს... დიდმა მოურავმა გაითვალისწინა, რომ ამ ქორწილში აუცილებლად დაპატიჟებდნენ ქართლის თავადებს და ისინი, სურდათ მათ ეს თუ არა, მიიღებდნენ მიწვევას და გამოცხადდებოდნენ თბილისში, თანაც რაც შეიძლება მეტი პომპეზურობით, თავისი აზნაურების თანხლებით. სწორედ ამ შეკრებით უნდა ესარგებლა გიორგი სააკაძეს და შთაეგონებინა თავადობისათვის, რომ აჯანყების საკითხი გადაწყვეტილია, აჯანყებისათვის ყველაფერი მზად არის, დარჩა დასაზუსტებელი მხოლოდ აჯანყების დაწყების თარიღი და მოქმედების წესი... თავადები დილემის წინაშე დგანან – ან მიიღონ მონაწილეობა საერთო-სახალხო აჯანყებაში, გაიმარჯვონ და გადაარჩინონ ქვეყანაც და თავისი ოჯახიც ან იუარონ და ყველაფერი, მათ შორის სიცოცხლეც, დაჰკარგონ...

აქ არ შეიძლება „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეთა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ტენდენციურ და უარყოფით დამოკიდებულებაზე არ შევჩერდეთ, რაც გამაღიზიანებლად თვალში საცემია და სიმართლესთან არაფერი აქვს საერთო. კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ორივე მეისტორიის გარდა, სამწუხაროდ ჩვენდა, ყველამ იცის (ისქანდერ მუნში,პიეტრო დელა ვალე,მუსტაფა ნაიმა და სხვ.) რომ გიორგი სააკაძემ შაჰ-აბასს უღალატა, ფარულად ისევ ქრისტეს რჯულის მატარებელი იყო, ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდა, საქართველოს სხვადასხვა მხარეთა კონსოლიდაციისთვის იღვწოდა და ა.შ. მხოლოდ ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი (განსაკუთრებით ეს უკანასკნელი – ვ.ო.) ცდილობენ – რომ შაჰ-აბასის სისხლიანი შემოსევები და მძვინვარება ქართველთა მიმართ სააკაძეს დააბრალონ. ასევე დიდ მოურავს დააბრალონ ბაგრატიონ მეფეთა (ლუარსაბ II, თეიმურაზ I) არასწორი ნაბიჯები თუ პოლიტიკურად გაუმართლებელი გადაცდომები, არაზუსტი საომარი ქმედებები და ა.შ. აღნიშნულ შემთხვევაში (და არა ყველგან – ვ.ო.) ქართველ მემატიანეთა ასეთი მიდგომა ,ართულებს გზას წყაროს ფაქტიდან ისტორიულ ფაქტამდე, ამიტომაც სწორი კვლევის და ფსიქოანალიზის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოურ წყაროებთან ერთად ობიექტური სიმართლის დადგენისათვის. დავიწყოთ ბერი ეგნატაშვილიდან, რომელიც სწორედ 1625 წლის მოვლენებს ეხება: „... და აემზადა მოურავი და წარმოვიდა და გამოატანეს მეფე სვიმონ პატარა თანა და მოვიდენ ქართლსა ლაშ-

ქრითა მრავლითა და იღუწოდა მოურავი საქმესა მას, რომელი ჰქონდა დაწყებული ყაენისაგან. და ოდეს გამოგზავნა მეფე სვიმონ ყაენმან, მაშინ მისცა ყაენმან ასული ყარჩიბაშისა ცოლად და წარმოატანა თანა. და იყო ქალი ყორჩიბაშისა, შვილისშვილი ყაენისა, სახელით ჯან ბანუმ. და ოდეს მოვიდეს საქართველოშია, და შემოეყარნენ ქართველნი, და რა ნახეს ქართველთა ჯარისა სიმრავლე, მაშინ იფიქრეს და თქუეს: „ესე საქმე მიზეზი რამე არის ამდენის ურიცხვ ჯარისა გამოგზავნა“. ხოლო მოურავმან დაუფარა და შეიჯერა ფიცითა დიდითა, ვითარმედ: „ამა ჯარისა სიმრავლე საქართველოსათვის არ არის საზიანო, ნურცა რა ფიქრი გაქუსთ, თქვენი საქმე მე დამადევითო. მაშინ დააჯერეს გული ქართველთა, წარვიდენ და დადგნენ მუხრანს“ [ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ. 1959წ. გვ.405]. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მემატიანე ისე ყვება ამბავს, თითქოს „აემზადა მოურავი და წარმოვიდა... და იღუწოდა მოურავი საქმესა მას, რომელი ჰქონდა უწყებული ყაენისაგან...“ ხოლო შემდეგ „ამდენის ურიცხვ ჯარის მხილველ ქართველებს „მოურავმან დაუფარა და შეიჯერა ფიცითა დიდითა...“, რომ „ამა ჯარის სიმრავლე საქართველოსთვის არ არის საზიანო“, ანუ ბერი ეგნატაშვილი ისე გვიხატავს ყიზილბაშთა ურიცხვი ლაშქრის საქართველოში შემოსვლას, თითქოს ამ პროცესს გიორგი სააკაძე ამზადებს, თითქოს სულ დიდ მოურავზეა დამოკიდებული შაჰ-აბასი საქართველოს შემოესევა თუ არა. არადა უცხოურ წყაროთა კვალდაკვალ „დიდი პოლიტიკა“ წყვეტს და გარემო სიტუაცია აღმოსავლეთ საქართველოში ირანელთა შემოჭრას. ამის თაობაზე ჩვენ დეტალურად გადმოვეცით ისტორიული რეალობა სხვადასხვა კვლევებში, ბერ ეგნატაშვილს კი, დიდი მოურავი, რომელიც სინამდვილეში აჯანყებას ამზადებს, ირანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, ქვეყნის მოღალატედ გამოჰყავს, რომელიც ატყუებს ქართველებს ირანელთა ჯარის სიმრავლესთან დაკავშირებით და საკუთარ მოძმეებს წირავს... ქართველი მემატიანე არა, მაგრამ ირანის შაჰის სამეფო კარის უპირველესი მეისტორიე, ისქანდერ მუნში, გვეუბნება სიმართლეს და გიორგი სააკაძეს შაჰ-აბასის მოღალატეს „გზადაკარგულ ბედოვლათს“, „ქართველებში ჯანყისა და ამბოხების გამჩენს“, „შფოთის ამტეხს“, „ბედუკუღმართ მოურავს“, „დაკარგულ მოურავ ქართველს “, „ბედკრულ უმადურს“, შაჰის წინააღმდეგე „შფოთისა და ჯანყის მოთავეს“ და ა.შ. უწოდებს, რომელსაც „ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე“ და „ხსენებულმა მოურავმა თვისი ფარული ბოროტება გამოაჩინა, იმის გამო, რომ მათი (ქართველების – ვ.ო.) ერთმორწმუნე იყო“ და რომლის მოწყობილმა „აჯანყებამ და ამბოხებამ... დიდი ზარალი და ვნება მიაყენა“ შაჰ-აბასის, ირანის სახელმწიფოს...“ [„ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1969 წ. გვ. 120-126]. და ეს ყოველივე იმ მოვლენებს ეხება, რასაც ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე გადმოგვცემს.

ახლა დავსვათ კითხვა: ვის დავუჯეროთ ბერ ეგნატაშვილს თუ ირანელ ისქანდერ მუნშს? ქართველ მემატიანეს სამშობლოს მოღალატედ გამოჰყავს დიდი მოურავი, ხოლო ირანელ მეისტორიეს ქართველთა მხსნელად, შაჰ-აბასის უპირველეს მტრად და ირანელთა მოღალატედ? ვის დავუჯეროთ?

პასუხი ვფიქრობთ ცალსახაა: ირანელ ისქანდერ მუნშს, რომელიც გიორგი სააკაძის მოღვაწეობისას ცხოვრობდა, არის შაჰ-აბასის კარის მეისტორიე, რომელიც თანამონაწილე იყო ირანელთა ლაშქრობებისა არა მარტო საქართველოში და თავისი თვალით აქვს ნანახი ყოველივე და თავისი ყურით მოსმენილი შაჰის თუ სხვა ირანელ მხედართმთავართა ბრძანებები. ბერი ენგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ კი გიორგი სააკაძის ტრაგიკული აღსასრულიდან ერთი საუკუნის შემდეგ შეიქმნა ვახტანგ VI-ის ბრძანებით შედგენილ ე.წ. „სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ XVIII ს-ის ოციან წლებში. ვახუშტისეული „ქართლის ცხოვრება“ კიდევ უფრო დაშორებულია სააკაძის ეპოქას. ამიტომ ისტო-

რიულ წყაროთა საიმედოობის კრიტერიუმად ვთვლით მის თანადროულობას იმ ეპოქასთან და მოღვაწესთან, რომელთა დროსაც კონკრეტული ჟამთააღმწერელი თუ მეისტორიე ცხოვრობდა. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ მართალია ქალბატონი რიმა ფირცხალაიშვილიც და ბატონი ჯანსუღ ღვინჯილიაც, როცა აღნიშნავენ ქართველ მემატიანეთა ტენდენციურობას და მთავარს, რომ მათ ხელთ არ ჰქონდათ არც მარიამ-მაკრინესეული უნიკალური თხზულება სააკაძის ხელნაწერებისა და არც უცხოური (ირანულ-თურქულ-ევროპული) წყაროები და „სააკაძის მტრების მიერ გავრცელებული აზრი ბატონობდა“ [ჯ. ღვინჯილია, „გიორგი სააკაძის პიროვნება“, თბ. 1989წ. გვ. 252-253], ხოლო ქალბატონი რიმა ფირცხალაიშვილი ქართველთა ტანჯული რაინდის – დიდი მოურავის წინააღმდეგ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ და ეროვნული გმირის შეურაცხმყოფელ ცილისწამებას უწოდებს „ბრძოლას გიორგი სააკაძის წინააღმდეგ XX საუკუნის დასასრულს“ [რ. ფირცხალაიშვილი გაზეთი „კალმასობა“, 1998 წ. №3, №5, №8, №9]. აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, პიეტრო დელა ვალეს 1621 წლით დათარიღებულ უნიკალურ და სენსაციურ ინფორმაციას გიორგი სააკაძის შესახებ (და არა ალ. ჭყონიასეულ თარგმანს – ვ.ო.) და კარმელიტი მამების ჩანაწერებს, რომელთა შესახებაც ფართო საზოგადოებისათვის უცნობი და საოცარი მასალები ჩვენს სხვადასხვა ნაშრომებშია წარმოდგენილი.

დაუბრუნდეთ ისევ „ახალი ქართლის ცხოვრების“ აბსურდულ ბრალდებებს დიდი მოურავის მიმართ. ბერი ეგნატაშვილის მონათხრობი გიორგი სააკაძისადმი უსამართლო ბრალდებებს აგრძელებს: „... გაგზავნეს კაცნი და იხმეს კახნი. და შემოეყარნენ კახნი ღართისკარზედა. ქმნა მოურავმან ბოროტი დიდი: გამოავლო ყარჩიხან თეჯირი კარავსა თვისსა და დაჰპატიჟა, ვითარმედ: „მოვიდნენ კახნი და ხალათებს მივსცემო“. და მიადგნენ კარსა კახნი, შეიყვანდნენ კახთა და მოსჭრიდნენ თავსა... მრავალთა მოსვრისა შემდგომად სცნეს კახთა საქმე ესე და გაიკრეს ხრმალს ხელი... თათარნი კი დაერიდნენ და გამოექცენ კახნი და მცირედნი განერნენ“ [ბერი ეგნატაშვილი, „ახ. ქართლის ცხოვრება“, გვ.405]. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ამ ამონარიდიდან ისე ჩანს, თითქოს დიდი მოურავი ეპატიჟება ღართისკარის სასაკლაოზე კახელებს და ქართველებს ახოცინებს ურჯულო „თათრებს“,რაც ასევე არ შეეფერება სიმართლეს. რადგან თვითონ ძველი თუ ახალი თაობის ირანელი მეისტორიენი აცხადებენ, რომ ყიზილბაშთა ეს ვერაგული განზრახვა ვიღაცამ გასცა, ხოლო ისქანდერ მუნში პირდაპირ ხელს ადებს სააკაძეს და წერს: „ეს ამბავი რომ მოხდა (ანუ კახელების მზაკვრული გაჟლეტვა რომ დაიწყო – ვ.ო.), ხსენებულმა მოურავმა თავისი ფარული ბოროტება გამოაჩინა, იმის გამო, რომ მათი (ანუ კახელების – ვ.ო.) ერთმორწმუნე (ანუ ქრისტიანი – ვ.ო.) იყოო“ და გასცაო ყიზილბაშთა შეთქმულებაო [ისქანდერ მუნში, გვ. 122]. გამოჩენილი ქართველი მეცნიერებიც ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია ერთხმად აღნიშნავენ, რომ „...ყიზილბაშებმა განაზრახი ვერ შეასრულეს ... ყიზილბაშებს ვერაგული გეგმა გაუმჟღავნდათ... კახელთა ლაშქრის უმრავლესობამ ხმლით გაიკაფა გზა და კახეთს გაიქცა... შაჰ-აბასის მუხანათობამ ქართლიც შეაშფოთა. ეს მარცხი ყარჩიხანმა და სხვა ყიზილბაშებმა სააკაძეს გადააბრალეს“ [ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, თბ. 1943წ. გვ. 302]. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

ახლა ისევ დავსვათ კითხვა: ვის დავუჯეროთ – ქართველ მემატიანეს, რომელიც კახელთა სისხლის დაღვრას უსამართლოდ აბრალებს დიდ მოურავს თუ ირანელ მეისტორიეს – ისქანდერ მუნშს, თვითმხილველს და თანამონაწილეს ამ ამბებისა, რომელიც „მრავალი სხვადასხვა ბოროტების და სისხლისღვრის მომხდენს“ უწოდებს შაჰის მოღალატეს – „მოურავ ქართველს“, რომლის „მეშვეობითაც იფიქრეს ურჯულო ხალხის“ ანუ

კახელების მოსპობა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, რადგან სწორედ დიდმა მოურავმა, ირანელების „ბევრი სისხლი დაღვარა" და „დამცირების მიწას აურია" და არა ქართველების...

პასუხი ისევ ცალსახაა: სამწუხაროდ, ირანელთათვის და სასიხარულოდ ჩვენდა, ისქანდერ მუნში სიმართლეს გვიყვება და მიუხედავად მისი გაღიზიანებისა, უხეში გამონათქვამებისა დიდი მოურავის „უმადური პიროვნების" მიმართ, იგი ობიექტურობის საზღვრებს არ გადადის, მართლაც სამწუხაროდ ჩვენი მემატიანეებისა: ბერი ეგნატაშვილისა და განსაკუთრებით ვახუშტი ბატონიშვილისა.

„ახალი ქართლის ცხოვრების" კიდევ ერთ აბსურდულ და შეუსაბამო მომენტზე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო, ბერი ეგნატაშვილი წერს: „...ხოლო შემდგომად ამისა იყვნენ ხანსა რასმე მუხრანსა და იყვნენ მზადებაშია, რამეთუ სწადდათ აყრა ქართლისა. ჰქონდა მოურავს ჩვეულება, წარვიდოდა და მოუტევდა ქორსა. დღესა ერთსა კუალად განვიდა ქორის მოსატევად ხევსა ლოჭინისასა და ნახა რომე ერთი შათირი მოდიოდა, და იცნა ყაენის შათირობაზედ. უხმო მოურავმან შათირსა მას მისვლად მის თანა, ხოლო შათირმან არ უსმინა, და ვინაითგან არა მორჩილ ექმნა შათირი იგი, მიეწია ცხენითა და შეიპყრა, იძულებით გაჩხრიკა და უნახა წიგნი. წაიკითხა და ესრეთ ეწერა ყარჩიხა–ხანთან ყაენისაგან, ვითარმედ: „რაჟამს მოსრათ კახნი, აჰყარეთ ქართლი და წამოასხით, ხოლო მოურავს უღალატე, მოსჭერ თავი და გამომიგზავნე".. და რა წარიკითხა მოურავმან ესე, მაშინ შათირი იგი მოკლა... შეწუხდა დიდად და ეძიებდა ღონესა რასმე" [ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება", გვ. 405-406].

ბერი ეგნატაშვილის ამ მონათხრობიდან ისე გამოდის არაპირდაპირ, თითქოს გიორგი სააკაძეა მზადებაში, რათა მშობლიური ქართლის მოსახლეობა აყაროს, ხოლო უმნიშვნელოვანეს ისტორიულ პასაჟთა გამოტოვების შემდეგ უცებ იწყებს მემატიანე, თითქოს მუხრანის ველზე მზადებაში მყოფი სააკაძე უცებ ლოჭინის ხევში აღმოჩნდება მარტყოფთან (ან ყოველ შემთხვევაში დღევანდელი ლილოს მიდამოებსა და სოფ. სააკაძეს მიდამოებში – ვ.ო.) ქორით სანადიროდ გამოსული, რაც ასევე ალოგიკურია, მსუბუქად რომ ვთქვათ, რადგან მუხრანსა და ლოჭინის ხევს შუა მანძილი დაახლოებით 70–80 კილომეტრია, რომლის გავლაც იმ დროს თუნდაც ცხენით უცბად ვერ განხორციელდებოდა.

აქ მთავარია შემდეგი: „ახალი ქართლის ცხოვრებაში" მემატიანე ისე გადმოგვცემს ამბავს, თითქოს ლოჭინის ხევში სააკაძის მიერ შათირის უბეში ნაპოვნი შაჰის ბარათის შინაარსის გაცნობის შემდეგ, გადაწყვიტა აჯანყება დიდმა მოურავმა. ხოლო მანამდე ირანელთა ერთგული იყო და არავითარ აჯანყებას არ ამზადებდა, გულხელდაკრეფილი იჯდა ყარჩიხა-ხანის გვერდით და ქართველების გაწყვეტას ლამობდა, რაც აბსოლუტური სისულელეა და დიდი ქართველი მხედართმთავრის შეურაცხყოფა, შეურაცხყოფაა ყველა იმ ვაჟკაცის, ვინც სააკაძეს მხარში ედგა მამულის მტრისგან გათავისუფლების სარისკო საქმეში. თვითონ ირანელი მეისტორიე კი იმ ამბების მონაწილე და თვითმხილველი, ისქანდერ მუნში გვაწვდის ცნობებს გიორგი სააკაძის აჯანყების სამზადისთან დაკავშირებით. მაგალითად, როცა აღმოსავლეთ საქართველოში შემოსული ყიზილბაშთა ჯარების დაქსაქსვას ცდილობს დიდი მოურავი: „... იმ დროს, როცა ამირების უმრავლესობა, როგორც მაგალითად, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი მოჰამედ-ყულიხან ზიად ოღლი და ფეიქარ-ხან იგირმი დორთი, მოურავის რჩევის თანახმად საქმეზე დანიშნულნი... სიღნაყებზე იყვნენ წასულნი... მან (სააკაძემ) გადაწყვიტა ამბოხება მოეხდინა" [ისქანდერ მუნში, გვ. 123]. ე.ი. მუნშის მონათხრობში კარგად ჩანს, რომ სააკაძე ცდილობს გაფანტოს სხვადასხვა მხარეს ქართლის სანახებიდან ირანელთა უზარმაზარი ლაშქარი, რათა რიცხვმრავალ მაგრამ დანაწევრებულ მტრის ძალებთან რიცხვმცირე მამაც ქართველებს ბრძოლა გაუადვილდეთ... აქ ხაზგასმით უნდა ითქვას: 1625 წლის 7 აპ-

რილის მარტყოფის მსგავსი აჯანყება, ვერც სამ დღეში და ვერც სამ თვეში ვერ განხორციელდებოდა იმდროინდელი ინფორმაციის და ტრანსპორტის საშუალებათა გათვალისწინებით. გიორგი სააკაძე კი დაახლოებით ათი წელი ამზადებდა ამ აჯანყებას. მისი საბოლოო მიზანი კი იყო ევროპელებთან ერთად ანტიმუსულმანური (ანტიმაჰმადიანური) კოალიციის შექმნა და სრულიად საქართველოს და ევროპის გათავისუფლება ირანულ-ოსმალური აგრესიისაგან, რასაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ ჩვენს მიერ აღმოჩენილი უახლოესი ევროპული წყაროებიც ადასტურებენ [Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle ...Volume 3. 1658, ღომა, გვ. 164-177; es fameux voyages de Pietro della Valle, Parts 1-4, Paris,G. Clouzier, 1663, pp.183-184; Thomas Goltz „Georgia Diary", Rout¬ledge, London - New York, 2015,pp.23-24; Erik R. Scott „Familiar Strangers", Oxford University Press, 2016, pp.77–78 და სხვ.]. აღსანიშნავია, რომ ბერი ეგნატაშვილიც და ვახუშტიც ერთ-ერთ ისტორიულ პირველწყაროდ იყენებენ მიტროპოლიტ იოსებ ტფილელის „დიდ-მოურავიანს" XVII ს-ის პირველი მესამედის მოვლენათა გადმოცემისას [ს. ცაიშვილი, „ლიტერატურული წერილები", თბ. 1965 წ. გვ. 193-194; ვ. ოთარაშვილი, „მიტროპოლიტ იოსებ ტფილელის ცხოვრება და მოღვაწეობა", თბ. 2019წ. გვ. 171-181], მაგრამ სამწუხაროდ, „ახალი ქართლის ცხოვრების" მემატიანე არაფერს ლაპარაკობს დიდი მოურავის გადაწყვეტილებაზე ჯერ კიდევ სპარსეთში, უსაყვარლესი შვილის – პაატას მძევლად შეგნებულად დატოვებაზე, რომელსაც უდიდესი ტრაგიზმით გადმოსცემს იოსებ ტფილელი [სტრ. 181]: „ქართლისათვის რა ძე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი, ჩემთვის ვარდი მაისისა, აღარვინ ჰყავს მას იქ მშველი" და ა.შ. ასევე ქართველი მემატიანენი არაფერს ამბობენ სპარსეთიდან წამოსული დიდი მოურავის გზაში ზურაბ ერისთავთან განდობის შესახებ და არსად არ აღნიშნავენ მათ საუბარს აჯანყების თაობაზე.

სამწუხაროა და გასაოცარი, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება" მხოლოდ ხუთსიტყვიანი წინადადებით გადმოგვცემს გიორგი სააკაძის შვილის – პაატას სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირვის მისტერიას: „...მოურავმან შვილი თვისი პაატა დასთმო" [ბერი ეგნატაშვილი, გვ. 406] და არც ერთი სიტყვა მეტი, არც ერთი თბილი წინადადება ან სამძიმარი 21 წლის თავდადებული ქართველი ვაჟკაცის მრისხანე შაჰისაგან თავის მოკვეთის გამო, არავითარი მწუხარებით წარმოთქმული თუნდაც უბრალო ფრაზა... ისევ ირანელ მეისტორიეს – ისქანდერ მუნშს დავუბრუნდეთ, რომელიც გაკვირვებული აღწერს სააკაძის გმირულ ქმედებას (რა თქმა უნდა ჩვენთვის – ვ.ო.), განცვიფრებული წერს: ირანელებმა „იცოდნენ, რომ ერთი მისი ვაჟი (პაატა – ვ.ო.) სახლობით და ნათესავებით იმ ვილაიეთში (ე.ი. ირანში) იყო... და პატივით ეპყრობოდნენ... ამიტომ ვერ წარმოედგინათ სრულებით", რომ დიდ მოურავს შეეძლო სპარსელთათვის და შაჰისთვის ეღალატა. ისქანდერ მუნში ხაზგასმით გადმოგვცემს, რომ გიორგი სააკაძის ვაჟი პაატა მარტო კი არ იყო შაჰის კარზე მძევლად, არამედ „სახლობით და ნათესავებით". ე.ი. გიორგი სააკაძემ, როგორც მაცხოვრის რჯულის მტკიცე მიმდევარმა (როგორც პიეტრო დელა ვალე და კარმელიტი მამები აღნიშნავენ – ვ.ო.) საქართველოსთვის შვილიც და ახლობელ-ნათესავებიც გაწირა, რათა გადარჩენილიყო ღვთივკურთხეული და ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის ერი... მეტს აღარ ვაგრძელებთ „ქართლის ცხოვრების" რედაქციათა კრიტიკულ ანალიზს... უფალმა განსაჯოს. უბრალოდ, მკითხველმა უნდა დაინახოს ის შეუსაბამობები და ტენდენციური უარყოფითი დამოკიდებულება გიორგი სააკაძის ბუმბერაზი და ტრაგიკული პიროვნებისადმი, რაც ჩრდილს აყენებს თვითონ საქართველოს ისტორიას და ეროვნულ გმირს, როგორც ჩვენს, ისე უცხოთა თვალში. მით უმეტეს, ახალ ისტორიულ დოკუმენტთა და წყაროთა აღმოჩენა-მიკვლევის და ანალიზის ფონზე... აღარაფერს

ვამბობთ ვახუშტი ბატონიშვილის ყოვლად უარყოფით და ტენდენციურ დამოკიდებულებაზე დიდი მოურავისადმი,

მის უაზრო ბრალდებებს და ცრუ ამბების მიწერას გიორგი სააკაძეზე, რაც ყველასთვის თვალშისაცემია. მათ შორის უცხოელი მეცნიერების და მკვლევარებისათვის (მაგ. მარი ბროსე და სხვ.).

დავუბრუნდეთ ისევ ჟამთამსვლელობას ანუ სიმონ-ხანის (სიმონ II-ის) და შაჰ აბასის შვილიშვილის ჯაჰანბანუს ქორწინების პერიოდს. სხვათა შორის ეს ქორწინება ქართველ ბაგრატიონისა (მიუხედავად მისი მაჰმადიანობისა) ერთ-ერთი პირველია ისტორიაში არაქართველზე (ირანელზე), თანაც შაჰ-აბასის შვილიშვილზე. ამ დროს ქართლის ბაგრატიონთა შტოდან ორი გამაჰმადიანებული ბაგრატიონია შაჰის კარზე: ხოსრო- მირზა, იგივე როსტომ ხანი და სიმონ ბაგრატისძე. ეს ქორწინება შაჰ-აბასის შორს გამიზნული მზაკვრული ზრახვების ასრულებისკენ იყო მიმართული, კერძოდ, მაჰმადიანი სიმონ-ხანის და შაჰის შვილიშვილის ჯაჰანბანუს მემკვიდრის დაბადება იქნებოდა მომავალში იმის საშუალება, ირანს ქართლის ტახტზე სიმონ-ხანის შემდეგ დაესვა ირანელი დედის ხაზის უფლისწული, თუმცა ნარატიული წყაროებიდან არ ჩანს სიმონ-ხანს და ჯაჰანბანუმს შეეძინათ თუ არა შვილი [ო. ჟიჟილაშვილი, გვ. 44] ამ გზით შაჰ-აბასი იჭრებოდა საქართველოს ბაგრატიონთა შტოში, რაც ვერ მიიღო ქეთევან დედოფალთან ლევირატობის მცდელობით, რაც ერთგან უკვე განვიხილეთ... სააკაძე, როგორც ჩანს, პიეტრო დელა ვალესთან 1620 წლის 20 სექტემბრის შეხვედრიდან ყოველივე ამის საქმის კურსშია და პირდაპირ აცხადებს, რომ ასეთ „შეჯვარებულ გამაჰმადიანებულ ბაგრატიონ პრინცებს“ არ მიიღებსო ქართველი ერი [Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle ...Volume 3.1658, Roma, გვ. 176]. შაჰის ზრახვები კარგად აქვს გაშიფრული ყოველმხრივ დიდ მოურავს და გრძნობს ამ ქორწინების იქით არა მარტო სისხლის კალო, არამედ საქართველოს სამეფო დინასტიის აბასისგან დაგეგმილი გადაგვარებაც რომ იმალება...

ჯერ კი სიმონ-ხანის და ჯაჰანბანუს ქორწილის ცერემონია გრძელდება... და გიორგი სააკაძეს ძალზე სერიოზული თავსატეხი ჰქონდა, რაც მოხერხებულად გადაჭრა კიდეც. კერძოდ, დიდ მოურავს რამე უნდა ეღონა, რომ ყარჩიხა-ხანი დაეყოლიებინა ყიზილბაშთა ერთიანი ჯარის რამდენიმე ნაწილად დაყოფაზე და ეს ნაწილები ირანელთა მთავარი ბანაკისთვის, ანუ ჯარის ბირთვისთვის მოეწყვიტა, რასაც მიაღწია კიდეც სააკაძემ [ისქანდერ მუნში, გვ. 121]. დიდმა მოურავმა შესთავაზა ირანელ სპასალარს „საქორწინო მაყრიონის“ წინ გაეგზავნა მახარობელი – მაუწყებელნი ამ ამბისა, რომლებიც ამცნობდნენ შაჰის მოხელეებს და ქართლის დიდგვაროვან-დარბაისლებს „საქორწინო კორტეჟის“ მოახლოებას. ამით დამშვიდდებოდა ქართლის მოსახლეობა, რომელიც შეშფოთებული იყო ყიზილბაშთა ესოდენ დიდი ჯარის შემოსვლით, რომელსაც „საპატიო მაყრებად“ ირანის ცნობილი ხანები და ამირ-სულთნები მოჰყვებოდნენ „ნაირ-ნაირი ძვირფასი საჩუქრებით და სამკაულებით“ [ისქანდერ მუნში, გვ. 121-122; გ. ჯამბურია, გვ.124]. შიშს კი, შესაძლებელია, ებიძგა ქართლის მცხოვრებთათვის, რომ გახიზნულიყვნენ. მოსახლეობის გახიზვნა შაჰის გეგმებს (და სააკაძისაც! – ვ.ო.) ჩაშლით ემუქრებოდა, რასაც აბასი სხვაგვარად (ცალკეული ჯგუფების დევნა-დატყვევება და ა.შ.) გამოასწორებდა, სააკაძე კი ვერა... ყარჩიხა-ხან სპასალარს დიდი მოურავის რჩევები, როგორც ჩანს, მოეწონა, დიდხანს არ უფიქრია და შესრულება ბრძანა: ქართლის თავად-აზნაურობასთან „მოპატიჟე-მაუწყებლები“ გაგზავნა. ირანელი სპასალარის მიერ გაგზავნილ „მოპატიჟე-მაუწყებლებში“ კი გიორგი სააკაძის ხალხიც ერია, რომელთაც უნდა გადაეცათ ქართველ დიდებულთათვის სიმონ-ხანის ვექილის და მრჩევლის – სააკაძის თხოვნა: აუცილებლად ჩამოსულიყვნენ თბილისში.

ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი თბილისსა და კასპს შუა დაბანაკდა,

დღევანდელი სოფ. მუხრანის მახლობლად აღაიანის ველზე (რომლის ტოპონიმი აღაიანი – აღარ იანი, ანუ გაზაფხულის იებით მოფენილი ველი ერთიანად გადათელეს ყიზილბაშთა ცხენების ფლოქვებმა – ვ.ო.). ირანელი პატარძალი ჯაჰანბანუ კი ხანების, ბეგების, სულთანების, ემირების ანუ „ხსენებულ საპატიო პირთ“ გაამგზავრეს ქართველ დარბაისელთა თანხლებით და ირანელთა ე.წ. „სპეცრაზმის“ გაძლიერებული ოდენობით თბილისისაკენ, სადაც სიმონ-ხანის მსახურებს საზეიმო სამზადისი ჰქონდათ გაჩაღებული და სავარაუდოდ სპარსული მუსიკით ჩვენი დედაქალაქი შაჰ-აბასის შვილიშვილს, ისა-ხან ყორჩიბაშის ასულს – ქართლის მომავალ დედოფალს ელოდებოდა... სააკაძე კი სულ სხვას ფიქრობდა... საქართველოზე ფიქრობდა... პაატაზე ფიქრობდა...უფალს შესთხოვდა სამშობლოს გადარჩენას...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როსტომ-ხანის ანუ ხოსრო-მირზას გადმოცემით, სიმონ II–ის და ჯაჰანბანუს ქორწილი რამდენიმე დღეს გაგრძელდა, „...იყვეს მღერა, ნადიმი და მეჯლისი, ბურთობა და ყაბახის სროლა“ [თ. ჟორდანია, „ქრონიკები“,თბ. 2018 წ. გვ. 462; მცხეთის ნუსხა].

ახლა ვეცადოთ ფსიქოლოგიური ანალიზი გავუკეთოთ მოვლენათა მსვლელობას და ისე მივყვეთ 1625 წლის დასაწყისის ჟამთვითარებას. კერძოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყიზილბაშთა მოწყობილ საქორწინო ცერემონიებს, ზარზეიმებს თუ მუსიკა-თამაშობებს და გართობებს სხვა მიზანიც ჰქონდა, რადგანაც პომპეზური მხიარულება, არა მარტო სიმონ-ხანის და ჯაჰანბანუს ქორწილის აღსანიშნავად იყო მოწყობილი, არამედ ასეთ ხანგრძლივ დროსტარებას და ზეიმმხიარულებას უნდა დაემშვიდებინა დაზაფრული და აღშფოთებული ქართული მოსახლეობა, რომელიც შიშით და ეჭვით უყურებდა ყიზილბაშთა დიდი ჯარის შემოსვლას დედაქალაქში თუ მის შემოგარენში. დამშვიდებულ ქართულ მოსახლეობას კი, მოულოდნელი დარტყმა ელოდა ყიზილბაშთაგან. ყარჩიხა-ხანმა, სიმონ-ხანის ქორწილში (როგორც აღვნიშნეთ დიდი მოურავის რჩევით – ვ.ო.), ვითომდა შაჰის კეთილგანწყობის გამოხატვის ნიშნად, მოიწვია ქართლის ყველა თავადი. ისინი ირანის სპასალარის აზრით უკვე მის ხელში იყვნენ, ხოლო შემდეგ მათ სხვა „კეთილგანწყობა“ ელოდათ. დამთავრდა რამდენიმე დღიანი ქორწილი და ყიზილაბშებიც დავალების შესრულებას შეუდგნენ.

ყარჩიხა-ხანმა, ირანის ჯარების სპასალარმა, იმერეთის ციხეებიდან ოსმალების გარნიზონების ვითომდა განდევნის საბაბით, ლაშქრობა ბრძანა და კახეთის თავად-აზნაურობასაც მოსთხოვა გამოცხადებულიყვნენ თავისი რაზმებით ყიზილბაშთა ბანაკში, რათა მათაც მიეღოთ მონაწილეობა ამ ლაშქრობაში და დაემტკიცებინათ შაჰის ერთგულება [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 278]. ყიზილბაშების ბანაკში გამოცხადდა რამდენიმე ათასი შეიარაღებული კახელი მოლაშქრე. ყარჩიხა-ხანი ირანული ცბიერებით და სინანულით შეხვდა მათ მეთაურებს და განუცხადა, რომ ყიზილბაშთა სარდლობამ იმსჯელა კახელების ლაშქრობაში მონაწილეობის თაობაზე და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კახელებს გაუძნელდებათ თავისი ქრისტიანი თანამოძმეების წინააღმდეგ ბრძოლა, ამიტომ კახელებს უნდა ჩაებარებინათ იარაღი, რომელსაც თვითონ ირანელები გამოიყენებდნენ მტრის წინააღმდეგ ომში, ხოლო კახელებს, როგორც სპარსეთის მეფის ერთგულებს, მიეღოთ შაჰის მიერ გამოგავნილი საჩუქრები და უკან თავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვნენ. სინამდვილეში კი ეს „საჩუქარი“ სიცოცხლესთან გამოსალმება იყო [ისქანდერ მუნში, გვ. 121-122]. შაჰ-აბასის ამ ვერაგული გეგმის შესახებ როსტომ ხანიც გვაუწყებს: „...რა ქორწილობა გარდაიხადეს, ბრძანება იყო ყაენისა, რომე კახ-კაცი გაეწყვიტა და კახეთში ყიზილბაში დაესახლა; და კახეთს პატრონობდა ბარდის ხანი ფეიქარხან. შეიყარა კახი ლაშქარი; მივიდეს მუხრანს აღაიანის მინდორში და ყათლამი უყუეს

ღალატით: ერთობილნი კახნი დახოცეს“ [თ. ჟორდანია, 1648 წ. მცხეთის ნუსხა, „ქრონიკები“, გვ. 462, 2018 წლის გამოცემა].

როგორც ვხედავთ, როსტომ-ხანი კი წერს, რომ ყველა კახელი მოსპესო, მაგრამ სხვა წყაროების (მაგალითად, თურქული – მუსტაფა ნაიმა, გვ. 162) მიხედვით ეს ცნობა გაზვიადებულია და ყარჩიხა-ხანის მცდელობამ, ერთი ხელის მოსმით ამოეჟლიტა კახელთა შეიარაღებული რაზმები, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. სააკაძის მიერ ფარულად გაფრთხილებულმა კახელებმა, ხმალი იძრეს და მტერს ეკვეთნენ... ბრძოლით გაარღვიეს ყიზილბაშთა ალყა და ცხენთა ჭენებით კახეთისკენ გაემართნენ. თან გზადაგზა ქართულ შემხვედრ მოსახლეობაში ირანელთა მზაკრული გეგმის შესახებ გაავრცელეს ეს შემზარავი ამბავი... ყიზილბაშთა მხეცობამ 400-მდე კახელი მაინც იმსხვერპლა [გ. ჯამბურია, გვ. 125]. XX საუკუნის ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი ამ ამბებზე წერს: „...საქართველოს ამბოხების მიზეზი... ის იყო, რომ შაჰ-აბასმა (1624 წლის ბოლოს) ყორჩეყაიხანი (იგივე ყარჩიხა-ხანი – ვ.ო.) ერთ ქართველ დიდებულთან ერთად, რომელსაც მოურავს ეძახდნენ, რომელიც 10 წელზე მეტხანს ირანის სამეფო კარზე იმყოფებოდა და შაჰის ნდობით სარგებლობდა, საქართველოში გაგზავნა, რათა მათ ვითარება შეესწავლათ და იმ ქვეყნის შფოთისთავები გაენადგურებინათ. ყორჩეყაი ხანმა... როცა იგი საქართველოში ჩავიდა, დაახლოებით 10 000 კაცი ამ ქვეყნის დამნაშავე თუ უდანაშაულო დიდებულთაგან და მდაბიოთაგან ვერაგულად გაჟლიტა (დააკვირდით ირანელი მეისტორიის ამ სიტყვებს! – ვ.ო.). ამ მუხანათურმა ხოცვა-ჟლეტამ წააქეზა მოურავი (გიორგი სააკაძე – ვ.ო.) მის მოსაკლავად და სხვა ყიზილბაშ-სარდლების და მეომრების დასახოცად (რისთვისაც დიდი ხანი ემზადებოდა გიორგი სააკაძე – ვ.ო.). შემდეგ მან (გიორგი სააკაძემ – ვ.ო.) ქართლის დიდებულებთან და თავადებთან პირი შეკრა. ერთ დღეს, ირანის სპასალარისა და ამირთამირა იუსუფ-ხანის სახლს დაეცა და ორივე შუბით განგმირა. შემდეგ ქართველებმა იერიში მიიტანეს ირანელთა ბანაკზე და მოკლეს ყარჩეყაიხანის ერთ-ერთი ვაჟი – იმამვერდი-ბეგი, ყიზილბაშთა ლაშქრის ბევრი მეთაური და მეომარი დახოცეს, ხოლო ირანის ჯარს მდინარე მტკვრამდე მისდიეს“ [ნასროლა ფალსაფი, „შაჰ-აბას პირველის ცხოვრება“, თბ. 2003 წ. რედაქტ. დ. კაციტაძე, სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა, წინასიტყ. და შენიშვნები დაურთო ჯ. სტეფნაძემ, გვ. 74].

ირანელი მეისტორიის ამ ამონარიდიდან ისევ დასტურდება გიორგი სააკაძის მიერ, ირანის ჯარის სარდლების ყარჩიხა-ხანის და იუსუფ-ხანის თუ სხვა ამირების შუბით დახოცვის ფაქტი, ასევე ყარჩიხა-ხანის ვაჟის მოკვლის ფაქტი. აქ ჩანს, რომ სწორედ გიორგი სააკაძეა ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ანტიირანული აჯანყებისა და სპარსელთა ჯარის განდევნისა აღმოსავლეთ საქართველოდან. რაც შეეხება მუხანათურად დახოცილი 10000 კახელის რიცხვს, ვფიქრობ გადაჭარბებულია, რადგანაც ასეთ შემთხვევაში კახეთში არც ერთი მეომარი აღარ დარჩებოდა და რაც ფეიხარ-ხანის ინფორმაციას, შაჰისადმი მიწერილ წერილში ეწინააღმდეგება.

როგორც ვთქვით, სპარსელთა სარდლობა ეჭვობდა, რომ კახელების გადარჩენაში ბრალი დიდ მოურავს მიუძღვოდა, მაგრამ მტკიცებულება არ გააჩნდათ და იმით შემოიფარგლნენ, რომ მომხდარის და თავის ეჭვების შესახებ შაჰ-აბასს აცნობეს დაუყოვნებლივ [„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 278].

ახლა კიდევ ერთხელ გავიაროთ მარტყოფის მისტერიული აჯანყების წინა პერიოდი: ყარჩიხა-ხანს აღაიანის ველზე (და საფურცლესთანაც) ხელი მოეცარა, რამაც დიდ მოურავს საშუალება მისცა, ირანის სპასალართან გამართულ თათბირზე ერჩია სპარსელთა მთავარსარდლისათვის ყიზილბაშთა რაზმები დაეგზავნა ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეებში მოსახლეობის შესაძლო დაუმორჩილებლობის, შეიარაღებული ამბოხის მცდელობის და გახიზვნის აღსაკვეთად. სააკაძის ამ რჩევას ისქანდერ

მუნშიც ადასტურებს [ისქანდერ მუნში, გვ. 123]. ირანელმა სპასალარმა, მცირე ყოყმანის შემდეგ, ეს რჩევაც მიზანშეწონილად ჩათვალა. ყარჩიხა-ხანის ყოყმანი, იმით იყო გამოწვეული, რომ ყიზილბაშთა ლაშქრიდან ცალკეული რაზმების გამოყოფით და სხვადასხვა მხარეს გაგზავნით, სუსტდებოდა ჯარის საბრძოლო ძალა და შესაძლებლობები. მაგრამ ყოყმანი, როგორც ჩანს, დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან სააკაძის რჩევაში მან საფრთხე ვერ დაინახა, რამეთუ გიორგი სააკაძე მის ბანაკში იყო, ხოლო მისი შვილი – პაატა, შაჰის სასახლეში მძევლად, თანაც შაჰ-აბასის ბრძანებით საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას ირანის სპასალართან ერთად დიდი მოურავიც ინაწილებდა...

ამრიგად, თათბირის შემდეგ, ირანის ჯარის ნაწილი კახეთში ფეიქარ-ხანთან გაიგზავნა, ცალკეული რაზმები კი ქართლის სხვადასხვა კუთხეებში. ჯარის მთავარმა ბირთვმა კი ბანაკის დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და კახეთის სამეფოს საზღვართან ახლოს – მარტყოფის ულეველას (ულევარის) ველზე გადაინაცვლა. დიდი ალბათობით, გიორგი სააკაძემ გაითვალისწინა, რომ ყარჩიხა ხანს შეეძლო მოეხსენებინა შაჰ-აბასისთვის თავისი ეჭვების შესახებ სააკაძის მიმართ, კახელების გაფრთხილებასთან დაკავშირებით აღაიანის ველზე და ცდილობდა დაეჩქარებინა მოვლენები ანუ მიმდინარეობდა ფარული ჭიდილი გიორგი სააკაძესა და შაჰ აბასს შორის: ვინ ვის დაასწრებდა... ამასთან, დიდი მოურავი სიფრთხილის ზომებსაც მიმართავდა. ამით იყო გამოწვეული მისი ხშირი ნადირობა ლოჭინის ხეობაში [იოსებ ტფილელი, „დიდმოურავიანი“, სტრ. 184-186, თბ. 1939 წ.], რომელზეც გადიოდა ირანიდან ქართლისაკენ მიმავალი გზა. სავარაუდოდ შესაძლებელია, რომ სააკაძემ სპარსეთიდან, თავის მეგობარ-ნათესავებისაგან გაფრთხილება მიიღო დაუნდობელი შაჰის მრისხანე გადაწყვეტილების შესახებ და შიკრიკის გამოჩენას ელოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეთვალყურეებიც ჰყავდა დაყენებული. და აი, ერთ-ერთი ქორით ნადირობისას მან შეამჩნია ლოჭინის მიდამოებში მიმავალი სპარსელი შათირი, შეიპყრო და შაჰის წერილი ხელში ჩაიგდო. ანტონ ფურცელაძე აღნიშნავს, რომ „ისკანდერ მუნში ამ ამბავსაც სთვლის სააკაძის მოგონილ ამბად. ეს განგებ მოიგონა (სააკაძემ), რომ უფრო აეღელვებინა ქართველებიო. მუნში ყოველის ღონითა სცდილობს ამ საქმეში გამოიყვანოს სააკაძე უმიზეზო მოღალატედ შაჰ-აბაზისა“ [ანტ. ფურცელაძე, გვ. 252]. რადგანაც, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ირანელი მეისტორიე განცვიფრებულა თუ რატომ მოაწყო გიორგი სააკაძემ აჯანყება, მას ხომ შაჰის კარზე პატივ-დიდება, ქონება-დაფასება არ აკლდა, თანაც „ერთი ვაჟი“ –პაატა მძევლად იყო ირანში დატოვებული... ვერ წარმოუდგენია ისქანდერ მუნშს თუ დიდ მოურავს მაცხოვრის რჯულის და საქართველოს ასეთი თავდავიწებული სიყვარული შეეძლო, რომ ქრისტესთვის და სამშობლოსთვის ყველაფერი შეეწირა... თავისიც და შვილების სიცოცხლეც... ბუნებრივია, ასეთი გრანდიოზული აჯანყება უცებ არ ხდება და მას სააკაძე დიდი ხანი დაახლოებით 10 წელი ამზადებდა... გადაწყვეტილება ირანული იმპერიის დამხობისა 1615 წლიდან ჰქონდა

(მაკრინე მონაზონის ჩანაწერების თანახმად – ვ.ო.) მიღებული... ანდა შეიძლება უფრო ადრეც...

სამწუხაროდ, ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, მარტყოფის აჯანყება სპონტანურად მოხდა. კერძოდ, გიორგი სააკაძემ ლოჭინის ხევში ნადირობის დროს შემთხვევით (თუმცა ამ ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი ხდება. როგორც ბატონი ოთარ ჭილაძე ბრძანებს: „ამ ქვეყნად რაც კი ხდება შემთხვევით – მარადიული ის არის მხოლოდ...“ – ვ.ო.) დაინახა და შეიპყრო შაჰის შიკრიკი, რომელსაც აღმოაჩნდა შაჰ-აბასის უსტარი – ბრძანება უბეში, ქართლ-კახეთის მოსახლეობის მოსპობა-გადასახლებაზე. დიდი მოურავისთვის თავის მოკვეთაზე ყარჩიხა-ხანის მიერ და მოკვეთილი თავის აბასისათვის

გაგზავნის თაობაზე. ვახუშტის თხრობიდან სამწუხაროდ, შეიძლება მხოლოდ მცდარი დასკვნა გამოვიტანოთ, თითქოს დიდი მოურავი ქართლ-კახეთის მოსპობა-აყრა-გადასახლებას შეურიგდებოდა, მაგრამ თავისი თავი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა და ამიტომ აჯანყება გადაწყვიტა. ხოლო თავისი ეს გადაწყვეტილება ზურაბ ერისთავის დახმარებით მეორე დღეს უთენია სისრულეში მოიყვანა. გთავაზობთ ვახუშტი ბატონიშვილის ამ ტენდენციურ, არასწორ და მცდარ შეხედულებას „ქართლის ცხოვრებიდან“: „... მერმე მოვიდნენ ტფილისს და დაუტევეს მუნ სვიმონ მეფედ და თვით სპითა წარვიდნენ, და დადგნენ მუხრანს. მუნ მოუწოდეს კახთა და უყვეს, რა იგი აღვწერეთ, და მცდელობდნენ აღყრასა ქართლისასაცა. არამედ მოურავმან მონადირემან ლოჭინისა ხევსა შინა იხილა შიკრიკი ერთი მომავალი. შეიპყრა იგი და იხილა წიგნი, რომელსაც შინა ეწერა ყარჩიხანისა თანა შაჰაბასის მიერ: „რათა მოსწყვიდნო კახნი და აჰყარო ქართლად მოკუეთე თავი მოურავსაცა და წარმოგზავნე წინაშე ჩემსა“. განცვიფრებულმან ამისთვის მოურავმან მოჰკლა შიკრიკი და დაფლა მუნავე და მოვიდა ზურაბ ერისთავისა თანა ფარულად. ეზრახა მოწყუედასა ყიზილბაშისასა და აუყრელობასა ქართლისასა, არამედ ზურაბ მიზეზ-ჰყო ცოლი, რომელი ჰყვა ისპაჰანს, და მოურავის ძე პაატა. ხოლო მოურავმან აღუთქვა შერთვა ლელა ბატონიშვილისა დისა ბაგრატისა და მრავლითა ლიქნითა დაიყოლია და ზურაბ დასთმო ცოლი და მოურავმან შვილი და დაასკუნეს ღალატი ყიზილბაშთა“ [ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973 წ. გვ. 429-430]. ვახუშტი ბატონიშვილი ცხოვრობდა 1696–1756 წლებში, ხოლო „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობა 1745 წელს დაასრულა ანუ გიორგი სააკაძის ტრაგიკული აღსასრულიდან 116 წლის შემდეგ. ამიტომ ჩემთვის და საერთოდ ობიექტური შეფასებისთვის, ისტორიული მოვლენებისა თუ პიროვნების მიმართ უპირატესობას ამ მოვლენის და პიროვნების თანადროულ (ანუ იმავე ეპოქაში მოღვაწე – ვ.ო.) მეისტორიეს თუ თვითმხილველს ვანიჭებ. ჩვენს შემთხვევაში ირანელ ისქანდერ მუნშს და ევროპელ პიეტრო დელა ვალეს. სამწუხაროდ, ობიექტურობის თვალსაზრისით ვახუშტი ბატონიშვილი ვერც ერთთან ვერ მოვა. თუ რატომ ამას ქვემოთ ავხსნი, როცა გავაანალიზებ „ქართლის ცხოვრებიდან“ მოყვანილ ამონარიდს. კერძოდ, 1) ვახუშტი მალავს და არ ახსენებს არსად, რომ საფურცლის (ზოგიერთ წყაროში აღაინსის ველზე) არეალში მდგომ კახეთის ჯარს, რომელსაც მუხანათურად სათითაოდ უხოცავდნენ მებრძოლებს, ყიზილბაშთა ვერაგობის შესახებ ცნობას ფარულად გიორგი სააკაძე აწვდის „რადგან მათი ერთმორწმუნე იყო“, რასაც არ მალავს ისქანდერ მუნში [ისქანდერ მუნში, გვ. 122-123]; 2) ვახუშტის მიერ მოტანილ ცნობაში სპარსელთა შიკრიკის მიერ შაჰის „წიგნში“ ახალი არაფერი სწერია (ინფორმაციული ენტროპიის თვალსაზრისით – ვ. ო.), რადგან კახელთა გაწყვეტის და ქართლის მოსახლეობის აყრის თაობაზე, ბრძანება შაჰ-აბასმა ყარჩიხახანს და დიდ მოურავს ირანშივე მისცა ერთდროულად. შაჰის ამ ბარათში სიახლეა ის, რომ შაჰ-აბასი წერს ყარჩიხა ხანს: „მოკვეთე თავი მოურავს და გამომიგზავნეო“. ამის თაობაზე ისქანდერ მუნში აცხადებს, რომ ეს სააკაძემ მოიგონაო და გადმოგვცემს „ამ ქართლელებს მოურავმა ტყუილი სიტყვებით მისი უდიდებულესობის (ე.ი. შაჰის – ვ.ო.) მარგალიტებად დაფრქვეული სიტყვებიდან... ტყუილი სიმართლედ და სისწორედ იცნეს და შემაცდენელი წინადადებებით ერთგულების ფართო ზას გადაახვევინა“ ქართველებს. ვახუშტის ამ ამონარიდში გიორგი სააკაძე ჩანს, როგორც ლაჩარი, რომელიც თავის გადარჩენის მიზნით, შვილის სიცოცხლესაც კი სთმობს ადვილად („...დასთმო... მოურავმან შვილი“– ვახუშტი), თითქოს არაფერი ყოფილიყოს და მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე მაფიქრალმა, უცბად მოახდინა ამხელა აჯანყება: „... მერმე მოკლეს ყარჩიხან მოურავმან და ზურაბ, მოუვლინეს თეიმურაზს, რათა მოვიდეს და დაიპყრას კახეთი. ისმინა (თეიმურაზმა –

ვ.ო.), წარმოვიდა და დაიპყრა კახეთი“ [ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, გვ. 591]... და შენ დაუკა... და ასეთი მცდარი, აბსურდამდე მიყვანილი ალოგიკური თხრობით არის აღწერილი ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობის მარტყოფის ბრძოლის მისტერია, გიორგი სააკაძის უმამაცესი და ზუსტი მხედართმთავრული სვლები, ბედი თავგანწირული და მამის მიერ მაცხოვრის რჯულისა და სამშობლოსათვის შეწირული „სულითა და გულით მართლმადიდებელი ქრისტიანი“ 21 წლის პაატა სააკაძისა [პლ. იოსელიანი, გვ. 63.]. მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ მეისტორიეთა მიერ მიჩქმალულია გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით ქართველთა სამზადისი აჯანყებისათვის, რაზეც, მაგალითად ბატონი ანტონ ფურცელაძე წერს:

„ ...დაუზარებელი და მხნე ასლანიშვილი (იგივე დავით ჯანდიერი – ვ.ო.) ეცა სამზადისს, კახელები დიდი ხანია ელოდნენ ამის დაძახილს“ [ანტ. ფურცელაძე, გვ. 253].

იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანში“, რომელიც ვახუშტის „ქართლის ცხოვრებაზე ადრეა შექმნილი და რომელსაც იყენებს „ქართლის ცხოვრების“ ორივე მემატიანე (ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილიც), ჯერ გადმოცემულია შაჰის ბრძანებით, ყარჩიხა-ხანის სარდლობით, ირანელ ყიზილბაშთა შემოსვლა საქართველოში და დიდი მოურავის მიერ ამბოხების გადაწყვეტა მტრის წინააღმდეგ და ამის თაობაზე განდობა-მოლაპარკება ზურაბ არაგვის ერისთავთან – თავის ცოლის ძმასთან და ამ ორი მამულიშვილის გადაწყვეტილება შვილის და ცოლის დათმობის თაობაზე ქართლ-კახეთის გადასარჩენად. ანუ ლოჭინის ხევში შათირის პოვნამდე, გიორგი სააკაძეს უკვე გადაწყვეტილი აქვს აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ. შათირის უბიდან ძალით ამოღებული წერილი კი უბრალოდ აჩქარებს აჯანყებას, ანუ იმ შურისძიების აღსრულებას, რაზეც პიეტრო დელა ვალესთან ჯერ კიდევ 1620 წლის სექტემბერში შეხვედრისას საუბრობს დიდი მოურავი ანუ „ბატონი მეჰრაბი, როგორც პიეტრო დელა ვალე უწოდებს...“ (ჩვენს მიერ აღმოჩენილ და გაანალიზებულ ამ ისტორიული დოკუმენტების თაობაზე ზემოთ აღვნიშნეთ არაერთგზის) [Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle .Volume 3.,1658, Rome, pp.164-177; Les fameux voyages de Pietro della Valle, Parts 1-4, Paris,G. Clouzier, 1663, pp.182-195; VOYAGES PIETRO DELLA VALLÉ, GENTILHOMME ROMAIN, Dans la Turquie , l'Egypte, la Palestine, la Perse, les Indes Orientales, & autres lieux;Tome cinquiéme;Rouen;chez Robert Machuel; Avec Aprobation & Privilége du Roy;1745;pp.142-161; VIAGGI PIETRO DELLA VALLE IL PELLEGRINO DESCRITTI DA LUI MEDESIMO IN LETTERE FAMILIARI ALL' ERUDITO SUO AMICO MARIO SCHIPANO ,DIVISI IN TRE PARTI:LA TRUCHIA, LA PERSIA E L'INDIA;volume secondo, G. GANCIA, 1843, FOREIGN BOOKSELLER 73, King's Road(London); BRIGHTON,pp.146-157]

კიდევ უფრო ფანტასტიკური და რეალობას დაშორებული დასკვნები გამოაქვს მარტყოფის აჯანყების შესახებ ფარსადან გორგიჯანიძეს. მისი თქმით, „მოურავსა და ზურაბ ერისთავს ბატონის თეიმურაზის მტრობას სწამობდეს... ამისთვის მეფეს სვიმონს თან გამოატანეს და ყორჩიხა ხანსაც უბრძანეს, რომ რაც ქნას იმათ შეეკითხოს.“ შემდეგ ფარსადანი წერს „ყარჩიდა ხან ბატონს თეიმურაზს ზედ წაიყვანეს“. არადა ამ დროს თეიმურაზ I ოსმალეთშია გაქცეული და იქ აფარებს თავს, გონიოს მახლობლად. შემდეგ უცებ აღმოჩნდება, რომ გიორგი სააკაძეს და ზურაბ ერისთავს „გაუწყრა ღმერთი და ჰგმეს ყაენის პურმარილი... იმუხანათეს და ქვეშ-ქვეშ დაუწყეს ბირება (ხალხს – ვ.ო.), ბატონს თეიმურაზს შეჰფიცეს და საფიცარი გამოართვეს“ [ს. კაკაბაძე, „ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“, ტფილისი, 1926 წ. გვ. 25]. აქ უკვე გაუგებარია თუ როგორ მოასწრეს სააკაძემ და ზურაბმა თურქეთში ჩასვლა ან უკან გამობრუნება იმდროინდელი ტრანსპორტის (გადაადგილების ტექნიკური საშუალებების – ვ.ო.) პირობებში, რადგან

„მეორე დღეს ანაზდად“ თავს დაესხნენ ყიზილბაშებს და ამოწყვიტეს და კვლავ „გაუწყრა ღმერთი მოურავს თავისის ხელით შუბი გვერდში გასჩარა და მიწას დასცა (ყარჩიხა ხანი – ვ.ო.) და წაუშინეს და მამაცა და შვილიც (ყარჩიხას შვილი – ვ.ო.) მოკლეს ქართველთა და კახთ ლაშქარნი ურდოში შემოსივნეს“ [ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 25]. რა თქმა უნდა, ყველა ისტორიული წყაროს გათვალისწინება ეპოქის შესასწავლად საჭიროა, მაგრამ სხვა საკითხია, ამ წყაროებით გადმოცემულ ინფორმაციათა საიმედოობა და უტყუარობა ანუ რეალური ჭეშმარიტება, რაც მიწაში გაბნეული ოქროს იმ მარცვლების პოვნის ტოლფასია, რომელიც ნათელს მოჰფენს ისტორიის მტვერწაყრილ მოვლენას. ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიაში“ ბევრი რამ საგულისხმო და მნიშვნელოვანია, ბევრიც ტენდენციურად გადმოცემული ამბავი და ზოგჯერ აბსურდამდე მისული ცნობებია... მაგრამ მივყვეთ ისევ მარტყოფის უმნიშვნელოვანესი აჯანყების გარშემო დატრიალებულ მოვლენებს...

გიორგი სააკაძემ, როგორც ჩანს, ისარგებლა შაჰ აბასის შათირის ხელით მორთმეული „საჩუქრით“ და გადაწყვიტა ირანის ხელმწიფის ბრძანება გაეცნო თბილისში შეკრებილი ქართლის თავადაზნაურობისათვის. თუმცა ვინაიდან თავად, როგორც სიმონ-ხანის ვექილს და ყარჩიხა-ხანის მრჩეველს და ამდენად შაჰის გადაწყვეტილებების აღმსრულებელს, არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო აღნიშნულ შეხვედრაში დიდი რაოდენობით შეკრებილ ქართლის თავად-აზნაურობასთან. თავადების შეკრება სააკაძის მონაწილეობით გამოიწვევდა ახალ ეჭვებს. შესაძლებელია, არასასურველი ზომების მიღებასაც ჰქონოდა ადგილი ყიზილბაშთა სარდლობის მხრიდან, რადგანაც უკვე „მათ თვალყურს ადევნებდნენ“ [„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ.IV, თბ., 1973 წ. გვ. 278]. ამიტომ თავადებთან შეხვედრა და მოთათბირება, სააკაძემ თავის გაზრდილ ცოლისძმას – ზურაბ არაგვის ერისთავს დაავალა. მას უნდა გაეცნო თავადებისთვის შაჰის წერილი ყარჩიხა-ხანისადმი, შეეთანხმებინა მათთან აჯანყების გეგმა და, ქართლის თავადების თანხმობის შემთხვევაში, გაემჟღავნებინა აჯანყების დაწყების თარიღი. როგორც ცნობილია, აჯანყების დაწყების თარიღი დაუკავშირეს სწორედ გიორგი სააკაძის რჩვით, ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს – ხარებას, 7 აპრილს (ძვ.სტ. 25 მარტი), რომელსაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მიუხედავად მტერთა შემოსევებისა ყოველთვის აღნიშნავდა. ამ თარიღის შერჩევა აჯანყების დაწყებისთვის შემთხვევით არ მომხდარა. იმ დროინდელ საქართველოში ჩვენი წინაპრები უფრო ახლოს იყვნენ უფალთან და ხარების დღესასწაულის აღსანიშნავად ღამისთევით უამრავი ხალხი მიდიოდა ეკლესია-მონასტრებში, რომელთაც გამოჩენილი მეცნიერის და მამულიშვილის, სასულიერო მოღვაწის (1897–1958) მიხეილ თარხნიშვილის თქმით „თითქმის ყველას ეს სიტყვები აკერია პირზედ: „ქრისტეს სარწმუნოება რომ მთელს მსოფლიოზე აღმოიფხვრას, ჩვენში მაინც დარჩება ჭეშმარიტი, წმინდა და უმწიკვლო ქრისტიანობა“-ო [მ. თარხნიშვილი, „წერილები“ (ქართული ეკლესიის ისტორია), თბ., 1994 წ. გვ. 219] . ხარება დღეს მარტყოფის და მის ახლო მდებარე ეკლესია-მონასტრებშიც ბევრი ხალხი მივიდოდა სალოცავად, რომელთა სიმრავლეე იმ დღეს არავითარ ეჭვს არ გამოიწვევდა მტრის თვალში. ქართველ მლოცველებს ყიზილბაშთაგან არც არავინ დაუწყებდა ჩხრეკა-შემოწმებას და მათ შეეძლოთ ტანსაცმელში იარაღი დაემალათ... ასეთი ეკლესია კი მარტო სოფ. მარტყოფში და მის შემოგარენში აპარანის წმინდა გიორგის სახელობის გვიანფეოდალური ხანის ეკლესიიდან დაწყებული რვა-ათი იყო, ასევე მარტყოფის (ღვთაების) მამათა მონასტერი, სოფელ ლილო-ნორიოს ეკლესიები და ა.შ. [ს. ყველაშვილი, „მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა“, თბ. 2013 წ. გვ. 290-293]. ამიტომაც ღვთის ნებით და ჩემი ვარაუდით აჯანყება სწორედ ხარება დღეს 7 აპრილს გამთენიისას დაიწყო ეკლესია-მონასტრებიდან წირვა-ლოცვიდან გამო-

სული, უკვე ნაზიარები ქართველი მებრძოლების მონაწილეობით, რაც ღრმადმორწმუნე გიორგის სააკაძის გეგმაში შედიოდა.

გავიხსენოთ, რომ გიორგი სააკაძე ტაშისკარის გადამწყვეტი ბრძოლის წინაც ქართველ მეომრებთან ერთად ლოცულობს და ივერიელთა ლაშქრის ევქარისტიული ერთობის მონაწილეა. მოვიყვანოთ იოსებ ტფილელის „დიდმოურავიდან“ სტრ. 50: „იმ ღამეს მართლმორწმუნენი იყვნეს სულ ღამეთევითა“ ანდა „ვახსენეთ ღმერთი და წმინდა ყოველი, მარიამ დედა-ქალწული და მერმე ძელი ცხოველი“... და ა.შ. მაგრამ აჯანყებულთა ძირითადი და მთავარი ძალა ზურაბ არაგვის ერისთავის და ქართლის თავადების რაზმები (დღევანდელი კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის რაიონები და თბილისის ახლომდებარე სოფლების საგურამო, კოჯორ-წავკის-ტაბახმელა-წყნეთი-ლისი, ნორიო, მარტყოფი, ახალსოფელი უნდა მიახლოებოდნენ ყიზილბაშთა ბანაკს უგრძნობლად და უჩუმრად, ღამით. მზაკვარი შაჰის წერილმა დაარწმუნა ქართლის თავადობა დიდი მოურავის სიმართლეში და შაჰ-აბასის ვერაგულ ზრახვებში და დააჩქარა, თანაც მხოლოდ დააჩქარა აჯანყება და აჯანყებაში მონაწილე ყველა ძალის კონსოლიდაცია გამოიწვია.

დიდი მოურავის გეგმით, თავად გიორგი სააკაძე და მისი უერთგულესი და უშიშარი ოთხი თანამებრძოლი, მათ შორის ერთი მისი ვაჟი – ავთანდილ სააკაძე უნდა დარჩენილიყვნენ მარტყოფის ულევარის (ულეველას) ველზე განლაგებულ ყიზილბაშთა ბანაკში და გარკვეული დროისათვის ნიშანი უნდა მიეცათ მოახლოებულ ქართლის ლაშქრისათვის, რომ აჯანყება დაიწყო. ეს ნიშანი კი, სავარაუდოდ დიდი მოურავის მგრგვინავი ხაფი ხმით შეძახილი იქნებოდა „ჰკა მაგას!...“ და ყიზილბაშთა სარდლობის ამოწყვეტის შედეგად, მტრის ბანაკში ატეხილი ქაოსი, ჩოჩქოლი და არეულობა... ეს ხმა – ძახილი სააკაძისა მოუწოდებდა ქართველებს ურჯულოთა ბანაკის თავგანწირული შტურმისაკენ... ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ სააკაძის ამ ლომურ მგრგვინავ-შეძახილში აჯანყების დაწყებისა, ირანში მძევლად დატყვევებული პაატასადმი გამოსაგლოვი შეძახილიც ერია: გამაგრდი შვილო... უფალს ებარებოდე... რაზეც გაოცებულ-განცვიფრებულები წერენ უცხოელი მეისტორიენი, ხოლო ქართველი მემატიანენი გულქვად ორიოდ სიტყვას ამოღერღავენ: ვახუშტი „...რომელი ჰყვა ისპაანს ... მოურავს ძე პაატა... დასთმო... მოურავმან შვილი...“ [„ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, 1973 წ. გვ. 430]. ანდა ბერი ეგნატაშვილი: „...მოურავმან შვილი მისი პაატა დასთმო“ [„ახალი ქართლის ცხოვრება“, ტ.II, 1959 წ. გვ. 406]... მერე კი...

„გაივლის დრო და...თაობები შეიცვლებიან,
დაილექება დასალექი ოქრო და რკინა...
ა იმ ქედებზე, პაპიჩემის პაპის ძვლებია
და მღვდელ თევდორეს ხავსმოდებულ საყდარში სძინავს...
გადაწინწკლულან ყაყაჩოთი ქართლის ველები,
თურქთა ჯარივით ჩამომდგარა თრიალეთს სიცხე...
ჩაუყვანიათ ნოსტელ ბიჭებს წყალზე ცხენები,
გააგელვებენ მერე რაშებს რკონისკენ ფიცხელ...
ა იმ ქედებზე, პაპიჩემის პაპის ძვლებია...
ქარმა ნისლები საფლავებთან მიაფარფატა...
გაივლის დრო და...ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან,
კაცმა არ იცის, ვინ იქნება მათში პაატა...“

(ეს ლექსი 1980 წელს დავწერე ... მკითხველი მაპატიებს ამ ლირიულ გადახვევას – ვაჟა ოთარაშვილი)...

დავუბრუნდეთ ისევ მარტყოფის მისტერიულ აჯანყებას ქართველებისა... ბატონი გივი ჯამბურიას აზრით, არსებობს მეორე ვარიანტიც, მარტყოფის აჯანყების წინა სამზადისისა. კერძოდ, გიორგი სააკაძეს აღაიანის ველზე მომხდარი ირანელთათვის არასასიამოვნო ინ-

ციდენტის შემდეგ როგორ ჩანს, ქართველებთან, თავისუფალი შეხვედრის და ურთიერთობის შესაძლებლობა უკვე აღარ ჰქონდა და მხოლოდ ყარჩიხა-ხანის ნებართვით ქართლის თავადები თავისთან დაიბარა, თითქოსდა შაჰ-აბასის დანაბარების გასაცნობად და ქართლელების ირანში გადასახლების საქმის მოსაგვარებლად. სწორედ ამ დროს, დიდმა მოურავმა და ზურაბ არაგვის ერისთავმა, მოწვეულ დიდებულებს გააცნეს სააკაძის მიერ შედგენილი აჯანყების გეგმა, რაც ერთხმად იქნა იქ დამსწრე შეთქმულთა მიერ მოწონებული და მიღებული [გ. ჯამბურია, „გიორგი სააკაძე“, თბ. 1964 წ. გვ. 126; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტ.IV, თბ. 1973 წ. გვ. 278-279; პლ. იოსელიანი, „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“, თბ. 1973 წ. გვ. 38-39]. ქართლისა და კახეთის ჯარების ფარული მობილიზება-სამზადისი დაიწყო ყიზილბაშებზე გადამწყვეტი დარტყმისათვის გიორგი სააკაძის გეგმითა და მითითებებით. ქართლში ამ სამზადისს, საიდუმლოდ თვითონ გიორგი სააკაძე და ზურაბ არაგვის ერისთავი ხელმძღვანელობდნენ, ხოლო კახეთში დავით ჯანდიერი (ასლანიშვილი) [გ. ჯამბურია, გვ. 126; ანტ. ფურცელაძე, გვ. 253-254]. აჯანყების ამ სამზადისიდან ქართლელებმა სააკაძის რჩევით შაჰ-აბასის გამაჰმადიანებული ცოლისძმა და ისახან-ყორჩიბაშის სიძე – სამშობლოს მოღალატე, ანდუყაფარ ამილახვარი გამოთიშეს. იგი სოფ. ქვემოჭალის მახლობლად მდებარე სხვილოს ციხიდან ჩამოიტყუა ზურაბ არაგვის ერისთავმა, „საფურცლის ჭალასა შინა შეიპყრა“ და ცოლშვილიანად თერგის ხეობაში მიუვალ არშის ციხეში გამოკეტა“ [გ. ჯამბურია, გვ. 126; ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 430].

სავარაუდოდ, აჯანყების მომზადებას ქართლის დიდებულებთან მოთათბირების შემდეგ, რამდენიმე დღე დასჭირდებოდა. ბატონი ანტ. ფურცელაძე წერს: „...ყოველი საქმე დააწყო სააკაძემ, მისცა ყველას შესაფერი ბრძანება და განკარგულება“ [ანტ. ფურცელაძე, გვ. 254]. ბუნებრივია, იმდროინდელი კომუნიკაციის და ტრანსპორტირების თუ გზების პირობების გათვალისწინებით (ანუ 1625 წლის ადრიან გაზაფხულზე – ვ.ო.), ამ ყველაფერს გარკვეული დრო სჭირდებოდა და რამდენიმე საათში მისი მოგვარება შეუძლებელი იქნებოდა. არადა, ვახუშტი ბატონიშვილის უსაფუძვლო მოსაზრებას თუ დავეყრდნობით, ქართველთა აჯანყება, რომელმაც გაანადგურა მხოლოდ მარტყოფის ულეკარის ველზე განლაგებული 30 000-მდე ყიზილბაშთა ლაშქარი, ჩაფიქრებული და განხორციელებული იყო სულ რაღაც 10-12 საათში, რაც წარმოუდგენელია და რეალობიდან შორსაა. ახლა განვიხილოთ მარტყოფის აჯანყების ქრონომეტრაჟი დაწყებამდე, შემდეგ დაწყება-მიმდინარეობა და დასასრული ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: დღისით, უფრო დილით, დიდმა მოურავმა შათირი ანუ შაჰის შიკრიკი შეიპყრო და ლოჭინის ხევში; საღამოს მოილაპარაკეს ქართლის მესვეურებთან, რომელთაც აუწყეს ყაენის (შაჰ-აბასის) განზრახვა; მაშინვე მოითათბირეს; უთენიას კი დაეცნენ ირანელებს და გაანადგურეს ყიზილბაშთა ჯარის ბირთვი. ამ აბსურდს (დროში მიმდინარეობის თვალსაზრისით – ვ.ო.) გადმოგვცემს ვახუშტი, რათა დაამციროს გიორგი სააკაძის როლი მარტყოფის აჯანყებაში. ამრიგად, გვიყვება ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრებაში“, რომ საღამოს მოილაპარაკეს ქართველებმა, საფურცლის ჭალასთან მოღალატე მაჰმადიანი – ანდუყაფარ ამილახვარი დაიჭირა ზურაბ ერისთავმა და ცოლთან ერთად დააპატიმრა და შორეულ არშის ციხეში წარავლინა, მერე „დილას დაესხნენ ყარჩიხანს ქართველნი ზურაბით. ხოლო ყიზილბაშთა შინა მყოფი მოურავი შეუხდა ყარჩიხანს და მოკლა, და შვილმან მისმან ზურაბ (? – ვ.ო. უნდა იყოს ზურაბის ნაცვლად ავთანდილ ანდა „და“ კავშირი: „შვილმან მისმან და ზურაბ“) შვილი ყარჩიხანისა და მოსწყდნეს ყიზილბაშნი... მასვე სიტყვითა მოურავისათა წარვიდნენ სპანი ქართლისანი ახალციხეს, მეორე ზურაბით კახეთს და მოურავი მიუხდა ტფილისს, აღიღო ქალაქი... კახეთს ივლტოდა ფეიქარ-ხან... მივიდან მუნ

ზარაბისა თანა მოურავიცა და მიჰყვნენ ფეიქარ ხანს ბარდამდე... მოარბიეს განჯა, ყარაბაღი და მოვიდნენ ალაფითა სავსენი ქართლს... დაადგინეს განმგებლად ქართლისად ქაიხოსრო ძე მუხრანის ბატონისა ვახტანგისა. არამედ უწოდეს სახელით ოდენ, გარნა იყო მოურავი მოქმედი ყოვლისა და მორჩილებდეს მას ყოველნი ყმურად. ხოლო ამათ მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს და დაიპყრა მან კახეთი და მოსცა ასული თვისი დარეჯან ზურაბ ერისთავსა სათნოჩენითა მოურავისათა“ [ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, გვ. 430-431]. ვახუშტისეულ „ქართლის ცხოვრების“ ამ ამონარიდში აღარ შემოგთავაზეთ მეისტორიის ფრჩხილებში მოთავსებული გველური დასკვნა: „...გარნა თუმცა არა ეხილვა მოურავსა წიგნი იგი შიკრიკისა, აყრილიმცა იყო ქართლი. გარნა იხსნა ღმერთმან ერი თვისი ესრეთ“ [ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 430]. „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის ეს დასკვნაც, კიდევ ერთი დამამცირებელი ფრაზებია გიორგი სააკაძის მიმართ. თუმცა იქვე ვერ მალავს ისტორიკოსი, რომ უფალმა თავისი ერი, ასეთი სახით და სააკაძის ქმედებით იხსნა განადგურებისაგან, ანუ ღმერთის ნების საგანგებო მისიის შემსრულებელი ამ შემთხვევაში დიდი მოურავი ყოფილა, რადგანაც იმდენად დიდი საშიშროების და „პირისაგან მიწისა“ აღგვის საფრთხის წინაშე იდგა „ერი ესრეთ“, რომ თუ არა ღვთის განგებით მოვლენილი გიორგი სააკაძე ვერ გადაურჩებოდა ყიზილბაშთა მსახვრალ მახვილს და შაჰის უბოროტეს განზრახვის აღსრულებას. მაგრამ, ამ ყველაფერში მაინც, კნინობით ფორმაშია მოხსენებული სააკაძე, ქართლელი მემატიანის მიერ უსაფუძვლოდ. სამაგიეროდ, წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერი, პორტუგალიელი მამა ამბროზიო დუშ ანჟუში, რომელიც ქეთევან დედოფლის წამების თვითმხილველი იყო შირაზში 1624 წლის 22 სექტემბერს, თავის ცნობებში გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით სათაურით „სასჯელი, რომელიც ჩვენმა უფალმა დაადო შაჰ აბასს დედოფლის მოწამებრივი სიკვდილისათვის“ წერს: „...ქეთევან დედოფლის სიკვდილის შემდეგ (რაც შაჰის სურვილისამებრ აღასრულეს) შაჰი მთლად გათავხედდა, მაგრამ სულ მალე ღმერთმა შელახა მისი თავმოყვარეობა და ბოროტი საქმეებისათვის დასაჯა... ღმერთმა აღარ დააყოვნა და უღმერთო შაჰს მისი სისასტიკისათვის დიდი სასჯელი გამოუგზავნა... იმ დროს სპარსეთში იყო ერთი ქართველი, სახელად მოურავ-ბეგი. იგი შაჰის კარზე ყველაზე მნიშვნელოვანი კაცი იყო და მას შაჰი არასდროს იცილებდა. როდესაც შირაზიდან დაბრუნებულმა მსაჯულებმა შაჰს ქეთევან დედოფლის ამბავი მოახსენეს, შაჰი ბოურავ-ბეგს მიუბრუნდა და უთხრა: –დიახ, ის ქალბატონი მოკვდა თავისი რწმენისათვის და არა თქვენო, და სილა გააწნა (სილის გაწვნის ფაქტი არც ერთი ირანული თუ სხვა ევროპული ისტორიული წყაროთი არ დასტურდება, რასაც დღევანდელი ირანელი მეისტორიენიც აღნიშნავენ. პირიქით სააკაძეს ომ დროის უაღრესად პატივდებულ და დიდ გენერლად მოიხსენიებენ იმ დროს – ვ.ო.) [https://fa.wikipedia.org/wiki/رده:امرای نظامی صفویان ; https://fa.wikipedia.org/wiki/گرگی بورگ سالاک اندزه]]...

ქართველს ძალიან ეწყინა ეს სიტყვები და დედოფლის სიკვდილი. მართალია, მოურავ-ბეგი რჯულიდან გადამდგარი იყო, მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა და მანაც გადაწყვიტა შური ეძია“ [რ. გულბენკიანი, „ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ“, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის ჩანაწერები, თბ. 1987, გვ. 45-47]; ხოლო შემდეგ მოდის მარტყოფის აჯანყების მამა ამბროზისეული ვერსია და დასკვნა, რომ „ქართველმა მოურავ-ბეგმა“ მარტყოფში „შაჰის ბანაკს დიდი ჟლეტა და რბევა დაატეხა, დიდძალი განძი იგდეს ხელთ“... „ეს ამბავი შაჰმა ფარაჰაბადში გაიგო (მაზანდარანის იმდროინდელ დედაქალაქში – ვ.ო.), ისე განიცადა რომ რვა დღეს ჩაიკეტა და არავის ჩვენებია... ალბათ უფალმა ინება ქართველების საშუალებით ეხსნა ქრის-

ტიანები ესოდენ ტირანი და ურჯულო შაჰისაგან“ [დასახ. ნაშრ. იქვე]. მაშასადამე, მამა ამბროზიო დუშ ანჟუში თვლის, რომ შაჰ-აბასს, თავისი სისასტიკის და ბოროტი საქმეებისათვის, მოურავბეგის ანუ გიორგი სააკაძის და ქართველების ხელით სჯის უფალი და შველის ქრისტიანებს.

დავუბრუნდეთ ისევ ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს და დავუშვათ, მართლაც ისე მოხდა, რომ დღე სააკაძემ შათირი მოაშთო, საღამოს შაჰის წერილი გააცნეს ქართლის თავად-აზნაურობას და მეორე დღეს დილის რიჟრაჟიდან დაწყებული საღამომდე გააცამტვერეს ყიზილბაშთა არმია. კი ბატონო, დავუშვათ ისტორიოგრაფიული ჰიპოთეზა, რომ ასე მოხდა, მაგრამ აქვე ჩნდება ალტერნატიული ისტორიოგრაფიული ჰიპოთეზა: განა დასაჯერებელია, რომ ყველა თავადმა ერთდროულად დასტოვა თბილისი და თავთავიანთ სათავადოებში გაეშურა რაზმების შესაკრებად? ნუთუ მაშინ ქართლის მესვეურთა ამ მოქმედებამ არავითარი ეჭვი არ დაბადა ყიზილბაშებში? დავუშვათ, რომ არა! აქ ისევ იბადება კიდევ ახალი კითხვა: მოლაშქრე მეომრების მოგროვებას და აღჭურვას ხომ სჭირდება გარკვეული დრო (თანაც არამცირე!)? დაუჯერებელია, რომ თავადებმა საბრძოლო რაზმები, რაღაც ერთ-ორ საათში შეკრიბეს და მარტყოფისკენ წამოიყვანეს. ამ კითხვასაც მოვეშვათ და ჩავთვალოთ,რომ ამისთვის ძალზე მცირე დრო დაიხარჯა (რაც რეალურად წინასწარ მომზადების გარეშე წარმოუდგენელია – ვ.ო.). მაგრამ ხომ არ მოფრინავდნენ მოლაშქრეები, თანაც ძირითადად ფეხოსნები, ქართლის სხვადასხვა კუთხის სათავადო-სადროშოებიდან? აქვე არ შეიძლება ისევ არ გავიხსენოთ ცნობილი მეცნიერის, ბატონი ნოდარ შენგელიასეული რედაქტორობით გამოცემული თურქი მეისტორიის –მუსტაფა ნაიმას ცნობა, რომ „ამჯერად ქართლის მფლობელი მოურავ-ხანი (გიორგი სააკაძე – ვ.ო.), გურიელი, დადიანი, აჩიკბაში და არაგვის ერისთვი გაერთიანდნენ, საქართველოს სხვა ერისთავებთან შეთანხმებულნი, საქართველოს დასაპყრობად მოსულ ყარჩიღა-ხანისა და სრულიად ყიზილბაშთა ლაშქართან საბრძოლველად გამოვიდნენ“ [მუსტაფა ნაიმა, „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, თბ. 1979 წ. გვ. 157-158]. მუსტაფა ნაიმას ეს ცნობა ადასტურებს დიდი მოურავის ხელმძღვანელობით გამართულ მარტყოფის ბრძოლაში საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების მონაწილეობას და ქართული ძალების კონსოლიდაციას მაჰმადიანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში [ნ. შენგელია „XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები“, თბ. 1974 წ. გვ. 72]. მაშასადამე: ფუჭი არ ყოფილა გიორგი სააკაძის ვოიაჟები დასავლეთ საქართველოში, მისდამი გულთბილი დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებისა თუ მაღალი იერარქიის სასულიერო პირებისა, რაც შესაბამისი ისტორიულ საარქივო დოკუმენტებითაც დასტურდება [„ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.)“, წიგნი I, შ. ბურჯანაძის რედაქციით, გვ. 23-24; „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, თბ. 1970 წ. ი. დოლიძის რედაქციით, გვ. 484-485]. გიორგი სააკაძეს, რომ განსაკუთრებული დაფასება და მხარში დგომა ჰქონდა დასავლეთ საქართველოში, ეს იოსებ ტფილელის (სააკაძის) პოემა „დიდმოურავიანის“ სტრიქონებიდანაც ჩანს [სტრ. 243-246]: „... პურადად და გულკეთილად მწვე გასლოდა მას სახელი, დადიანსაც ეს ებრძანა: „მეც ვარ მკვიდრად კაცი ძველი, მიმცემი და მოალერსე, დაჭირვებულ კაცთ მიმშველი“, ანდა „სულ იმერელნი მომაკრფეს მეგობარ-ამხანაგებად“ და ა.შ. ოსმალო მემატიანის ამ ცნობით დასტურდება ისიც, რომ გიორგი სააკაძემ ფაქტიურად დიდგორის ომის მოდელი გაიმეორა მარტყოფის ულევარის ველზე, როცა საომრად სრულიად საქართველო გააერთიანა და გაერთიანებულმა ქართულმა ჯარმა დაამარცხა შაჰ-აბასის უძლიერესი არმია, ანუ როგორც წერს პორტუგალიელი მამა ამბროზიო დუშ ანჟუში (რომლის ნამდვილი გვარია ჟუაუ პინტო – ვ.ო.), შაჰმა

ვერ შეძლო „ბოლო მოედო საქართველოსთვის და შავ ზღვაზე გასულიყო“ [„ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ, ანუ ნამდვილი ცნობები დაწერილი მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის მიერ“, თბ. 1987 წ. გვ. 45].

მაშასადამე, მრისხანე შაჰის გლობალურ მიზნებს შავ ზღვაზე გასვლისა, ხელი შეუშალა ბუმბერაზმა ქართველმა მხედართმთავარმა გიორგი სააკაძემ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენი მემატიანენი მსგავსს არაფერს გადმოგვცემენ სააკაძესთან დაკავშირებით თავიანთი უარყოფითი სუბიექტური განწყობის გამო... ზემოთ მოყვანილი, ფართო საზოგადოებისათვის უცნობი, ან ნაკლებადცნობილი ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდი მოურავი, მისი საოცარი მოქმედებიდან გამომდინარე არ ეკუთვნის იმ ისტორიულ პიროვნებათა რიცხვს, რომელიც ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს, როგორიცაა ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი, მიუდგებოდა მოუფიქრებლად, წინასწარი განსჯის გარეშე და მხოლოდ შაჰ-აბასის შათირის უბიდან ამოცლილ წერილზე დაყრდნობით. თანაც აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ მარტო წერილსაც არავინ დაიჯერებდა და სააკაძის სიტყვით, თავის თავს სასიკვდილო (თუ გადასარჩენ) მარყუჟში არ გაყოფდა. მაშასადამე, მარტყოფის მისტერიულ აჯანყებამდე დიდი მოურავის და მისი უერთგულესი გარემოცვის მიერ ჩატარებული იყო გრანდიოზული სამუშაო, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ქართული ძალების მობილიზებისათვის, რაც უცხოური წყაროებით უფრო დასტურდება (პიეტრო დელა ვალე, ბართლომეო ფერო, არქანჯელო ლამბერტი, კლოდ მალენგრი...) [Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle.Volume 3.,1658, Rome, pp.164-177; Les fameux voyages de Pietro della Valle, Parts 1-4, Paris,G. Clouzier, 1663, pp.182-195; ი. ტაბაღუა „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, ტ. II, თბ., 1986 წ. გვ. 83-89; ილია ტაბაღუა, ტ. III, თბ., 1987 წ. გვ. 67-70].

ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდნენ მარტყოფის აჯანყებას დიდი მოურავის მეთაურობით და არც ერთი ბაგრატიონი მეფის მონაწილეობით! უფრო დეტალურად გავეცნოთ, ფრიად საინტერესო ცნობას კახელების მოსვრისა ყარჩიხა ხანის ბრძანებით. ისქანდერ მუნშის მოწმობით, ირანული ჯარის სპასალარმა და მისმა ამალამ თბილისში მიჰგვარეს სიმონ-ხანს (სიმონ II-ს) მისი საცოლე – შაჰ-აბასის შვილიშვილი (ქალის მხრიდან) და ისახან ყორჩიბაშის ასული ჯაჰან-ბანუმ-ბეგუმი. ქორწილი და პომპეზური ზარ ზეიმი, რომელზეც დაპატიჟებულნი იყვნენ ყიზილბაშთა ხან-ემირები და ქართლის თავადები, რამდენიმე დღე გაგრძელდა, დამთავრდა საქორწინო ზეიმი და ყარჩიხა-ხანმა „გაიხსენა“, რომ „...შაჰის სამარადისო განზრახვამ“ გადაწყვიტა მათი (ანუ კახელების – ვ.ო.) მეორე რაზმის გაწყვეტა იმ ხალხის მდგომარეობის გამოსარკვევად და ჯარის და ქვეშევრდომების გასაწმენდად. ბაში-აჩუკის ქართველებზე საღვთო ომით გალაშქრების საბაბით... და მოურავის მეშვეობით იფიქრეს იმ ურჯულო ხალხის ბოროტების მოსპობა და წინადადება მისცეს მათ რომ რადგანაც ბაში-აჩუკზე (ანუ იმერლებზე – ვ.ო.) გალაშქრება თქვენთვის ძნელია ვინაიდან ერთი ეროვნების და ერთი სარწმუნოებისა ხართ, ამიტომ თქვენი იარაღი ღაზიებს (მუსულმანური ჯარის რწმენისათვის ფანატიკი მებრძოლები, ე.წ. მაჰმადიანური სპეცრაზმი – ვ.ო.) მიეცით და თვითონ კი თავისუფალნი ხართ ბაში-აჩუკში ლაშქრობისაგანო. საჭურველისა და იარაღის ჩამორთმევის შემდეგ, ყველა იმ ურჯულოებს გარს შემოერტყნენ, როგორც ნადირს და თვალის დახამხამებაში მოსპეს ის ხალხი...“ [ისქანდერ მუნში, გვ. 120-122]. ე.ი. შაჰისა და ყიზილბაშების „ლმობიერება“, იმაშიც გამოიხატა, რომ „გასარკვევად კახელების მდგომარეობისა“ გადაწყდა მოესპოთ მოსული რაზმი. ხოლო თუ ხალხი ხმას

არ ამოიღებდა ხომ კარგი, მაშინ დარჩენილ მებრძოლ „ქვეშერდომებს“ გასწმინდავდნენ, თუ ვინმე გადარჩებოდა, კიდევ გამოჩნდებოდა საბაბი მათი გაჟლეტისა. კახეთის მოსახლეობა საბოლოოდ მოისპობოდა შაჰის გეგმით და ქართლის ჯერიც დადგებოდა. ვერავის გავლენიანობა ქართლს ვეღარ გადაარჩენდა და შესაბამისად, მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ელოდა უდიდესი უბედურება ფიზიკური განადგურებისა. ქართველთა გადარჩენა მხოლოდ იარაღის ხელში აღებით შეიძლებოდა. თანაც ორგანიზებულად, ფარულად, სრული კონსპირაციით და პედანტური სამხედრო სიზუსტით და რაც მთავარია, გაერთიანებული ქართული ძალებით. რადგანაც ყარჩიხა-ხანი, წარმოშობით სომეხი, შაჰ-აბასის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი, მკაცრი და გულქვა მხედართმთავარი იყო, რომელსაც ყიზილბაშთა უზარმაზარი, კარგად შეიარაღებული (მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღითაც – ვ.ო.) ჯარი ემორჩილებოდა, რომელთა ოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში 1625 წელს სხვადასხვა მონაცემებით 50–70 ათასს აღწევდა, აქედან მარტყოფის ველზე 30 000-ზე მეტი ყიზილბაშური ლაშქარი იყო განლაგებული.

სამშობლოდან გაძევებული, მაგრამ საქართველოსთვის თავდადებული გიორგი სააკაძის აჯანყების გეგმა, ღვთის შეწევნით, იმდენად გაბედული და სარისკო იყო, რომ მხოლოდ მისი უზუსტესად და ფარულად შესრულებას შეეძლო მოეტანა გადამწყვეტი გამარჯვება მტერზე. ჯვაროსანი ქართველი ერის გენიამ აჯობა ირანელ მრისხანე მაჰმადიან გენიოსს. ქართველმა ბუმბერაზმა პატრიოტმა გააბრიყვა გაქნილი, ვერაგი და გაიძვერა სპარსელი, ანუ გიორგი სააკაძე კი არ გახდა შაჰ-აბასის გეგმის შემსრულებელი, არამედ, პირიქით, სააკაძის დაგეგმილი სვლებით იარეს დუშმანებმა და ხაფანგშიც გაებნენ. რადგან, ამავე დროს, დიდი მოურავის გეგმა-ჩანაფიქრი, უკიდურესად მოულოდნელი და ძნელად ამოსაცნობი იყო მტრისათვის. ვიმეორებ, იმ დამით გიორგი სააკაძე სწირავდა არა მარტო თავის თავს, არამედ კიდევ ოთხი შვილის (ვაჟების) სიცოცხლეს: ავთანდილის, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა ირანელთა ბანაკში, პაატასი, რომელიც მძევლად დაიტოვა ბოროტმა შაჰ-აბასმა, იორამის და დავითის (აღაპი), რომლებიც ქართლის ლაშქარში იმყოფებოდნენ.

დიდი მოურავის უაღრესად გაბედული გეგმის თანახმად, სააკაძეს, რომელსაც თან ახლდა თავისი ოთხი უმამაცესი და უერთგულესი თანამებრძოლი, თავადიშვილები – ელია დიასამიძე და პაატა ხერხეულიძე, მისი განუყრელი მხლებლები და ძმადნაფიცი პაპუნა ვაშაყაშვილი და მისი ვაჟი – ავთანდილი, უნდა დაეწყოთ აჯანყება მტრის შუა ბანაკში და მოულოდნელი დარტყმით ყიზილბაშთა ჯარის სარდლობა უნდა დაეხოცა. ბატონი სიმონ ქვარიანი ამაღელვებლად წერს: „...ამ ხარება დილას წყდებოდა საქართველოს ბედი: ან მტრის დამარცხება და სრული თავისუფლება ან სპარსთა გამარჯვება და მთელი ივერიის ამოჟლეტა. საქართველოს მომავალი ეკიდა ბედის სასწორზე...“ მარტყოფის ველზე აჯანყების დაწყების წინ სააკაძემ მოიხადა ქუდი,დაიჩოქა და ქართულ მიწას ემთხვია...მას მიბაძა ოთხივე ვაჟკაცმა... „ძლიერო ღმერთო, შენ შეიბრალე ესოდენ ტანჯული საქართველო! შენ იხსენ იგი ამ საშინელი ხიფათისაგან! შენ მომადლე მას გამარჯვება! ღვთისმშობელო ქალწულო, შენ მიაპყარ მას შენი მოწყალე თვალი! ნუ გასწირავ შენს წილად ხდომილ უბედურ ივერიას! ნუ გააბარებ ქრისტეს მტერს! შენ იხსენ დაღუპვისაგან შენი მოსავი ერი!..“ ღაღადებდა მხურვალედ და ხელაპყრობით დიდი მოურავი, თვალთაგან სდიოდა ცრემლი“... [სიმონ ქვარიანი, „ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში (გიორგი სააკაძე და მისი დრო)“ , ქუთაისი, 1911 წ. გვ. 85-86]. გიორგი სააკაძის და მისი უმამაცესი თანამებრძოლების საარაკო გმირობამ არჩილ მეფის გადმოცემით (რომელიც თეიმურაზ I-ის შვილიშვილის ქმარი იყო – ვ.ო.) თვით თეიმურაზ I-იც განაცვიფრა [არჩილ ბაგრატიონი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, სტრ. 600]:

„პაატა ხერხეულიძე, ავთნდილ ძითა თვისითა,
ელია დიასამიძე, პაპუნა ვაშაყისითა, –
ოთხის კაცითა ესე ქნა, რას ეჭვ, იქმოდა ასითა!
ამის მქნელს კაცსა სხვა ვინმე, ვით შეუდარო ფასითა?!“

დიდი მოურავის და ზურაბ არაგვის ერისთავის გმირული ქმედებით აღტაცებული მეფე-პოეტი არჩილ ბაგრატიონი, ქებათა ქებას უძღვნის ამ ორ რაინდს და თავისი პოემის გმირს მეფე თეიმურაზს ანდერძივით ათქმევინებს მოწოდებას თანამემამულეთა და მომავალი თაობების მიმართ [სტრ. 609–610]:

„ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საკვირველი,
ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალი!
ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ქნა მრავალი,
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი!“

გიორგი სააკაძის გმირული მოღვაწეობა, მისი დაუშრეტელი ბრძოლისუნარიანობა და თავგანწირვა, იმდენად საოცარი და ზებუნებრივია, რომ თითქოს დღევანდელი გადასახედიდან დაჯერებაც კი ძნელია, და ამიტომ ცდილობს მეფე-პოეტი დაარწმუნოს მკითხველები, მომავალი თაობა, რომ ეს ყოველივე „უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი!“ [რ. ბარამიძე, „არჩილ ბაგრატიონი“, თბ. 1983 წ. გვ. 127]. ხოლო შემდეგ მოსდევს უაღრესად ამაღლებული ანდერძშეფასება, თაობიდან-თაობას გადასაცემი ქართული ქრისტიანული რჯულის დაცვის მისაბაძი მაგალითისა:

„სახელისთვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით, რომ დიდად სცოდეთ?
რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ?
აწ ეს ქენით ქართველებო, ანდერძივით შვილს ეტყოდეთ!“

აქ უნდა აღვნიშნოთ განსხვავებული აზრი, ქართველთა და ყიზილბაშთა პირველი შეტაკების ადგილის თაობაზე. კერძოდ, ბატონებს – ანტონ ფურცელაძეს და სიმონ ქვარიანს (მისი გავლენით – ვ.ო.) მიაჩნიათ, რომ პირველი ბრძოლა გამართა „მცხეთის მახლობლად... საფურცლესთან “, დაახლოებით დღევანდელი სოფ. ნატახტარის მიდამოებში [ანტ. ფურცელაძე, გვ. 258–261; სიმონ ქვარიანი,. გვ. 84–88], ხოლო შემდეგ გამარჯვებულმა ქართული ჯარის ნაწილებმა გასწიეს მცხეთა-თბილისის გავლით მარტყოფისაკენ...

ისტორიკოსთა მიერ მიღებული და დადგენილია, რომ გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ მარტყოფის ულევარის ველზე გაიმართა, თუმცა არ გამოვრიცხავ ქართველთა და ირანელთა ლოკალურ შეტაკებებს სხვადასხვა ადგილზე...

მარტყოფი – ჯვაროსანი ქართველი ერის, ურჯულო ყიზილბაშებზე გამარჯვების მისტერიული ადგილია გიორგი სააკაძის მეთაურობით... თანაც ხარება დღეს – 1625 წლის 7 აპრილს (25 მარტს ძვ. სტ.), როდესაც ქართველებმა მტერზე გრანდიოზული გამარჯვება მოიპოვეს...